

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი

ისტორია

ომიკო ეჯიბია

IX-X საუკუნეების არაბი გეოგრაფების ცნობები საქართველოსა და
კავკასიის შესახებ

ისტორიის დოქტორის (Ph.D. in History) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი

დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
თსუ-ს პროფესორი ნანი გელოვანი

თბილისი

2022

ანოტაცია

ნაშრომში წარმოდგენილია IX-X საუკუნეების ხუთი არაბი ავტორის იბნ ხორდადბეჰის, იბნ რუსთას (IX ს.), ალ-ისტახრის, იბნ ჰაუკალისა და ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის (X ს.) ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. კვლევა მიემართება არა მხოლოდ ცნობების თარგმანს, არამედ მათ შინაარსსაც სხვადასხვა სფეროების გათვალისწინებით, დაწყებული ტოპონიმების კვლევით, დამთავრებული რეგიონის ეკონომიკური ფუნქციით საერთაშორისო ვაჭრობაში.

აღნიშნული საკითხი აქტუალური და მნიშვნელოვანია შუა საუკუნეების საქართველოსა და კავკასიის ისტორიითა და ისტორიული-გეოგრაფიით დაინტერესებული მკვლევრებისათვის. თემის აქტუალობას განაპირობებს რეგიონში მიმდინარე სამხედრო-პოლიტიკური კონფლიქტებიც, რადგანაც დაპირისპირებული მხარეები ხშირად იმოწმებენ შუა საუკუნეების ავტორებს, ტერიტორიების ისტორიული კუთვნილების აღსანიშნავად.

ნაშრომის სამეცნიერო სიახლეს წარმოადგენს იმ ცნობების თარგმანები, რომლებიც უშუალოდ არაბული ენიდან შესრულდა და წარმოდგენილია სრული ან ნაწილობრივი ტრანსლიტერაციებით. ასევე სიახლეა კვლევაში წარმოდგენილი X საუკუნის რუკები, რომლებიც აქამდე არ ყოფილა ცნობილი ქართული ისტორიოგრაფიისთვის და ზოგიერთი მათგანი ნაკლებადაა შესწავლილი დასავლურ ისტორიოგრაფიაში.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში განზოგადებულია მასში განხილული სოციალ-ეკონომიკური, გეოგრაფიული, პოლიტიკური თუ კულტურული საკითხები, რომლებზეც ძირითად ტექსტშია მსჯელობა. აღნიშნულია, თუ რა პოზიტიური შედეგები შეიძლება მოყვეს თარგმნილი ტექსტების შემდგომ გამოყენებას. გამოტანილია დასკვნები და გამოთქმულია ვარაუდები ნაშრომში განხილული ავტორების ცნობების საფუძველზე.

Annotation

The work presents information about Georgia and the Caucasus by five authors of IX-X centuries Ibn Khordadbeh, Ibn Rustah (IX century), Al-Istakhri, Ibn Hawqal and Al-Mukaddasi Al-Bashari (X century). The research focuses not only on the translation of references but also on their content in different areas. Starting with the study of toponyms, ending with the economic function of the region in international trade.

This issue is relevant and important for researchers interested in medieval history and the historical geography of Georgia and the Caucasus. The urgency of the topic is exacerbated by the ongoing military-political controversies in the region, in which process, of which the opposing parties, often citing the medieval authors to mark the historical belonging of disputed territories.

First of all, the novelty of the work is the translations of the references, which were performed directly from the Arabic language and are presented in full or partial transliterations. Also novel is the X century maps presented in the study, which were not known to Georgian historiography until now and some of them are less studied worldwide.

In the conclusion of this dissertation, the socio-economic, geographical, political or cultural issues are comprised, which are discussed in the main text as well. It is indicated the positive consequences that may result from the subsequent use of the translated texts. Conclusions are drawn and assumptions are made based on the references of the authors discussed in the paper.

შინაარსი

სურათების საძიებელი	IV
შესავალი.....	1
თავი 1. IX საუკუნის არაბული გეოგრაფიული ლიტერატურა: იბნ ხორდადბეჰი და იბნ რუსთა	21
§ 1. იბნ ხორდადბეჰი.....	21
§ 2. წიგნი გზებისა და სამეფოთა	32
§ 3. იბნ რუსთა	39
§ 4. ძვირფასი ყელსაბამების წიგნი.....	46
თავი 2. X საუკუნის არაბული გეოგრაფიული ლიტერატურა: ალ-ისტახრი, იბნ ჰაუკალი, ალ-მუკადდასი ალ-ბაშარი	52
§ 1. ალ-ისტახრი	52
§ 2. წიგნი გზებისა და სამეფოთა	61
§ 3. იბნ ჰაუკალი.....	76
§ 4. დედამიწის სურათი	84
§ 5. ალ-მუკადდასი ალ-ბაშარი	109
§ 6. საუკეთესო დაყოფა რეგიონების ცოდნისა	119
თავი 3. რეგიონის რუკებისა და მარშრუტების შესახებ	132
§ 1. ალ-ისტახრის, იბნ ჰაუკალის და ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის რუკები	132
§ 2. მარშრუტების, ვაჭრობისა და ეკონომიკის შესახებ რეგიონში: 'არმინიია, არ-რანი, 'აზარბაჯანი	150
დასკვნა.....	158
კომენტარები:	163
ბიბლიოგრაფია:.....	175

სურათების საძიებელი

სურ. 1 ალ-ისტახრის რუკა	გვ. 150
სურ. 2 იბნ ჰაუკალის რუკა	გვ. 151
სურ. 3 ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის რუკა	გვ. 152

შესავალი

შუა საუკუნეების არაბული წყაროების თარგმნა-შესწავლა-გამოყენებას ჩვენს ისტორიოგრაფიაში დაახლოებით საუკუნოვანი ისტორია აქვს. თავდაპირველად, ძირითად წყაროს შუა საუკუნეების არაბული ცნობებისა, მათი არა ქართულენოვანი თარგმანები წარმოადგენდნენ, ძირითადად რუსულ ენაზე შესრულებული. ასვე გვაქვს შემთხვევები ფრანგულიდან ქართულად თარგმნილი ცნობებისა. მიუხედავად იმისა, რომ პერიოდულად ითარგმნებოდა ფრაგმენტები შუა საუკუნის არაბული ძეგლებიდან, ქართულ ისტორიოგრაფიაში, უმეტესად ყურადღება ექცეოდა საქართველოსთან დაკავშირებულ საკითხებს და ზოგიერთ გამონაკლისის გარდა, არ მომხდარა მათი გააზრება/განხილვა საერთო კავკასიურ კონტექსტში. შესაბამისად ეს თარგმანებიც ამოღებულია საერთო ტექსტებიდან თუ თავებიდან, რომლებშიც საუბარია მთლიან რეგიონზე. ამასთანავე, ითარგმნებოდა არაბი გეოგრაფებისა და მოგზაურების თხზულებებიც, რომლებშიც ძირითადი აქცენტი გადატანილი იყო სამხედრო-პოლიტიკურ ისტორიაზე. ხოლო დანარჩენი საკითხები როგორებიცაა სოციალური, ეთნო-კონფესიური, ისტორიულ-გეოგრაფიული მეტ-ნაკლებად უკანა ფონზე რჩებოდა. თუმცა, გამორჩეული ნიშანი არაბულ გეოგრაფიულ ლიტერატურაში არის ის, რომ პოლიტიკური ისტორიის გარდა გზვდება ასევე ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ინფორმაცია; ფიზიკური გეოგრაფია; გარემოსა და ბუნებრივი პირობების დახასიათება; მოსახლეობის შემადგენლობა ენობრივი, რელიგიური თუ ეთნიკური თვალსაზრისით; სავაჭრო-ეკონომიკური პუნქტებისა და ძირითადი სავაჭრო საქონლის შესახებ ინფორმაცია, რომელიც ასევე წარმოადგენს გვიქმნის იმ კონკრეტულ ქალაქსა თუ რეგიონში განვითარებული დარგების ან ვაჭრობის ფორმების შესახებ; გზებისა და მარშრუტების აღწერა, სადაც ხშირად მოცემულია არა ერთი მარშრუტი, არამედ რამდენიმე მიმართულება კონკრეტული ქალაქისკენ/პუნქტისაკენ.

ნაშრომის **სამეცნიერო სიახლეს**, პირველ რიგში, წარმოადგენს უშუალოდ არაბული ენიდან შესრულებული ცნობების ქართული თარგმანები და მათი

შედარებითი ანალიზი, ურთიერთმიმართება პარალელურ ცნობებთან და წყაროებთან. რამდენადაც ქართული ისტორიოგრაფია დღემდე განიცდის საქართველოსა და კავკასიის შესახებ შუა საუკუნეების არაბული წყაროების პირდაპირი, სრული და ზუსტი ქართული თარგმანების ნაკლებობას. შესაბამისად ეს არის სიახლეც ქართულ ისტორიოგრაფიაში, ორიგინალი ენიდან შესრულებული ცნობების თარგმანების სახით. მართალია, არსებობს მათი ფრანგული, რუსული, ინგლისური, გერმანული თუ სხვა ენოვანი თარგმანები, მაგრამ, შესაძლოა, იმ თარგმანებში იყოს გარკვეული ინფორმაცია გამორჩენილი, მთარგმნელის ინტერესებიდან (ან ინტერესის ნაკლებობიდან) გამომდინარე;¹ ასევე, შესაძლოა, იყოს ზოგიერთ ტოპონიმის არასათანადოდ გადატანა, რომელთა წაკითხვა თუ გამოთქმა მეტ-ნაკლებად ყველა ენისათვის უნიკალურია.² ასევე, ყოველთვის არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ მოხდეს ამა-თუ იმ ისტორიული წყაროს განსხვავებული, ახალი ინტერპრეტაცია ან ახალმა მასალებმა, დროთა განმავლობაში, შეცვალონ უკვე არსებული შეხედულებები, გაამყარონ ან გააბათილონ გამოთქმული მოსაზრებები, ექვები და ვარაუდები. ასევე უმნიშვნელოვანესია, ნაშრომში წარმოდგენილი მეთავე საუკუნის სამი ავტორის (ალ-ისტახრი, იბნ ჰაუკალი, ალ-მუკადდასი ალ-ბაშარი) მიერ შესრულებული რეგიონალური რუკები, მათი დახასიათება, სინთეზი უშუალოდ ავტორთა ცნობებთან და კრიტიკული გააზრება. ამავდროულად, ეს რუკები აქამდე არ ყოფილა წარმოდგენილი ქართული სამეცნიერო წრეებისთვის და ეს არის პირველი შემთხვევა მათი კვლევისა საქართველოში. ასევე, ამავე რუკების კვლევა ფართო სპექტრით ჯერჯერობით არ მომხდარა სხვა მეცნიერ-მკვლევართა მიერ. დამატებით სიახლედ უნდა ჩავთვალოთ ნაშრომში განხილული რეგიონთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური საკითხები, ენობრივ, რელიგიურ თუ მოსახლეობის ძირითად

¹ მაგ. ალ-მუკადდასის ინგლისურენოვან თარგმანში, ზოგიერთი ინფორმაცია, სომხურ ქალაქებში წარმოებული თუ იქიდან ექსპორტირებული პროდუქტების შესახებ ნაკლებია. კერძოდ, იქ სადაც ჩამოთვლილია სხვადასხვა ტიპის ქსოვილები თუ ხალიჩები, ბალიშთა სახეობები, უბრალოდ ერთ სახელშია გაერთიანებული ეს ნივთები, რომ აქ იწარმოება ხალიჩები და არაა დაყოფილი მაგ. საჯჯადა, ბუსუტი, მახფური თუ სხვა.

² განსაკუთრებით იმ ენებისთვის რომლებშიც საერთოდ არ არის ან ნაკლებია არაბულ ენაში არსებული ფონემები და შესაბამისად, მათი გამოხატვა ხდება ან სპეციალური დიაკრიტიკული ნიშნებით ან იმ ენაში მიღებული შესაბამისობებით. მაგ. მაშინ როდესაც არაბულ ენაში გვაქვს ჰა, ჰა და ხა, რუსულ ენაში სამივე მათგანი ძირითადად გადადის როგორც ხა.

საქმიანობასთან დაკავშირებული თემები. ქალაქების ბარდავის, დარუბანდის, დვინის, ერზერუმის, თბილისის ადგილი ლოკალურ (როგორც რეგიონალურ ასევე სახალიფოს მასშტაბით) ვაჭრობასა და მათ ჩართულობაზე საერთაშორისო ვაჭრობაში ინდოეთიდან და ხაზართა მიწებიდან, ბიზანტიის იმპერიამდე.

ნაშრომი აქტუალურია იმ თვალსაზრისითაც, რომ დღემდე უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია ამ ტიპის წყაროებს საქართველოსა და კავკასიის ისტორიის, ეთნოგრაფიის, სოციალური, კულტურული თუ ეკონომიკური საკითხების კვლევაში. განსაკუთრებით საინტერესოა შედარების თვალსაზრისით ადგილობრივ (ქართულ-სომხური) წყაროებთან და გამოცემებთან. ამავდროულად, საინტერესოა რეგიონის განხილვა ბევრად უფრო ფართო მასშტაბით. მაშინ როცა, თანამედროვე კავკასიის რეგიონი ჩრდილოეთ კავკასიას და სამხრეთ კავკასიას მოიცავს და სამხრეთით, ძირითადად, არ სცდება სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებს, შუა საუკუნეების არაბი გეოგრაფებისთვის ეს რეგიონი ბევრად უფრო დიდი იყო. მათ მიერ აღწერილი სივრცე მოიცავდა ტერიტორიას ერზერუმიდან (კალიკალა) გილანამდე (თანამედროვე ირანი), ურმიის ტბიდან თანამედროვე დაღესტნის ჩათვლით. მთელი ეს სივრცე კი განხილული იყო, როგორც საერთო გეოგრაფიული არეალი, რომელშიც წარმოდგენილი იყო მრავალეთნიკური, მრავალრელიგიური და მრავალენობრივი საზოგადოება. უკვე ნახსენები სოციალურ-ეკონომიკური საკითხები, რომლებსაც არაბი გეოგრაფები ეხებიან, ნაკლებადაა წარმოდგენილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამასთან ერთად, ნაშრომში წარმოდგენილი ზოგიერთი საკითხი ეხმიანება რეგიონის პოლიტიკურ ისტორიას, რომელიც აქამდე არ ყოფილა სათანადო ყურადღების ობიექტი. გარდა ამისა, განხილული და გაანალიზებული გვაქვს შუა საუკუნეების არაბული გეოგრაფიული ლიტერატურა, სახელდობრ, მეცხრე-მეათე საუკუნეების ხუთ ავტორის (იბნ ხორდადბეჰის, იბნ რუსთას, ალ-ისტახრის, იბნ ჰაუკალის და ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის) შრომებში დაცული ინფორმაცია მათი შესაძლო კრიტიკული გააზრებით. ეს ინფორმაცია მრავალფეროვანია და თეორიული თვალსაზრისით მოითხოვს სისტემურ მიდგომას. ნაშრომის მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს შუა

საუკუნეების არაბული ტექსტების შესწავლისადმი კომპლექსური მიდგომა, მათ შორის ისტორიულ-შედარებითი ანალიზისა და კარტოგრაფიული მეთოდების გამოყენება. ასევე, საერთაშორისო მეცნიერებაში შემუშავებული პრაქტიკული და თეორიული პრინციპების გამოყენება წყაროებთან მუშაობისთვის. კვლევის მეთოდოლოგიურ ბაზას ქმნის ასევე ისტორიზმი, მეცნიერული ობიექტურობა და სისტემურობა, რამაც საშუალება მოგვცა კომპლექსურად შეგვესწავლა IX-X საუკუნეების არაბი გეოგრაფების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ამავდროულად, დღემდე განსაკუთრებით აქტუალურია შუა საუკუნეების არაბული რუკებისა და პიროვნებათა/ავტორთა იდენტობის საკითხები, მათი მიკუთვნებულობის კრიტერიუმები³ და სხვა. ნაშრომი ასევე მნიშვნელოვანია ისტორიულ-გეოგრაფიული და საზღვრების შესწავლის თვალსაზრისით კავკასიის რეგიონში. განსაკუთრებით კი ბოლო წლებში განვითარებული პოლიტიკური მოვლენებისა და კონფლიქტების ფონზე სამხრეთ კავკასიის რეგიონში. კერძოდ, სომხეთ-აზერბაიჯანის ბოლო კონფლიქტის შემდგომ კიდევ უფრო აქტუალური გახდა სადავო ტერიტორიების ისტორიული კუთვნილების თემა. ამის გამო, წინ კიდევ ერთხელ წამოიწია შუა საუკუნეების წყაროებმა და განსაკუთრებით გეოგრაფიულმა ლიტერატურამ და კარტოგრაფიამ, მათ შორის არაბულ-ისლამურმა წყაროებმა.⁴ აგრეთვე, ვფიქრობთ, მნიშვნელოვანია იმ მიღწევების წარმოჩენა, რასაც არაბ-მუსლიმმა გეოგრაფებმა მიაღწიეს შუა საუკუნეებში. განსაკუთრებით საინტერესოა ამ განხილვა დიაქრონიულ ჭრილში, თავდაპირველი ბერძნულ-სპარსულ-ინდურ ლიტერატურასთან მიმსგავსებული ნაშრომებიდან, უკვე სრულიად ორიგინალურ და ახალი ტიპის ნაშრომებამდე. ეს კი, უპირველესად, ახალი მეთოდური მიდგომებით, საჭიროებებით, სათანადო მოთხოვნებით და, რაც მთავარია, მეცნიერული წინსვლით იყო განპირობებული. ამას ემატებოდა გაცხოველებული ვაჭრობა და მოგზაურობა კორეის ნ/კ-დან ბრიტანეთის კუნძულებამდე და სკანდინავიის

³ რაზეც ზემოთაც გვქონდა სუბარი.

⁴ ჯერ კიდევ ოცდამეერთე საუკუნის პირველ ათწლეულში სომხური წარმომავლობის მეცნიერს რ. გალიჩიანს და აზერბაიჯანელ ნ. ველიხანოვას აქვთ გამოქვეყნებული შრომები ყარაბაღის ისტორიული კუთვნილების შესახებ, რომლებშიც ხშირად სწორედ არაბულ წყაროებსა თუ რუკებს იმოწმებენ.

ნ/კ-დან ცენტრალური აფრიკის ქვეყნებამდე. მიღწევები და გამოთვლები დედამიწის ზომა-წონის, მერიდიანის, ეკვატორის თუ მანძილების ციურ სხეულებამდე, რაც ასტრონომიის, მათემატიკის და გეოგრაფიის განვითარების შედეგ იყო.

ნაშრომის მიზანია IX-X საუკუნეების ხუთი არაბი ავტორის (იბნ ხორდადბეჰის, იბნ რუსთას, ალ-ისტახრის, იბნ ჰაუკალის და ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის) ცნობების წარმოჩენა საქართველოსა და კავკასიის შესახებ, მათი თარგმნა, შედარებითი და ტექსტური ანალიზი; არსებული ცნობების დამუშავება ისტორიული კონტექსტისა და პარალელური წყაროების გათვალისწინებით; რეგიონის შესახებ ინფორმაციის განხილვა და შეჯერება კარტოგრაფიული, სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული თუ სხვა მიმართულებებით.

შუა საუკუნეების არაბ-მუსლიმ ისტორიკოსებთან თუ გეოგრაფებთან კავკასიის რეგიონი ამ ტერმინითა და თანამედროვე საზღვრების გაგებით არ გვაქვს. კავკასიის რეგიონის აღქმა ხდებოდა მისი უკვე დამკვიდრებული საზღვრების გააზრებით, რაც ეფუძნებოდა ბიზანტიის იმპერიისა და სასანიანთა ირანის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ დაყოფას. არაბ-მუსლიმ ისტორიკოსებთან თუ გეოგრაფებთან იმ ძირითად ტერიტორიას, რომელიც მოიცავს კავკასიის რეგიონს, უწოდებენ – 'არმანიას'. ტერმინი კავკასია, შუა საუკუნეების ავტორებთან, ცხადია, არ გვხვდება. სიტყვა ალ-კაბკ კი გამოიყენება კავკასიის ქედის სახელად. ასევე ზოგიერთ შემთხვევაში ალ-კაბკში მოიაზრება ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასია და ისეთი ტერიტორიები, როგორც იყო მაგალითად ას-საირი (ავარები, ხუნძები) და ალ-ლანი (ალანები). გვაქვს ასევე შემთხვევა, როდესაც კავკასიაში იგულისხმება არა მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლეთი კავკასიის ტერიტორიები, არამედ სამხრეთ-აღმოსავლეთიც. მაგალითად, ალ-მას'უდი კავკასიაში, ალ-კაბკის სივრცეში მოიაზრებს არა მხოლოდ დარუბანდსა და ას-საირს, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს და შირვანსაც.⁵

მეცხრე საუკუნის ავტორებთან იბნ ხორდადბეჰთან და იბნ რუსთასთან არ გვაქვს ცალკე თავები ან ცალკე მოცემულობა, რომელიც აერთიანებს კავკასიის რეგიონს. უფრო მეტიც, იბნ რუსთას შემთხვევაში ცალ-ცალკე თავებადაა წარმოდგენილი ალ-

⁵ Macoudi, Les Prairies D'or, T. 2, Imprimerie Imperiale, Paris, 1862, გვ. 2-78.

ლანი და ას-სარირი. მართალია, დასახელებულია არმინია და მისი ლოცვის მიმართულება (კიბლა), მაგრამ რას გულისხმობენ სახელწოდება არმინიაში არაა განმარტებული. მეათე საუკუნის ავტორებთან უკვე ერთ პროვინციადაა გაერთიანებული ფაქტობრივად მთელი კავკასია და მისი მიმდებარე ტერიტორიები, მოცემულია საზღვრები არა მხოლოდ მომიჯნავე პროვინციებთან, არამედ შიდა დაყოფაც. ალ-ისტახრისა და იბნ ჰაუკალის შემთხვევაში კონკრეტული თავების სახელწოდებაა: 'არმინია, არ-რან, 'აზარბაჯან. ხოლო ალ-მუკადდასი ალ-ბაშარი არქმევს 'იკლამ არ-რიჰაბს, შემდგომ კი განმარტავს, რომ ეს ამ რეგიონის საზოგადო სახელია, რომელიც აერთიანებს 'არმინიას, არ-რანს, 'აზარბაჯანს. ამ სახელწოდებებიდანაც აშკარაა, რომ არაბ-მუსლიმი ავტორებისთვის ამ დასახელებებში ერთი რეგიონი იგულისხმებოდა.

ჯერ კიდევ ომინთა ხანაში სახალიფოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ხუთი დიდი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული.⁶ პირველ ტერიტორიულ ერთეულში შედიოდა ერაყი, ირანი, ხორასანი; მეორეში – ჩრდილო-დასავლეთ აფრიკა და ანდალუსია (პირინეის ნ/კ-ზე); მესამე იყო ე.წ. ჩრდილოეთის პროვინცია, რომელშიც შედიოდა არმინია და მოიცავდა საკუთრივ ისტორიულ სომხეთს, აღმოსავლეთ საქართველოს ანუ ჯურზანს, ისტორიულ ალბანეთს ანუ არ-რანს და აზერბაიჯანს (ადარბადაგანი, ატროპატენა). ამას ზოგჯერ ემატებოდა ზემო მესოპოტამიაც ანუ ალ-ჯაზირა;⁷ მეოთხე იყო ეგვიპტე; ხოლო მეხუთეში შედიოდა – სირია-პალესტინა და არაბეთის ნახევარკუნძული.⁸ სამხრეთ-აღმოსავლეთ კავკასიის ქვეყნების ერთ რეგიონად მიჩნევა და მათი გაერთიანება ჯერ კიდევ სასანიანთა დინასტიის დროს მოხდა, ხოლო არაბთა სახალიფოში იგივე ადმინისტრაციული დანაწილება ასიმილირებულ იქნა.⁹ ასიმილაციაში კი ვგულისხმობთ იმ ფაქტს, რომ არაბთა დაპყრობების დროს ისტორიული სომხეთი ორ ძირითად ნაწილად იყო გაყოფილი ე.წ. ბიზანტიური სომხეთი, რომლის ცენტრსაც კარნი, იგივე კალიკალა, იგივე

⁶ Шагинян А.К., Система административного деления и управления Арабского Халифата в Армении и Арминии, Востоковедение, Вестн., Москва., УН-ТА. СЕР. №13, 2008, გვ. 68.

⁷ ეს დამოკიდებული იყო ეპოქაზე. კერძოდ, ზოგიერთ შემთხვევაში ზემო მესოპოტამია ცალკე პროვინციაა, მაგ. არაბთა დაპყრობების ადრეულ პერიოდში. ზოგიერთ შემთხვევაში კი სრულად ან ნაწილობრივ არმინიის შემადგენლობაშია. მაგ. IX-X საუკუნეების ზოგიერთ წყაროში.

⁸ Шагинян А.К., Армения и страны Южного Кавказа в условиях византийско-иранской и арабской власти, Санкт-Петербург, Алетейя, 2011, გვ. 338.

⁹ იქვე. გვ. 69

ერზერუმი წარმოადგენდა; მეორე კი იყო სპარსეთის მიერ კონტროლირებადი სომხეთი, რომლის ცენტრადაც დვინი ითვლებოდა.¹⁰ ამავდროულად, სახელი არმინია აღნიშნავდა უშუალოდ სომხურ მიწებს. გვაქვს შემთხვევები როდესაც დასახელებულია ტერმინი ალ-არმანიც,¹¹ თუმცა ძირითადად მაინც არმინიას იყენებდნენ, ეს ფაქტორი კი ართულებდა იმის გაგებას თუ რას გულისხმობდა ესა თუ ის ავტორი სახელში – არმინია. ამას ემატება ისიც, რომ არაბი-მუსლიმი ავტორები, ზოგჯერ ოთხ არმინიად ყოფდნენ რეგიონს.¹² პირველ არმინიაში შედიოდა არ-რანი და შირვანი; მეორე მოიცავდა ჯურზანს ანუ აღმოსავლეთ საქართველოს;¹³ მესამე არმინიაში შედიოდა ჩრდილოეთ სომხეთი (დვინის პროვინცია), ვასპურაკანი, ბალრავანდი და ნახჭევანი; მეოთხე არმინია მოიცავდა შამშატს, ერზერუმს და ვანის ტბის მიდამოებს (ხლათი, არჭეში, ბიდლისი).¹⁴

ამდენად, შუ საუკუნეების არაბულ-მუსლიმურ სახალიფოში, კავკასიის რეგიონი ბევრად უფრო ვრცელ ტერიტორიებს მოიცავდა და არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ისტორიული ჩრდილოეთ სომხეთის, ისტორიული საქართველოსა და ალბანეთის ტერიტორიებით. არამედ ვრცელდებოდა მესოპოტამიამდე, აღმოსავლეთ ანატოლიამდე და ადარბადაგანის ჩათვლით, რომელსაც უწოდებდნენ 'არმინიას, არ-რანს და 'ახარბაფჯანს, ან აერთიანებდნენ ერთი სახელის ქვეშ – 'არმინიია (არმინია).

რაც შეეხება **ლიტერატურასა** და ბიბლიოგრაფიულ მასალას. სანამ სხვადასხვა თარგმანებს შევეხებოდეთ, გვსურს ვახსენოთ მათი „ორიგინალები“ ანუ ის რედაქციები, რომლებიც დასავლეთ ევროპაში გამოიცა. ეს რედაქციები წარმოადგენს უზარმაზარი შრომის ნაყოფს, რამდენადაც მათ უმეტესობაში გამოყენებულია არა ერთი და ორი არამედ რამდენიმე ხელნაწერი. ამ კუთხით განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი ჰოლანდიელ აღმოსავლეთმცოდნეს მიშელ დე გუეს (1836-1909).

¹⁰ Cahen C., Canard M., *Arminiya*, The Encyclopaedia of Islam, New edition, Vol. 1, Brill, Leiden, 1986, გვ. 636.

¹¹ მაგ. მეათე საუკუნის გეოგრაფებთან გვხვდება ეს ტერმინი.

¹² ასევე გვხვდება ორ ნაწილად დაყოფაც და სამ ნაწილად დაყოფა. სამ ნაწილად დაყოფა ფაქტობრივად იმეორებს ოთხ ნაწილიან დაყოფას მეორე ნაწილის, ჯურზანის გამოკლებით.

¹³ ეს თემაც სადავოა, რამდენადაც თუ ჰერეთს აღმ. საქართველოდ მივიჩნევთ, ტრადიციული გაგებით ჰერეთი ისტორიული ალბანეთის სივრცესაც მოიცავდა. ამავდროულად, არაბულ-მუსლიმურ წყაროებში კახეთის სამეფო-სამთავროს გეოგრაფიული მდებარეობის საკითხი ფაქტობრივად არსადაა ნახსენები.

¹⁴ Cahen C., Canard M., *Arminiya*, The Encyclopaedia of Islam, New edition, Vol. 1, Brill, Leiden, 1986, გვ. 342.

მართალია, შუა საუკუნეების სხვადასხვა ტიპის/შინაარსის არაბული ლიტერატურისადმი ინტერესი მანამდეც არსებობდა დასავლეთ ევროპაში, თუმცა წყაროთმცოდნეობისა და ხელნაწერთა რედაქტირების თვალსაზრისით, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და დე გუეს მოღვაწეობას უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. თუნდაც, თეორიული თვალსაზრისით, რაც წყაროთა დამუშავებას და ერთ რედაქციად გამოცემას მოიაზრებს. ცხადია, პირველ რიგში, უმნიშვნელოვანესი იყო წყაროთა, ხელნაწერთა მოძიება. ამ კუთხით კი მთავარ დასაყრდენს წარმოადგენდა ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდილიანის ბიბლიოთეკის მანუსკრიპტები. დე გუეს ფუნდამენტური შრომებიდან კი ყველაზე გამორჩეულია არაბული გეოგრაფიის ბიბლიოთეკის სერია *Bibliotheca geographorum Arabicorum* (BGA), რომელიც 1870-1893 წლებში გამოდიოდა და მოიცავს 8 წიგნს და 9 ავტორს: ალ-ისტახრი (ტ.1), იბნ ჰაუკალი (ტ.2), ალ-მუკადდასი (ტ.3), იბნ ალ-ფაკიჰი (ტ.5),¹⁵ იბნ ხურდადბაჰი, კუდამა იბნ ჯა'ფარი (ტ.6), იბნ რუსთა, ალ-ია'კუბი (ტ.7) და ალ-მას'უდი (ტ.8). სწორედ ამ რედაქციების მიხედვით გახდნენ ჩამოთვლილი ავტორები ცნობილი მსოფლიოსთვის. მათ შორის იყო რუსეთის იმპერია. პრაქტიკულად, მეცხრამეტე საუკუნის ბოლოდან იწყება ზემოთ ხსენებულ ავტორთა კავკასიის შესახებ ცნობების არაბულიდან თარგმნა რუსულ ენაზე და გამოცემა. ამ მხრივ, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ნ. ა. კარაულოვს. მან არაერთი არაბული ცნობა კავკასიის შესახებ, თარგმნა არაბულიდან რუსულ ენაზე, რითაც ხელი შეუწყო ამ ცნობების საყოველთაოდ გამოყენებასა თუ შესწავლას. შუა საუკუნეების არაბული ისტორიული, გეოგრაფიული თუ სხვა შინაარსის ტექსტების ზემოაღნიშნული რუსულენოვანი თარგმანები მოიცავდა მთლიანად კავკასიის რეგიონს. ზოგჯერ რუსეთის იმ ტერიტორიებსაც, სადაც ხაზართა სახელმწიფო არსებობდა. ნ. ა. კარაულოვის მიერ თარგმნილი ცნობები გამოდიოდა თბილისში, კრებულში *Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа* (СМОМПК), რომელიც სახელმწიფო (ე.ი. რუსეთის იმპერიის) გამოცემა იყო და 1881 წლიდან 1915 წლამდე 44 ნომერს აერთიანებდა. მასში მოცემული იყო სხვადასხვა სახის ინფორმაცია მთლიანად კავკასიის შესახებ. დაწყებული ისტორიული ცნობებით, ზღაპრებით,

¹⁵ მეოთხე ტომი აერთიანებს პირველი სამი წიგნის ინდექსებს.

ლინგვისტური ანალიზით და ახალ ანბანთა ვერსიებით დამთავრებული.¹⁶ მაგალითად, ოცდამეცხრე გამოცემაში მოცემულია ალ-ისტახრის ცნობების კავკასიის შესახებ თარგმანი სათაურით: Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербейджан. I. Ал-Истахрий. Н.А.Караулова, СМОМПК вып. XXIX, Тифлис, 1908. გვ.1-73. აღსანიშნავია, რომ თარგმანის გარდა, ნ. ა. კარაულოვს ზოგიერთ შემთხვევაში თან დართული აქვს კომენტარები და განმარტებები ტოპონიმთან, რაიმე სახელთან, ისტორიულ ფაქტთან თუ სხვა საკითხებთან მიმართებაში, ასევე ხშირად გამოთქმული ვარაუდები.

ქართული ისტორიოგრაფიიდან, პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ ე. სიხარულიძის შრომები, რომლებიც, არაბულ წყაროებში დაცული დაცვის სიგელების გარდა, მოიცავდა არაბულ გეოგრაფიულ ლიტერატურასაც. მას აქვს მნიშვნელოვანი წვლილი შეტანილი არაბულენოვანი წყაროების თარგმნასა და გამოქვეყნებაში. მის მიერ იქნა გამოქვეყნებული ისეთი ცნობები როგორებიცაა: დაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ - ნაკვ. I - არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავალით [1964]; მართალია, აღნიშნულ ნაშრომს არ ახლავს კომენტარები, თუმცა არის ვრცელი შესავალი, რომელიც სხვა ისტორიულ თუ გეოგრაფიულ შრომებსაც ეხება. ასევე ე. სიხარულიძემ გამოაქვეყნა *იბნ ჰაუკალი თბილისის შესახებ* (1976). მაგრამ ეს ცნობა არ არის სრული და მხოლოდ იმ ეპიზოდს მოიცავს, რომელშიც გაბმულადაა საუბარი თბილისზე. შესაბამისად არ არი საერთო კონტექსტი გათვალისწინებული. აღსანიშნავია, რომ ეს თარგმანი შესრულდა ჯ. კრამერსის მიერ გამოცემული რედაქციის მიხედვით, რომელიც დე გუეს რედაქციისაგან განსხვავებით შევსებული ვარიანტი იყო. ე. სიხარულიძისაა ასევე *ამიერკავკასიის სამარშრუტო გზები IX-X ს.ს. არაბული წყაროების მიხედვით* (1963). ამ სტატიაში მოცემულია მეათე საუკუნის გეოგრაფების მიერ დასახელებული მარშრუტები არაბული ტექსტითა და ქართული თარგმანით. გამოთქმულია მოსაზრებები ისეთი ქალაქების პოლიტიკურ-ეკონომიკურ მნიშვნელობაზე როგორებიცაა ბარდავი თუ დარუბანდი. ასევე აღსანიშნავია ვ. ფუთურიძის

¹⁶ მაგ. მეექვსე ნომერის დანართში საუბარია აფხაზურისა და უკრაინულისთვის ანბანის შექმნაზე კირილიცას საფუძველზე. СМОМПК, #6, თბილისი, 1888, დანართი, გვ. 1-28; მეცხრამეტე ნომერში იმერული, ქართული და სომხური ზღაპრები და ლეგენდებია შეტანილი (СМОМПК), თბილისი, 1894

მიერ თარგმნილი *ისტახრი*, *ჰოდუდ ალ-ალემი*, *ჰამდალლაჰ ყაზვინი*, რომელიც 1937 წელს გამოვიდა. აღნიშნული თარგმანი გამორჩეულია იმიტაც, რომ ის არაა ფრაგმენტული და ალ-ისტახრის თხზულების ის კონკრეტული თავი, რომელშიც საუბარია კავკასიის რეგიონზე სრულადაა გადმოცემული, ისევე როგორც ცნობები ხაზარების შესახებ. აღნიშნული ნაშრომი დაგვეხმარა შედარებითი ანალიზისთვის სპარსულ-არაბული ვერსიების ურთიერთმიმართების, შინაარსობრივი და ტექსტური მსგავსება-განსხვავებულობის საკითხთან დაკავშირებით. ნაშრომს ახლავს მთარგმნელის შენიშვნები და საძიებლები.¹⁷ რუკების შესახებ მასალებიდან აღსანიშნავია გ. ჯაფარიძის სტატია *X საუკუნის ამიერკავკასიის არაბული რუკა* (1976), რომელშიც განხილულია ალ-ისტახრის ერთ-ერთი ხელნაწერის რუკა, მოცემულია მისი ზოგადი აღწერილობა, დახასიათება და რუკაზე დანომრილი გეოგრაფიული პუნქტების სახელწოდებები.

რაც შეეხება **რუსულენოვან ლიტერატურას** შუა საუკუნეების არაბი გეოგრაფების შესახებ, ამ მხრივ გამორჩეულია ი. კრაჩკოვსკის შრომები. განსაკუთრებით, 1957 წელს გამოსული რჩეული შრომების მეოთხე ტომი, რომელიც უშუალოდ ეხება არაბულ გეოგრაფიულ ლიტერატურას (И.Ю. Крачковский, Избранные Сочинения Том IV, Арабская географическая литература). ეს წიგნი თამამად შეგვიძლია მივიღოთ ფუნდამენტურ შრომად შუა საუკუნეების არაბულ-მუსლიმური გეოგრაფიული ლიტერატურის კვლევის მიმართულებით. ნაშრომში მოცემულია არაბული გეოგრაფიული ლიტერატურის ზოგადი დახასიათება, მისი საწყისები და განვითარება. ქრონოლოგიურადაა დალაგებული ავტორები (მერვე-მეთვრამეტე საუკუნეები), მოცემულია მათ შესახებ ბიბლიოგრაფიული ცნობები და თხზულებათა აღწერილობა. ი. კრაჩკოვსკი არის ის ავტორი, რომელიც იძლევა ფაქტობრივად არაბული გეოგრაფიული ლიტერატურისა და ავტორების კლასიფიკაციასაც.

¹⁷ ვლ. ფუთურიძეს აქვს სხვა მრავალი შრომაც ამ მიმართულებით, მხოლოდ ისინი ქრონოლოგიურად არ არიან კავშირში ჩვენს თემასთან ასეთებია მაგალითად: ვ. ფუთურიძე - არაბი ისტორიკოსები XII ს. თბილისის შესახებ, 1942 - ენიმკის მოამბე - ტომი XIII; ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ - სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, 1969; მოჰამედ თაჰერის ცნობები საქართველოს შესახებ - ტექსტი, თარგმანი და შენიშვნები ვლადიმერ ფუთურიძისა 1954 - მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის - ნაკვეთი 30; ასევე მრავალი სპარსული საბუთები და სხვა.

ყოფს მათ ადრეული და გვიანი განვითარების ეტაპებად. ასევე გამოყოფს ბერძნულ-სპარსულ შრომებზე მიბადვით შექმნილ და არაბულ ორიგინალურ თხზულებებს. რაც შეეხება ვ. ბარტოლდის თხზულებებს, მართალია, მისი შრომების მესამე ტომი ეხება ისტორიულ-გეოგრაფიას, თუმცა კონცენტრირებულია ცენტრალური აზიის რეგიონზე. ისევე როგორც მისი შრომების მეშვიდე ტომი, რომელიც ირანის ისტორიული გეოგრაფიის შესახებაა. მიუხედავად ამისა, არის ზოგიერთი ფრაგმენტი, რომელიც ეხება კავკასიის რეგიონს. ასეთია, მაგალითად, იბნ რუსთას ერთი მონაკვეთის თარგმანი, სადაც ასევე პარალელია გავლებული მისქავაიპის ცნობასთან. გარდა ამისა, რუსულ ენაზე სრულად ითარგმნა ზოგიერთი ავტორის ცნობები. ასეთი იყო, მაგალითად, იბნ ხორდადბეჰის ცნობები, რომელიც რუსულად თარგმნა ნ. ველიხანოვამ და გამოიცა ბაქოში 1986 წელს.¹⁸ ნ. ა. კარაულოვის თარგმანები უკვე ვახსენეთ, თუმცა ნ. კარაულოვამდე იყო ასევე ხაზართა შესახებ შესრულებული ცნობათა თარგმანები, მაგ. 1869 წელს დ. კვოლსონმა იბნ რუსთას ცნობები ხაზარებს, ბურტასებს, ბულგარებს, უნგრელების, სლავებისა და რუსების შესახებ თარგმნა რუსულ ენაზე და გამოსცა წიგნში Известия о Хозарах, Буртасах, Болгарах, Мадьярах, Славянах и Руссах Абу-Али Ахмеда Бен Омар Ибн-Даста, неизвестного доселе арабского писателя начала X века. ასევე აღსანიშნავია 1965 წელს გამოცემული მეათე-მეთორმეტე საუკუნეების ზოგიერთ არაბ ავტორთა ცნობების თარგმანები Арабские источники X-XII веков, Пер. В. В. Матвеева и Л. Е. Куңбеля.

მეცხრამეტე-მეოცე საუკუნეების გარდა, არაბული გეოგრაფიული ლიტერატურა დღემდე აქტუალურ საკვლევ თემას წარმოადგენს რუსულენოვანი მკვლევრებისათვის. მათ შორის გვხვდება ცნობები კავკასიის შესახებაც, ძირითადად კი მაინც ხაზარებსა და დაღესტანზე. ერთ-ერთი ბოლო ნაშრომი, რომელიც გამოიცა 2016 წელს, ეკუთვნის ა. იანკოვსკაიას А. А. Янковская Историко-этнографические сюжеты в средневековых арабских источниках по малайско-индонезийскому региону. შინაარსის თვალსაზრისით არის ეთნოლოგიურ-ეთნოგრაფიულ-ანთროპოლოგიური ნაშრომი, რომელშიც

¹⁸ Ибн Хордадбех. Книга путей и стран. Пер. с арабского, коммент., исслед., указ. и карты Н. Велихановой. — Баку: Элм, 1986.

დამოწმებულია მეცხრე-მეთოთხმეტე საუკუნეების ოცამდე ისეთი ავტორი, როგორებიც არიან ხორდადბეჰი, რუსთა, ალ-მას'უდი, იაკუთი, ალ-ბირუნი, ალ-იდრისი, აბუ ალ-ფიდა და სხვები. 2014 წელს ასევე გამოვიდა წიგნი Хазария в кросскультурном пространстве, Т.М. Калинина, В.С. Флёргов, ვ. პეტრუხინის (В.Я. Петрухин) ავტორობით, რომლის პირველი თავი ეთმობა ხაზარებს აღმოსავლურ წყაროებში და მათ შორის დასახელებულია მეცხრე-მეცამეტე საუკუნის არაბი გეოგრაფებიც. რაც შეეხება სტატიებს, ამ მიმართულებით კვლევები გაცილებით მრავალფეროვანია და მეტია ასევე დაინტერესებული მხარეც, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიის მკვლევრებს შორის. ერთ-ერთი უახლესი საინტერესო სტატია იყო მ. გიზბულაევის „იბნ რუსთას ცნობები დაღესტანის შესახებ“ М. А. Гизбулаев, Сведения о Дагестане в арабском географическом сочинении Китаб ал-а'лак ан-нафиса ибн Руста, Вестник Санкт петербургского университета. Востоковедение и африканистика, Т. 13 № 2 (2021).¹⁹ ა. გიზბულაევს გამოქვეყნებული აქვს ასევე სტატიები სხვა ავტორების ცნობებზეც. კერძოდ, ალ-მუკადდასის ცნობები 2018 წელს სახელით: Сведения арабских авторов Мискавейха и ал-Мукаддаси по истории Дагестана VIII–X вв; ასევე 2017 წელს გამოიცა იბნ ხორდადბეჰის ცნობები: Китаб ал-Масалик ва-л-Мамалик ибн Хордадбеха и Китаб ал-Булдан ал-Йа'куби: Арабские географические источники о средневековой истории Дагестана. აღნიშნულ სტატიებში ავტორი ძირითადად ეხება ჩრდილოეთ და ჩრდილო აღმოსავლეთ კავკასიის შესახებ ცნობებს, რომლებშიც ყურადღება გამახვილებულია ტოპონიმიკაზე და ძირითადად აღწერილობითი ხასიათისაა.

რაც შეეხება **ვეროპულენოვან ლიტერატურასა** თუ შრომებს. ამ შემთხვევაში ლიტერატურა შედარებით მრავალფეროვანია და არ მოიცავს მხოლოდ თარგმანებს, არამედ გვაქვს გარკვეული მეთოდური მიდგომები ტექსტებთან თუ ავტორებთან მიმართებაში და ასევე გვაქვს გამოქვეყნებული ორიგინალი თუ სქემატური რუკები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ინგლისური, ფრანგული და გერმანულენოვანი შრომები. ერთ-ერთი პირველი არაბულ-მუსლიმური გეოგრაფიული თხზულება, რომელიც ნაწილობრივ ითარგმნა ფრანგულ ენაზე

¹⁹ იგივე ავტორს ასევე გამოქვეყნებული აქვს ატ-ტაბარის ცნობები დაღესტანის შესახებ

იყო ალ-იდრისის ცნობები. თუმცა, ალ-იდრისის თხზულების გარშემო შემდგომშიც მიმდინარეობდა კვლევები და ქვეყნდებოდა ახალი თარგმანებიც. ალ-იდრისის თხზულება გამორჩეულია იმითაც, რომ ეს იყო ერთ-ერთი პირველი არაბულენოვანი წიგნი, რომელიც ბეჭდური სახით გამოიცა (1592) და პირველი არაბული გეოგრაფიული ლიტერატურის ნიმუში, რომელიც ევროპულ ენაზე ითარგმნა. ამ შემთხვევაში ლათინურად 1619 წელს სახელით: *Geographia nubiensis: id est accuratissima totius orbis in septem climata divisi descriptio* (ნუბიელის გეოგრაფია,²⁰ რომელიც არის მთელი მსოფლიოს ზუსტი აღწერა დაყოფილი შვიდ კლიმატად). ალ-იდრისის შესახებ გამოქვეყნებულ ბოლო შრომებიდან აღსანიშნავია ჟან-შარლ დუსენის ალ-იდრისის რუკის კოორდინატების შესახებ *Les coordonnées géographiques de la carte manuscrite d'al-Idrisi* (2011) და სხვები.

რაც შეეხება ზოგადი ხასიათის ფუნდამენტურ შრომებს, განსაკუთრებული ადგილი უკავია ანდრე მიკელის მუსლიმური გეოგრაფია მეთერთმეტე საუკუნემდე, რომელიც ოთხ ტომად გამოვიდა (1967, 1975, 1980, 1988) *La géographie humaine du monde musulman jusqu'au milieu du xie siècle*. ხოლო 1995 წელს პოლ შარლ დომინიკის თხზულება არაბი მოგზაურები (*Voyageurs arabes*) სრულად ეხება შუა საუკუნეების არაბული გეოგრაფიულ და ისტორიულ-გეოგრაფიული თხზულებების ავტორებსა და მათ შრომებს. ერთ-ერთი პირველი ჩვენს მიერ დასახელებული ავტორებიდან, რომლის ცნობებიც ხელმისაწვდომი გახდა ფრანგულ ენაზე იყო იბნ ხორდადბეჰი, რომლის თხზულების ნაწილობრივი თარგმანი გამოიცა 1865 წელს *Journa Asiatique*-ს მეხუთე ტომში დე მეინარდის მიერ. ხოლო სრულად თარგმნა დე გუემ 1889 წელს.²¹

ცხადია თარგმანები ინგლისურ ენაზეც არის შესრულებული იქნება ეს ნაწილობრივი (მაგ. იბნ ჰაუკალის) თუ სრული (მაგ. ალ-მუკადდასი შესრულებული ბ. კოლინსის მიერ: *Al-Muqaddasi, The best divisions for the knowledge of the regions*, translated by B.A. Collins, Garnet, Publishing

²⁰ გამომდინარე იქიდან, რომ ავტორებმა შეცდომით ალ-იდრისი ნუბიელად მიიჩნიეს ამ სახელმა ასახვა ჰპოვა სათაურში. *Penny Cyclopaedia of the Society for the Diffusion of Useful Knowledge, Volumes 9, Charles knight and Co, London, 1837, გვ. 280*

²¹ 2016 წელს ზაარბრუკენში გამოვიდა იბნ ხორდადბეჰის გერმანულენოვანი თარგმანი.

Limited,1994.).²² თუმცა, ასევე გვაქვს შედარებით მდიდარი მეთოდოლოგიური მიდგომებიც და დახარისხებაც არაბულ-ისლამური გეოგრაფიული ლიტერატურისა, როგორებიცაა: მათემატიკური გეოგრაფია, ფიზიკური გეოგრაფია, ასტრონომიული გეოგრაფია და სხვა. ამ თვალსაზრისით უპირველესად საინტერესოა ენციკლოპედიები და მათში თავმოყრილი ინფორმაცია იქნება ეს ისლამის ენციკლოპედია²³ თუ სხვა. მაგ. არაბული მეცნიერების ისტორიის ენციკლოპედიის პირველი ტომი ფაქტობრივად სრულად ეთმობა არაბულ-ისლამურ გეოგრაფიასა და გეოგრაფიულ ლიტერატურას აქცენტით ასტრონომიასა და მათემატიკურ გეოგრაფიაზე, რომელიც 1996 წელს გამოიცა სახელით: Encyclopedia of the History of Arabic Science Vol. 1 რომიდ რაშედის რედაქტორობით, რომელშიც შესულია ისეთი საკითხები როგორებიცაა არაბული ასტრონომია და მათემატიკური გეოგრაფია. ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ა. ზიადდუნის წიგნი: არაბული გეოგრაფია მეცხრე-მეათე საუკუნეებში (Arab geography in the ninth and tenth centuries) გამოცემული 1965 წელს ალიგარჰის უნივერსიტეტის მიერ. ერთ-ერთი პირველი მნიშვნელოვანი შრომა იყო თ. არნოლდის არაბი მოგზაურები და ვაჭრები (Arab travellers and merchants) რომელიც 1926 წელს გამოიცა. 1947 წელს გამოვიდა ა. ნაფისას წიგნი მუსლიმთა წვლილი გეოგრაფიაში (Muslim contribution to geography), რომელიც კიდევ ერთხელ გამოიცა 1972 წელს. შეუძლებელია არ აღვნიშნოთ ფუატ სეზგინის წვლილი, რომელიც მართალია გერმანულენოვანი ავტორია²⁴, თუმცაღა მისი შრომების ნაწილი თარგმნილი და

²² ერთ-ერთი პირველი ინგლისურენოვანი გამოცემა იყო 1733 წელს ეუსებიუს რენადოტის მიერ შესრულებული თარგმანი, შენიშვნები და კომენტარები, თან დართული ინდექსებით: Ancient accounts of India and China by two Mohammedan travelers, who went to those parts in the 9th century

²³ ისლამის ენციკლოპედია (The Encyclopaedia of Islam) ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოცემა არა მხოლოდ ისლამისა და ისლამოლოგიის, არამედ ზოგადად, შუა საუკუნეების, ახლო აღმოსავლეთის ისტორიის, კულტურის, ლიტერატურის, ფილოსოფიის, მეცნიერებისა და სხვა მრავალი მიმართულებით. პირველი გამოცემა გამოვიდა 1913-1938 წლებში, ლეიდენში, სულ 4 ტომი და დამატებები. მეორე გამოცემა იყო 12 ტომად დამატებული საძიებლები/ინდექსები 1960-2005 წლებში. 2007 წლიდან კი დაიწყო მესამე გამოცემაზე მუშაობა.

²⁴ შეიძლება ითქვას, რომ ის არის ფუნდამენტური შრომის ავტორი არაბული ლიტერატურისა და მისი ისტორიისა, რომელიც გამოქვეყნდა 17 ტომად გერმანულ ენაზე Geschichte des Arabischen Schrifttums 1967-2000 წლებში, ამას გარდა მას ეკუთვნის ათეულობით ნაშრომი, რომლებიც გამოქვეყნებულია გერმანულ, ფრანგულ, ინგლისურ და თურქულ ენებზე. დასახელებული 17 ტომეულიდან აღსანიშნავია მეათე, მეთერთმეტე, მეთრმეტე და მეცამეტე ტომები, რომლებიც ეხება მათემატიკურ გეოგრაფიას და კარტოგრაფიას ისლამში და მის გადასვლას/გამდიდრებას დასავლეთში (ევროპაში): Mathematische Geographie und Kartographie im Islam und ihr Fortleben im Abendland. ინგლისურენოვანი

გამოცემულია ინგლისურ ენაზე. 1987 წელს გამოიცა წიგნი „გეოგრაფიული კოორდინატები ისლამური წყაროების მიხედვით“ (Geographical coordinates of localities from Islamic sources) ე.ს. კენედისა და მ.ჰ. კენედის ავტორობით. მასში განხილულია ისეთი საკითხები როგორებიცაა: წყაროთა აღწერილობა და მონაცემთა ანალიზი, ე.წ. ნულოვანი მერიდიანი, გრძედები და განედები და სხვა. სევე ერთ-ერთი გამორჩეული ავტორია დ. კინგი, რომლის შრომები მართალია ძირითადად ეხება ისლამურ ასტრონომიასა და კიბლასა, თუმცადა აქვს ისეთი ნამუშევრები როგორებიცაა *მსოფლიო რუკები, მანძილისა და მიმართულების საპოვნელად მექისკენ* (World-maps for Finding the Direction and Distance to Mecca), რომელიც 1999 წელს გამოიცა. ამას გარდა, არსებობს კიდევ სხვა პუბლიკაციები, სტატიები, დისერტაციები²⁵ თუ გამოცემები, რომელიც ეხება არაბულ-ისლამურ გეოგრაფიას თუ გეოგრაფიულ ლიტერატურას. სტატიებს შორის შეგვიძლია დავასახელოთ ჯერ კიდევ 1924 წელს ჟურნალ Geographical Review, Vol. 14, No. 2, გამოქვეყნებული კ. შოის სტატია სათაურით: The Geography of the Muslims of the Middle Ages, რომელიც წარმოადგენს მოკლე მიმოხილვას. მ. ტოლმაჩევა *შუა საუკუნეების არაბი გეოგრაფები და თანამედროვე ორიენტალიზმის დასაწყისი* (The Medieval Arabic Geographers and the Beginnings of Modern Orientalism) გამოცემული 1995 წელს, კემბრიჯ უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ, ჟურნალში International Journal of Middle East Studies. 2004 წელს ა. პურაჰმადის „მუსლიმი გეოგრაფების წვლილი საგნის განვითარებაში“ (The Contribution of Muslim Geographers to the Development of the Subject).

ასევე მეთოდოლოგიიდან საინტერესოა ავტორთა ეთნიკური თუ კულტურული კუთვნილების საკითხიც, რაც ხშირად კომპლექსურ პრობლემას ქმნის. ძირითადი მიმართულება კომპლექსურობისა არის ის, რომ, როგორც

თარგმანი გამოიცა სახელით: Mathematical geography and cartography in Islam and their continuation in the Occident გაი მურისა და ჯეფ სამონის თარგმანით. საინტერესოა ასევე ის, რომ ფუაჰ სეზგინი იყო ერთ-ერთი ავტორი მოსაზრებისა, რომლის მიხედვითაც მუსლიმმა მოგზაურებმა კოლუმბამდე აღმოაჩინეს ამერიკის კონტინენტი (იხ. The pre-Columbian discovery of American continent by Muslim seafarers).

²⁵ ერთ-ერთ ბოლო დისერტაცია, რომელიც ეხებოდა ისლამურ გეოგრაფიასა და კარტოგრაფიას არის ჯ.ფ. ლეჯერის Mapping Mediterranean Geographies: Geographic and Cartographic Encounters between the Islamic World and Europe, c. 1100-1600, დაცული მიჩიგანის უნივერსიტეტში 2016 წელს.

წესი, შუა საუკუნეების გეოგრაფიულ ლიტერატურაში ერთიანდება ასტრონომიაც. ასევე ძირითადად გვაქვს დასახელებებში „მუსლიმი გეოგრაფები“ ან „გეოგრაფია შუა საუკუნეების ისლამში“. ამით იმის ხაზგასმა გვსურს, რომ ავტორთა იდენტიფიკაცია ხდება რელიგიური კუთვნილების მიხედვით და არა მათი ეთნო-კულტურული წარმომავლობის. ამავდროულად, საკითხის ამ ფორმით წარდგენა მნიშვნელოვნად აფართოებს კვლევის არეალს და ბევრად უფრო რთულს ხდის მას. რამდენადაც ისლამურ გეოგრაფიულ თუ სხვა სახის ლიტერატურაში, შესაძლოა, მოიაზრებოდეს პერიოდი: გეოგრაფიული ლიტერატურის ჩასახვიდან ოსმალთა იმპერიის ჩათვლით; სივრცე: ატლანტის ოკეანიდან ინდონეზიის კუნძულების ჩათვლით. როდესაც ვამბობთ „არაბი გეოგრაფები“ ან „არაბული გეოგრაფიული ლიტერატურა“ რამდენიმე მთავარ ინდიკატორს ვიყენებთ. პირველ რიგში, ენას, რომელსაც იყენებდა კონკრეტული ავტორი, წარმოშობისა და მოღვაწეობის ადგილს და კულტურულ გარემოს. მაგალითად, როდესაც ალ-ისტახრის მოვიხსენიებთ არაბ გეოგრაფად ვეყრდნობით რეალურად სამივე ინდიკატორს. მართალია, ალ-ისტახრი წარმოშობით სპარსი უნდა ყოფილიყო, თუმცა მისი მოღვაწეობის პერიოდში სპარსეთი ცალკე პოლიტიკურ ერთეულად არ არსებულა. ამასთან კულტურულ-ენობრივი თვალსაზრისითაც ახალი საპარსული ენა ჯერ არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული და ავტორის პირველადი სამწერლობო ენა სწორედ არაბულია და მისი მოღვაწეობის კულტურული სივრცე და გარემოც (ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ბაღდადში, სადაც გარდაიცვალა კიდევ) არაბულია. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა კ.ჯ. ჰარტერის დისერტაცია: *Narrative and Iranian Identity in the New Persian Renaissance and the Later Perso-Islamic World*, University of California, 2016, რომელშიც საუბარია სწორედ იმ გარდამავალ პერიოდზე სპარსული კულტურისთვის, რაც იყო მეცხრე-მეთრმეტე საუკუნეებში ისტორიის, გეოგრაფიის თუ ლიტერატურის მიმართულებით. ალბათ, ზოგიერთ შემთხვევაში უკეთესი იქნება ტერმინის „არაბულ-ისლამურის“ გამოყენება, თუმცა, ვთვლით, რომ თითოეული მათგანის გამოყენება არ უნდა წარმოადგენდეს დიდ პრობლემას და, როგორც

წესი, მკვლევარებისთვის შინაარსიდან გამომდინარე, არ არის რთულად აღსაქმელი.

არაბულენოვანი ლიტერატურიდან, აღსანიშნავია ალი იბნ 'აბდ ალლაჰ ად-დაფა'ის „გეოგრაფიის პიონერები არაბულ-ისლამურ ცივილიზაციაში“ (روا د علم) (الجغرافيا في الحضارة العربية والإسلامية), გამოცემული 1990 წელს. წიგნში საუბარია როგორც ზოგადად გეოგრაფიის განვითარებაზე, რომელიც არაბებმა ბერძნებისგან (ძირითადად) აითვისეს, ისე ავტორებსა და მათ შრომებზეც. 1973 წელს ასევე გამოვიდა ჰოსნი მაჰმუდ ჰუსაინის „სამოგზაურო ლიტერატურა არაბებს შორის“ (ادب الرحلات عند العرب), რომელშიც საუბარია იბნ ჯუბაირის, იბნ ხალდუნისა და იბნ ბატუტას მოგზაურობებზე. 1986 წელს გამოვიდა ჰუსაინ მუ'ანას წიგნი „გეოგრაფიის ისტორია და გეოგრაფები ალ-ანდალუსში“ (تاريخ الجغرافية والجغرافيين في الأندلس). ცხადია მასში აქცენტი და ძირითადი სათქმელი ეხება ანდალუსიას ანუ მუსლიმურ ესპანეთს, მაგრამ ცალკე პარაგრაფებია, რომლებიც არაბულ-ისლამურ გეოგრაფიას, გეოგრაფიის განვითარებასა და გეოგრაფებს ეთმობა. ერთობ საინტერესოა ზაქი მუჰამად ჰასანის მიერ 1981 წელს გამოცემული წიგნი „შუა საუკუნეების მუსლიმი მოგზაურები“ (الرحالة المسلمون في العصور الوسطى), რომელშიც შუა საუკუნეების თითქმის ყველა ცნობილი მუსლიმი მოგზაურია შეტანილი დაწყებული სალამ ათ-თარჯუმანით,²⁶ გაგრძელებული იბნა ჰაუკალითა და იბნ ჯუბაირით, ვიდრე იბნ ბატუტამდე და ხალილ ბ. შაჰინ აზ-ზაჰირამდე.²⁷

აქვე აღვნიშნავთ **კარტოგრაფიის** შესახებაც და უპირველესად უნდა დავასახელოთ „კარტოგრაფიის ისტორია“ (the History of Cartography) ორ ტომად,²⁸ რომლის მეორე ტომიც სწორედ ისლამური რუკებით იწყება. ჩვენთვის ერთობ მნიშვნელოვანია რ. გალიჩიანის მიერ გამოქვეყნებული რუკები, რომლებიც კავკასიის რეგიონს ეხება. კერძოდ 2007 წელს გამოცემულ წიგნში Countries south of the Caucasus in medieval maps Armenia, Georgia and Azerbaijan,

²⁶ მეცხრე საუკუნეში იმოგზაურა ხალიფას დავალებით და მისი მიზანი იყო გოგისა და მაგოგის კედლის პოვნა. მოგზაურობის ჟამს მას მოუწია თბილისზე გავლაც და შეხვდა ამირა საჰაკს (ისჰაკ ბ. ისმაილს). ამ მოგზაურობის შესახებ გარკვეულ ცნობებს გვაწვდის იბნ ხორდადბეჰი.

²⁷ მეთხუთმეტე საუკუნის ისტორიკოსი და მოგზაური ეგვიპტის მამლუქთა კარზე, წარმოშობით იერუსალიმიდან.

²⁸ პირველი ტომი გამოიცა 1987 წელს ხოლო მეორე 11 წლის შემდეგ 1998 წელს ჩიკაგოს უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ.

რომელშიც შეტანილია ალ-ისტახრის, იბნ ჰაუკალის, ალ-მუკადდასის, ალ-იდრისის რუკები, იმ განსხვავებით, რომ მოცემულია სხვადასხვა ხელნაწერებიდან აღებული მასალა, შესაბამისად ერთ ავტორის რამდენიმე რუკა;²⁹ 2012 წელს გამოცემულ წიგნში Clash of Histories in the South Caucasus Redrawing the map of Azerbaijan, Armenia and Iran, გვხვდება რუკები: ალ-ისტახრის, ალ-მუკადდასის, იბნ ჰაუკალის და ალ-იდრისის, ასევე ზაქარია ალ-ყაზვინის მსოფლიო რუკა; 2014 წელს დაბეჭდილ წიგნში Historic maps of Armenia, the cartographic heritage, გვხვდება ალ-ისტახრის, იბნ ჰაუკალის და ალ-იდრისის რუკები; წიგნში A glance into the history of Armenia, through cartographic records, რომელიც 2015 წელს გამოიცა, მოცემულია იბნ ჰაუკალისა და ალ-იდრისის კავკასიის რეგიონის რუკები; 2009 წელს დაბეჭდილ სტატიაში The Islamic Road Maps ასევე დამოწმებულია ალ-ისტახრის, იბნ ჰაუკალისა და ალ-მუკადდასის რუკები.

რაც შეეხება რუკებს, პტოლემეაიოსის შემდეგ, არაბი-მუსლიმი გეოგრაფები ფაქტობრივად არიან ის მოღვაწეები, რომლებიც აგრძელებენ პტოლემეაიოსის ტრადიციას და ავითარებენ მის მიღწევებს. განსაკუთრებით კი მსოფლიოს რუკების, მოგვიანებით კი – ცელესტიალური სფეროების მიმართულებით. ამასთან, არაბი გეოგრაფები, მსოფლიოს რუკებთან ერთად, ხშირად გვთავაზობენ რეგიონალურ რუკებს და ეს რუკები, როგორც წესი, თან ახლავს მათ მიერ რეგიონის შესახებ მოწოდებულ ინფორმაციას.

ნაშრომის ძირითადი კვლევა ეხება მეცხრე-მეათე საუკუნეების არაბული გეოგრაფიული ლიტერატურის კონკრეტულ ხუთ წარმომადგენელს. განხილულია მათი იდენტობის საკითხი, ბიოგრაფია და შემოქმედება. თემატური და შინაარსობრივი ანალიზი. ასევე გამოყოფილია ჩვენთვის საინტერესო ისტორიულ-გეოგრაფიული თუ სხვა საკითხები და წარმართული სათანადო მსჯელობა. იქნება ეს მაგ. ისჰაკ იბნ ისმაილის ტიტულის/წოდების საკითხი იბნ ხორდადბეჰთან თუ ალ-მუკადდასის ალ-ბაშარისთან დასახელებული ქალაქი შირვანის რეალურობისა და იდენტიფიცირების პრობლემა. ასევე, მეათე საუკუნის სამი ავტორის შემთხვევაში

²⁹ მიუხედავად იმისა, რომ რუკები რამდენადმე მსგავსია, ხელნაწერები არ განეკუთვნება ერთ ისტორიულ ეპოქასა თუ პერიოდს და ზოგიერთ მათგანი შესრულებულია გვიან შუა საუკუნეებში გადაწერის მიერ, რაც ავტორსაც აქვს მითითებული.

განხილულია მათი რუკები: რუკათა აღწერილობა, მათი სიზუსტე, ტექსტებთან თუ რეალობასთან შესაბამისობა, მსგავსება-იდენტობის საკითხი და სხვა. ყველაფერთან ერთად წარმოდგენილია მოცემულ ავტორთა თხზულებებიდან ამოკრეფილი იმ ადგილთა თარგმანები, რომლებიც ეხება კავკასიას რეგიონს სათანადო, შესაძლო განმარტებებითა და კომენტარებით, ინფორმაციათა გარეგანი თუ შინაგანი კრიტიკისა და სხვა წყაროებთან ერთად სათანადო სინთეზითა და გადააზრებით. ზოგიერთ შემთხვევაში ტექსტების შედარებითი ანალიზი, უკვე არსებულ ქართულ თარგმანებთან შედარებით თუ არა ქართულენოვან თარგმანებთან შეჯერების გზით.

ერთ-ერთი მთავარი ღირსება ნაშრომისა არის მასში მოცემული არაბული წყაროები სრული და ნაწილობრივი სამეცნიერო ტრანსლიტერაციით. როდესაც ხდება ციტატის დამოწმება ან უშუალოდ წყაროს თარგმანია მოცემული, ამ შემთხვევაში გვაქვს სრული ტრანსლიტერაცია: გრძელი და მოკლე ხმოვნებით და ზოგიერთი არაბული თანხმოვნისთვის დამატებული დიაკრიტიკული ნიშნით. დასახელებული სხვადასხვა არაბულენოვანი ტოპონიმებისა თუ საკუთარი სახელების გადმოსაცემად, ასევე სიზუსტის დასაცავად, რამდენიმე ძირითად წყაროს დავეყრდენით. პირველ რიგში ისლამის ენციკლოპედიის ახალ გამოცემას (The Encyclopaedia of Islam, New Edition), რომელიც 13 ტომს მოიცავს (დამატებისა და ინდექსების ჩათვლით) და გამოიცა ლაიდენში, 1986-2004 წლებში. კავკასიის რეგიონის ტოპონიმების შემთხვევაში, ცხადია გვერდს ვერ ავუქცევდით გ. წერეთელის *არაბულ ქრესტომათიას* (1949) და მისივე არაბულ-ქართულ ლექსიკონს (1951). ამ თვალსაზრისით, ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია *იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ*, რომელიც ე. სიხარულიძემ თარგმნა და გამოიცა 1964 წელს. მასში უკვე მოცემულია არაბული დასახელებების ქართული ტრანსლიტერაცია. ფონეტიკური ნიშნების სწორად-სათანადო ფორმით გადმოცემაში ასევე დაგვეხმარა *თანამედროვე არაბული ენის სახელმძღვანელო* (ჩვენ ვიხელმძღვანელებთ 2010 წლის გამოცემით), რომლის მეთექვსმეტე და მეჩვიდმეტე გვერდებზე მოცემულია არაბული ფონემების ლათინურ-ქართული ტრანსლიტერაციები. ტექსტებთან და წყაროებთან მუშაობისას ცხადია ვეყრდნობოდით ისტორიული შედარებითი მეთოდს, ისევე როგორც ტერმინოლოგიური ანალიზის მეთოდს. რამდენადაც ზოგიერთ ტერმინი იძლევა

სხვადასხვა ვარიანტების შესაძლებლობას. ზოგჯერ ეს ვარიანტები მოცემული იყო თავად არაბული ტექსტების რედაქტორებთან (დე გუე და კრამერსი), ზოგჯერ კი გვიწევდა მათი სხვა ახალი ფორმით ინტერპრეტირება ჩვენი სათანადო არგუმენტებით. ტექსტების შედარებითი ანალიზმა საშუალება მოგვცა გამოგვეთქვა ბევრად უფრო მყარი და არგუმენტირებული მოსაზრებები ცალკეული საკითხების გარშემო. მათ შორის მოგვცა შესაძლებლობა ხელახლა გადაგვესინჯა ზოგიერთი უკვე არსებული მოსაზრება და განგვემტკიცებინა ის ან გამოგვეთქვა ახალი ვარაუდები და ვერსიები. უმნიშვნელოვანესია ინტერდისციპლინური ხერხებისა და მეთოდების გამოყენება, შუა საუკუნეების არაბული გეოგრაფიული ლიტერატურის იდენტიფიკაციის, მნიშვნელობისა და როლისათვის, კავკასიისა და საქართველოს ისტორიის, ისტორიული-გეოგრაფიის, რელიგიის, ბუნების, გარემოსა თუ სხვათა შესწავლის საქმეში. რამდენადაც, არაბული გეოგრაფიული ლიტერატურა არ შეიცავს ერთგვაროვან ტექსტებს და შინაარსობრივად ეხება სხვადასხვა სფეროებს დაწყებული სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, დამთავრებული სავაჭრო-ეკონომიკური და ბიომრავალფეროვნების თემებით. ამავდროულად, მნიშვნელოვანია მრავალფეროვნებითა და სიჭრელით (ეთნიკური, რელიგიური და ენობრივი) გამორჩეული, კავკასიის რეგიონის ადგილი და როლი არაბულ-ისლამური სამყაროს წარმოდგენებში მეცხრე-მეათე საუკუნეებში, როგორც ერთიანი პროვინცია, მრავალფეროვანი შემადგენლობით.

თავი 1. IX საუკუნის არაბული გეოგრაფიული ლიტერატურა: იბნ ხორდადბეჰი და იბნ რუსთა

§ 1. იბნ ხორდადბეჰი

აბუ-ლ-კასიმ 'უბაიდ ალლაჰ იბნ აბდ ალლაჰ იბნ ხურდადბაჰი ისტორიოგრაფიაში ცნობილია, როგორც იბნ ხორდადბეჰი ან იბნ ხურდაზბაჰი³⁰ (ასევე იბნ ხურრადაზბიჰი, ხორდაზბეჰი). ის იყო მეცხრე საუკუნის გეოგრაფი, წარმოშობით სპარსელი, რომელიც დაიბადა ხორასანში დაახლოებით 820 წელს, აბასიანთა მხედართმთავრის აბდ ალლაჰ იბნ ხორდადბეჰის ოჯახში, რომელიც 816-819 წლებში ტაბარისტანის მმართველი იყო. იბნ ხორდადბეჰი ბაღდადში აღიზარდა და ხალიფა ალ-მუ'თამიდის დროს (870-892) დაინიშნა *ბარიდის* (საფოსტო უწყების) მეთაურად *ჯაბალის* პროვინციაში, მოგვიანებით კი იმავე მოვალეობას ასრულებდა ჯერ სამარაში, შემდეგ კი – ბაღდადში.

იბნ ხორდადბეჰის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები შეკრებილი და შესწავლილი აქვს ნაილი ველიხანოვას, რომელმაც ეს ნაწილი ცალკე პარაგრაფად დაურთო იბნ ხორდადბეჰის თხზულების რუსულ თარგმანს (გამოცემულია 1986 წელს ბაქოში).³¹ იბნ ხორდადბეჰის გარდაცვალების თარიღად ქათიბ ჩელები ჰაჯი ხალიფა ასახელებს ჰიჯრით 300 წელს (912 წელი). თუმცა, პ. გ. ბულგაკოვი 890-იან წლებს ასახელებს, რომელიც სავსებით რეალური ჩანს, რადგანაც იბნ ხორდადბეჰის თხზულებაში არ გვხვდება ცნობები ხალიფა ალ-მუ'თამიდის (გარდ. 892წელს) მოღვაწეობის შემდეგ.³² ამის მიუხედავად, გადაჭრით ვერც 912 წელს უარყოფთ, რადგან ეს მაინც არ არის საკმარისი არგუმენტი ქათიბ ჩელების ცნობის გასაბათილებლად რამდენიმე მიზეზის გამო. პირველ რიგში, იბნ ან-ნადიმი იბნ ხორდადბეჰს რვა წიგნის ავტორად ასახელებს და ამ რვიდან მხოლოდ ორმა მოაღწია ჩვენამდე; მეორე – შესაძლოა ახალმა ხალიფამ თანამდებობა დაატოვებინა იბნ

³⁰ ابن خردادبه (იბნ ხურდაზბაჰი) ფორმითაა მისი სახელი მოცემული იბნ ან-ნადიმის ბიოგრაფიულ წიგნში *ქითაბ ალ-ფიჰრის* (Kitab Al-Fihrist, Von Gustav Flügel, Verlag Von F.W. Vogel, Leipzig, 1872, გვ.149).

³¹ აღსანიშნავია, რომ ნ. ველიხანოვა შუა საუკუნეების ორ ავტორს ასახელებს, რომლებთანაც მოიპოვება ძირითადი ცნობები იბნ ხორდადბეჰის შესახებ. ერთი არის მეთაურ საუკუნის ბიოგრაფი იბნ ან-ნადიმი, ხოლო მეორე – ქათიბ ჩელები (ჰაჯი ხალიფა), მეჩვიდმეტე საუკუნის თურქი მეცნიერი, გეოგრაფი და მოგზაური.

³² Булгаков П.Г., сведения арабских географов в IX- начале X в. о маршрутах Средней Азии, Ленинград, 1954, გვ. 18.

ხორდადბეჰს და შესაბამისად მას არც საჭიროება და არც სურვილი ჰქონია შეეტანა თავის წიგნში ის ცნობები, რომლებიც მისი თანამდებობებზე ყოფნის პერიოდს არ მოიცავდა; მესამე – იბნ ხორდადბეჰი ხალიფა ალ-მუთამიდის მოხელე იყო და სავსებით დასაშვებია, რომ თხზულება ხალიფას სიცოცხლეშივე შექმნილიყო და შემდგომი დამატებები აღარ შეეტანა, რადგანაც ეს არ იყო ისტორიულ-პოლიტიკური ხასიათის ნაშრომი და ძირითადად გზამკვლევს უფრო წარმოადგენდა.

იბნ ან-ნადიმის ცნობით, იბნ ხორდადბეჰი საკმაოდ დაახლოებული პირი იყო (იხსენიება, როგორც თანამეინახე – *ნადიმი* ხალიფასი) ხალიფა ალ-მუთამიდთან. მისივე ცნობით, იბნ ხორდადბეჰი რვა წიგნის ავტორი იყო: „[მუსიკის] მოსმენის ეტიკეტი“ (كتاب اداب السماء); „სპარსეთის ხალხი და მათი წარმომავლობა“ (كتاب جمهرة انساب) (الفارس و النواقل); „წიგნი გზებისა და სამეფოთა შესახებ“ (كتاب المسالك والممالك); „კულინარიის წიგნი“ (كتاب الطبخ); „წიგნი სიამოვნებისა და გართობისა“ (كتاب اللهو والملاهي); „სასმელების წიგნი“ (كتاب الانواء); „ვარსკვლავების [ორიენტაციის] წიგნი“ (كتاب الانواء); „მეგობრობისა და თანამეინახეობის წიგნი“ (كتاب الندماء و الجلساء).³³ ამ წიგნებიდან მხოლოდ ორი მათგანია აღმოჩენილი და გამოქვეყნებული, მათ შორის, ქითაბ *ალ-ლაჰე ვა ალ-მალაჰი* („წიგნი სიამოვნებისა და გართობისა“), რომელიც ეხება მუსიკალურ ინსტრუმენტთა ისტორიას, მათ შორის *ჟაჰილიის* პერიოდს.³⁴ ალ-მას'უდის მიხედვით კი იბნ ხორდადბეჰს კიდევ ერთი წიგნი „ისტორია“ (التاريخ) უნდა ჰქონოდა დაწერილი.³⁵

იბნ ხორდადბეჰი ცნობილი გახდა წიგნით „გზებისა და სამეფოთა შესახებ“, რომელი სათაურიც სხვა შუა საუკუნეების ავტორებთანაც გვხვდება. არსებობს მოსაზრება, რომლის მიხედვითაც იბნ ხორდადბეჰს ამ წიგნის ორი ვერსია შეუქმნია, მათგან პირველის დაწერის თარიღად 846-847 წელი (ჰიჯრით 232 წ.) მოიაზრება, ხოლო მეორისა – 885 წელი.³⁶ მიუხედავად იმისა, რომ იბნ ხორდადბეჰი წარმოშობით სპარსელია, მისი თხზულებები არაბულ ენაზეა შესრულებული, რაც, როგორც ჩანს, მისი აღზრდისა და მოღვაწეობის, კულტურული გარემოს გავლენა იყო (ბაღდადში

³³ Kitab Al-Fihrist, 1872, გვ. 149.

³⁴ Silverstein, A., *Ibn Khurradadhbih*, Medieval Islamic Civilization an Encyclopedia vol. 1, Routledge Taylor & Francis Group, New York, 2006, გვ. 360.

³⁵ Mqçoudi, Les Prairies D'or, T. Premier, A L'Imprimerie Imperiale, 1861, გვ. 12-13.

³⁶ წიგნის ორ ვერსიად შექმნის მოსაზრებას იზიარებდნენ ვ.გ. ვასილევსკი, ნ.ა. მედნიკოვი, რ. ჰენიგი, ი.ი. კრაჩკოვსკი. ხოლო პ.გ. ბულგაკოვი თვლიდა რომ მხოლოდ ერთი ვერსია იყო შექმნილი 885 წელს.

აღიზარდა და მოღვაწეობდა ხალიფას კარსა თუ სხვადასხვა ადმინისტრაციულ თანამდებობებზე, სადაც სამუშაო ენა სწორედ არაბული იყო). ამ გეოგრაფიულ ნაშრომში დომინირებს სამი მნიშვნელოვანი თემა: გადასახადები, მდგომარეობა საზღვრებსა და მოსაზღვრე ტერიტორიებზე და გზები, მანძილებითა და მიმართულებებით.³⁷ აღსანიშნავია, რომ ცნობები ეხება საკმაოდ ვრცელ ტერიტორიას ესპანეთიდან კორეის ნახევარკუნძულამდე და მდინარე ვოლგას სათავედან ინდონეზიამდე.

მნიშვნელოვანია, რომ იბნ ხორდადბეჰი არაბულ-ისლამური სახალიფოს ისტორიაში ერთ-ერთი პირველი გეოგრაფიული თხზულების ავტორია, რომლის ნაშრომმაც ჩვენამდე მოაღწია. შესაბამისად, მკვლევრები ხშირად აღნიშნავენ, რომ მის შემოქმედებაზე დიდია ბერძნული გეოგრაფიული ნაშრომების გავლენა და განსაკუთრებით პტოლემეოსის. ი. კრაჩკოვსკი კი მას მიიჩნევდა ჩვენამდე მოღწეული პირველი არაბული აღწერილობითი გეოგრაფიული ნაშრომის ავტორად.³⁸

ევროპელი მკვლევრები იბნ ხორდადბეჰის გეოგრაფიული თხზულებით მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ინტერესდებიან. კრიტიკული ტექსტი არაბულ ენაზე კი დე გუემ გამოსცა 1889 წელს ფრანგულენოვანი თარგმანითურთ.³⁹ აღსანიშნავია, რომ ცნობები კავკასიის შესახებ თარგმნა ნ. კარაულოვმა, რომელიც 1903 წელს გამოქვეყნდა სახელწოდებით – Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа-ში (СМОМПК), ტექსტის სრული რუსული თარგმანი კი გამოიცა 1986 წელს ბაქოში.⁴⁰

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ქართულ საისტორიო სივრცეში იბნ ხორდადბეჰის „წიგნი გზებისა და სამეფოთა შესახებ“ არაა ახალი წყარო და სხვადასხვა დროს მას იმოწმებდნენ, ძირითადად რუსული თარგმანების მეშვეობით. თუმცა, ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს პირველი მცდელობა იბნ ხორდადბეჰის ცნობების არაბული

³⁷ Miquel, A. Geography, Encyclopedia of the History of Arabic Science vol.3, Routledge, New York, 1996, გვ. 797.

³⁸ Крачковский, И.Ю. Избранные Сочинения Том IV, издательство академии наук СССР, Москва-Ленинград, 1957, გვ. 159.

³⁹ Kitab al-masalik wa'-l- Mamalik, Ibn Khordadbeh; Kitab Al-Kharadj, Kodama Ibn Dja'far, Edit. M.J. DE Goeje, E.J.Brill, Lugduni-Batavorum, 1889.

⁴⁰ Ибн Хордадбех, Книга путей и Стран, Академия Наук Азербайджанской ССР, Баку „Элм“, 1986.

ენიდან ქართულად სრულად თარგმნისა, რისთვისაც ჩვენ გამოვიყენეთ დე გუეს 1889 წლის გამოცემა.

წიგნი გზებისა და სამეფოთა შესახებ იწყება მცირე შესავლით, თხზულების აღწერით და დედამიწის ზოგადი დახასიათებით. ამ მხრივ მართლაც საინტერესოა თავად იბნ ხორდარდბეჰის ცოდნა და შეხედულებები, პირველ რიგში წიგნის შესახებ: *ეს წიგნი არის აღწერა მიწის, მისი მცენარეებისა და ქმნილებების (ცხოველების), ყველა ქვეყნის ხალხთა კიბლის, სამეფოთა და გზების დედამიწის მხარეთა (ნაპიების), მოთხრობილი აბუ ალ-კასიმ 'უბაიდ ალლაჰ იბნ 'აბდ ალლაჰ იბნ ხურდაზბაჰის, მავლასი ამირ ალ-მუ'მინისა.⁴¹ შესავალის ამ მცირე მონაკვეთიდანაც ჩანს, რომ ეს არის აღწერილობითი ხასიათის თხზულება, ხოლო ფრაზა *(დედა)მიწის აღწერა* სწორედ იმაზე მიუთითებს, რომ ეს თხზულება გეოგრაფიული ხასიათისაა. აქვეა მოცემული ინფორმაცია დედამიწის ფორმის, ზომის, მერიდიანის თუ ეკვატორის სიგრძის შესახებ და სხვა.*

პირველი სათაურის მქონე თავი არის *ყველა ქვეყნის ხალხთა კიბლა*, სადაც კიბლა პროვინცია არმინიისა მოცემულია ბალდადის, ტაბარისტანისა და ხაზართა ქვეყანასთან ერთად.

შემდეგი თავი, რომელშიც საუბარი ეხება კავკასიის რეგიონს არის *გზა აზარბაიჯანისა და არმინიისა*. აღსანიშნავია, რომ მანძილები განსაზღვრულია სიქებითა და ფარსახებით. თავში – *გზა არმინიისა* – პროვინცია არმინია ოთხ⁴² ნაწილადაა დაყოფილი (პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე), სადაც თბილისი არ-რანთან, ბაილაკანთან, გაბალასთან, შირვანთან და ბარდავთან ერთად პირველ არმინიაშია მოქცეული, შესაბამისად მოიცავს კავკასიის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ სივრცეს. ხოლო ჯურჯანი და სოლდაბილი, ბაზ ფაირუზ კუბაზთან და ალ-ლაქზთან ერთად მეორე არმინიაში. სწორედ ეს მეორე არმინიაა შინაარსობრივად პრობლემური. თუ დავუშვებთ, რომ ჯურჯანი, სოლდაბილი და ბაზ ფაირუზ კუბაზი, მდ. მტკვრის აღმოსავლეთ ნაპირის გარკვეულ ტერიტორიებს მოიცავდა, ალ-ლაქზს მაინც ვერ ავუვლით გვერდს, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის ნაწილი იყო და უფრო მეტად, სწორედ პირველ არმინიაში უნდა შესულიყო. ასევე თბილისი

⁴¹ Kitab al-masalik wa'-l- Mamalik, Ibn Khordadbeh..., 1889, გვ. 4.

⁴² ამ დაყოფის შესახებ საუბარი არის ნ. ველიხანოვას ნაშრომის ბაქოს გამოცემაში და ამდენად ყურადღებას სხვა საკითხზე გავამახვილებთ.

და კალა (კალაუბანი) მდ. მტკვრის დასავლეთ ნაპირზეა გაშენებული, მაშინ როცა სოლდაბილი აღმოსავლეთითაა და ასევე სოლდაბილის შესვლა პირველ არმინიაში უფრო სწორი უნდა ყოფილიყო. ჩანს, რომ აქ გარკვეული შეცდომა აქვს დაშვებული იბნ ხორდადბეჰს ან იმას, ვისგანაც ეს ინფორმაცია გადმოიტანა. თუმცა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევაში სოლდაბილთან ერთად ჯურზანში აღმოსავლეთ საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილი ვიგულისხმობთ და მათთან ერთად მოხსენიებული ლეკები (ალ-ლაქუ) და ბაბ ფაირუზ კუბაზი,⁴³ გარკვეულწილად, ჩაჯდება ლოგიკურ გეოგრაფიულ საზღვრებში, რომელიც იაკუთის მიხედვით დარუბანდთან ახლოს მდებარეობდა და მისი აშენება კავად I-ის სახელს უკავშირდებოდა.⁴⁴ იბნ ხორდადბეჰის მიხედვით ბაბ ფაირუზ კუბაზი ჯურზანშია სოლდაბილთან, რომლის დაარსებასაც ხოსრო ანუშირვანს მიაწერს: *ხოლო ფაირუზ კუბაზი ციხეა სოლდაბილთან*. საინტერესოა, რომ ალ-ბალაზურის მიხედვითაც, ბაბ ფაირუზ კუბაზი მდებარეობდა ჯურზანში (ფუთუჰ ალ-ბულდან).⁴⁵ შესაძლოა, ეს ყოფილიყო რომელიმე ახლად აშენებული ან განახლებული ციხე, რომელიც სპარსელების გამარჯვების შემდგომ, ძალაუფლების გასამყარებლად და შესანარჩუნებლად აშენდა ქართლის სამეფოს ტერიტორიაზე. ასევე, ის შეიძლება ყოფილიყო ნაწილი კავადის მიერ დაწყებული ლიმესის მშენებლობისა, რომელიც ხოსრო ანუშირვანის დროსაც გაგრძელდა და კავკასიონის რომელიმე გადმოსასვლელს იცავდა.⁴⁶ ხოსრო ანუშირვანს მიაწერს ასევე გარდაბნის (იბნ ალ-

⁴³ მხედველობაში უნდა მივიღოთ და განვასხვავოთ ფაირუზ კუბაზი და ბაბ ფაირუზ კუბაზი. ფაირუზ კუბაზი იმავე იბნ ხორდადბეჰის ცნობის მიხედვით ას-სავადშია, ჰულვანთან, ირბილთან და ალ-ჯაბალესთან ერთად (Ibn Khordadbeh, Kitab al-masalik wa'-l- Mamalik..., 1889, გვ. 6). ამასთან, კავკასიაში მდებარე ქალაქის ბარდავის ერთ-ერთი სახელწოდებაც იყო პეროზ-კავატი (ანანია შირაკაცი, სომხური გეოგრაფია, მერიდიანი, თბილისი, 2020, გვ. 45). ხოლო მ. გაჯიევი პეროზ-კავატს, ანუ ბარდავს აიგივებს ბაბ ფაირუზ-კუბაზთან (Gadjiev M., Construction Activities of Kavād I in Caucasian Albania, Iran and the Caucasus 21 (2017), Brill, Laden, გვ. 123) და მოყვანილი აქვს იბნ ხორდადბეჰის ცნობა. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იბნ ხორდადბეჰი იცნობს სახელ ბარზა'ას ანუ ბარდავს რომელიც ტექსტში არაერთხელ აქვს ნახსენები და რომლის აშენებასაც მიაწერს კავადის სახელს, ხოლო ბაბ ფაირუზ კუბაზის აშენებას კი – ანუშირვანს. ამასთან, ბარზა'ა (ბარდავი), იბნ ხორდადბეჰის ცნობის მიხედვითვე, პირველ არმინიაშია, ხოლო ბაბ ფაირუზ კუბაზი – მეორე არმინიაში.

⁴⁴ იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. ნაკვ.1. არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე. სიხარულიძემ. თბილისი, „მეცნიერება“, 1964, გვ. 73.

⁴⁵ ١٩٨٧, بيروت, مؤسسة المعارف, جابر البلاذري, أبو الحسن أحمد بن يحيى بن جابر البلاذري, გვ. 284 (ალ-ბალაზური).

⁴⁶ კასპიის კარის დამცავი სისტემის მშენებლობა ჯერ კიდევ იუზდიგერდ მეორეს (438-457) ჰქონდა დაწყებული. თუმცა, როგორც ჩანს, კავკასიაში მიმდინარე აჯანყებებმა და ომებმა ეს პროცესი შეანელა. შემდგომში კი მშენებლობა გაგრძელდა კავადისა და ხოსრო ანუშირვანის პერიოდში. მ. გაჯიევი, ვ. მინორკის, პახომოვის და სხვებზე დაყრდნობით, გამოყოფს კავადის სახელთან ასოცირებულ სამ დამცავ კედელს: 1. ე.წ. ზაქათალას კედელი ალაზნის ველზე 2. გილგირჩაის კედელი, შაბრანთან 3. ბემ-

ჯარდმანის ციხე), შაქქისა და დარუბანდის შენებას. რაც შეეხება კავკასიონის გადმოსასვლელებს, რომლებიც ნახსენებია დარუბანდთან ერთად, აღსანიშნავია ბაბ ალ-ლაზიკა (ლაზიკის კარი) და ბაბ ალ-ბარიკა (ალ-ბარიკას კარი). თავისთავად ცხადია, რომ ალ-ლაზიკაში დასავლეთ საქართველოს ტერიტორია იგულისხმება. თუმცა, კონკრეტულად რომელი გადასასვლელი შეიძლება იყოს ეს გაურკვეველია. მასში შეიძლება იგულისხმებოდეს არა მხოლოდ კავკასიონის რომელიმე კარი, არამედ საკუთრივ საქართველოს შიგნით რომელიმე გადასასვლელი, იგივე ლიხის ქედზე ან მცირე კავკასიონზე. ასე მაგალითად, ბაბ სამსახი (სამსახის კარი), რომელიც ალ-მას'უდისთან მოხსენიებულია სამსხი⁴⁷ სახით, ვ. მინორსკი პირდაპირ აიგივებს სამცხესთან და ახალციხესთან,⁴⁸ ხოლო მ. ა. გიზბულაევი განმარტავს როგორც ძამის ციხეს,⁴⁹ რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირზეა, სურამის მოპირდაპირედ,⁵⁰ მაგრამ არ უთითებს თუ რის საფუძველზე აიგივებს ამ ციხეს ხსენებულ ტოპონიმთან. ამასთან, ქართულ წყაროებში ძამის ციხე პირველად იხსენიება მხოლოდ მეათე საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარ მოვლენებთან დაკავშირებით.⁵¹ რაც შეეხება ბაბ ალ-ბარიკას, ალ-ბალაზურის მიხედვით, *[ბაბ ბარიკა] ისაა ციხე ტრაპიზუნდის [ტრაპიზონის, ე.ი. შავ ზღვასთან] ზღვასთან.*⁵² იმავე ალ-ბალაზურის ცნობით, ეს სამი ციხე (ალ-ლაზიკა, სამსახი, ბარიკა) მდებარეობდა ჯურზანში არ-რუმის მიწების შემდგომ, ანუ ალ-ბალაზურის მიხედვით ჯურზანი ან დასავლეთ საქართველო ან მასაც მოიცავდა.

ბარმაქის გამაგრება (ბარმაქის კედელი), გილგიჩაის კედლის სამხრეთით (Gadjiev M., Construction Activities..., 2017, გვ. 127-128).

⁴⁷ سمسخي/SAMSKHA, იგივე ფორმით ეს ტოპონიმი ნახსენებია იბნ ალ-ფაკიჰთანაც, სადაც იგი ჩამოთვლის იმ ტერიტორიებს რომლებიც ჰაბიბ იბნ მასლამამ დაიპყრო თბილისის შემდგომ. ასევე გვხვდება ეს სახელი ბალაზურთან. ე. სიხარულიძე კი ტოპონიმს პირდაპირ აიგივებდა სამცხესთან. ე.სიხარულიძე, საქართველოში არაბთა პირველ ლაშქრობათა ზოგიერთი საკითხისათვის, მოამბე, თბილისი, 1961, გვ.191-194.

⁴⁸ Minorsky, V. A History of Sharvan and Darband in the 10th-11th centuries, W. Heffer & Sons LTD, Cambridge, 1958, გვ. 161, შენ. 8.

⁴⁹ იგივე მძოვრეთის/მზოვრეთის ციხე სოფელ ორთუბანთან ახლოს.

⁵⁰ Гизбулаев М.А., Китаб ал-Масалик ва-л-Мамалик ибн Хордадбеха и Китаб ал-Булдан ал-Йа'куби: Арабские географические источники о средновековой истории Дагестана, Проблемы Востокавидения 4(78), 2017 (63-69), გვ. 65.

⁵¹ ქართლის ცხოვრება, ტომი I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი, 1955, გვ. 271.

⁵² ١٩٨٧, بيروت, مؤسسة المعالف, جابر البلاذري, أبو الحسن أحمد بن يحيى بن جابر البلاذري, فتوح البلدان, გვ. 284 (ალ-ბალაზური).

რაც შეეხება საკუთრივ არმინიის დაყოფას, ჯერ კიდევ სტრაბონთან ის იყოფოდა ორ ნაწილად: აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად.⁵³ მას შემდეგ რაც არაბებმა დაიპყრეს კავკასია და მთელი რეგიონი გააერთიანეს ერთი სახელის პროვინცია არმინიის ქვეშ, საზღვრები და დაყოფა უნდა შეცვლილიყო. თუმცა, იბნ ხორდადბეჰთან მოცემული მესამე და მეოთხე არმინია რამდენადმე იმეორებს სომხეთის კლასიკური დაყოფის კონტურებს. მესამე არმინიაში შემავალი: ალ-ბუსფურრაჯანი/ვასპურაკანი, დაბილი, სირაჯ ტაირი, ბალრავანდი, ნაშავა აღმოსავლეთ სომხეთია; მეოთხე არმინიაში შემავალი: შიმშატი, ხილატი, კალიკალა, არჯიში, ბაჯუნაისი დასავლეთ სომხეთი. გამოდის, რომ იბნ ხორდადბეჰთან მოცემული პირველი და მეორე არმინია ერთგვარი დამატებაა, ხოლო მესამე და მეოთხე არმინია ისტორიული სომხეთის ტრადიციულ დაყოფას იმეორებს. კერძოდ, არმინიის დაყოფისას არაბი გეოგრაფები იყენებდნენ ხუთ ძირითად მეთოდს. ამ ხუთიდან ოთხი იმეორებს უკვე არსებულ ბიზანტიური თუ სომხური გეოგრაფიის მაგალითებს: 1. დაყოფა დიდ და მცირე არმინიად; 2. შიდა და გარე არმინიად; 3. არმინია, ჯურზანი და არ-რანი; 4. არმინიის დაყოფა ოთხ ნაწილად: I, II, III, IV; მეხუთე არის: 'არმინიია, 'აზარბაჯანი, არ-რანი.⁵⁴ ეს დაყოფა ეხება არა მხოლოდ არმინიის როგორც სახალიფოს დიდი პროვინციის დანაწილებას, არამედ საკუთრივ სომხეთს და მის ისტორიულ დაყოფას. კერძოდ, პირველი და მეორე მოდელი არის მორგებული სომხეთზე, მესამე და მეხუთე მოიცავს სახალიფოს პროვინცია არმინიას, ხოლო მეოთხე ერთგვარი ნაზავია. მასში შედის არა მხოლოდ ზემო და ქვემო არმინია, არამედ მოიცავს ქართლსაც და ისტორიული ალბანეთის ნაწილსაც.⁵⁵

ასევე საინტერესოა დასახლებული მიწების დაყოფა ოთხ ნაწილად, რომელთაგან 'ასკუთიჲში ანუ სკვითიაში შედის არმინია, ალ-ხაზარი, ათ-თურქი და ხორასანი, ანუ ძირითადად მოიცავს კავკასიას და მთელს კასპიის ზღვის აუზს. 'ურუფაში ანუ ევროპაში შედის არ-რუმი, რომელშიც უნდა ვიგულისხმოთ როგორც დასავლეთ ასევე აღმოსავლეთ რომის იმპერიის ნაწილები; ალ-'ანდალუსი ანუ იბერიის ნ/კ; ფირნჯა ანუ ფრანკთა სამეფო; აზ-საკალიბა ანუ სლავები და აქ შესაძლოა არა მხოლოდ

⁵³ არმინიის ორ ნაწილად დაყოფა გვხვდება არაბ ავტორებთანაც.

⁵⁴ Vacca A.M., From K'usti Kapkoh to al-Garbī: Sasanian antecedents, the sectarian Milieu, and the creation of an Islamic frontier in Amīhiya, dissertation submitted in partial fulfilment of the requirements for the degree of Doctor of Philosophy (Near Eastern Studies) in The University of Michigan, 2013, გვ. 69.

⁵⁵ Hewsen R., The geography of Ananias of Sirak, DR. Ludwig Reichert Verlag, Wiesbaden, 1992, გვ. 24-25.

თანამედროვე უკრაინისა და რუსეთის დასავლეთ ტერიტორიები არამედ, ცენტრალური ევროპაც მოიაზრებოდა.

იბნ ხორდადბეჰის ცნობებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა თავი – *იაჯუჯისა და მაჯუჯის კედლის აღწერა*. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისაა, რომ მოგზაურობის ამბავი, რომელიც ამ თავშია მოთხრობილი სალლამ ათ-თარჯუმანის⁵⁶ მიერ სხვაგან ფაქტობრივად არ გვხვდება.⁵⁷ ასევე აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ზოგიერთ მკვლევარი ტექსტის ამ ნაწილს ფალსიფიკაციად, გამოგონებულ ამბად, მისტიფიკაციად მიიჩნევდა.⁵⁸ თუმცა, შემდგომში დე გუეს, ლ. ვასილევის და ი. კრაჩკოვსკის მიერ იქნა გაზიარებული და დამტკიცებული მოსაზრება, რომ ეს მოგზაურობა ნამდვილი უნდა ყოფილიყო.⁵⁹ რეალურად, ეს არც თუ რთული შესამჩნევია, რადგანაც იბნ ხორდადბეჰი ფაქტობრივად პირველწყაროდ გვევლინება. ის წერს „*მომიყვა მე სალლამ ათ-თარჯუმანმა*“ ანუ თავად მოგზაურობის ხელმძღვანელმა. ამასთან, ის ისტორიული თუ გეოგრაფიული მასალა, რომელსაც გვაწვდის იბნ ხორდადბეჰი მოცემულ ცნობებში, თუნდაც ისკაკ იბნ ისმაილის სახელი და ის მარშრუტი რაც მოგზაურობმა გაიარეს, ეჭვგარეშეა, ნამდვილი ფაქტები იყო. ამას უნდა დავამატოთ ისიც, რომ იბნ ხორდადბეჰი ხალიფას ადმინისტრაციული აპარატის თანამდებობის პირი იყო და მსგავსი ამბის ფალსიფიკაცია ფაქტობრივად გამორიცხული იქნებოდა. მით უფრო, რომ არაბულ-ისლამურ ისტორიოგრაფიაში, ჰადისების გადმოცემასა თუ ისტორიული ცნობების დამოწმებაში მნიშვნელობა ენიჭებოდა ავტორის სანდოობას, ხოლო იბნ ხორდადბეჰის შემთხვევაში უნდა გამოვრიცხოთ ამ მასშტაბის ფალსიფიკაცია. ეს მნიშვნელოვანი მოგზაურობა, რომელსაც სალლამ ათ-თარჯუმანი მეთაურობდა და რომლის მიზანიც იყო ეპოვა ლეგენდარული გოგისა (იაჯუჯი) და მაგოგის (მაჯუჯის) კედელი, უშუალოდ ხალიფა ალ-ვასიკის (842-847) მიერ იყო ინიცირებული, რომელმაც ნახა სიზმარი, სადაც ეს კედელი დანგრეული იყო.⁶⁰ სალლამ ათ-

⁵⁶ ჩანს ეს პიროვნება საკმაოდ განათლებული, საქმის მცოდნე და გამორჩეული დიპლომატი იყო. იბნ ხორდადბეჰის მიხედვით ის ფლობდა 30 ენას, ამაზე მისი ლაკაბი ალ-თარჯუმანი ანუ თარჯიმანიც მიუთითებს.

⁵⁷ იბნ რუსთაჰთან ამბავი დამოწმებულია იბნ ხორდადბეჰის მიხედვით, ასევე მოკლე ცნობას იმეორებს ალ-იდრისიც.

⁵⁸ *Ибн Хордадбех, Книга путей и Стран*, 1986, გვ. 43.

⁵⁹ *ib. იქვე*, გვ. 43.

⁶⁰ Zettersteen K.V., *al-Wathik Bi 'Llah*, The Encyclopaedia of Islam, vol. XI, Brill, Leiden, 2002, გვ. 178.

თარჯუმანს დავალებული ჰქონდა ემოგზაურა გოგისა და მაგოგის კედლამდე და ენახა იყო თუ არა ის მთელი. ეს მითიური კედელი ისლამურ ლეგენდებში უკავშირდება ალექსანდრე მაკედონელს, რომელიც ისლამში ერთ-ერთი წინასწარმეტყველია და, რომელმაც ააშენა კედელი ბოროტების, გოგისა და მაგოგის ძალების, შესაკავებლად. არაბ-მუსლიმთა შორის არსებობდა მოსაზრებები, რომელთა მიხედვითაც გოგისა და მაგოგის კედელში კავკასიაც მოიაზრებოდა, ხშირად კი მას დარუბანდის კართან ან ე.წ. ლიმესთან აიგივებდნენ. შემდგომში კი, სახალიფოს საზღვრებისა და ზოგადად გეოგრაფიული თვალსაწიერის გაფართოების გამო, მან უფრო შორს გადაინაცვლა. ამ შემთხვევაში, სალლამ ათ-თარჯუმანმა მიაღწია ჩინეთის დიდ კედელს და მისი ხილვის შემდეგ დაბრუნდა სახალიფოში.

ჩვენთვის საინტერესოა მოგზაურობის დასაწყისი, რა დროსაც სალლამ ათ-თარჯუმანი მიდის თბილისში ხალიფას წერილით ამირა ისჰაკ იბნ ისმაილთან, რომელიც ხორდადბეჰთან მოხსენიებულია, როგორც *საკიბი არმინიისა* (صاحب ارمينية),⁶¹ ანუ მფლობელი არმინიისა. ისჰაკ იბნ ისმაილმა კი გაატანა თავისი წერილი ას-სარირის მფლობელთან.⁶² მოგზაურობა დაიწყო 842 წლის ზაფხულში სამარადან, რისთვისაც ხალიფამ მნიშვნელოვანი სახსრები გამოყო. ხორდადბეჰის ცნობით, მხოლოდ ის ფული/თანხა, რომელიც სალლამ ათ-თარჯუმანს გადაეცა იყო 5000 დინარი და 10000 დირჰამი. მოგზაურობამ კი დაახლოებით 2 წელი და 4 თვე გასტანა.

სალლამ ათ-თარჯუმანის თბილისში ვიზიტსა და ისჰაკ იბნ ისმაილის, როგორც არმინიის მფლობელის, სტატუსს შეეხო პროგ. გოჩა ჯაფარიძე. მკვლევარი მიიჩნევს, რომ აღნიშნული სტატუსი ისჰაკმა მიითვისა და რადგანაც ხალიფას ესაჭიროებოდა ამირა ისჰაკის ავტორიტეტი, რეაგირების გარეშე დატოვა მისი ეს ქმედება.⁶³ თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ არაბთა მიერ კავკასიის დაპყრობის შემდეგ, ოთხი მნიშვნელოვანი ქალაქი ითვლებოდა ცენტრად: დაბილი (დვინი), არდებილი, ბაბ ალ-აბვაბი (დარუბანდი) და თბილისი. ამათგან, პროვინცია

⁶¹ არაბულში სიტყვა საკიბს რამდენიმე მნიშვნელობა აქვს. ლეინისა და ბარანოვის ლექსიკონების მიხედვით, მისი პირველადი და მეორეული მნიშვნელობებია: მეგობარი, თანამეინახე, ხოლო შემდეგი მნიშვნელობაა: პატრონი, მფლობელი, ბატონი. Lane, E.W. An Arabic-English Lexicon Part 4, Librairie Du Liban, Beirut, 1968, გვ. 1653.

⁶² საკიბ ას-სარირ.

⁶³ გ. ჯაფარიძე, თბილისის ამირა ისჰაკ იბნ იმა'ილ ალ-უმავი ათ-თიფლისი შუა საუკუნეების აღმოსავლურ წერილობით წყაროებსა და ისლამურ მხატვრობაში, საისტორიო კრებული: წელიწდეული #4, თბილისი, მხედარი, 2014, გვ.19-24.

არმინიის ცენტრი, სადაც არმინიის ვალი ზის, იყო დვინი ან ბარდავი, რომელიც იბნ ხორდადბეჰის ცნობებში ფაქტობრივად არ იხსენიება. მაშინ, როცა თბილისი და სოლდაბილი წინ არის წამოწეული და ამავე დროს, ამირა ისჰაკი ერთადერთი მმართველია კავკასიის რეგიონში, რომლის სახელიც გვაქვს მოცემული და თან ნახსენებია, როგორც არმინიის გამგებელი. გ. ჯაფარიძე შენიშვნაში მიუთითებს, რომ მარიუს კანარი, ვან დონზელი და ანდრეა შმიდტი მიიჩნევენ, რომ „არმინია“ ფაქტობრივად იხმარება საქართველოს ნაცვლად,⁶⁴ რასაც გ. ჯაფარიძე აზუსტებს და მიუთითებს, რომ „ეს მკვლევარები საქართველოში ქართლს/არაბ. ჯურზანს გულისხმობენ“.⁶⁵

ისჰაკ იბნ ისმაილის სტატუსის განსასაზღვრად საჭიროა შეფასდეს ვითარება პროვინცია არმინიაში 840-45 წლებში. თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სახალიფოს ცენტრალური ხელისუფლების გავლენა უკვე დიდი ხანია შესუსტებული იყო კავკასიაში. ეს, უპირველესად, გამოწვეული იყო ბაბექის აჯანყებით,⁶⁶ რომელმაც ძალიან დაასუსტა ცენტრალური ხელისუფლების ძალები. მნიშვნელოვანია ის, რომ უკვე დიდი ხნის განმავლობაში სომხეთის ტერიტორიაზე დამკვიდრებული იყო ნახარათა მმართველობის სისტემა.⁶⁷ მეცხრე საუკუნის პირველ მესამედში ბაგრატუნები იმდენად გაძლიერდნენ, რომ აშოტ IV ბაგრატუნი (804-826) აღიარებულ იქნა სომხეთის პრინცად სახალიფოს მიერ. მან გაატარა მნიშვნელოვანი ეკონომიკური, ადმინისტრაციული და სამხედრო რეფორმები სომხეთის დამოუკიდებლობის გასაძლიერებლად, რომელიც მისმა შვილმა ბაგრატ II ბაგრატუნმა (826-851) განაგრძო.⁶⁸ 838-842 წლებში არმინიაში სამჯერ დაინიშნა ვალი. ამის შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის ალ-ია'კუბი. მაგალითად, 841 წელს ხალიდ იბნ იაზიდი დაინიშნა გამგებლად. თუმცა, მოსახლეობის უკმაყოფილებისა და აჯანყების გამო, ის მალე გაიწვიეს და მის მაგივრად, არმინიის ვალიდ დაინიშნა 'ალი იბნ ალ-ჰუსაინ იბნ საბა' ალ-კაისი, რომელიც იმდენად სუსტი მმართველი იყო, რომ მეტსახელად „ობოლი“ (اليتيم) შეარქვეს და რეალურად ბარდავში იყო

⁶⁴ Gog and Magog in early Syriac and Islamic sources, ed. Donzel E., Schmidt A., Brill, Leiden-Boston, 2009, გვ. 184.

⁶⁵ გ. ჯაფარიძე, თბილისის ამირა ისჰაკ..., 2014, გვ.21-22 შენ. 56.

⁶⁶ აჯანყება ჩახშობილ იქნა 838 წელს.

⁶⁷ Ter-Ghewondyan, A., The Arab Emirates in Bagratid Armenia, Transl. Nina G. Garsoian, Livraria Bertrand, Lisbon, 1976, გვ. 41.

⁶⁸ History of Medieval Armenia, course companion, Quantum College, Yerevan, 2016, გვ. 47.

გამომწყვდეული. მის შემდგომ ხელახლა (უკვე მეოთხედ) დაინიშნა არმინიის ვალიდ ხალიდ იბნ იაზიდი.⁶⁹ ალ-იაკუბი ვითარებას არმინიაში, ხალიდის ხელახლა დანიშვნამდე, ასე აღწერს: *დაიშალა არმინია და დატოვეს ის არაბთა ძალებმა და დაიპყრეს მთისა და კართა კარის (ზაბ ალ-აბვაბ) მეფეებმა ის რაც მათ გარშემო იყო. დასუსტდა სულთნის მბრძანებლობა და დანიშნა ვალიდ ალ-ვასიკმა ხალიდ იბნ იაზიდ იბნ მაზიდი.*⁷⁰ იქვე ნათქვამია, რომ ხალიდმა მისწერა ისპაკ იბნ ისმაილს და უბრძანა მის წინაშე წარდგომა, რაზეც უარი მიიღო, შემდეგ ხალიდი წავიდა ამირა ისმაილზე და ის დანებდება მას [მოვიდა მის ხელებში], ამის შემდეგ ხალიდი მალევე გარდაიცვლება (თუმცა, ხალიდი და ისმაილი ერთმანეთს არ შებრძოლებიან, რადგან, სხვა ცნობით, ხალიდი ადრე გარდაიცვალა). ამის შემდეგ არმინიის ვალიდ ინიშნება მუჰამად იბნ ხალიდი, რომელიც უკვე ებრძვის თბილისის ამირასა და წანარებს.

როდის შეიძლება ათ-თარჯუმანი წვეოდა თბილისს და ხალიფას ეწოდებინა ისპაკისთვის არმინიის მფლობელი?! საფიქრებელია, რომ ეს უნდა ყოფილიყო პერიოდი ხალიდის დანიშნვიდან მისი ვაჟის დანიშვნამდე (მუჰამადი დაინიშნა 844-845). ხალიდი მალევე დაავადდა და გარდაიცვალა ჯავახეთში,⁷¹ რის გამოც შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამ პერიოდიდან მუჰამად იბნ ხალიდის დანიშვნამდეა ამირა ისპაკი მოხსენიებული *არმინიის საჰიბად*. რაც შეეხება ხალიდისა და ამირა ისპაკის დაპირისპირების შესაძლებლობას, ამ შემთხვევაში ეჭვს იწვევს ის მარშრუტი, რომელიც ხალიდმა გაიარა. პროვინცია არმინიაში ის შემოდის ბითლისისა და ხლათის მხრიდან, შემდეგ კი ნაცვლად იმისა, რომ პირდაპირ წავიდეს თბილისისკენ, მიდის ჯავახეთში, სადაც გარდაიცვლება კიდეც. ანუ გამოდის ასე: ხალიდი იმის ნაცვლად, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთით წასულიყო თბილისისკენ, წავიდა საერთოდ უცხო მიწაზე, ჩრდილო დასავლეთით ჯავახეთში, იმ მიწაზე, რომელსაც არაბები დე-იურედაც არ აკონტროლებდნენ. სავარაუდოდ, ჯავახეთში მისი ყოფნა გამოწვეული იყო გუარამ მამფალის ქმედებებით, რომელიც ფლობდა ჯავახეთს და იბრძოდა არაბების წინააღმდეგ. შესაძლოა ხალიდი აპირებდა ჯერ გასწორებოდა გუარამ მამფალს და შემდგომ წასულიყო თბილისზე. თუმცა, შეუძლებელია ეს ფაქტი დამალული ყოფილიყო თბილისის ამირასათვის, რომელსაც

⁶⁹ 1883 تاريخ احمد بن ابى يعقوب بن جعفر بن وهب ابن واضح الكاتب العباسي, ليدن, بريل, 580 (ალ-იაკუბი).

⁷⁰ 1883 تاريخ احمد بن ابى يعقوب بن جعفر بن وهب ابن واضح الكاتب العباسي, ليدن, بريل, 588 (ალ-იაკუბი).

⁷¹ Minorsky, V. A History of Sharvan and Darband, 1958, გვ. 24.

ამ შემთხვევაში ორი გზა რჩებოდა: ან უნდა ებრძოლა ხალიდის წინააღმდეგ ან უნდა დამორჩილებოდა მას. მეორე ვარიანტია, ბაგრატ კურაპალატისა და ხალიდის მოკავშირეობა. ეს არის, ერთი მხრივ, ბაგრატის სურვილი დაემყარებინა კონტროლი შიდა ქართლზე და მეორე მხრივ, ხალიდის მისწრაფება დაემორჩილებინა თბილისის ურჩი ამირა.⁷² სამწუხაროდ, გადაჭრით არ შეგვიძლია იმის მტკიცება, თუ რა იცოდა და როგორ მოიქცა თბილისის ამირა. ერთადერთი რაც შეგვიძლია დავიმოწმოთ ისევ და ისევ ალ-ია'კუბის ზემოთ მოყვანილი ცნობაა, რომლის მიხედვითაც ისჰაკი დანებდა ხალიდს გარკვეული პირობების სანაცვლოდ, რამაც მას მიანიჭა ფართო ავტონომია, ხოლო ხალიდის გარდაცვალების შემდეგ ისარგებლა ამ ავტონომიით, თავი გამოაცხადა დე-ფაქტო მმართველად და მოგვიანებით, რადგანაც ხალიფას დასჭირდა ისჰაკის მხარდაჭერა, თვალი დახუჭა მის სწრაფვაზე და უწოდა *საჰიბი არმინიისა*. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით იმ წერილის შინაარსი, რომელიც ხალიფასგან მიიღო თბილისის ამირამ და შესაძლოა, რომ არმინიის მფლობელად ისჰაკის მოხსენიება, სულაც, სალლამ ათ-თარჯუმანის ან იბნ ხორდადბეჰის შეფასება იყოს.

§ 2. წიგნი გზებისა და სამეფოთა

გვ.5 ყველა ქვეყნის ხალხთა კიბლა

7: კიბლა 'არმინიისა, 'აზარბაჯანისა, ბაღდადისა, ვასიტისა, ალ-ქუფისა და ქალაქებისა ალ-ბაჰრასი, ჰულვანის, ად-დაანავარის, ნიჰვანდის, ჰამაჰანის, იჰბაჰანის, არ-რაის, ტაბარისტანის, სრულიად ხურასანის, ალ-ხაზართა ქვეყნის, ალ-ჰინდის კაშმირის, მიმართულია ქაბას იმ კედლისკენ, რომელშიც არის კარი. ისაა ჩრდილოეთ პოლუსიდან მარცხნივ (დასავლეთით), ალ-მაშრიკის შუამდე.

გვ. 119 გზა 'აზარბაჯანისა და 'არმინიისა

განსხვავდება ხურასანის გზა სინნ სუმაფრასაგან. სინნ სუმაფრადან ად-დაანავარამდე 5 ფარსახია (2 სიქქა). ად-დაანავარიდან ზანჯანამდე 29 სიქქაა, შემდეგ

⁷² მერკვილაძე დ., თბილისის ამირა ისჰაკისა და მუჰემედ იბნ ხალიდის ბრძოლის ადგილის ლოკალიზაციისათვის, ჟურნალი: ამირანი, #VII, 2002, მონრეალი-თბილისი, გვ. 131-133.

ალ-მარაღამდე 11 სიქქა, შემდეგ ალ-მაფანიჯამდე 2 სიქქა, შემდეგ 'არდაბილამდე 11 სიქქა, შემდეგ ვარსანამდე და ისაა ბოლო ადგილი 'აზარბაჯანში 11 სიქქა.

'აზარბაჯანის ოლქის ქალაქები და რუსთავეები

ალ-მარაღა, ალ-მაფანიჯი, 'არდაბილი, ვარსანი, სისარი, ბარზათი, სმბურხასათი, თაბრნი, რომელიცაა მუჰამმად იბნ არ-რავვად ალ-'აზდფსა, მარანდი რომელიცაა იბნ ალ-ბა'ისის, ხუვაფი, ქულსარაჰ, მჰკანი რომელიცაა შაქლასი, ბარზანდი, ჯანზა, ქალაქი 'აბარვნი, ჯაბრავანი, ნარნი რომელიცაა ალფ იბნ მურრის, 'ურმიფა ზარადუმთის ქალაქი, სალამსი, ამ-შნი და იქაა ცეცხლის სახლი (ტადარი)

გვ.:120

'აზარჯუმნასის და ისაა ძალიან ცნობილი მაზდეანებს შორის, და თუკი ვინმე მათთაგან გამეფდება, ის ალ-მადა'ინიდან მოინახულებს მას ფეხით. ბაჯარვანი, ას-სალაკის რუსთაკი, სინდაბაფს რუსთაკი, ალ-ბაზნი, რუსთაკი 'ურმ და ბალვანქარჯი, რუსთაკი სარრათ და დასქაფარი, რუსთაკი მანჰარაჯი.

გზა ად-დაინავარიდან ბარზანდამდე

ად-დაინავარიდან ალ-ხაბარჯანამდე 7 ფარსახია, შემდეგ თილლ ვანამდე⁷³ 6 ფარსახი, შემდეგ სისარამდე 7 ფარსახი, შემდეგ 'ანდარაბამდე 4 ფარსახი, შემდეგ ალ-ბაფლაკანამდე 5 ფარსახია, შემდეგ ბარზათამდე 6 ფარსახი, შემდეგ სმბურხასათამდე 8 ფარსახი, შემდეგ ალ-მარაღამდე 7 ფარსახი, შემდეგ დხბრაკანამდე 11 ფარსახი, შემდეგ თაბრნამდე 9 ფარსახი, შემდეგ მარანდამდე 10 ფარსახი, შემდეგ ალ-ხანამდე 4 ფარსახი, შემდეგ ხუვაფიმდე 6 ფარსახი;

ალ-მარაღადან ქურსარაჰამდე 10 ფარსახია, შემდეგ სარათამდე 10 ფარსახი, შემდეგ ან-ნაფრამდე 5 ფარსახი, შემდეგ 'არდაბილამდე 5 ფარსახი, შემდეგ მჰკანამდე 10 ფარსახი.

გვ.:121

'არდაბილიდან ხუმამდე 8 ფარსახია, შემდეგ ბარზანდამდე 6 ფარსახი, ბარზანდი დანგრეული იყო, რომელიც ალ-'აფმინმა⁷⁴ ხელახლა ააშენა და იქ დასახლდა, ბარზანდიდან სადარასაბამდე, რომელსაც აქვს ალ-'აფმინის პირველი თხრილი (ხანდაკი) 2 ფარსახია, შემდეგ ზაჰარქუმამდე რომელსაც აქვს მისი [ალ-'აფმინის]

⁷³ ვანის გორა.

⁷⁴ ნ. ველიხანოვა მიუთითებს, რომ აქ უნდა იგულისხმებოდეს ჰაიდარ იბნ ქავუს აფმინი, რომელმაც ჩაახშო ბაბქის აჯანყება. Ибн Хордадбех, Книга путей и Стран, 1986, გვ. 296.

მეორე თხრილი 2 ფარსახია, შემდეგ დავ არ-რუდამდე, რომელსაც აქვ მისი [ალ-’აფშინის] მესამე თხრილი 2 ფარსახია, შემდეგ ალ-ბაზუხამდე ბაზაქის ქალაქამდე 2 ფარსახია,⁷⁵ თქვა ჰუსაინ იბნ ალ-დაჰაქიმ: *არ დაუტოვეთა მას ალ-ბაზუხში მის მცხოვრებთაგან, გარდა ქანდაკებებისა მგავსი ’არამისა.*⁷⁶

გზა ბარზანდიდან ბალასაჯანის უდაბნომდე და ვარსანამდე, რომელიცაა ბოლო ადგილი ’აზარბაჯანში 12 ფარსახია.

ალ-მარაღადან ჯანზამდე 6 ფარსახია, შემდეგ მუსა ’აბაზამდე 5 ფარსახი, შემდეგ ბარზათამდე 4 ფარსახი, შემდეგ ჯაბარავანამდე 3 ფარსახი, შემდეგ ნარზამდე 4 ფარსახი, შემდეგ ’ურმიამდე 14 ფარსახი, შემდეგ სალამსამდე ხმელეთით და ’ურმიას ტბით 6 ფარსახი, ხოლო ’აზარბაჯანის ხარაჯა არის 2 მილიონი დირჰემი.

გვ.:122 გზა ’არმინიისა

ვარსანიდან ბარზა’ამდე რვა სიქქაა, შემდეგ მანსურამდე ’არმინიაში ოთხი სიქქა, ხოლო ბარზა’ადან თაფლასამდე 10 სიქქა, ბარზა’ადან ალ-ბაზ ალ-’აბვამდე 15 სიქქა, ბარზა’ადან დუბლამდე 7 სიქქა.

მარანიდან ალ-ვადიმდე 10 ფარსახი, შემდეგ ნაშავამდე 10 ფარსახი, შემდეგ დუბლამდე 20 ფარსახი.

ვარსანიდან დარმანამდე 3 ფარსახია, შემდეგ ალ-ბაღლაკანამდე 9 ფარსახი, შემდეგ ბარზა’ამდე 14 ფარსახი, ხოლო ბარზა’ადან ალ-ბაზუხამდე 30 ფარსახი.

⁷⁵ ჩანს ამ მონაკვეთში აისახა ბაბექის წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლის სტრატეგიის გარკვეული ეპიზოდი, კერძოდ ბაბექის მთავარი ქალაქის ალ-ბაზუხის ეტაპობრივი გარემოცვა. თუ მივყვებით ჩანს, რომ აფშინისთვის პლაცდარმს წარმოადგენდა ბარზანდი, ხოლო ხანდაკების ანუ თხრილების გავლების მიზანი კი ალ-ბაზუხში მყოფი ბაბექის და აჯანყებულების ეტაპობრივი ალყაში მოქცევა უნდა ყოფილიყო.

⁷⁶ ა(ი)რამის ხსენებას, კასიდის ამ ნაწყვეტში ნ. ველიხანოვა არ განმარტავს. ბიბლიური ნოეს შვილიშვილი, სემის ვაჟი, იყო არამ (ირამ), რომელიც არამეელების ეთნარქად ითვლება. საინტერესოა, რომ არამეელთა სახლიდან მოდის სომხეთის/სომეხთა სახელი არმინია, რომელიც თავდაპირველად შეცდომით იქნა მიღებული არამეელთა და სომეხთა ახლო მოსახლეობის გამო, შემდგომში კი სომხეთს ეს სახელი შერჩა დასავლურ თუ აღმოსავლურ ისტორიოგრაფიაში. ქრისტიანობის გავრცელებამ კი კიდევ უფრო გააძლიერა „არმენიელების” არამთან კავშირის სურვილი. აქვე საინტერესოა ის ფაქტი, რომ არამის ოთხ შვილთაგან ორი იყო ’ადი და სამუდ, რომელთაგანაც ასევე ამავე სახელწოდების ტომები გამოვიდნენ. ისინი მოხსენიებულნი არიან ყურანში და, ისლამური ლეგენდების მიხედვით, ალლაჰმა დასაჯა, გაანადგურა და ქვიშით დაფარა მათი ქალაქები. ამ შემთხვევაში ვვარაუდობთ, რომ საქმე უნდა გვქონდეს ყოველივე ზემოთქმულთან დაკავშირებულ ყურანში ნახსენებ ქალაქ ირამთან (إِرم ذات الجذع)|[სვეტებიანი ირამი] სურა 89, 5(6) -7(8): *ნუთუ არ გიფიქრია როგორ მოექცა უფალი შენი ’ადს? ირამ სვეტებიანს , რომელთა მსგავსიც არასოდეს შექმნილა ამ ქვეყანაში.* ყურანი, კავკასიური სახლი, 2006, გვ. 363, ლექსის ნაწყვეტშიც სწორედ აქ ნახსენები ქალაქ ირამის ალუზია უნდა იყოს მოცემული.

პირველი 'არმინია: ას-სნაჯანი, არანი, თიფლისი,⁷⁷ ბარზა'ა, ალ-ბაჰლაკანი, კაბალა და შარვანი.

მეორე 'არმინია: ჯურზანი, სულდაბილი, ბაზ ფაჰრუზ კუბაზი, და ალ-ლაქზი.

მესამე 'არმინია: ალ-ბუსფურრაჯანი, დუბილი, სირაჯ ტაფრი, ბალრავანდი, ნაშავა.

მეოთხე 'არმინია: შიმშატი, ხილპტი, კალკალა, 'არჯიში, ბაჯუნაფი.

'არანი, ჯურზანი, ას-სნაჯანი ეს ოლქები იყო ალ-ხაზართა სამეფოში.⁷⁸

გვ.:123

ხოლო დუბილი, ნაშავა, ბალრავანდი, ხილპტი, ბაჯუნაფი ეს ოლქები იყო არ-რუმის სამეფოსი. სპარსელებმა დაიპყრეს ისინი შარვანამდე, სადაც მდებარეობს მუსას კლდე, რომელშიც არის სიცოცხლის (უკვდავების) წყარო. შიმშატი არის საფლავი ზაფვან იბნ ალ-მუ'ატტალ ას-სულამის, ალლაჰის მოციქულის, ალლაჰიმც დალოცავს მას, მიმდევარის (საჰიბი). მასსა [საფლავს] და ჰიჰნ ზაფდას შორის, მასთან ახლოს [ჰიჰნ ზაფდასთან] არის ხე, ხალხთაგან არავინ იცის თუ რა არის ის [ხე]. მისი ნაყოფი ჰგავს ნუშისას, ჰამენ მას ქერქიანად და უკეთესია ვიდრე ფიჭა.

ააშენა კუბაზმა ქალაქი ალ-ბაჰლაკანი და ქალაქი ბარზა'ა და ქალაქი კაბალა, ასევე კედელი ალ-ლიბნის.⁷⁹ ააშენა 'ანუშირვანმა ქალაქი აშ-შაბირანი, ქალაქი ქარქარა, ქალაქი ალ-ბაზ ალ-'აბვბი, ციხეები მთის გზებზე, რომელთა ოდენობაცაა 360 ციხე. ააშენა ბალანჯარი, სამანდარი, ჯურზანში ააშენა ქალაქი სულდაბილი და იქ ასევე ააშენა ციხე და დაარქვა მას ბაზ ფაჰრუზ კუბაზი.

ხოლო 'არმინიაშია ასევე ხუვად, ას-სანარი,⁸⁰ 'ალბაკი, ქისალი, 'აბხაზი,⁸¹ ალ-ჯარდმანის ციხე, ხაფანი, შაქქი, და ქალაქი ალ-ბაზი.

რაც შეეხება ალ-ბაზს ისაა ალ-კაბკის მთის გასასვლელი, მასში არის ციხეები, მათ შორისაა ბაზ სული, ბაზ ალ-ლანი, ბაზ აშ-შაბირანი, ბაზ ლაჰიკა, ბაზ ბარიკა, ბაზ სამსახი,

გვ.:124

⁷⁷ დე გუე მიუთითებს ბითლისის შესაძლებლობასაც და იმოწმებს ბალაზურს და იბნ ალ-ფაკიჰს. თუმცა, ამ შემთხვევაში თბილისი ბევრად უფრო მართებული ჩანს, სხვა ტოპონიმების ადგილმდებარეობის გავითვალისწინებით, რომლებიც ისტორიული ჩრდილოეთ სომხეთის, ალბანეთისა და შირვანის ტერიტორიებს მოიცავს, მაშინ როცა ბითლისი ვანის ტბასთან მდებარეობდა.

⁷⁸ مملكة الخزر.

⁷⁹ უნდა იგულისხმებოდეს ლიმესის მშენებლობა.

⁸⁰ შეიძლება ითქვას, რომ წანარების ერთ-ერთი პირველი და ყველაზე ადრეული ხსენებაა არაბულ წყაროებში.

⁸¹ ابلخان/ابخان ლაიჯანი.

ბაბ სპატიბ ას-სარირ, ბაბ ფილან შაჰ, ბაბ ქარუნან, ბაბ ტაბარსარანშაჰ, ბაბ ლირანშაჰ, ბაბ ლაბანშაჰ, ბაბ 'ანუშირვან.⁸² ქალაქი სამანდარი ალ-ბაბის უკანაა,⁸³ ხოლო რაც მის იქითაა არის ალ-ხაზართა ხელში. ხოლო მუსას ამბავში, მშვიდობა მას: „დაინახე, როდესაც თავი შევაფარეთ კლდეს დამავიწყდა, რომ ვეშაპი რომელიც ცოცხალია. კლდე კი ესაა კლდე შარვანისა, ხოლო ზღვა ზღვაა ჯილანისა, ხოლო სოფელი – სოფელია ბაჯარვანი. რომ შევხვდი ღულამს მოვკალი იგი სოფელ ხაფანში“.⁸⁴

'არმნიის ხარაჯა კი არის 4 000 000 დირჰამი.

გვ.124: გზა ჯურჯანსა (აქ გორგანი) და ხამალჯის შორის, რომელიც ალ-ხაზართა ქალაქია

ის ჩრდილოეთით მდებარეობს და ამიტომაც ვახსენებ აქ, ხოლო ჯურჯანიდან ხამალჯამდე, რომელიც მდებარეობს მდინარის ბოლოს, მდინარე კი თავის მხრივ, გამოედინება ას-საკალიბთა ქვეყნიდან და ჩაედინება ჯურჯანის ზღვაში, ზღვაზე ქარის მიმართულებით 8 დღეა საჭირო, ხოლო ალ-ხაზართა ქალაქებია: ხამალჯი, ბალანჯარი, ალ-ბაჰდა'ი, და თქვა ალ-ბუხთურამ:

„ალ-ირაკში იზრდება იმის პატივისცემა, ვინც დადო შეთანხმება ხამალჯაში ან ბალანჯარში“

ალ-ბაბის იქეთ არის მეფე სუვარისა, მეფე ალ-ლაქზის, მეფე ალ-ლანთა, მეფე ფილანისა, მეფე ალ-მასკატისა,⁸⁵ მფლობელი (საჰიბი) ას-სარირისა და ქალაქი სამანდარი.

გვ.:155 დასახლებული მიწები, დაყოფილი ოთხ ნაწილად

მათ შორისაა 'ურუფა და იქაა ალ-'ანდალუსი, ას-საკალიბა, არ-რუმი, ფირანჯა, ტანჯა, ვიდრე ეგვიპტის საზღვრამდე; **ლუბია** და იქაა ეგვიპტე, ალ-კულზუმი, ალ-ჰაბაშა, ალ-ბარბარი და რაც მას მოსდევს, სამხრეთის ზღვა და არ არიან ამ ტერიტორიაზე ტახები, ირმები, ველური ვირები (ონგარი) და არც თხები;

⁸² დასახლებული გადმოსასვლელთა სახელწოდებები შეგვიძლია ასე ვთარგმნოთ: სარირის მფლობელის კარი, ფილანის მეფის (შაჰის) კარი, ლირანის მეფის (შაჰის) კარი და სხვა. შესაბამისად, შესაძლოა, ამ სახელებში კონკრეტული გადასასვლელები სულაც არ იგულისხმებოდეს და ის ტერიტორიები/სამეფოები იყოს ჩამოთვლილი, რომლებიდანაც შესაძლებელი იყო ჩრდილოეთ კავკასიიდან კავკასიონის ქედის გადავლით სამხრეთ კავკასიაში გადმოსვლა.

⁸³ ე.ი. მის შემდგომ, მის გადაღმა.

⁸⁴ იბნ ხორდადბეჰთან ხაიზანი ორ სხვადასხვა ადგილასაა დასახლებული: ერთის მიხედვით ხაიზანი არმინიაშია, ხოლო მეორეს მიხედვით სოფელ ბაჯარვანთან.

⁸⁵ ამ შემთხვევაში „შაჰ-ის“ ნაცვლად გვაქვს „მალიქი“.

'ითიუფიდა: იქაა თიჰმა, ალ-ამანი, ას-სინდი, ალ-ჰინდი, ას-სინი; 'ასკუთიდა: იქაა 'არმნიდა, ხურასანი, ათ-თურქი და ალ-ხაზარი.

გვ.:162 აჯუჯისა და მჯუჯის კედლის აღწერა

მომიყვა მე სალლამ ათ-თარჯუმანმა, რომ ალ-ვასიკ ბილლაჰმა, როდესაც ნახა მის სიზმარში, რომ კედელი რომელიც ააშენა ზუ ალ-კარნაჰმა, ჩვენსა და აჯუჯისა და მჯუჯის შორის, უკვე გახსნილიყო, ის ეძებდა ხალხს ვინც წავიდოდა ამ საქმისთვის და შეაგროვებდა ცნობებს ამ თემის გარშემო. და თქვა 'აშნასმა: „არ არის აქ

გვ.: 163

ვინმე შესაფერისი გარდა სალლამ ათ-თარჯუმანისა, რომელიც ლაპარაკობ 30 ენაზე. და თქვა: მიმიწვია მე ალ-ვასიკმა და მითხრა: მინდა რომ გაემგზავრო კედლისკენ ვიდრე არ ნახავ მას და მომიტან მე ინფორმაციას. შეკრიბა მან ჩემთვის 50 კაცი ძლიერი და ახალგაზრდა, გადმომცა მე 5 ათასი დინარი და ასევე გადამიხადა 10 ათასი დირჰამი ჩემი დიდა⁸⁶ და ასევე ბრძანა მიეცათ ორმოცდაათივე კაცისთვის 1000 დირჰამი და წლიური საარსებო გასამრჯელო. მან ასევე ბრძანა, რომ გაემზადებინათ ამ კაცებისთვის ბეწვის ქუდები, ტყავის მოსასხამები, ასევე ბეწვის მოსაცმელი და ხის საზიდრები.⁸⁷ და მომცა მე 200 ჯორი საკვებისა და წყლის საზიდრად. გავემგზავრეთ სარრა მან რა'ადან⁸⁸ წერილით ალ-ვასიკ ბილლაჰისგან 'ისჰაკ იბნ ისმ'ილისადმი, რომელიცაა 'არმნიის მფლობელი (საჰიბ) თაფლნიდან, რათა მას მიველეთ. 'ისჰაკმა მისწერა ჩვენზე ას-სარირის მფლობელს (საჰიბ), ას-სარირის მფლობელმა მისწერა ჩვენზე ალ-ლანთა მეფეს; ალ-ლანთა მეფემ მისწერა ჩვენზე ფილან შაჰს; ფილან შაჰმა მისწერა ჩვენზე ტარხანს ალ-ხაზართა მეფეს, დავრჩით მასთან ერთი დღე და ღამე, ვიდრე გააგზავნიდა ჩვენთან ერთად ხუთ გამცილებელს. ვიარეთ მისგან 26 დღის სავალზე და მივაღწიეთ შავ მიწას მყრალი სუნით...

გვ.:173 მდინარეთა გამოსვლის კარი (თავი)

გვ.174

⁸⁶ ისლამურ სამართალში დია ნიშნავს სისხლის საფასურს, კომპენსაციას მკვლელობის, დაჭრისა და დასახიჩრებისათვის.

⁸⁷ თუ ამ მოსამზადებელ სამუშაოს გავითვალისწინებთ, აშკარაა რომ მოგზაურობა თავიდანვე ჩრდილოეთისკენ, ცივი მხარეებისკენ იყო დაგეგმილი და, ჩანს, ამ ცივი კლიმატის შესახებ ცნობები მოგზაურობის დამგეგმავებს უკვე ჰქონდათ.

⁸⁸ ქალაქი სამარა, რომელიც 50 წელზე მეტ ხანს ასრულებდა აბასიანთა ხალიფების რეზიდენციის როლს.

14: ... არ-რასის მდინარე 'არმნიიდან, გამოდის კალიკლას მხრიდან და ჩაუვლის 'არანს და უერთდება მას მდინარე 'არანი.⁸⁹ შემდეგ ჩაუვლის ვარსანს, ვიდრე არ მიაღწევს შეკრების ადგილს. და ისაა ორი ზღვის შეკრების⁹⁰ ადგილი, რომელიც ახსენა დიდებულმა ალლაჰმა, და ის ითვლება წმინდად [ადგილი],⁹¹ იკრიბებიან ის [არაქსი] და ალ-ქურ და მათ შორისაა ქალაქი ალ-ბაჰლაკანი, ხოლო შეკრების შემდეგ მიედინებიან ის ორი [ერთად] ვიდრე ჩაედინებიან ჯურჯანის ზღვაში...

⁸⁹ როგორც ნ. ველიხანოვა მიუთითებს არ-რანის ქვეშ მდ. მტკვარი უნდა ვიგულისხმოდ. Иन्ह Хордадбех, Книга путей и Стран, 1986, გვ. 336. ეს სავსებით ლოგიკურია, რადგანაც არაბულ გეოგრაფიულ ლიტერატურაში არაქსისა და მტკვრის შერთვის ეპიზოდი არაერთხელაა აღნიშნული და, ჩანს, აქ გადამწერის შეცდომა უნდა იყოს. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ თავად დე გუე აღნიშნულ სახელთან არანაირ კომენტარს/მითითებას არ აკეთებს. როგორც ჩანს, ტექსტ(ებ)ში გარკვევით იყო აღნიშნული და ალტერნატიული ვერსიები არ უძებნია.

⁹⁰ ტექსტში არის: „ორი ზღვის შეკრების“ و هو مجمع البحرين და სავარაუდოდ უნდა ყოფილიყო و هو مجمع النهرين „ორი მდინარის შეკრების“.

⁹¹ ამ ეპიზოდთან დაკავშირებით დე გუე მიუთითებს ყურანის მეთვრამეტე სურას.

§ 3. იბნ რუსთა

აჰმად იბნ უმარ აბუ 'ალი იბნ რუსთა ისფაჰანი, რომელიც ცნობილია როგორც იბნ რუსთა (იბნ რუსტე, იბნ რუსთაჰი), იყო მეცხრე-მეათე საუკუნის ირანული წარმოშობის მოგზაური და გეოგრაფი.⁹² მას ეკუთვნის „მვირფასი ყელსაბამების წიგნი“, რომელიც ორ ხელნაწერში შემორჩა და ბრიტანეთის მუზეუმში აღმოაჩინა ჩარლზ პიერ ჰენრი რეიმ (1820-1902). თუმცა, პირველად ის გამოიკვლია დანიელ კვოლსონმა (1819-1911) და ცნობები რუსებისა და ხაზარების შესახებ⁹³ თარგმნა რუსულად, რომელიც გამოიცა 1869 წელს სანქტ-პეტერბურგში.⁹⁴ ებრაული წარმოშობის ვილნიუსელმა მეცნიერმა, რომელიც რუსეთის იმპერიაში ცხოვრობდა, არასწორად წაიკითხა რუსთას სახელი, როგორც „იბნ დასტა“.⁹⁵ აღნიშნული შეცდომა გამოსწორებულ იქნა დე გუეს მიერ, რომელმაც სრულად გამოსცა არაბული ტექსტი 1892 წელს და სწორედ ამ ტექსტით ვისარგებლეთ ჩვენც. უფრო მოგვიანებით კი, უკვე მეოცე საუკუნის დასაწყისში, კარაულოვმა თარგმნა ცნობები კავკასიის შესახებ რუსულ ენაზე და დაბეჭდა СМОМПК-ს ოცდამეთორმეტე გამოცემაში 1903 წელს,⁹⁶ რასაც თან დაურთო არაბული ტექსტიც. საინტერესოა ის, რომ ჩვენამდე მოაღწია იბნ რუსთას „მვირფასი ყელსაბამების წიგნის“ მხოლოდ მეშვიდე ნაწილმა. ჩანს, რომ ნაშრომი უფრო მეტად ენციკლოპედიური და ვრცელი უნდა ყოფილიყო, ხოლო ის ნაწილი, რამაც ჩვენამდე მოაღწია, სწორედ გეოგრაფიულ ან მასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხება.

საკუთრივ იბნ რუსთას შესახებ ძალიან ცოტა რამაა ცნობილი. ვარაუდობენ, რომ ის ისფაჰანიდან იყო და გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა მედინაში, სადაც შესაძლოა გარდაიცვალა კიდევ 903 წელს.⁹⁷ იბნ რუსთას სავარაუდო სპარსული წარმომავლობის მიუხედავად, მისი ნაშრომი თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ

⁹² ამაზე უნდა მეტყველებდეს მისი ნისბები რუსთაჰი და ისფაჰანი.

⁹³ უფრო ზუსტად, ის სივრცე, რომელიც მისი ეპოქის, რუსეთის იმპერიის ტერიტორიებს მოიცავდა.

⁹⁴ Известия о Хозарах, Буртасах, Болгарах, Мадьярах, Славянах и Руссах Абу-Али Ахмеда Бен Омар Ибн-Даста, неизвестного доселе арабского писателя начала X века, по рукописи Британского музея, Императорской Академии Наук, СПб, 1869.

⁹⁵ Известия о Хозарах, Буртасах, Болгарах, Мадьярах..., 1869, გვ. 1, შეცდომა არა მხოლოდ თარგმანში, არამედ სახელის არაბულ დაწერილობაშიც (دستة).

⁹⁶ Караулов Н. А., *Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербайджане*, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Выпуск 32, Тифлис, 1903, გვ. 35-54.

⁹⁷ მისი გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებითაც გვაქვს ორი ვერსია: 913 და 923 წელი. იხ. И.Ю. Крачковский, 1957, გვ. 159.

არაბული გეოგრაფიული ლიტერატურის ნაწილად, მსგავსად იბნ ხორდადბეჰისა. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ იბნ რუსთას თხზულების შუა საუკუნეების დროინდელი ყველა სპარსულენოვანი ხელნაწერი, წარმოადგენს თარგმანს არაბული ენიდან და შესაბამისად, თხზულების ორიგინალ ენად სწორედ არაბული ითვლება. რაც შეეხება უშუალოდ ნაშრომს, ამკარაა სხვადასხვა ავტორთა გავლენები, როგორებიცაა იბნ ფადლანი და იბნ ხორდადბეჰი, განსაკუთრებით ეს უკანასკნელი, რომელიც ტექსტში მხოლოდ ორჯერაა ნახსენები. თავში – ას-სარირ იბნ რუსთა იმოწმებს იბნ ხორდადბეჰს, რომელსაც ალ-ვასიკ ბილლაჰის ამბავი მოუყვა სალლამ ათ-თარჯუმანმა.⁹⁸ თუმცა, განსხვავებით იბნ ხორდადბეჰის ჩვენამდე მოღწეული ტექსტისა, იბნ რუსთას ტექსტი არასრულია და ჩანს, რომ ეს ნაწილი დაზიანებულიც უნდა ყოფილიყო.

ძვირფასი ყელსაბამების წიგნი იწყება თავით პლანეტებსა და ასტრონომიაზე, რომელშიც უხვადაა ჩართული ციტირებები ყურანიდან და ერთგვარად არის მცდელობა ამ მეცნიერების წარმოჩენისა ყურანთან კავშირში. ზოგადად, თხზულება დატვირთულია ცნობებით თუ ლეგენდებით მოციქულის და მისი მიმდევრების შესახებ, ასევე ციტატებით ყურანიდან, რაც იბნ რუსთას წარმოაჩენს როგორც ფილოლოგ/ლიტერატორ-გეოგრაფს.⁹⁹ თუმცა, ტექსტში ასევე წარმოდგენილია ენციკლოპედიური ხასიათის ცნობები.

იბნ რუსთა ერთ-ერთი პირველია არაბ-მუსლიმ ავტორთაგან, ვინც მსოფლიოს კლიმატებად (იკლიმ) ყოფს. კავკასიის რეგიონი კი ბოლო ორ მეექვსე და მეშვიდე კლიმატებშია მოქცეული. საინტერესოა ზოგადად შვიდ ნაწილად დაყოფის თემაც, რომელიც არც მეტი არც ნაკლები ძველ ირანულ ტრადიციებს ეყრდნობა, რომლის მიხედვითაც ირანი იყოფოდა შვიდ ქიშვარად,¹⁰⁰ ხოლო მსოფლიო შვიდ ნაწილად. რაც შეეხება სიტყვის წარმომავლობას, ძირითადად მიჩნეულია, რომ ის ბერძნული წარმოშობის უნდა იყოს.¹⁰¹ შუა საუკუნეების არაბ-მუსლიმ გეოგრაფებს შორისაც იკლიმის მნიშვნელობა და მისი მოცულობა განსხვავებული იყო. ჩანს სწორედ ამიტომ, იაკუთმა მოგვცა იკლიმის ოთხი შესაძლო განმარტება/დახასიათება:

⁹⁸ Ibn Rosteh, Kitab al-Alak an-Nafisa, Al-Jakubi, Kitab al-Boldan, E.J. Brill, Laden, 1892, გვ. 149.

⁹⁹ Гизбулаев М. А., Сведения о Дагестане в арабском географическом сочинении Китаб ал-а'лак ан-нафиса ибн Руста, Вестник СПбГУ. Востоковедение и африканистика. 2021. Т. 13. Вып. 2, გვ. 189.

¹⁰⁰ كيشوار - ქვეყანა, რეგიონი რომლის შესაბამისი არაბული შესატყვისებია: მინტაკა და ბალად (منطقة, بلد).

¹⁰¹ Miquel A., "Iklim", The Encyclopaedia of Islam, Vol. 3, H-IRAM, E.J.Brill, Leiden, გვ. 1076.

პირველი მნიშვნელობაა, რომელსაც იყენებს ხალხი და მათ ენაში აღნიშნავს რეგიონს (ნაჰია), რაც მოიცავს ქალაქებსა და სოფლებს. იკლიმებს შორისაა ჩინეთი, ხორასანი, ერაყი, სირია, ეგვიპტე და სხვები ამათ მსგავსი. მეორე განმარტებას იყენებს მხოლოდ ალ-ანდალუსის ხალხი და ისინი ემახიან ყველა დიდ სოფელს იკლიმს და, შესაძლოა, მავანმა არ იცოდეს სხვა მნიშვნელობა, გარდა ამ მნიშვნელობისა. თუ თქვა ალ-ანდალუსიელმა, რომ ის არის ამა და ამ იკლიმიდან, ამაში ის გულისხმობს მის ქალაქს (სოფელს) ან რუსთავს. მესამე მნიშვნელობა მოდის ძველი სპარსელებისგან. იაკუთი იმოწმებს აბუ არ-რაიჰან კასიმ ალ-ფარისს,¹⁰² რომლის მიხედვითაც ირანი დაყოფილია შვიდ ქიშვარად, ისევე როგორც მთელი მსოფლიო იყოფა შვიდ ნაწილად, რომლებიც მოცემული აქვს იაკუთს სქემის სახით და რომელიც საკუთრივ ირანის გარშემოა აგებული: პირველი იკლიმი არის ჰინდი, მეორე – ჰიჯაზი, მესამე – ეგვიპტე, მეოთხე – თვითონ ირანი, ცენტრში, რომელიც არის ღერძი, მეხუთე – რომი, მეექვსე – იაჯუჯი (გოგი), ხოლო მეშვიდე – ჩინეთი. მეოთხე განმარტების მიხედვით, რომელიც მიღებულია მათემატიკოსებისა და ასტრონომებისგან, გამოიყენება დედამიწის ორ ძირითად ნაწილად აღმოსავლეთად და დასავლეთად დაყოფისთვის, ასტროლოგიის, ამინდის, სეზონთა ცვლილებების და სხვა მსგავსი საკითხების შესწავლისთვის.¹⁰³

პირველ ცნობებს კავკასიის შესახებ ვხვდებით თავში *ზღვების აღწერა*, სადაც ნახსენებია ბუნტუსის ანუ პონტოს ზღვა და რაც ყველაზე იშვიათია ხოლმე. არაბულ ისტორიულ წყაროებში ნახსენებია ლაზიკა,¹⁰⁴ საიდანაც პონტოს ზღვა ვრცელდება კონსტანტინოპოლამდე და მოცემულია მანძილიც, ასევე ზღვის სიგრძე და სიგანე. ნახსენებია აზოვის ზღვა და მდ. დონიც. მსგავსი ცნობა, თითქმის იდენტურად, მეორდება სხვა ავტორებთანაც.

თავში *მდინარეთა სახე*, საუბარია მდინარე არაქსზე, რომელსაც სათავე ერზერუმთან, კალი კალასთან აქვს. ის ერთვის მდინარე მტკვარს, რომელიც ალანთა ქვეყნიდან გამოდის¹⁰⁵ და ისინი ერთად ჩაედინებიან ჯურჯანის ანუ გორგანის

¹⁰² საუბარი უნდა იყოს ალ-ბირუნზე.

¹⁰³ Jacut's Geographisches Wörterbuch, F.A. Brockhaus, Leipzig, 1866, გვ. 25-27.

¹⁰⁴ გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ლაზიკა-ლატაკიის მსგავსი დაწერილობა გვხვდება.

¹⁰⁵ ტრადიციულად სხვა არაბი ავტორებიც იმავეს მიიჩნევდნენ: მდ. არაქსის სათავედ ერზერუმს, ხოლო მდ. მტკვრის სათავედ ალანთა მხარეს.

ზღვაში. საინტერესოა, რომ კასპიის ზღვა სამი სახელითაა მოხსენიებული: ჯურჯანის, ტაბარისტანის, ალ-ბაბის ზღვა.¹⁰⁶

ხაზართა შესახებ თავში საუბარია მეფე 'აჰმადზე, რომლის თაობაზეც დ. კვოლსონი წერდა, რომ ის არ უნდა ყოფილიყო საკუთარი სახელი. შესაბამისად, დ. კვოლსონი მას უკავშირებდა თურქულ ტომებში გავრცელებულ ერთგვარ ტიტულს *შე, შა, შეხუ*, ფორმებს. ამათგან, შეხუ აღნიშნავდა ხაზართა ხაკანის უფროს ვაჟს, მემკვიდრეს. ხოლო, შე და შა ნიშნავდა ხაკანთან დაახლოებულ პირს, სარდალს ან მეთაურს.¹⁰⁷ გამოდის, რომ იბნ რუსთა მას არა სახელით, არამედ ტიტულით მოიხსენიებს. პარალელი მსგავს შეუსაბამობასთან შეგვიძლია გავავლოთ იგივე ას-სარირის მეფის სახელთანაც, რომელსაც იბნ რუსთას მიხედვით ჰქვია *ავარი* და რაც უფრო ეთნონიმს ჰგავს. 'აჰმად-ს როგორც ტიტულის მნიშვნელობაზე ისიც მიუთითებს, რომ იბნ რუსთას ცნობით, ხაზარებს სხვა მეფეებიც ჰყავთ, თუმცა სწორედ 'აჰმად მათ შორის უდიდესი. ამ საკითხთან დაკავშირებით ასევე გვსურს დამატებით გამოვთქვათ მოსაზრება და სახელი 'აჰმად დაუკავშიროთ აშიდეს თურქულ ტომს (არაბ. أشيد), რომლის დაწერილობაც ჰპოვებს მსგავსებას 'აჰმად (أشيد) ფორმასთან. აქ კიდევ უფრო საინტერესოა ის ფაქტი, რომ აშიდას ტომის წარმომადგენლები ითვლებოდნენ პირველი მითიური, ღვთაებრივი, ხაკანის შთამომავლებად, რომლის სახელიც იყო 'შიჰ შან ხაკანი.¹⁰⁸

ასევე აღსანიშნავია, რომ ხაზარებთან ცხოვრობენ მუსლიმები და მათ აქვთ მეჩეთი, ჰყავთ იმამები და მუეძინები, ასევე აქვთ სასწავლო დაწესებულებები (ქუთთაბ), რომლებიც ერთგვარი დაწყებითი სკოლის როლს ასრულებდა არაბულ-ისლამურ სახალიფოში. შესაბამისად გამოდის, რომ ისლამი მეცხრე საუკუნისთვის საკმაოდ შორსაა გავრცელებული და აღწევს კასპიის ზღვის ჩრდილოეთ სანაპიროს. ამ შემთხვევაში ისლამის გავრცელება არ არის მხოლოდ ვაჭრების და მოგზაურების სახით წარმოდგენილი, როგორც ხდებოდა ხოლმე, მაგალითად, შორეული აღმოსავლეთს ქვეყნებში. ხდება ისლამის შემდგომი გავრცელებაც ადგილობრივ მოსახლეობაში, რამდენადაც ქუთთაბების არსებობა მუსლიმი მოგზაურებისთვის თუ

¹⁰⁶ ყველაზე ხშირად არაბულ გეოგრაფიულ თუ ისტორიულ ხასიათს თხზულებებში კასპიის ზღვას ხაზართა ზღვას უწოდებენ.

¹⁰⁷ Известия о Хозарах, Буртасах, Болгарах,Мадьярах..., 1869, გვ. 56.

¹⁰⁸ Pulleyblank E., A Sogdian Colony in Inner Mongolia, T'oung Pao Second Series, Vol. 41, Livr. 4/5, Leiden, 1952, გვ. 332 (შენ. 4).

ვაჭრებისთვის არ წარმოადგენს არანაირ აუცილებლობასა თუ საჭიროებას. მით უფრო, რომ ქუთათაბების პირველადი და უმნიშვნელოვანესი დანიშნულება ლოცვისა და ყურანის კითხვასთან ერთად არაბული ენის შესწავლაა.

საინტერესოა მოხსენიება ადარნასესი, რომელიც იყო ქალაქ ჰაფზანის მეფე და ლოცულობდა მუსლიმებს, იუდეველებსა და ქრისტიანებთან ერთად. იბნ მისქავაიჰი თითქმის იდენტურად იმეორებს აღნიშნულ ცნობას იმ განსხვავებით, რომ მის ცნობაში ნახსენები არაა მეფე ადარნესე და ლოცვის შესახებ ისტორია მიემართება ჰაფზანის ხალხს.¹⁰⁹ ტექსტში ნახსენებ მეფე ადარნასესთან დაკავშირებით კი ვფიქრობთ, საუბარი უნდა იყოს ჰერეთის მმართველ ადარნასე პირველზე, საჰლ იბნ სუმბატის ძეზე.¹¹⁰ მათ ერთობლივად გაილაშქრეს მიჰრანიდებზე/ფეროზიანებზე და ამოხოცეს ისინი.¹¹¹ აქამდე ცნობილი არ იყო, ვინ მართავდა ჰერეთს საჰლ იბნ სუმბატის შემდეგ, რომელიც 853 წელს ბულა თურქმა შეიპყრო და სახალიფოში გაგზავნა. არსებობდა მხოლოდ ვარაუდი ადარნასეს როგორც ახალი მთავრის შესახებ. იბნ რუსთასთან კი ის პირდაპირ მოხსენიებულია არა როგორც მთავარი, არამედ როგორც მეფე. შესაბამისად, აღნიშნული ცნობა ავსებს ჰერეთის ისტორიის კიდევ ერთ საინტერესო მონაკვეთს, რომლის შესახებაც აქამდე მხოლოდ ვარაუდი არსებობდა. ამასთან, გამოვრიცხავთ, რომ აღნიშნული ადარნასე იყოს ადარნასე მეორე, უკვე ჰერეთის მეფე, რომელიც გრიგოლ ჰამამის შემდგომ მართავდა ჰერეთს. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს. პირველ ყოვლისა, იბნ რუსთას თხზულების შექმნის ძირითად თარიღად მიჩნეული 903 წელი,¹¹² მაშინ როცა ადარნასე მეორე დაახლოებით 915 წლიდანაა მეფე, შესაბამისად ის იბნ რუსთას თხზულებაში ვერ მოხვდებოდა. მართალია, არსებობს მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ აღნიშნული თხზულება უფრო გვიან 913 წელს შეიქმნა, მაგრამ ასევე აზრთა სხვადასხვაობაა

¹⁰⁹ Minorsky V., *Caucasica IV*, Bulletin of the School of Oriental and African Studies, Vol. 15, #3, London, 1953, გვ. 525.

¹¹⁰ ადარნასეს სახელით მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში კიდევ რამდენიმე პიროვნებაა: ადარნასე შავლიანი, რომელიც მეცხრე საუკუნის 80-იან წლებში იყო აფხაზეთის მეფე, ადარნასე პირველი ამოტ კურაპალატის შვილი (გარდ. 867 წ.), ადარნასე მეორე „ქართველთა მეფე“ მეცხრე საუკუნის 80-იანი წლების მიწურულიდან. ჩამოთვლილ მმართველებს გამოვრიცხავთ ერთი მარტივი მიზეზის გამო, იბნ რუსთაჰის ტექსტში საუბარია ას-სარირის მომიჯნავე ტერიტორიაზე, რომელშიც გადადის გზა ას-სარირიდან და რომლის მეფეც არის ადარნასე. გამომდინარე ას-სარირის ლოკაციიდან, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობდა, შესაბამისად მის მოსაზღვრე ტერიტორიებად გვაქვს კახეთი და ჰერეთი, რაც ტაო-კლარჯეთს და დასავლეთ საქართველოს გამორიცხავს.

¹¹¹ Бунияттов З., *Азербайджан в VII-IX ВВ.*, Баку, 1965, გვ. 184-185

¹¹² Крачковский И.Ю., 1957, გვ. 159.

საკუთრივ იბნ რუსთას გარდაცვალების თარიღთან დაკავშირებითაც.¹¹³ დამატებით შეგვიძლია აღვნიშნოთ იბნ რუსთას კიდევ ერთი ცნობა, რომელიც მოცემულია იმავე თავში – ას-სარირ და მასში ნახსენებია ასევე ას-სარირის მეფე ავარი (ან ავაზი). სწორედ ამ ცნობას მოსდევს ინფორმაცია ადარნასეს შესახებ. რაც შეეხება ავარს, რამდენადაც ცნობილია, ის მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში იყო ას-სარირის მმართველი. ამდენად, ჩვენ ვთვლით, რომ ეს კონკრეტული ცნობა არ სცდება მეცხრე საუკუნეს. ადარნასე პირველის მეფედ მოხსენიებამ კი შესაძლოა გარკვეული კორექტივი შეიტანოს ჰერეთის სამეფოს მმართველთა ტიტულატურაში, რამდენადაც იბნ რუსთასთან ადარნასე ჰერეთის მეფეა. შესაბამისად, ეს ცნობა წინ უსწრებს მოვსეს კალანკატუაცის ცნობას, რომლის მიხედვითაც ჰერეთის მეფის ტიტული 893 წელს მიიღო გრიგოლ ჰამამმა. თუ იბნ რუსთასთან ნახსენებ ადარნასეს ჰერეთის მმართველად მივიღებთ, მაშინ ისმის კითხვა, რა იგულისხმება ან სად მდებარეობდა ხსენებული ჰაფან/ჰაფანი, რომლის მეფედაცაა ნახსენები ადარნასე? არსებობს სხვადასხვა მოსაზრება ამ ტოპონიმის იდენტიფიკაციასთან დაკავშირებით: ვ. მინორსკი სამ სხვადასხვა ადგილს მოიაზრებდა ხაიდაკს, ხიზს და ჰანდანს.¹¹⁴ ასევე არ გამოვრიცხავთ შემდეგს: *ჰაფან/ხაფანის ჯურზანად შესაძლო გამოყენების შემთხვევებს. დამატებით, გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ხსენებული ტოპონიმი შეესაბამება ხაზარს თავისი მნიშვნელობით და დაკავშირებულია დარუბანდთან. ასევე, იბნ რუსთასა და სხვა ავტორებზე დაყრდნობით, ვვარაუდობთ, რომ ტოპონიმ ჰაფან/ხაფანში ვიგულისხმობთ ჰერეთი და ჰერეთის სამეფო, შესაძლოა ხორანთაც.*¹¹⁵ შესაბამისად, ჰაფანს თუ გავაიგივებთ ჰერეთთან ან ხორანთან მაშინ ხსენებული ადარნასე ავტომატურად ჯდება მისი მმართველის რანგში. ასევე, ისიც შეგვიძლია დავამატოთ, რომ ას-სარირთან ჰაფანის მოსაზღვრეობა სავსებით მისაღებია ჰერეთისა და ას-სარირის, როგორც მოსაზღვრე ტერიტორიების ისტორიულ გეოგრაფიასთან მიმართებაში.

ბულა თურქის ლაშქრობამდე საკლ იბნ სუმბატს, ჰერეთის მმართველს და რანთა მეფეს, კარგი ურთიერთობა აქვს სახალიფოსთან, რომლის ნებართვითაც იგი იპყრობს

¹¹³ Крачковский И.Ю., გვ. 159-160.

¹¹⁴ Minorsky V., *Caucasica IV*, 1953, გვ. 525.

¹¹⁵ ეჯიბია ო., ტოპონიმი ჰაფან/ხაფანი და მასთან დაკავშირებული იბნ რუსთას ერთი ცნობა ჰერეთის ისტორიისთვის, სპეკალი, 2021. <http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/15/268> (ბოლო ნახვა: 30/01/2022)

ალბანეთის დანარჩენ ნაწილს, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს.¹¹⁶ განსხვავებით სხვა ქართული სამეფო-სამთავროებისგან, ჰერეთი თითქმის არ იბრძვის არაბების წინააღმდეგ და შედარებით მშვიდობიან პოლიტიკას ატარებს.¹¹⁷ მაგალითისთვის, თუ შევადარებთ კახეთისა და ჰერეთის სამეფო-სამთავროების შექმნას დავინახავთ, რომ ორივე შემთხვევაში კავშირი არსებობს არაბულ-ისლამურ სახალიფოსთან, მაგრამ ეს ურთიერთობა განსხვავებულია. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ წანარების მიერ შექმნილი კახეთის სამეფო-სამთავრო, სახალიფოსთან ბრძოლითა და დაპირისპირებით იქმნება. მაშინ როდესაც ჰერეთის სამეფო-სამთავრო სახალიფოსთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებით და მოკავშირეობის საფუძველზე ყალიბდება, რაზეც ასევე მიანიშნებს საკლ იბნ სუმბატის მონაწილეობა ჯერ ბაბექის მხარეს აჯანყებაში, შემდეგ კი მხარის შეცვლა და დამარცხებული აჯანყების ხარჯზე მიღებული პრივილეგიები, მათ შორის „რანთა მეფის“ ტიტულიც. რაც შეეხება ადარნასეს, იბნ რუსთასთან ის პირდაპირ მოხსენიებულია, როგორც მეფე.¹¹⁸

დამატებით ას-სარირის შესახებ თავი ასევე საინტერესოა იქ გამავალი მარშრუტის თვალსაზრისით, კერძოდ კი იბნ რუსთას ცნობიდან ჩანს ას-სარირში მიმავალი ორი გზა: ერთი პირობითად ჩრდილოეთიდან მიმავალი, ხაზართა მხრიდან, ხოლო მეორე – პირობითად სამხრეთიდან, სავარაუდოდ, სამხრეთ კავკასიიდან მიმავალი. იბნ რუსთა გამონაკლისია შუა საუკუნეების ავტორებს შორის, მხოლოდ მასთანაა ნახსენები ას-სარირისკენ მიმავალი ორი სხვადასხვა გზა. ერთი გზა, რომელიც ას-სარირს აკავშირებს ხაზართა მხარეს, და მეორე გზა, რომლითაც ას-სარირი სამხრეთ კავკასიის მხარეებს უკავშირდებოდა. იბნ რუსთასვე ცნობით, ას-სარირის მთავარი ქალაქის მოსახლეობა ქრისტიანია მმართველის ჩათვლით, ისევე როგორც ალ-ლანთა მეფე, ხოლო დანარჩენები, ურწმუნოები არიან. ზოგადად, რელიგიური მრავალფეროვნების თვალსაზრისით, იბნ რუსთას ცნობებიდან შეგვიძლია მარტივად დავასკვნათ, რომ სამი დიდი მონოთეისტური რელიგიის წარმომადგენლები, იუდეველები, ქრისტიანები და მუსლიმები ცხოვრობდნენ კავკასიის რეგიონში და ეს თანაცხოვრება მშვიდობიანი იყო. ამასთან,

¹¹⁶ საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ.2 , საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1973, გვ. 409.

¹¹⁷ საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ.2, 1973, გვ. 412.

¹¹⁸ ეჯიბია ო., ტოპონიმი ჰაფზან/ხაფზანი..., 2021.

<http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/15/268> (ბოლო ნახვა: 30/01/2022)

განსაკუთრებით კავკასიის მთებში ცხოვრობენ „ურწმუნოებიც“, რომლებშიც კერპთაყვანისმცემლები, ტრადიციული რელიგიების მიმდევრები უნდა მოვიაზროთ.

§ 4. ძვირფასი ყელსაბამების წიგნი

გვ.83 ზღვების სახე

დედამიწის უდიდეს ღრმულთაგან ხუთია ყველაზე ცნობილი: ზღვა ალ-ჰინდის ფარისის და აჰ-ჰინის; ზღვა არ-რუმის 'იფრეკიას და აშ-შამის; ზღვა 'ჰუკიანჰის, რომელიც არის დასავლეთის ზღვა (ალ-მადრიბის); ბუნტუსის ზღვა, ზღვა ტაბარისტანისა და ჯურჯანისა.¹¹⁹

გვ.85

15: და ბუნტუსუს ზღვა ვრცელდება ლაზიკიდან ვიდრე ალ-კუნსტანტინიამდე, სიგრძეში 1300 მილია, სიგანეში 300 მილი და ჩაედინება მასში მდინარე, რომელსაც ეწოდება ტანისი¹²⁰ და ის მოედინება ჩრდილოეთის მხარიდან იმ ტბაში, რომელსაც ჰქვია მავტიში,¹²¹ ზღვა დიდია, ხოლო რასაც უწოდებენ ტბას¹²² სიგრძეში დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ არის 300 მილი სიგანეში კი 100 მილი. საკუთრივ ალ-კუნსტანტინიადან გადის მასში (ზღვაში) ყურე,¹²³ მსგავსად მდინარისა და უერთდება ეგვიპტის ზღვას.¹²⁴ მისი მოცულობა ალ-კუნსტანტინიადან 3 მილია და ალ-კუნსტანტინია გაშენებულია მასზე (მის პირას).

გვ.86

5: ...ზღვა ტაბარისტანისა და ჯურჯანისა ისაა ალ-ბაზის ზღვა, მისი სიგრძე დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ არის 1800 მილი, სიგანე კი 600 მილი.¹²⁵ მასში ორი კუნძულია, ტაბარისტანთან, რომლებიც ადრე იყო დასახლებული.

¹¹⁹ ხუთი ჩამოთვლილი წყლის დიდი სივრცეები მოცემულია შემდეგი სავარაუდო თანმიმდევრობით: ინდოეთის ოკეანე, ხმელთაშუა ზღვა, ატლანტის ოკეანე, შავი ზღვა და კასპიის ზღვა.

¹²⁰ მდ. დონი, რომლის არაბული სახელწოდება ძველი ბერძნული ქალაქის ტანისის (Τάναις) სახელიდან უნდა მოდიოდეს.

¹²¹ იგივე მეოტია, აზოვის ზღვა.

¹²² აქ „ზღვაში“ იგულისხმება შავი ზღვა, ხოლო ტბაში აზოვის ზღვა.

¹²³ საუბარია მარმარილოს ზღვაზე.

¹²⁴ აქ ხმელთაშუა ზღვა.

¹²⁵ სავარაუდოდ, შეცდომას უშვებს რუსთაპი და მანძილები უნდა იყოს პირიქით, რადგანაც კასპიის ზღვა ჩრდილოეთიდან სამხრეთისკენაა დაჭიმული. თუმცა, ასეთი შეცდომა უცხო არაა და გვხვდება შუა საუკუნეების აღმოსავლურ თუ დასავლურ რუკებზეც, სადაც კასპიის ზღვა აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ ფართოვდება.

გვ.89 მდინარეთა სახე

10: არ-რასის მდინარე 'არმნიის მდინარეა, რომელიც გამოდის კალი კალდან¹²⁶ და ჩაუვლის ოსპის ნაპიათაგანს¹²⁷ და მის ბაზარს, შემდეგ კი დაბნის. ჩაუვლის ალ-მადჰინს და მასში იკრიბება მდინარეები 'არმნიისა და ალ-მადჰინის მთებიდან, შემდეგ ჩაუვლის ვარსანს, შემდეგ ბარზანჯს და როცა მას გაივლის უერთდება მდინარე ალ-ქურსს და მიემართება ტაბარისტანის ზღვისკენ. ხოლო მდინარე არ-რასი გამოდის კალი კალდან, ჩაუვლის 'არრანს და უერთდება მას მდინარე 'არრანი,¹²⁸ შემდეგ ჩაუვლის ვარსანს და შეკრების ადგილს და უერთდება მდინარე ალ-ქურსს ხოლო მათ შორისაა ქალაქი ალ-ბაჰლაკანი და ორივე ჩაედინება ჯურჯანის ზღვაში. მდინარე ალ-ქური კი გამოედინება ალ-ლანის ქვეყნიდან და ჩაუვლის თაფლანს, ბარჯას და ჩაედინება ტაბარისტანის ზღვაში.

გვ.98 ხსენება შვიდი კლიმატისა და სახელები მათი ცნობილი ქალაქებისა

5: ...მეხუთე კლიმატი¹²⁹ იწყება აღმოსავლეთიდან აჯჯუჯის ქვეყნიდან, შემდეგ გრძელდება ხურსანის ჩრდილოეთით და იქ არსებულ ქალაქთაგანია ატ-ტარაზი სავაქრო ქალაქი, და ნავქათი, 'ისბიჯაბი, აშ-შაში, ტურარაბანდი, ხვარაზმი, შემდეგ 'აჯარბაჯანი და 'არმნიის რეგიონში ბარჯას, ნაშავა, სისაჯანი, 'არზანი, ხილასტი, შემდეგ ჩაუვლის არ-რუმის ქვეყანაში ხარმანას და სოფელს არ-რუმშია ალ-ქაბირას. შემდეგ გაივლის აშ-შამის ზღვის სანაპიროსთან რაც მის ჩრდილოეთითაა, შემდეგ ალ-'ანდალუსის ქვეყანაში, ვიდრე არ დასრულდება დასავლეთის ზღვაში.

მეექვსე კლიმატი იწყება აღმოსავლეთიდან და ჩაუვლის მანჯუჯის ქვეყანას, შემდეგ ხაზართა ქვეყანას და კვეთს ტაბარისტანის ზღვას არ-რუმის ქვეყანამდე და ჩაუვლის ჯურზანს და 'ამასიფას, ჰირაკლას, ხალკინჯუნს, ალ-კუნსტანტინიფას, ბურჯანთა ქვეყანას, და სრულდება დასავლეთის ზღვაში.

გვ.105 'ირანშაჰრის მხარეები

¹²⁶ წერია ცალ- ცალკე قالى فلا ცალკე.

¹²⁷ يمر برستاق من ناحية العدى - ცალკე აღებული 'ადს ნიშნავს ოსპს, შეიძლება ასეც ვთარგმნოთ: ჩაუვლის რუსთავს ოსპის ნაპიათაგან. თუმცა, ასევე გვაქვს სირიაში რამდენიმე დადასტურებული ტოპონიმი, რომელთა სახელებშიც გვაქვს სიტყვა 'ადს. მაგ. ჩრდილოეთ სირიაში სოფელი დაჰრ ალ-'ადს, დარის რეგიონში. ამდენად, შესაძლოა ჩვენს შემთხვევაშიც რომელიმე ტოპონიმთან გვეკონდეს საქმე, რომელიც ამჟამად არ იქმნება. დე გუე კი კომენტარში მიუთითებს, რომ მსგავსი აღწერილობა ამ მდინარესთან დაკავშირებით არსად გვხვდება. იგულისხმება, რომ მისთვის ცნობილ სხვა ავტორებთან მსგავსი ცნობა არსად გვხვდება.

¹²⁸ ზუსტად იდენტური შემთხვევის შესახებ განხილული გვაქვს იბნ ხორდადბეჰთან.

¹²⁹ მეოთხე კლიმატშია მოხსენიებული შიმშატი და კალიკალა.

გვ.106. 9:... 'აზარბაჯანის მხარეშია 'არდაბილი, მარანდი, ბაჯარვანი, ვარსანი, ალ-მარადა. 'არმინიის მხარეშია 'არრანი,¹³⁰ ჯურზანი, ნაშავა, ხილასტი, დუბილი,¹³¹ სირაჯი, სულდაბილი, ბაჯუნისი, 'არჯიში, სისაჯანი, და ქალაქი ბაბ ალ-აბვაბი.

გვ.139 ალ-ხაზარ

ალ-ბაჯანაქიფასა და ალ-ხაზარს შორის მანძილი ათი დღის სავალია ქვიან სტეპზე და არ არის მათ შორის გზა გაკვალული ან მიზანმიმართული. თუმცა, მათი გზაც არის მსგავსად ქვიანი და ეკალ-ბარდიანი, ვიდრე მიაღწევდე ალ-ხაზართა ქვეყანას. ალ-ხაზართა ქვეყანა კი არის ვრცელი ქვეყანა, რომლის ერთ-ერთ მხარესაც ესაზღვრება დიდი მთები, და ეს ის მთებია, რომლებიც ეშვებიან უშორესი ტყლას და ლჟლურიდან და გრძელდება ეს მთები ქალაქ თაფლასამდე. მათ (ხაზარებს) ჰყავთ მეფე, ემახიან მას 'აჰმან¹³² (ან 'იშან). ხოლო მეფეთა შორის უდიდესია, რომელიცაა ხაზართა ხაკანი,¹³³ თუმცა არ აქვს მას ალ-ხაზართა მორჩილება გარდა სახელისა და მბრძანებლობა არის 'აჰმანზე. რამდენადაც ის იყო მბრძანებელი ჯარებისა და მმართველობისა, რომელსაც არ აინტერესებდა იმ სხვათა აზრი, ვინც მასზე მაღლა იდგა. მათი უმაღლესი მეთაური აღიარებს იუდეველთა რელიგიას, ისევე როგორც 'აჰმან და ისინიც ვინც მორჩილებენ მას მეთაურები და დიდებულები. დანარჩენები კი არიან აღმსარებლები თურქთა რელიგიის მსგავსისა. მათი ქალაქია სარ'შანი და იქ სხვა ქალაქიცაა, რომელსაც ემახიან ჰაბ ნალა¹³⁴ ან ჰაბაბლა.¹³⁵ ზამთარში ხაზართა მოსახლეობა ცხოვრობს ამ ორ ქალაქში, ხოლო როცა დადგება გაზაფხულის დღეები გამოდიან სტეპში და არ ტოვებენ მას ზამთრის დადგომამდე. ხოლო ამ ორ ქალაქში არის მუსლიმი ხალხიც. მათ აქვთ მეჩეთი, ჰყავთ იმამები,¹³⁶ მუეძინები და აქვთ ქუთთაბები.¹³⁷ და დაავალა მათმა მეფე 'აჰმან ძალისა და შეძლების მქონეებს გამოეყვანათ მხედრები (კავალერია) მათ ხარჯზე, მათი შესაძლებლობების, შემოსავლისა და ფულის ფარგლებში და ისინი ებრძვიან ალ-ბაჯანაქიფას ყოველ წელს. ხოლო 'აჰმან თავის თავზე იღებს მისი ჯარის ხარჯებს და ლაშქრობს მის

¹³⁰ დე გუე კომენტარში მიუთითებს ერევანის შესაძლებლობას ابروان ფორმით. თუმცა, ვთვლით, რომ ეს ვერსია ნაკლებად საფიქრებელია.

¹³¹ გახმოვანებულია.

¹³² ايشا.

¹³³ ხაზარი და ხაკანი ორივე არტიკლის გარეშეა.

¹³⁴ هب نلع.

¹³⁵ გაუხმოვანებელი حسل, დე გუე მიუთითებს, რომ უნდა იგულისხმებოდეს ხამილიჯი خملج.

¹³⁶ წერია მრავლობით რიცხვში ائمة.

¹³⁷ كئاب მრ. كتائب დაწყებითი სკოლა არაბულ-მუსლიმურ სახალიფოში.

ჯართან ერთად და ისინი (ჯარისკაცები) არიან მშვენიერი. და როდესაც ჯარი გადის სალაშქროდ გადის სრული აღჭურვილობით და იარაღის ჟღარუნით, დროშებით, შუბებით და ჯაჭვის პერანგებით. მათი ჯარი შედგება 10 000 მხედრისგან, მეფისა და დიდებულთა ერთად. როდესაც გავლენ სადმე სალაშქროდ, ის ხელში იჭერს მსგავსად ქოლგისა რომელიც ჰგავს დაფს,¹³⁸ რომელიც მის ('აჰმას) წინ მიაქვთ მხედრებს. ხოლო, 'აჰმა მოსდევს უკან და მას მიჰყვებიან მხედრებიც, რომლებიც მისდევენ იმ ქოლგის ბრჭყვიალებას. როდესაც ხელში ჩაიგდებენ ნადავლს, აგროვებენ მას სამხედრო ბანაკში, შემდეგ 'აჰმა ირჩევს და იღებს მისგან იმას, რაც მოეწონება, ხოლო დანარჩენს ინაწილებენ მეომრები.

გვ. 147 ას-სარირ

5: გზას აღ-ხაზარიდან იქამდე სჭირდება 12 დღე სტეკში, შემდეგ გზა მიიწევს მაღლა, მაღალ მთებში და ხეობებში სამი დღის სავალზე, ვიდრე არ მიაღწევს მეფის ციხეს. ხოლო ისაა ციხე მთის წვერზე ოთხი ფარსახი ოთხ ფარსახზე, რომელსაც შემოვლებული აქვს ქვის კედელი. მეფისთვის არის საწოლი (ტახტი)¹³⁹ ოქროსი და ვერცხლისა. ციხის მოსახლეობა, ზოგადად ქრისტიანები არიან, ხოლო დანარჩენი სამეფოს მოსახლეობა ურწმუნოა. მათი მეფე ფლობს 20000 ხეობას, იქ არიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ სოფლები და დასახლებები და ყველანი ისინი თაყვანს სცემენ მშრალი თავებით.¹⁴⁰ თუ კი ვინმე მათთან მოკვდება, დაასვენებენ ბალდახინზე და გაიტანენ მოედანზე, სადაც ტოვებენ სამ დღეს იმავე ბალდახინზე; შემდეგ მიემართება ქალაქის მოსახლეობა აბჯრითა და ფარებით მიდიან მოედანზე, მათ მოაქვთ შუბები მიცვალებულის ბალდახინთან და მის ირგვლივ დგებიან აშინებენ ამ შუბებით მას, თუმცა არ ეხებიან. მე ვკითხე მათ ასეთ ქმედებაზე, იმათ კი მიპასუხეს: იყო ჩვენთან ერთი კაცი, რომელიც გარდაიცვალა და დავმარხეთ, სამი დღის შემდეგ კი ყვიროდა საფლავიდან, ამიტომ ჩვენ ვტოვებთ გვამს სამი დღით და მეოთხე დღეს კი ვცდილობთ დავაშინოთ იარაღით, თუ კი მის სულს სურს დაბრუნდება მის სხეულში. ეს ამბავი დაახლოებით 300 წლის წინ უნდა მომხდარიყო მათთან. და მათ მეფეს ჰქვია ავარი.

¹³⁸ შესაძლოა ეს ყოფილიყო ერთგვარი „საწინამძღვრო ნიშანი“ ან დროშის მსგავსი რამ.

¹³⁹ შეიძლება ითქვას რომ ერთგვარი სიტყვებით თამაშია, რადგან სარირ (سرير) არაბულად საწოლს ნიშნავს, ამავდროულად, ას-სარირ (السريير) ტოპონიმია, ხოლო, სარირი აღ-მალიქ (سرير الملك) ნიშნავს სამეფო ტახტს.

¹⁴⁰ كلهم يعبدون راسا يابسا.

ციხიდან მარჯვნივ გზა, რომელიც მისგან გამოდის მიდის მაღალ მთებსა და ტყეს შორის, ეს გზა მიდის 12 გაჩერება (მანზილ), რომელიც მიდის ქალაქამდე, რომელსაც ჰქვია ჰაფზან¹⁴¹ და მას ჰყავს მეფე, რომელსაც ჰქვია 'აზარნარსა,¹⁴² რომელიც აღიარებს სამ რელიგიას, თუ კი არის პარასკევი ლოცულობს მუსლიმებთან ერთად; თუ კი არის შაბათი ლოცულობს იუდეველებთან; ხოლო კვირა დღეს – ქრისტიანებთან ერთად. ყველა, ვინც მივა მასთან, ამტკიცებს, რომ „ისინი ვინც არიან ამ რელიგიის მიმდევრები სწორედ მათ ხელშია ჭეშმარიტება, და რომ სხვების არის სიცრუე, ხოლო მე ვარ ყველას მიმდევარი, ამდენად ყველა ჭეშმარიტი რელიგიის მიმდევარია“.

ათი ფარსახია მათი ქალაქიდან იმ ქალაქამდე, რომელსაც ჰქვია რანჰასი და მასში არის უზარმაზარი ხე, რომელიც არ ისხამს ნაყოფს, იკრიბება მასთან ქალაქის მოსახლეობა ყოველ ოთხშაბათ დღეს და ჰკიდებენ მასზე სხვადასხვა ნაყოფს, თაყვანს სცემენ მას და სწირავენ მსხვერპლს. ას-სარირის მეფეს აქვს ციხეები 'ალალი და ღუმბიქი, სიმაგრე, რომელშიც არის ხაზინა და ეს ის ციხეა, რომელიც მას მისცა ანუშირვანმა.¹⁴³

გვ.148 ალ-ლან

10: გამოდის (გზა) სარირის სამეფოს მარცხნივ და ჩაუვლის მთებსა და სამოვრებს სამი დღის სავალზე და მიდის ალ-ლანთა სამფლობელომდე. ხოლო ალ-ლანთა მეფე ქრისტიანია. ზოგადად კი მისი სამეფოს ხალხი ურწმუნოები არიან და ეთაყვანებიან კერპებს. შემდეგ ათი დღის სავალზე გზა გრძელდება მდინარეებსა და ხეებს შორის ვიდრე არ დასრულდება ციხესთან, რომელსაც ეძახიან ბაბ ალ-ლანს.¹⁴⁴ და ის (ციხე) არის მთის წვერზე ძირში კი გადის გზა, რომლის გარშემოც მაღალი მთებია. ამ ციხის გალავანს კი ყოველ დღე იცავს ათასი კაცი მის ხალხი (ციხის) კი დღე და ღამე მზადყოფნაშია. ალ-ლანები ოთხი ტომია, ხოლო პატივი და მეფე მათგან ჰყავს ტომსა რომელსაც უძახიან დაჰსასს. ალ-ლანთა მეფე, ამბობენ მასზე, რომ აქვს განსხვავებული სახელი, იმ მეფეთაგან ვინც მათ შორისაა. ქალაქი ალ-ბაბი

¹⁴¹ خزان იბნ ხორდადბეჰთან არის ხაიზანი (خيزان). არსებობს მოსაზრება მისი შაქქისთან იგივეობის თაობაზე. თუმცა, იმავე იბნ ხორდადბეჰთან შაქქი და ხაიზანი ცალ-ცალკე, როგორც არმინიის ქალაქები ისეა ნახსენები. Ibn Khordadhbeh, Kitab al-masalik wa'l-Mamalik..., 1889, გვ. 123.

¹⁴² اذرنرسی.

¹⁴³ ნ. კარაულოვი ღუმბიქის ციხეს აიგივებს გუნბის ციხესთან დადესტანში, რომელიც მნიშვნელოვანი პუნქტი იყო შამილისთვის, მის მიერ წარმოებულ ომში. Караулов Н. А., Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербайджане, 1903, გვ. 54, შენ. 30.

¹⁴⁴ ალანთა კარი.

გადაჭიმულია ალ-კაბკის მთის წვერიდან ალ-ხაზართა ზღვამდე და იჭრება ზღვაში სამ მილზე.

თავი 2. X საუკუნის არაბული გეოგრაფიული ლიტერატურა: ალ-ისტახრი, იბნ ჰაუკალი, ალ-მუკადდასი ალ-ბაშარი

§ 1. ალ-ისტახრი

აბუ ისჰაკ იბრაჰიმ იბნ მუჰამმად ალ-ფარისი ალ-ქარხი ალ-ისტახრი (გარდ. დაახლოებით 957 წ.) მეათე საუკუნის არაბულ-მუსლიმური გეოგრაფიული ლიტერატურის ერთ-ერთი პირველი უმნიშვნელოვანესი წარმომადგენელია.¹⁴⁵ ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ საკმაოდ მწირია. ცნობილია, რომ ის და იბნ ჰაუკალი ცხოვრებაში შეხვედრიან ერთმანეთს, ხოლო მისი სამი ნისბადან ერთს იბნ ჰაუკალი გვაძლევს (ალ-ფარისი),¹⁴⁶ ერთს კი – ალ-მუკადდასი¹⁴⁷ (ალ-ქარხი).¹⁴⁸ ამის მიუხედავად, სამეცნიერო წრეებში მიღებულია მისი ალ-ისტახრის ან ისტახრის სახელით/ნისბით მოხსენიება, რომელი სახელიც იაკუთის ცნობების მიხედვით იქნა აღებული და გაზიარებული.¹⁴⁹ რაც შეეხება სხვა ორ ნისბას – ალ-ფარისი და ალ-ქარხის, ალ-ფარისის შემთხვევაში შესაძლოა დავუშვათ, რომ იგი წარმოშობით ყოფილიყო ამ პროვინციიდან. თუმცა, ამავედროულად, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ ნისბის ქვეშ არა უშუალოდ პროვინცია, არამედ ავტორის ეთნიკური წარმომავლობა – სპარსელი იგულისხმებოდა. რაც შეეხება ალ-ქარხის, რომელიც ბაღდადის ერთ-ერთი ცნობილი შიიტური უბანი იყო, შესაძლოა ალ-ისტახრიმ ცხოვრების გარკვეული ეტაპი სწორედ იქ გაატარა და ამიტომაც შეარქვეს

¹⁴⁵ Miquel A., “*al-Istakhri*”, The Encyclopaedia of Islam, vol. 4, IRAN-KHA, E.J.Brill, Leiden, 1997, გვ. 222.

¹⁴⁶ იბნ ჰაუკალთან არაერთხელაა ნახსენები, დამოწმებული აბუ ისჰაკ ალ-ფარისი (ابو اسحاق الفارسي) გვ. 13, 67, 68 ხოლო ერთგან ნათქვამია: *შეეხვდი აბუ ისჰაკ ალ-ფარისის, რომელსაც უკვე აღწერილი ჰქონდა ალ-ჰინდი*. Ibn Hawkal abu'l-Kasim, 1873, გვ. 236.

¹⁴⁷ ალ-მუკადდასისთან გვ.338-ზე ნახსენებია მხოლოდ ალ-ისტახრი, რომელზეც დე გუე კომენტარში აღნიშნავს: *ჩვეულებრივ 'აბდ ალ-რაჰმან ალ-ფარისი (Vulgo عبد الرحمان الفارسي)*. შესაბამისად ეს უფრო დე გუეს ინტერპრეტაცია ჩანს. ასევე გვ. 424-ზე ალ-ისტახრი ნახსენებია, როგორც ისტახრი იბნ ფარის (اصطخر بن فارس). ამდენად, ამ ცნობის მიხედვით ალ-ისტახრი სპარსელის ძეა და შესაბამისად, ეს მისი ნისბა არ გამოდის. Al-Mokaddasi, 1877, გვ. 338, გვ. 424.

¹⁴⁸ Al-Mokaddasi, 1877, გვ. 475.

¹⁴⁹ იაკუთთან ალ-ისტახრი არაერთხელაა ნახსენები ისევე, როგორც რეგიონის – ისტახრის დასახელება. შინაარსობლივი მხარის გარდა, მათი განსხვავება შესაძლებელია არტიკლითაც, გეოგრაფი ალ-ისტახრი არტიკლით და ნისბის ფორმითაა მოცემული. მაგ. პირველ წიგნში გვ. 194-ზე გვაქვს ავტორი ალ-ისტახრი (الاصطخري), ხოლო იმავე წიგნში გვ. 197-ზე რეგიონი ისტახრი, არტიკლის გარეშე (كورة اصطخر) Jacut's Geographisches Wörterbuch, 1-ا F.A. Brockhaus, Leipzig, 1866.

ეს ნისბა.¹⁵⁰ ასევე შეიძლება მის სახელს დავამატოთ ალ-კადი „მოსამართლე“ ნისბაც, რომელიც ერთ-ერთ ხელნაწერზეა მითითებული.¹⁵¹ მეათე საუკუნის ე.წ. კლასიკური არაბულ-მუსლიმური გეოგრაფიული ლიტერატურის ფუძემდებლად ითვლება ალ-ბალხი,¹⁵² რომლის ტრადიციის გამგრძელებლები შემდგომში იყვნენ ალ-ისტახრი, იბნ ჰაუკალი და ალ-მუკადდასი ალ-ბაშარი, რომელთაც ი.ი. კრაჩკოვსი კლასიკურ გეოგრაფიულ სკოლას უწოდებდა.¹⁵³ ალ-ისტახრის გეოგრაფიული ნაშრომია *ქითაბ ალ-მასალიქ ვა-ლ-მამალიქ* („წიგნი გზებისა და სამეფოთა შესახებ“). წიგნის ორიგინალი ენა არაბულია. თუმცა, შემდგომში ასევე შესრულდა მისი სპარსულენოვანი თარგმანიც, რომელიც ზოგიერთ ნაწილში განსხვავდება არაბული ტექსტისაგან. წიგნის პირველი არასრული გამოცემა გამოვიდა ჰამბურგში 1839 წელს და მისი რედაქტორი იყო ჯ. ჰ. მოელერი, რომელმაც ერთ ხელნაწერით ისარგებლა. მოგვიანებით, ალ-ისტახრის ნაშრომის სრული ტექსტი, გამოსცა დე გუემ ლაიდენში 1870 და 1927 წელს, ყველა მისთვის ხელმისაწვდომი ხელნაწერის გათვალისწინებით.¹⁵⁴ შემდეგი კი იყო 1961 წელს კაიროს გამოცემა ალ-ჰინის რედაქტორობით. ცნობები კავკასიის შესახებ რუსულად თარგმნა ნ. ა. კარულოვმა, რომელიც 1901 წელს გამოქვეყნდა СМОПМК-ს 29-ე გამოცემაში არაბული ტექსტითა და კომენტარებით, რომელშიც შევიდა ორი თავი თხზულებიდან არმინია, არ-რანი, აზერბაიჯანი¹⁵⁵ და ხაზართა ზღვა.¹⁵⁶ რამდენადაც კარაულოვის თარგმანი

¹⁵⁰ ცნობილია, რომ ნისბა არა მხოლოდ წარმომავლობის აღმნიშვნელი სახელია, არამედ, შესაძლოა, უკავშირდებოდეს ამა თუ იმ პიროვნების მოღვაწეობის ადგილს, ან იმ ადგილს, სადაც გარკვეული პერიოდი ესა და ეს პიროვნება ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ეს ფაქტორი ხშირად იწვევს კამათს სხვადასხვა ქვეყნებისა თუ ეთნოსების წარმომადგენლებსა და მეცნიერებს შორის. ამის კარგ მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ შუა საუკუნეების ცნობილი პოეტი ჯალალ ალ-დინ ალ-რუმი (ჯალალ ედ-დინ რუმი), რომელიც წარმოშობით თანამედროვე ავღანეთის ტერიტორიის საზღვრებში დაიბადა, წერდა სპარსულად და ითვლება სპარსულენოვან პოეტად. ცხოვრების დიდი ნაწილი გაატარა რუმის სასულთნოში და სწორედ აქედან მოდის მისი ნისბაც „რუმი“. შესაბამისად ზოგიერთი მას თურქ მოღვაწედაც თვლის. იგივე შეიძლება ითქვას ნიზამი განჯელზე, რომელიც აზერბაიჯანელისთვის აზერბაიჯანელი პოეტია, ირანელისთვის სპარსელი.

¹⁵¹ Danilenko Nadja, *Picturing the Islamic World...*, 2021, გვ. 150.

¹⁵² აბუ ზაიდ აჰმედ იბნ საჰლ ალ-ბალხი იყო IX-X საუკუნეების მოღვაწე. სავარაუდოდ, დაიბადა 850 წელს, ბალხის პროვინციაში. რვა წლის ასაკში გადავიდა ბაღდადში, სადაც თითქმის მთელი ცხოვრება გაატარა. ალ-ბალხი თავის გეოგრაფიულ ნაშრომებს საკმაოდ გვიან ქმნის (დაახ.920-21წწ.). გარდაიცვალა დაახლოებით 935 წლისთვის. მას მიაკუთვნებენ სამ გეოგრაფიულ ნაშრომს „კლიმატთა აღწერა“, „ქვეყანათა ტიპები“ და „ქვეყანათა (ან ქალაქთა) დაყოფა“.

¹⁵³ Крачковский И.Ю., 1957. გვ. 194.

¹⁵⁴ ჩვენი ნაშრომისთვის გამოვიყენეთ სწორედ 1927 წლის გამოცემა, რომელიც ფაქტობრივად იდენტურია 1870 წლის გამოცემისა და ემთხვევა ინდექსებშიც კი.

¹⁵⁵ ამ თავში შეგვიძლია გამოვყოთ სამი ქვეთავი, რომლებიც ეხება რეგიონის მდინარეებს, ტბებს და მანძილებს.

შესრულებული იყო 1870 წლის გამოცემის მიხედვით. ზოგან ის შედარებით ნაკლები და არასრულია, ვიდრე 1927 წლის მეორე გამოცემა. 1937 წელს ვლ. ფუთურიძემ სპარსულიდან ქართულად თარგმნა ალ-ისტახრის ცნობებიდან იგივე თავები.¹⁵⁷ 1986 წელს ბრიტანეთში გამოქვეყნდა კ.პ. ჯად ქანდილის დისერტაცია „კრიტიკული გამოცემა ალ-ისტახრის ქითაბ ალ-აკალიმისა“ (A critical edition of Kitab al-Aqalim by al-Istakhri),¹⁵⁸ რომელშიც შევიდა არაბული ტექსტი სქემატური შავ-თეთრი რუკებით და ეყრდნობა იმავე ხელნაწერს, რომელიც გამოიყენა ჯ.პ. მოლერმა და არა დე გუეს კრიტიკულ რედაქციებს. თუმცა, როგორც რუკების, ასევე თავად არაბული ტექსტის ხარისხი საკმაოდ დაბალია. უახლეს გამოცემათაგან აღსანიშნავია 2021 წელს გამოქვეყნებული ნ. დანილენკოს წიგნი „ისლამიზებული მსოფლიოს სახე, ისტორია ალ-ისტახრის წიგნის გზებისა და სამეფოთა შესახებ“ (Picturing the Islamicate World, The Story of al-Iṣṭakhri’s Book of Routes and Realms), რომელიც ალ-ისტახრის თხზულებას, მის ხელნაწერებს და რუკებს ეხება.¹⁵⁹

თავად ნაშრომიდანაც ჩანს, რომ ალ-ისტახრის გარკვეულ ტერიტორიებზე უნდა ემოგზაურა და ეს მნიშვნელოვანი ფაქტორი განასხვავებს მას ალ-ბალხისაგან. ამ ტერიტორიებს შორისაა მავრანაპრი, არაბეთის ნ/კ, ეგვიპტე, ირანი და სირია.¹⁶⁰ აღწერილი ტერიტორიები მოიცავს ისლამურ სამყაროს და მის მოსაზღვრე ზოგიერთ

¹⁵⁶ ძირითადი ინფორმაცია კავკასიის შესახებ სწორედ ამ თავებშია მოცემული.

¹⁵⁷ სახელში გვაქვს „ისტახრი“ ფორმა, რაც სპარსულის გავლენა ჩანს. იმავე გამოცემაში შევიდა ცნობები ჰამდალლაკ ყაზვინის და ჰოდუდ ალ-ალემიდან.

¹⁵⁸ რაც შეეხება თხზულების სათაურს, დე გუეს რედაქციების მიხედვით წიგნს *ჰეჯია: წიგნი გზებისა და სამეფოთა, აბუ ისჰაკ იბრაჰიმ იბნ მუჰამმად ალ-ფარისი ალ-ისტახრისა ცნობილი როგორც ალ-ქარხი. ხოლო ისაა (წიგნი) კლიმატთა სახე (ქითაბ სუვარ ალ-აქალიმ), შაიხ აბი ზაიდ აჰმად იბნ საჰლ ალ-ბალხისა*. როგორც ვხედავთ წიგნის სათაურში ორი სახელია „წიგნი გზებისა და სამეფოთა“ და „კლიმატთა სახე“. შესაბამისად, ზოგიერთ ხელნაწერს აწერია ერთ-ერთი მათგანი, უფრო ხშირად ესაა „წიგნი გზებისა და სამეფოთა“. თუმცა, ნახსენებ, ჯ.პ. მოლლერის მიერ ნაპოვნ ხელნაწერს ეწერა „კლიმატთა სახე“ (შესაძლოა ასევე წიგნი კლიმატებისა _ ფორმით თარგმნაც) Kawthar Hamid Jad Qandil, A critical edition of Kitab al-Aqalim by al-Istakhri, the University of Exeter, Exeter, 1986, გვ.13, რომელიც შემდგომში ზემოთ დასახელებულ დისერტაციაშიც გამეორდა. ამ შემთხვევაში ვფიქრობთ, რომ ორივე ფორმის გამოყენება სწორია, თუ კი ეს ეხება კონკრეტულ ხელნაწერს კონკრეტული სახელწოდებით. ამასთან, ვთვლით, რომ დე გუეს მიერ შემოთავაზებული სათაურის ვარიანტი სრულია და ასახავს ორივე სახელს. ზოგიერთ შემთხვევაში გვაქვს სამი სათაური დასახელებული ორის გარდა/ არის კიდევ ერთი „კლიმატების წიგნი“ (ქითაბ ალ-აკალიმ), როგორც ამას იძლევა ან წერს ზ. მ. ჰასანი, წიგნში მუსლიმი მოგზაურები შუა საუკუნეებში. თუმცა, მისი ეს ინფორმაცია ზედაპირულია და მხოლოდ სახელების ხსენებით შემოიფარგლება. Hasan Z. M., The Muslim travelers in the middle ages, Dar al-red al-Arabi, Beirut, 1981, გვ. 36.

¹⁵⁹ ნახსენებია როგორც არაბული ასევე სპარსული ხელნაწერები.

¹⁶⁰ Крачковский И.Ю., 1957. გვ.196-197.

რეგიონსაც.¹⁶¹ როგორც კ. ჰ. ჯად ქანდილი თავის დისერტაციაში აღნიშნავდა: „ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ ალ-ისტახრიმ იმოგზაურა იმ ტერიტორიებზე, რომელიც მოქცეულია სამ წერტილს შორის (სამკუთხედში) იერუსალიმსა და მექას, როგორც საყრდენ წერტილებს და ბუხარას როგორც აპექს (უკიდურეს მაღალ/შორეულ წერტილს) შორის“.¹⁶²

წიგნი იწყება საკმაოდ ვრცელი შესავლით, რომელშიც საუბარია საკუთრივ თხზულების რაობასა და მიზანზე, ასევე საკმაოდ ამბიციური განაცხადით: ჩემს წიგნში არის აღწერა იმ იკლიმებისა, რომლებიც არავის უხსენებია.¹⁶³ ამასთან, მთელ დედამიწას იგი ჰყოფს ტრადიციულ 7 იკლიმად, ხოლო ისლამის მიწებს 20 იკლიმად და ამ შემთხვევაში იკლიმს აქვს ქვეყნის მნიშვნელობა (كـ-დიარ) და ესენია: არაბთა ქვეყანა (ძირითადად ჰიჯაზის რეგიონი), შემდეგი არის არაბთა ქვეყნიდან სპარსეთის ზღვამდე (იგულისხმება ყურე), შემდეგია ეგვიპტის ჩათვლით დასავლეთისკენ, შემდეგ დიდი სირია (აშ-შამ), შემდეგ არ-რუმის ზღვა, ჩრდილოეთ მესოპოტამია (ალ-ჯაზირა), ერაყი, ხუზისტანი, ფარსი, ქირმანი, ალ-მანსურა, ას-სინდის და ალ-ჰინდის ქვეყნები, აზერბაიჯანი, ალ-ჯაბალის რეგიონი, ად-დეილამი, ხაზართა ზღვა, შემდეგია ტერიტორია ფარსსა და ხორასანს შორის, საჯისტანი, ხორასანი და მავერანნაჰრი (მა ვარა' ან-ნაჰრ – „რაცაა მდინარის იქით“, იგულისხმება ამუდარიას იქით).¹⁶⁴ ამას მოსდევს საუბარი იმ ტერიტორიებზე, რომლებიც მუსლიმებმა წაართვეს სხვადასხვა სამეფოებს. მაგ. არ-რუმს ეგვიპტე, სირია და მალრიბი ალ-ჰინდის სამეფოსგან ალ-მულთანი¹⁶⁵ და ქაბული. ასევე არის ცნობები აფრიკაში მდებარე სამეფოებზე და მათ შორის ნახსენებია ეთიოპია, რომელიც ქრისტიანულია. შესავალში ასევე მოცემულია ზოგადი საზღვრები სამეფოებისა (ბიზანტია, ჩინეთი, ჰინდი, თურქული ტომები, სლავები და სხვა), საუბარია ზღვებზე და ერთგან მოკლედაა ნახსენები ხაზართა, ანუ კასპიის ზღვა. საინტერესოა, რომ ზღვებზე საუბრისას არ გვხვდება შავი ზღვა, რომელსაც არაბულ-ისლამური გეოგრაფიული

¹⁶¹ ი.ი. კრაჩკოვსკი წერდა, რომ ალ-ისტახრი მხოლოდ მუსლიმურ ქვეყნებს აღწერდა (გვ. 197). თუმცა, მაგ. თუნდაც თავი ხაზართა ზღვა არ ეხება მხოლოდ მუსლიმურ რეგიონებს და უფრო შორსაც მიდის და საუბარია არა მხოლოდ ხაზარებზე, არამედ თურქულ ტომებზეც და იმ ეპოქის სხვა არა მუსლიმ ხალხებზეც.

¹⁶² Kawthar Hamid Jad Qandil, A critical edition of Kitab al-Aqalim by al-Istakhri, 1986, გვ. 9.

¹⁶³ Al-Istakhri abu Ishak al-Farisi, 1927, გვ. 3.

¹⁶⁴ Al-Istakhri abu Ishak al-Farisi, 1927, გვ. 3-4.

¹⁶⁵ ქალაქი თანამედროვე პაკისტანში.

ლიტერატურა მეცხრე საუკუნეში უკვე იცნობს. ამასთან, ასევე ცალკე არაა გამოყოფილი/აღწერილი არც მდინარეები და არც ტბები.¹⁶⁶

ალ-ისტახრის თხზულებაში რამდენიმე საინტერესო ფაქტია არმინიასთან დაკავშირებით. პირველ რიგში ეს სახელი არ აღნიშნავს იმ დიდ რეგიონს, რა მნიშვნელობითაც ის გვხვდება სხვა ავტორებთან. კერძოდ, რამდენადაც ცნობილია, პროვინცია არმინია აერთიანებდა აზერბაიჯანს, არ-რანს და საკუთრივ არმინიას. ამ შემთხვევაში კი ის მხოლოდ არმინიის ერთ-ერთ ნაწილს, ისტორიული სომხეთის აღმნიშვნელი სახელია. მიუხედავად ამისა, ალ-ისტახრი აღნიშნავს, რომ ეს სამი პროვინცია ერთი რეგიონია. თავი *არმინიია*, *არ-რანი*, *აზერბაიჯანი* იწყება სწორედ საზღვრების აღწერით და შემდგომში გრძელდება შემადგენელ პროვინციათა უმნიშვნელოვანესი ქალაქების აღწერა-დახასიათებით, რომელიც იწყება აზერბაიჯანიდან, შემდეგ გრძელდება არ-რანით და ბოლოს არმინია. ასევე, ტერმინი ალ-არმან ხშირად გვხვდება, როგორც სომხების აღმნიშვნელი ეთნონიმი და ასევე როგორც ტერიტორიული ერთეული, რომელიც ბიზანტიას ესაზღვრება. აღნიშნული კი არც თუ ხშირია სხვა შუა საუკუნეების არაბულ გეოგრაფიულ თხზულებებში. შუა საუკუნეების მუსლიმ ავტორებთან ისტორიული აზერბაიჯანის, სომხეთის (გარდა კილიკიისა), ალბანეთისა და საქართველოს (ძირითადად აღმოსავლეთ საქართველო) ერთ გეოგრაფიულ რეგიონად მოიაზრებდნენ.¹⁶⁷

საინტერესოა მოკლე ცნობა რეგიონის ენების შესახებ, რომლის ძირითად ენებად არაბული და სპარსულია დასახელებული. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ცნობა ისტორიული აზერბაიჯანის ტერიტორიას მიემართება და არა უშუალოდ კავკასიის რეგიონს. ამას შეგვიძლია დავამატოთ იქვე ნახსენები არმინიის ენა, რომელზეც დვინსა და მის შემოგარენში საუბრობენ, რაც, ცხადია, სომხურ ენას უნდა გულისხმობდეს. რაც შეეხება ბარდავს და მისი მოსახლეობის ენას, ანუ არ-რანის ენას, ამ შემთხვევაში თამამად შეგვიძლია აღბანური ენა¹⁶⁸ ან მისი რომელიმე დიალექტი მოვიზიაროთ, რამდენადაც ავტორის მიხედვით, ამ ენაზე მხოლოდ ბარდავში

¹⁶⁶ შუა საუკუნეების არაბულ გეოგრაფიულ ლიტერატურაში, როგორც წესი, მდინარეებსა და ტბებს ცალკე თავი ეთმობათ ან ზღვებთან ერთად არიან მოცემული.

¹⁶⁷ Yasir Maslah Azizi, Abd Allah Zidan Wahabi, *Historical Geography for caucasian countries and its impact on Islamic conquerers*, The journal of the faculty of General Education, The University of Mosul, Mosul, 2019, გვ. 538 (არაბულ ენაზე).

¹⁶⁸ Бартольд В. В., Сочинения Т. III., Москва, Наука, 1965, გვ. 334.

საუბრობენ. ამასთან, ეს არც არაბულია და არც სპარსული. ასევე გამოვრიცხავთ ალთაური ენათა ოჯახის რომელიმე წარმომადგენელს, რომელიც შესაძლოა ყოფილიყო ამ ვრცელი რეგიონის რომელიმე ნაწილში წარმოდგენილი. მაგალითად, ალ-ხაზარის ენა, რომელსაც სწორედ ამ ფორმით იხსენიებს ალ-ისტახრი. ან თურქთა ენა,¹⁶⁹ რომელიც ასევე ჩანს, რომ ცნობილი იყო ალ-ისტახრისთვის, რადგანაც ის ერთგან ადარებს კიდევ თურქთა ენას ალ-ხაზარის ენასთან. შესაბამისად, კიდევ ერთხელ ვთვლით, რომ არ-რანის ენაში უნდა ვიგულისხმოთ ალბანური ენა ან იმ ეპოქაში შემორჩენილი, მისი რომელიმე დიალექტი. ცხადია ეს იმაზეც მიანიშნებს, რომ მეათე საუკუნეში ალბანელებს შენარჩუნებული ჰქონდათ გარკვეული თვითმყოფადობა და შედარებით ფართო ასპარეზზეც. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ბარდავი წარმოადგენდა პროვინცია არ-რანის ცენტრს და იხსენიება როგორც ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი.

ალ-ისტახრის მიერ რეგიონის შესახებ მოცემული ინფორმაცია მწყობრი და სწორხაზოვანია, რომელი ფორმაც ფაქტობრივად დამახასიათებელი იყო ალ-ბალხის სკოლის წარმომადგენლებისთვის. საზღვრების აღწერის შემდეგ გვაქვს მთავარი, ძირითადი ქალაქების დახასიათება და მათ შესახებ ინფორმაციები რეგიონების მიხედვით. როგორცაა მაგ. აზერბაიჯანის უმთავრესი ქალაქი არდებილი, არმინიის დვინი, არ-რანის ბარდავი და დარუბანდი, ასევე თბილისიც. შემდგომ კი ჩამოთვლილია სხვა მნიშვნელოვანი პუნქტები, რომლებიც იყო იმ რეგიონში.

ალ-ისტახრი ასევე გვაწვდის გარკვეულ ენციკლოპედიურ ინფორმაციასაც რეგიონის ბიომრავალფეროვნების შესახებ. საუბარია არა მხოლოდ ცხოველებზე, არამედ მცენარეებზეც. კერძოდ, დასახელებულია რამდენიმე ენდემური სახეობის თევზი, რომელსაც იჭერდნენ მტკვარში და ვანის ტბაში. ნახსენებია აგრეთვე წაბლი, შვინდი და ცირცელი. ასევე საინტერესოა თუთის ხეების ხსენება, რომლებიც არ ისხამენ ნაყოფს. ავტორი არაერთგან აღნიშნავს რეგიონში არსებული აბრეშუმის წარმოების შესახებ. თუმცა, ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა სწორედ ამ ტიპის ხეების არსებობა, რომელიც მხოლოდ ფოთლებს ისხამს და მხოლოდ აბრეშუმის ჭის გამოსაკვებად გამოდგება. რაც შეეხება კომინელს, ალ-ისტახრი ერთ-ერთი პირველი ავტორია, რომელიც ამ ბუნებრივი პიგმენტის საწარმოებელ ცხოველს

¹⁶⁹ ცხადია, მასში არ იგულისხმება თანამედროვე თურქული ან აზერბაიჯანული.

ასახელებს. ამასთან, მისთვის ცნობილია მისი დანიშნულებაც, რომ ამ პიგმენტით ღებავენ შალს.

პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით არის ერთ საინტერესო დეტალი. ამირას სასახლეების შესახებ, რომლებიც რეგიონების მიხედვით შემდეგ ქალაქებშია გადანაწილებული: არმინია – დვინი, არ-რანი – ბარდავი, აზერბაიჯანი – არდებილი. მეათე საუკუნისთვის დიდი ხნის დარღვეული იყო არაბულ-ისლამური სახალიფოს ერთიანობა, რის გამოც ამირათა სასახლეების ხსენება ამ ქალაქებში, შესაძლოა, იყოს ერთგვარი მცდელობა ამ პროვინციების ცენტრალურ ხელისუფლებაზე დამოკიდებულების წარმოსაჩენად. თუმცა, ეს ასე არ ყოფილა, რადგანაც ჯერ კიდევ მეცხრე საუკუნის პირველ ნახევარში, სახალიფოს ცენტრალურ ხელისუფლებას უჭირდა არა თუ კონტროლის განხორციელება, არამედ რეგიონზე რაიმე სახის გავლენის შენარჩუნება ლაშქრობების მოწყობის შემდეგაც კი. ასევე ცნობილია, რომ მეათე საუკუნის დასაწყისიდან რეგიონში წინაურდებიან სალარიანთა თუ საჯიანთა დინასტიები. ისტორიული აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე კი ყალიბდება სამი დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეული კახეთის, ჰერეთის და თბილისის საამიროს სახით, რომლებიც არ ამჟღავნებენ რაიმე სახის მჭიდროდ ვასალურ დამოკიდებულებას არაბულ სახალიფოსთან და ძირითადად, რეგიონში არსებულ პოლიტიკურ ერთეულებთან, სამთავროებთან, საამიროებთან თუ სამეფოებთან სამხედრო-პოლიტიკური დაპირისპირებებით შემოიფარგლებიან.

ალ-ისტახრი ერთ-ერთი პირველი ავტორია, რომელიც ახსენებს ნავთობის არსებობას ბაქოს მიმდებარედ. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ გარკვეულწილად ხდებოდა კიდევ ამ ბუნებრივი რესურსის გამოყენება ადგილობრივების მიერ. სამწუხაროდ, ალ-ისტახრი მხოლოდ იმას წერს, რომ იქ არის ნავთობი და მეტი არაფერი. ასევე ალ-ისტახრისგან გვაქვს ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ცნობა ენდროს ექსპორტის შესახებ რეგიონიდან, რომელსაც შემდგომში სხვა ავტორებიც იმეორებენ. აღსანიშნავია, რომ ეს პროდუქტი საკმაოდ შორს გაჰქონდათ და მისი კულტივაციის არეალიც საკმაოდ ვრცელ სივრცეს მოიცავდა დარუბანდიდან მდ. არაქსამდე და დასავლეთით თბილისამდე. ასევე დასახელებულია ძირითადი საექსპორტო მიმართულებაც, ინდოეთი და ის ძირითადი მარშრუტიც, რომლითაც

მისი გატანა ხდებოდა. ჯერ კასპიის ზღვის გავლით გაჰქონდათ ზღვის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაპირებისკენ და შემდეგ იქედან სახმელეთო გზით ინდოეთისკენ.

თავი არმენიის, არ-რანისა და აზერბაიჯანის შესახებ სრულდება დისტანციების აღწერით ძირითად დასახლებულ პუნქტებს შორის, რომლებიც გადმოცემულია ფარსახებსა და მარჰალებში. მსგავსი ტენდენცია ჩანს, რომ შემდგომში შენარჩუნდა სხვა ავტორებთანაც და იმავე ალ-მუკადდასის ან იბნ ჰაუკალის შემთხვევაშიც, მანძილების შესახებ ინფორმაცია მოცემულია იგივე ფორმით.¹⁷⁰ აღსანიშნავია, რომ ეს არ არის უბრალოდ მანძილების გადმოცემა A პუნქტიდან B პუნქტამდე, არამედ მანძილების შესახებ ინფორმაცია გადმოცემულია იმ ძირითადი პუნქტების გავლით, რომლებიც მოგზაურს A პუნქტიდან B პუნქტამდე მისვლაში დაეხმარება და გზაში შეხვდება. ეს არის ერთგვარი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სად შეიძლება შეჩერდეს მოგზაური A პუნქტიდან B პუნქტამდე მგზავრობისას ან შესვენების მიზნით.

X საუკუნის არაბი გეოგრაფების შეთხვევაში, ჩვენთვის ერთობ საინტერესო და საყურადღებოა მათ მიერ შექმნილი რეგიონალური რუკები. კერძოდ, როგორც ალ-ისტახრის, ასევე იბნ ჰაუკალსა და ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის შემთხვევაში, გვაქვს მოცემული რეგიონალური რუკები. ცხადია, ეს რუკები არ გვხვდება ყველა ხელნაწერში და ამასთან, გვაქვს განსხვავებული მოცემულობებიც რუკებისა, როგორცაა ეს ალ-ისტახრის შემთხვევაში. ასევე ალ-ისტახრის შემთხვევა გამორჩეულია იმიტაც, რომ გვაქვს არა მხოლოდ არაბული ხელნაწერები, არამედ სპარსულიც და შესაბამისად რუკებიც. მაშინ როცა, თუ შევადარებთ იგივე ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის ან იბნ ჰაუკალის შემთხვევებს, მხოლოდ რამდენიმე (ან ერთი) ხელნაწერია, რომლებშიც გვხვდება რუკები. რაც შეეხება უშუალოდ რუკებს, როგორც წესი რეგიონალური რუკები ასახავენ იმ კონკრეტულ რეგიონებს, რომლებზეც შემდგომში არის საუბარი. შესაბამისად რუკები წინ უძღვის რეგიონის შესახებ არსებულ ძირითად ტექსტს. ასევე, რუკების უმეტესობას ზედ აქვს წარწერა თუ რომელი რეგიონის რუკაა და აქვს აღნიშნული ოთხი ძირითადი, საორიენტაციო მიმართულება: აღმოსავლეთი, დასავლეთი, ჩრდილოეთი და სამხრეთი. რუკები გვხვდება როგორც სამხრეთისკენ ორიენტირებული ასევე ჩრდილოეთისკენ

¹⁷⁰ მეათე საუკუნის დასახლებული ავტორების გარდა, მსგავსი სახის ინფორმაცია, მსგავსი ფორმით ასევე მოცემული გვაქვს მეთერთმეტე საუკუნის ავტორთან ალ-იდრისისთანაც.

ორიენტირებული. შესაძლოა, ერთსა და იმავე ავტორთან, ერთსა და იმავე ხელნაწერში, გვექონდეს როგორც სამხრეთის ასევე ჩრდილოეთისკენ ორიენტირებული რუკები. რუკებზე, ძირითადად, აღნიშნულია რეგიონის მთავარი ქალაქები, მდინარეები, ზღვები, მთები, ტბები და გზები. რუკების შედგენისას შესაძლოა გამოყენებული იყოს სხვადასხვა ფერის საღებავი სხვადასხვა გეოგრაფიული ობიექტის აღსანიშნავად, ან შესაძლოა იყოს ფერების მინიმალური ოდენობა გამოყენებული (მაგ. 2 ძირითადი ფერი, როგორც ეს ალ-მუკადდასის რუკაზეა). რაც შეეხება საკუთრივ ალ-ისტახრის რუკასა თუ რუკებს ამის შესახებ საუბარი ცალკე თავში გვექნება, სადაც სხვა ავტორების რუკებსაც შევხებით.

აქვე გვსურს ვახსენოთ ტოპონიმი ალ-აბხაზი, რომელიც ისტორიოგრაფიაში მიღებული თვალსაზრისით უნდა იყოს ლაიჯანი, რასაც დე გუეც ეთანხმება, რამდენადაც სქოლიოში იგი თავად მიუთითებს ალ-აბხაზ/ლაიჯანის იგივეობას (შეცდომა ხდება მსგავსების გამო დიაკრიტიკული ნიშნების არარსებობის შემთხვევაში *الاحاز(ن)/الاحان*). თუ რატომ მიანიჭა უპირატესობა დე გუემ, ძირითადი ტექსტისთვის, ალ-აბხაზ ფორმით წაიკთვას ჩვენთვის გაუგებარია. თუმცა, იგივე ალ-აბხაზ შაჰის შემთხვევაში, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ტიტული *ლაიჯან შაჰ* შედიოდა შირვან შაჰთა ტიტულატურაში და საუფლისწულო ტიტულადაც ითვლებოდა (მემკვიდრე უფლისწულები ინიშნებოდნენ ლაიჯან შაჰებად, ლაიჯანის გამგებლებად). რაც შეეხება ალ-აბხაზის გამორიცხვას, ცნობილია, რომ ამ სახელით დასავლეთი საქართველო იხსენიება არაბულ ისტორიოგრაფიაში უკვე მეცხრე საუკუნიდან. მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში კი ეს ტერმინი უკვე მთელ საქართველოზე ვრცელდება და ქურჯისა (ე.ი. ქართველის, აღმოსავლეთ საქართველოს) და აბხაზის გაიგივება ხდება. ბუღა თურქის ლაშქრობიდან (853წ.) ცნობილია, რომ თბილისის აღების შემდეგ გაილაშქრა ქურჯებსა და აბხაზებზე. იაკუთი აღნიშნავს, აბხაზი არის „ერთ-ერთი მხარის სახელი კაბკის მთაზე, რომელიც ესაზღვრება ბაბ ალ-აბვაბს“ იქვე აგრძელებს, რომ დასახლებულია „ქრისტიანი ხალხით, რომლებსაც ქურჯებს უწოდებენ.“¹⁷¹ შესაბამისად მეათე საუკუნემდე და მის მერეც, არაბი ისტორიკოსებისთვის ცნობილი იყო აბხაზის მნიშვნელობა.

¹⁷¹ იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 1964, გვ. 12-13.

ამდენად, საქმე ტექსტის არასწორად წაკითხვასთან/ინტერპრეტაციასთან უნდა გვეკონდეს.

§ 2. წიგნი გზებისა და სამეფოთა

გვ.4

...და არ-რუმის სამეფო, აქვს მას საზღვარი აჰ-ჰაკალიბასთან და მის მეზობელთაგან არიან არ-რუს, ას-სარბრ, ალ-ლან, ალ-'არმან და აღიარებენ¹⁷² ქრისტიანობას.

გვ. 5

ისლამის სამეფოს აღმოსავლეთითაა ალ-ჰინდის მიწა და სპარსეთის ზღვა; დასავლეთით არ-რუმის სამეფო და რაც მას უკავშირდება ალ-'არმანი, ალ-ლანი, არ-რანი, ას-სარბრი, ალ-ხაზარი, არ-რუს, ბულღარ...

გვ.8

რაც შეეხება ალ-ხაზართა ზღვას ის არ არის ამ ყურეთა მსგავსი,¹⁷³ რადგანაც ისაა ზღვა, რომლის სანაპიროზეა (რომ ავიღოთ მისი სანაპირო) ალ-ხაზარი, ად-დაღლამი და ტაბარისტანი, ჯურჯანი, სიმაჰ ქუჰის სტეპამდე...

გვ. 10

რაც შეეხება ალ-ხაზარს ისაა ხალხის სახელი, რაც შეეხება ქვეყანას მის დედაქალაქს ჰქვია ითილი,¹⁷⁴ რომელიც დაერქვა მას იმ მდინარის სახელის მიხედვით, რომელიც მასთან გაედინება და ჩადის ალ-ხაზართა ზღვაში. არ აქვს ამ დედაქალაქს ბევრი რუსთაკი და არც სამეფოს (სახელმწიფოს). ისაა ქვეყანა ალ-ხაზართა ზღვას, ას-სარბრს, არ-რუსს და ალ-ლუზიას შორის.

გვ. 180

'არმნიიია, არ-რანი, 'აზარბაჯანი

რაც შეეხება 'არმნიიას, არ-რანს და 'აზარბაჯანს გავაერთიანეთ ისინი ერთ სურათში, ერთ რეგიონად. რაც მას ესაზღვრება აღმოსავლეთიდან არის ალ-ჯაბალი, ად-დაღლამი და დასავლეთი

გვ.181

¹⁷² წერია „დან“ (من دان بالنصراانية) რომელი ფორმაც სხვაგანაც მეორდება.

¹⁷³ აქ უნდა იგულისხმებოდეს არაბეთის/სპარსეთის ყურე და არ-რუმის ზღვა, რომლებიც ტექსტში ასევე ერთმანეთის მსგავს ყურეებად არიან მოხსენიებული.

¹⁷⁴ ამ შემთხვევაში გვაქვს ითილ (ائا) ფორმა, განსხვავებით თავისაგან ალ-ხაზართა ზღვა, სადაც ისილ (ائا) ფორმითაა მოცემული.

ალ-ხაზართა ზღვისა; დასავლეთიდან ესაზღვრება ალ-'არმანისა და ალ-ლანის საზღვრები და ნაწილი ალ-ჯაზირას საზღვრისა; რაც ესაზღვრება მას ჩრდილოეთიდან ესაა ალ-ლანი და ალ-კაბკის მთები და რაც ესაზღვრება მას სამხრეთიდან არის საზღვარი ერაცისა და ნაწილი ალ-ჯაზირას საზღვრისა.

რაც შეეხება 'აზარბაჯანს, მისი უდიდესი ქალაქი არის 'არდაბილი. მასში არის ყაზარმები და ამირას სასახლე. ქალაქი არის 2/3 ფარსახის სიგრძისა და სიგანის, რომელსაც აქვს გალავანი სამი კარიბჭით. ბევრია იქ თიხის შენობები. ქალაქი არის ნაყოფიერი და ფასები იქ დაბალია. მას აქვს რუსთაკები და რეგიონები, იქაა მთა დაახლოებით ორ ფარსახზე, რომელსაც ეძახიან საბალანს, დიდი და აღმართული, ზამთარ-ზაფხულ თოვლითაა დაფარული და არაა მასზე შენობები.

'არდაბილს შემდგომ სიდიდით მოდის ალ-მარაღა, ძალიან საამო ადგილი, სავსე ნაყოფითა და ბოსტნებით, რუსთაკებითა და ნათესებით, და ჰქონდა მას გალავანი, რომელიც დაანგრია 'იბნ აბი ას-საჯმა. ალ-მარაღას შემდეგ სიდიდით მოდით 'ურმიჟა, კარგი ქალაქია, სავსე სიკეთით, ფასების სიიაფით, ტბა აშ-შურრათის პირას. რაც შეეხებათ ალ-მაჰანიჯს, ალ-ხუნაჯს, 'უჯანს, დანხარაკანს, ხუვაჟს,

გვ.182

სალამასს, მარანდს, თაბრიზს, ბარზანდს, ვარსანს, მჰკანს, ჯაბრავანს, 'უმნუს ესენი პატარა ქალაქებია, მსგავსი სიდიდის. ხოლო რაც შეეხებათ ჯაბრავანს, თიბრიზსა და 'უმნუ ალ-'აზარიჟას ეს სამი ქალაქი და რაც მათ გარშემოა ცნობილია როგორც არ-რუდდაჟნი.

რაც შეეხება ბარჯა'ას, ის ძალიან დიდი ქალაქია, უფრო მეტი ვიდრე ერთი კვადრატული ფარსახი. ისაა საამო ადგილი, ბევრია ნათესები და ნაყოფი, ერაცსა და ხურასანს შორის, არ-რაჟსა და 'ისბაჰანის შემდეგ არ არის უფრო დიდი, კარგი, შემოსავლიანი და ნაყოფიერი ქალაქი, ვიდრე ბარჯა. მისგან ერთ ფარსახზე ნაკლებ მანძილზე არის ადგილი ალ-'ანდარაბი. ქარანას, ლასჰუბსა და ჯაკტანს შორის, ერთ დღის სავალი სიგრძესა და სიგანეში. დაფარულია ბოსტნებითა და ბაღებით და ყველა ხილისაა. აქ არის ძალიან კარგი ტყის თხილი, უკეთესი ვიდრე სამარკანდისა. ასევე არის წაბლი უმჯობესი ვიდრე აშ-შამის წაბლი და აქვთ ხილი, რომელსაც

ემახიან აზ-ზუკალს,¹⁷⁵ რომელიც ჰგავს ალ-ღუბადრას,¹⁷⁶ მასში არის კურკა და ის გემოთი ტკბილია თუ დამწიფდა და მწარეა სანამ დამწიფდება.

გვ. 183

რაც შეეხება წაბლს, ზომით ისაა ნახევარი შავი კაკლისა, ხოლო გემოთი ჰგავს თხილს და მწიფე ფინიკს. ბარჯა'ამი ლეღვი შემოაქვთ ლასუბიდან, რომელიც საუკეთესოა თავის სახეობაში. ხოლო ბარჯა'ადან გააქვთ ბევრი ნაწარმი აბრეშუმის, გაზრდილი თუთის ხეებზე, რომელსაც არ ჰყავს მფლობელი, და გააქვთ ის ფარსსა და ხუზისთანში.

მესამედ ფარსახზე, ბარჯა'ადან არის მდინარე ალ-ქურ, რომელ მდინარეშიც არის თევზი ას-სურმაჰი¹⁷⁷ და გააქვთ იგი დამარილებული შორეულ მხარეებში. ასევე მდინარე ალ-ქურში არის თევზები აზ-ზურაკინ¹⁷⁸ და ალ-ამუბა¹⁷⁹ და ეს ორი თევზი საუკეთესოა ამ მხარის თევზების სახეობებს შორის.

ბარჯა'ას კართან, რომელსაც ჰქვია ქურდთა კარი, არის ბაზარი ალ-ქურქა, მასშტაბით ერთი ფარსახი სიგრძე-სიგანეში. იკრიბება მასში ხალხი ყოველ კვირა დღეს და ისინი ჩამოდიან ყველა მხრიდან, ალ-ირაკიდანაც კი და ის უფრო დიდია, ვიდრე ქულსარაჰის ბაზარი. ამ დღეს, უკვე იმავე დროში უწოდებდნენ ალ-ქურქას, ისე რომ მრავალთაგანი, როდესაც კვირის დღეებს ჩამოთვლიდა, იტყოდა შაბათი, ალ-ქურქა,

გვ.184

ორშაბათი, სამშაბათი და ასე ბოლომდე.

მათი ხაზინა არის საკრებულო მეჩეთში, მსგავსად აშ-შამისა და ხაზინები აშ-შამში სწორედ, რომ საკრებულო მეჩეთებშია. ამ ხაზინის სახურავი ტყვიისაა, ხოლო კარები რკინის და ისაა ცხრა კოლონაზე.

მმართველის (ამირას) სასახლე არის საკრებულო მეჩეთის გვერდზე ქალაქში, ხოლო ბაზრები რაბადშია.¹⁸⁰

¹⁷⁵ შვინდი.

¹⁷⁶ غيرة ქნავი, ცირცელი.

¹⁷⁷ შამაია, იგივე თრისა.

¹⁷⁸ ზუთხი.

¹⁷⁹ ქორჭილა.

¹⁸⁰ ქალაქის გარეუბანი.

რაც შეეხება ბაბ ალ-'აბვაბს, ისაა ქალაქი ზღვის პირზე, მის შუაში არის ნავმისადგომი გემებისთვის, ამ ნავმისადგომსა და ზღვას შორის აშენდა ორივე მხრიდან ორი დამბა ისე, რომ შესასვლელი ვიწროა და დაკლავნილი. ამ შესასვლელში არის გაშლილი ჯაჭვი და არც შედის და არც გამოდის არცერთი გემი ნებართვის გარეშე. ხოლო ის ორი დამბა არის ტყვიისა და კლდისგან. ბაბ ალ-'აბვაბი არის ტაბარისტანის ზღვის პირას, ის უფრო დიდი ქალაქია, ვიდრე 'არდაბნლი. მათ აქვთ ბევრი ნათესები და ცოტა ხილი, გარდა იმისა რასაც შეიტანენ სხვა მხარეებიდან. ისაა ქალაქი, რომელსაც აქვს კედელი ქვის, აგურისა და თიხის. ისაა ალ-ხაზართა ზღვის პორტი ას-სარნისთვის და სხვა ურწმუნოთა ქვეყნებისთვის, ის ასევე პორტია ჯურჯანისთვის¹⁸¹, ტაბარისტანისთვის, ალ-დაჰლამისთვის¹⁸² და გააქვთ იქიდან სელის სამოსი, და არაა არ-რანში, 'არმინიში, 'აზარბაჯანში სელის სამოსი თუ არ აქედან. იქაა ზაფრანა და მონები სხვადასხვა ურწმუნოთა მხარეებიდან.

გვ. 185

თაფლნისი არის ბაბ ალ-'აბვაბზე პატარა სიდიდის ქალაქი და მას აქვს ორი კედელი თიხის¹⁸³

გვ. 186

და სამი კარიბჭე. ისაა ძალიან ნაყოფიერი ხილითა და ნათესებით. ის საზღვარზეა და მასში არის აბანოები

გვ.187

ტაბარიდის მსგავსი, წყალი იქ ცხელია ცეცხლის გარეშე. არ-რანში არ არის უფრო დიდი ქალაქები ვიდრე ბარჯა'ა, ბაბ ალ-'აბვაბი და თაფლნისი. რაც შეეხება ბაჰლაკანს, ვარჯანს, ბარდნჯს, ბარჯანჯს, ამ-შამახიას, შარვანს, ალ-'აბხაზს, ამ-შაზარანს, კაბალას, შაქქის, ჯანჯას, შამქურს, ხუნანს ისინი პატარა ქალაქებია მსგავსი სიდიდის და საკმაოდ ნაყოფიერი.

გვ. 188

¹⁸¹ აქ. გურგანი/გორგანი.

¹⁸² სპარსულ ვერსიაში არის ასე: „ეს ქალაქი ნავსადგურია ხაზართა და სერირისთვის, გურგანის, ტაბარისტანის, ქართველებისა და ყაითაყისათვის“ (ისტახრი. ჰოდუდ ალ-ალემი. ჰამდალაჰ ყაზვინი; 1937). როგორც ჩანს, არაბულ ვერსიაში ქართველთა ან მათთან დაკავშირებულ რაიმე სახელი ტექსტის ამ ნაწილში არ გვაქვს. ამასთან, „ისაა ხაზართა ზღვის პორტი“ უფრო სარწმუნოა იყოს „ისაა პორტი ხაზართა და სარირისა“, როგორც ესაა სპარსულ ვერსიაში და რაც სხვა ავტორებთანაც დასტურდება.

¹⁸³ ამ წინადადების გარდა, დანარჩენი, მთლიანი გვერდი უკავია სქოლიოს, რომელშიც მოცემულია დარუბანდის შესახებ არსებული ინფორმაცია, რასაც იაკუთი გადმოსცემს, ისევე როგორც შემდეგ 186 და 187 გვერდებზე.

რაც შეეხება დაბნოს, ის უფრო დიდი ქალაქია, ვიდრე 'არდაბნოლი და ისაა დედაქალაქი (მთავარი ქალაქი) 'არმინიასი. იქაა ამირას სასახლე, ისევე როგორც არ-რანში ამირას სასახლეა ბარჯა'აში და ამირას სასახლე 'აჯარბაჯანში არის 'არდაბნოლი. მას აქვს გალავანი და იქ ბევრი ქრისტიანია, ხოლო საკრებულო მეჩეთი ეკლესიის გვერდითაა. გააქვთ აქედან შალის სამოსი, ფარდაგები, ბალიშები, სავარძლები, მაქმანები, ამას გარდა სხვა სახეობები ალ-'არმანის. მათ აქვთ საღებავი, რომელსაც უწოდებენ ალ-კირმიზ,¹⁸⁴ რომლითაც ღებავენ შალს. მე გავიგე, რომ მატლი ქსოვს თავის გარშემო, მსგავსად აბრეშუმის ჭიისა, და გავიგე, რომ ბევრი ბაზაზია იქედან და ისაა 'არმინიას დედაქალაქი. იყო [მეფე] სანბატ იბნ 'აშუტი, ის [ქალაქი] იყო და არის ქრისტიან დიდებულთა ხელთ და უმრავლესობა 'არმინიას ხალხისა ქრისტიანები არიან და ისაა სამეფო ალ-'არმანისა. ის მოსაზღვრეა არ-რუმის, ხოლო მისი საზღვარია ბარჯა'ამდე, ალ-ჯაზირამდე და 'აჯარბაჯანამდე. ხოლო საზღვარი, რომელიც არ-რუმსა და 'არმინიას შორისაა არის კალბკალა. მიემართებიან მისკენ ღაზიები¹⁸⁵ 'აჯარბაჯანიდან, ალ-ჯაბალიდან, არ-რაჰდან და მახლობელი ადგილებიდან. ხოლო ის [ადგილი], საიდანაც ისინი ხვდებიან არ-რუმში არის ტარაზაზუნდა. იკრიბებიან იქ ვაჭრები და იქიდან მიდიან არ-რუმის ქვეყანაში სავაჭროდ. ხოლო, ფარჩისგან, აბრეშუმისგან და ტანსაცმელისგან, რაც არ-რუმიდან შემოდის ამ ნაჰიებში,¹⁸⁶ [ყველა] არის ტარაზაზუნდადან.

რაც შეეხება ნაშავას, ბარქარს, ხილატს, მანაზქირდს, ბადლესს, კალბკალას, 'არზანს, მაჰფარიკონს, სირაჯს, ისინი პატარა ქალაქები არიან, მსგავსი სიდიდის და მსგავსი ნაყოფიერებით, ყველა სავსეა ხეირით.

მაჰფარიკონი ითვლება ალ-ჯაზირად მიუხედავად იმისა, რომ ის დიჯლას მეორე ნაპირზეა, რამდენადაც ალ-ჯაზირას საზღვარი, რაც აღწერეთ, არის დიჯლასა და ალ-ფურათს¹⁸⁷ შორის, ამიტომაც მოვათავსეთ 'არმინიაში.

გვ.189

¹⁸⁴ ყირმიზი. წითელი საღებავი. ديدانه قرمز ესაა მწერის სახელწოდება, რომელსაც ლათინურად ეწოდება *Dactylopius coccus* ინგ. Cochineal ანუ კოშენილი. ცნობილია, რომ მისგან ამზადებდნენ მუქ წითელ პიგმენტს (თვითონ სახელი Cochineal ნიშნავს „ალისფერს“), რომელიც გავრცელებული იყო ხმელთაშუა ზღვის აუზში და ახლო აღმოსავლეთში. ითვლება ერთ-ერთ უძველეს ორგანულ საღებავად.

¹⁸⁵ მოლაშქრეები.

¹⁸⁶ ადმინისტრაციული ერთეული.

¹⁸⁷ ტიგროსი და ევფრატი.

რაც შეეხება ამ ქვეყნის მდინარეებს, რომლებიც იქ გაედინებიან და მოძრაობენ მასზე ნავები, ასეთია მდინარე ალ-ქურ და არ-რასს. რაც შეეხება საბზრუხს, რომელიც 'არდაბილსა და ზანჯანს შორისაა, ის პატარა მდინარეა, რათა იქ ნავებმა იმოძრაონ.

მდინარე ალ-ქურში [წყალი] საამოა და მსუბუქი, გამოდის მთების ნაპიდან, ჯანზასა და შამქურის საზღვრებთან, თაფლსთან ახლოს, შემდეგ კი ურწმუნოთა ქვეყნებში. რაც შეეხება მდინარე არ-რასს, მისი წყალი კარგია და სასიამოვნო, გამოდის 'არმნიფიდან, ვიდრე ვარსანის კარამდე, შემდეგ კი მუკანისა და ალ-ქურის კალაპოტის უკანა მხარეს, მერე კი ჩადის ზღვაში.

რაც შეეხებათ ტბებს, 'ახარბაჯანში არის ტბა ცნობილი როგორც 'ურმიფა, მლაშე წყლით, მასში არის თევზი და ცხოველი, რომელსაც ეძახიან წყლის ძაღლს.¹⁸⁸ ის [ტბა] დიდია და მის გარშემო ყველგან შენობები, სოფლები და რუსთაკებია. ხოლო ამ ტბასა და

გვ.190

მარაღას შორის სამი ფარსახია. მასსა [ტბას] და ქალაქ 'ურმიფას შორის ორი ფარსახია. დანარაკანსა და ტბის ნაპირს შორის დაახლოებით ოთხი ფარსახია. ტბა სიგრძეზე დაახლოებით ოთხი დღის სავალია საჯდომი ცხოველით, ხოლო ქარის შემთხვევაში შესაძლოა გაიარო ერთ დამეში [ნავით]. ტბა 'არმნიფიაში ცნობილია, როგორც 'არჯანის ტბა. იქ იჭერენ თევზს ატ-ტარბ,¹⁸⁹ გააქვთ სხვადასხვა მხარეებში. მათთანაა ტაბარისტანის ზღვა, რომელზეცაა ქალაქი ბაბ ალ-'აბვაბი და ბაქუკ, ხოლო ბაქუკში არის ნავთი.

რაც შეეხება დიჯლას, მისი ნაწილი გაედინება 'არმნიფიაში. და უკვე აღწერეთ დიჯლა ჯაზირასა და ალ-'ირაკის აღწერაში. ბარჯა'ას ნაპიებიდან გაყავთ სახედრები სხვადასხვა მხარეებში, ასევე [გააქვთ] ენდრო, რომელიც გადის ალ-ჰინდის ქვეყანაში და სხვა ადგილებში.

არ-რანის საზღვრებია ბაბ ალ-'აბვაბიდან თაფლსამდე და ახლოს მდინარე ალ-რასსამდე, იმ ადგილამდე, რომელიც ცნობილია როგორც ჰაჯირანი.¹⁹⁰ ხოლო

¹⁸⁸ სავარაუდოდ წავი.

¹⁸⁹ იგივე ტარევი ან მარგალიტის კეფალი, კობრისებრთა ოჯახიდან ენდემური ჯიშის თევზი ვანის ტბაში.

¹⁹⁰ يعرف بحجيران) დიაკრიტიკული ნიშნების გარეშეა და დე გუე გვთავაზობს „ნახიჯივან“ ფორმით წაკითხვას (ნახჭევანი).

საზღვრები 'აზარბაჯანისა გრძელდება ვიდრე ალ-ჯაბალამდე, ვიდრე ატ-ტარმამდე, ზანჯანის საზღვრამდე, ად-დაინავარის მაღლობებამდე, შემდეგ კი ჭულვანამდე და შაჰრაზურამდე, ვიდრე დიჯლამდე და 'არმინიიას საზღვრებამდე. 'არმინიიას საზღვრები კი უკვე აღვწერთ.

გვ. 191

ამ ქალაქებში ფასები დაბალია, სხვა მხარეებთან შედარებით. ცხვარი ღირს ორი დირჰამი და შესაძლოა თაფლის ფასი მის ზოგიერთ რეგიონში ორი ან სამი მანი ერთ დირჰამად [იყოს]. მასშია ნაყოფიერება და რაც ნახსენებია და ვისაც არ უნახავს ის [მისი ნაყოფიერება], უარყოფს მის სიმრავლეს. იქ არიან მეფეები მხარეებში, მათი ტერიტორიები მსგავსია სამეფოებისა, მათ აქვთ ვრცელი სამეფო და ფული.¹⁹¹ მათ შორისაა მეფე შარვანისა ცნობილი როგორც შარვანშაჰი და მეფე ალ-'აბხაზ ცნობილი როგორც ალ-'აბხაზშაჰი.

უმეტესი ნაწილი 'აზარბაჯანის, 'არმინიიასა და არ-რანისა მთებია და დაბნულში არის დიდი მთა რომელსაც ჰქვია ალ-ჰარიხი. არ ადიან მასზე მისი აღმართებისა და რთული გზების გამო, იქ კი მუდმივადაა თოვლი. მის უკან კი პატარა მთაა, რომელსაც ჰქვია ალ-ჰუვარხი. გამოდის ალ-ჰარიხიდან წყლები, [ადიან] იქ მეტყევეები და მონადირეები [რომლებიც] ამბობენ, რომ არ არის ამ რეგიონში მასზე მაღალი მთა.

'არდაბნის მანი არის 1040 დირჰამი მსგავსად შირაზის მანისა, ამასთან შირაზში ემახიან მანს ხოლოა 'არდაბნულში რატლს. 'აზარბაჯანის,

გვ.192

'არმინიიასა და არ-რანის ენებია სპარსული და არაბული. ამასთან, დაბილნს მოსახლეობა და მის გარშემო ლაპარაკობს 'არმინიიას ენაზე. ბარჯა'ას ნაჰიებში მათი ენაა არ-რანის ენა და მათთანაა მთები, რომლებსაც უწოდებენ ალ-კაბკას და ის სავსეა ურწმუნოთა მრავალი განსხვავებული ენით. ხოლო ფული 'აზარბაჯანში, არ-რანსა და 'არმინიიაში არის ოქროსი და ვერცხლის.

მანძილები ამ ნაჰიებისა:

გზა ბარჯა'ადან 'არდაბნულამდე. ბარჯა'ადან აუნანამდე 7 ფარსახია, აუნანიდან ბაღლაკანამდე 7 ფარსახია, ბაღლაკანიდან ვარსანამდე 7 ფარსახია, ვარსანიდან

¹⁹¹ მეფეების და სამეფოების შემთხვევაში გამოყენებულია ტერმინები: მულუქ (ملوك), მამალიქ (ممالك), მამლაქა (مملكات).

ბალხაბამდე 7 ფარსახია, ბალხაბადან ბარზანდამდე 7 ფარსახია, ბარზანდიდან 'არდაბილამდე 15 ფარსახია.

გზა ბარზა'ადან ბაბ ალ-'აბვაბამდე. ბარზა'ადან ბარზანჯამდე 18 ფარსახია, ბარზანჯადან, ალ-ქურრზე გადასვლით, აშ-შამახიამდე 14 ფარსახია, აშ-შამახიადან შარვანამდე 3 დღის სავალია, შარვანიდან ალ-'აბხაზამდე ორი დღის სავალია,¹⁹² ალ-'აბხაზიდან ჯასრ სამურამდე 12 ფარსახია, ჯასრ სამურიდან

გვ.193

ბაბ ალ-'აბვაბამდე 20 ფარსახია.¹⁹³

გზა ბარზა'ადან თაფლასამდე. ბარზა'ადან ქალაქ ჯანზამდე 9 ფარსახია. ჯანზადან შამქურამდე 10 ფარსახია. შამქურიდან ქალაქ ხუნანამდე 21 ფარსახია, ხუნანიდან კალ'ა იბნ ქანდიმანამდე 10 ფარსახია, ალ-კალ'ადან თაფლასამდე 12 ფარსახია.

გზა ბარზა'ადან დაბილამდე. ბარზა'ადან კალკატუსამდე 9 ფარსახია, კალკატუსიდან მითრსამდე 13 ფარსახია, მითრსიდან დავმისამდე 12 ფარსახია, დავმისიდან ქუვიმდე 12 ფარსახია, ქილ ქუვიდან სისაჯანამდე 12 ფარსახია, სისაჯანიდან დაბილამდე 12 ფარსახია.

გვ. 194

გზა ბარზა'ადან დაბილამდე ალ-'არმანში გადის და ყველა ეს ადგილები (სოფლები) სამეფოა სანბატ იბნ 'აშუტის.

გზა 'არდაბილიდან ზანჯანამდე. 'არდაბილიდან კანტარა საბიხრუხამდე ორი მარჰალაა, ალ-კანტარადან ას-სარათამდე ერთი დღის სავალი, ას-სარათადან ნუვიმდე ერთი დღის სავალი, ნუვიდან ზანჯანამდეც ერთი დღე.

გზა 'არდაბილიდან ალ-მარადამდე. 'არდაბილიდან ალ-მაჰანიჯამდე 20 ფარსახია, ალ-მაჰანიჯიდან ქალაქ ხუნაჯამდე 7 ფარსახია, ხუნაჯიდან ქულსარამდე, რომელიც

¹⁹² შარვანის ნაცვლად შესაძლოა არაა გამორიცხული ყოფილიყო შაბურანი/შაბრანი.

¹⁹³ აქ უნდა იყოს შეცდომა დაშვებული. რადგანაც „ალ-აბხაზი“ იგივე ლაიჯანია, ლაიჯანიდან კი გადასასვლელი მდინარე სამურისკენ არ არის. ტრადიციული გზა გარს უვლიდა კავკასიონის ქედს, მიდიოდა შამახადან აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე, შემდეგ კი მიუყვებოდა ჩრდილოეთით მდინარე სამურამდე და დარუბანდამდე. ამასთან, მართალია ქალაქ შარვანის ზუსტი იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, მაგრამ ის მდინარე სამურსა და ბაქოს შორის მდებარეობდა (ზოგიერთი ავტორი შაბრანს მიიჩნევდა შარვანად). ამდენად, თუ მანძილებს და გზის მიმართულებას გავითვალისწინებთ (ლაიჯანი შამახიადან ჩრდილო დასავლეთითაა და არა აღმოსავლეთით), აშკარაა, რომ ალ-ისტახრი შეცდომით აღწერს მიმართულებას ან შეცდომით ასახელებს ქალაქს. შესაძლოა. ამ შემთხვევაში. ლაიჯანი ქუბასთან იქნეს გაიგივებული. თუმცა, ეს მხოლოდ ვარაუდია.

რუსთაკია და დიდი ბაზარია მასში და არაა იქ მინბარი, 3 ფარსახია, ქულსარადან ალ-მარალამდე 10 ფარსახია.

გზა 'არდაბილნიდან ამიდამდე. 'არდაბილნიდან ალ-მარალამდე 40 ფარსახია, მარალადან დახარაკანამდე, მინბარით, ორი მარჰალაა, იქედან ქალაქ 'ურმიამდე ორი მარჰალაა, 'ურმიადან სალამსამდე ორი მარჰალაა, სალამსადან ხუვაამდე 7 ფარსახია, ხუვაადან ბარქარიმდე 30 ფარსახია, ბარქარიდან 'არჯნიშამდე ერთი დღის სავალი, 'არჯნიშიდან ხილატამდე 3 დღის სავალია, ხილატიდან ბადლესამდე ერთი დღის სავალია, ბადლესიდან მაფფარიკინამდე 3 დღის სავალია, მაფფარიკინიდან ამიდამდე ორი დღის სავალია.

გზა ალ-მარალადან დაბნლამდე. ალ-მარალადან 'ურმიამდე 30 ფარსახია, 'ურმიადან სალამსამდე 14 ფარსახია, სალამსადან ხუვაამდე 7 ფარსახია, ხუვაადან ნაშავამდე 3 დღის სავალია, ნაშავადან დაბნლამდე 4 მარჰალაა.

ალ-მარალადან ად-დანურამდე 20 ფარსახია და იქ არაა მინბარი.¹⁹⁴

გვ. 217 ალ-ხაზართა ზღვა

რაც შეეხება ალ-ხაზართა ზღვას მას ემიჯნება აღმოსავლეთით ნაწილი ად-დაჰლამის, ტაბარისტანის, ჯურჯანის, შემდეგ ნაწილი სტეპის,¹⁹⁵ რომელიცაა ჯურჯანსა და ხვარაზმს შორის;¹⁹⁶ დასავლეთით არანი,¹⁹⁷ ას-სარირის და ალ-ხაზართა ქვეყნის საზღვარი და ნაწილი ალ-ღუზიას სტეპისა;

გვ. 218

ჩრდილოეთით – ალ-ღუზიას სტეპი, სიმაქუჰის ნაჰიასკენ; სამხრეთით – ალ-ჯილი და ად-დაჰლამი. ხოლო ეს არის ზღვა რომელიც არაა დაკავშირებული (შეერთებული) არცერთ სხვა ზღვასთან დედამიწაზე. თუ ვინმე მოინდომებს შემოუაროს ამ ზღვას დაუბრუნდეს საწყის წერტილს, არ შეხვდება რაიმე დაბრკოლება გზაზე ზოგიერთი წყალუხვი მდინარისა, რომელიც მასში ჩაედინება. ის არის მლაშე ზღვა, არ არის

¹⁹⁴ იგულისხმება მეჩეთის არ არსებობა.

¹⁹⁵ مغارة - ბარანოვის ლექსიკონის მიხედვით ორი მთავარი მნიშვნელობა აქვს 1. უდაბნო 2. სტეპი, ამ შემთხვევებში „სტეპის“ ფორმით თარგმნა უფრო სწორად მიგვაჩნია, რამდენადაც საუბარი ძირითადად ცენტრალური აზიასა და კავკასიასა და მდ. ვოლგას შორის მოქცეულ სივრცეებს ეხება. კარაულოვის რუსულ თარგმანში გამოყენებულია Пустыня (უდაბნო) ვერსია.

¹⁹⁶ სპარსული ვერსიის თარგმანშია: და ნაწილი ხვარაზმის უდაბნოსი. ისტახრი. ჰოდუდ ალ-ალემი. ჰამდალაჰ ყაზვინი, 1937, გვ. 5.

¹⁹⁷ დე გუე მიუთითებს, რომ E ხელნაწერში არის: და მუკანი. ხოლო C ხელნაწერში არის: არანი ალ-კაბკის მთებიდან ალ-სარიის საზღვრებამდე. სპარსული ვერსიის თარგმანში კი არის: არანი და მუდანი და სერიითა საზღვრები. ხაზართა ქვეყანა და ნაწილი ღუზთა უდაბნოსი. ისტახრი. ჰოდუდ ალ-ალემი. ჰამდალაჰ ყაზვინი, 1937, გვ. 5.

მასზე მიქცევა და მოქცევა.¹⁹⁸ ამ ზღვის ფსკერი არის მუქი (ტალახის), განსხვავებით ალ-კულზუმის და სპარსეთის ზღვისგან. მაშინ როცა სპარსეთის ზღვის ზოგიერთ ადგილას შესაძლებელია თეთრი ქვების დანახვა წყლის სიწმინდის გამო. არ მოიპოვება ამ ზღვაში ძვირფას ქვათაგან როგორცაა მარგალიტი ან მარჯანი ან რაიმე მათ მსგავსი, ერთადერთი რაც იქ მოიპოვება არის თევზი. ასევე იქ მოძრაობენ ვაჭრები მუსლიმთა მიწებიდან ალ-ხაზართა მიწებისკენ და რაცაა არ-რანს, ალ-ჯილს, ტაბარისტანს და ჯურჯანს შორის. არ არის ამ ზღვაში დასახლებული კუნძულები, განსხვავებით უკვე ნახსენები არ-რუმის და სპარსეთის ზღვებისაგან, გარდა იმ კუნძულებისა, რომლებიც დაფარულია ქალებით, წყაროებით, ხეებით, მაგრამ არაა მოსახლეობა. მათ შორისაა კუნძული სიჰქუჰ, რომელიც დიდი კუნძულია, რომელზეც არის წყაროები, ხეები, ბუჩქები და ველური ცხოველები. სხვა კუნძული არის ალ-ქურრის პირას,¹⁹⁹ რომელიც დიდი კუნძულია და რომელზეც არის ბუჩქები, ხეები, წყლები და იქედან გააქვთ ენდრო. ბარჯა'ადან მოდიან აქ და მიაქვთ ენდრო. ასევე გემებით მოჰყავთ პირუტყვი ბარჯა'ას ნაპიებიდან და უშვებენ იქ, ვიდრე გასუქდებიან.

გვ.219

პბაჰქუნიდან ალ-ხაზარამდე ზღვის მარჯვენა სანაპიროს გაყოლებაზე არ არის არც სოფელი და არც ქალაქი. პბაჰქუნიდან 50 ფარსახზე არის [ადგილი] დაჰისტანი და იქ არის ზღვაში შესასვლელი, იმალებიან იქ გემები ზღვის მღელვარების დროს. ბევრი ხალხი მოდის აქ ნაპიებიდან და რჩებიან სათევზაოდ/სანადიროდ და იქ არის წყალი. არ ვიცი ამ ადგილის გარდა სხვა ადგილის შესახებ, რომელშიც ვინმე რჩება, გარდა სიჰქუჰ, და იქ ბინადრობენ თურქები, რომლებიც ახალი მოსულები არიან, რადგანაც იყო განხეთქილება მათსა და ალ-ლუზიფებს შორის. გამოეყვნენ მათ და იპოვეს თავშესაფარი და საძოვარი და აქვთ მათ წყლები და საძოვრები.²⁰⁰ რაც შეეხება მარცხენა მხარეს ზღვის გასწვრივ პბაჰქუნიდან, მარცხენა მხარეს ალ-ხაზარამდე არის სულ დასახლებული, ხოლო ბაზ ალ-'აბვაზსა და ალ-ხაზარს შორის არ არის [დასახლებები]. ამგვარად, როდესაც პბაჰქუნიდან მიდიხარ ჯერ მიხვალ ჯურჯანის, ტაბარისტანის, ად-დაჰლამის და ალ-ჯილსის საზღვრებში, შემდეგ შეხვალ არ-რანის

¹⁹⁸ ეს ნაწილი სპარსული ვერსიის თარგმანში არ არის.

¹⁹⁹ E ხელნაწერში: ალ-ლაქზის საზღვართან, იგივე ვარიანტი არის სპარსული ვერსიის თარგმანშიც.

²⁰⁰ ზღვიდან მარჯვენა მხარეს მდებარე მიწების შესახებ ინფორმაცია რუსულ თარგმანში არ არის.

საზღვრებში, თუ მიხვალ მუკანამდე იქედან ბაბ ალ-აბვამამდე ორი დღის სავალია, რომელიც შარვან შაჰის ქვეყანაა, შემდეგ გავლი სამანდარამდე 4 დღე და სამანდარიდან ისილამდე²⁰¹ 7 დღის სავალია სტეპში. ამ ზღვას სიფქუჰის ნაჰიას მხრიდან არის საშიში დინება ქარისგან მოყვანილი გემებისთვის, რომლების იმსხვრევიან და თუ დაიმსხვრა იქ გემი შეუძლებელია რაიმე გადაურჩეს თურქებს, რომლებიც ფლობენ იქაურობას.

გვ. 220

რაც შეეხება ალ-ხაზარს ესაა იკლიმის სახელი, ხოლო მისი დედაქალაქია ისილი, ხოლო ისილი არის მდინარე, რომელიც მასთან გაედინება არ-რუსის და ბულღარის მხრიდან. ისილი [ქალაქი] ორ ნაწილად იყოფა, მდინარის დასავლეთ ნაპირზე რაცაა ჰქვია ისილი და ამ ორ შორის ის უფრო დიდია, და აღმოსავლეთ ნაპირზე მდებარე [ნაწილი]. მეფე ცხოვრობს დასავლეთ ნაპირზე და მათ ენაზე მეფეს ჰქვია ბაქ, ასევე ეძახიან ბაქს.²⁰² ქალაქის ამ ნაწილის ზომებია სიგრძეში დაახლოებით ერთი ფარსახი და შემოვლებული აქვს კედელი. შენობები გაფანტულია და ცხოვრობენ კარვებში, ზოგიერთი შენობა არის თიხისგან. აქვთ მათ ბაზრები და აბანოები.²⁰³ ამბობენ, რომ იქ ბევრი მუსლიმია და რომ მათი რიცხვი ათ ათასს აღწევს, რომელთაც დაახლოებით ოცდაათი მეჩეთი აქვთ.²⁰⁴ მეფის სასახლე მდინარის ნაპირისგან მოშორებითაა და ეს სასახლე აგურისაა და არცერთი სხვა შენობა იქ არაა აგურის, გარდა ამ შენობისა და მეფე არავის აძლევს უფლებას ააშენოს აგურის შენობები. გალავანს აქვს ოთხი კარიბჭე ერთ მდინარის მხარესაა მეორე სტეპისკენ, რომელიც ქალაქის გასწვრივაა, მათი მეფე იუდეველია. ამბობენ, რომ მას ჰყავს დაახლოებით 4000 მხლებელი. ალ-ხაზარები [არიან] მუსლიმები, ქრისტიანები, იუდეველები და კერპთაყვანისმცემლები და ყველაზე ცოტანი არიან იუდეველები, ყველაზე მრავალრიცხოვანნი კი მუსლიმები და ქრისტიანები, ხოლო მეფე და მისი მხლებლები (ახლო წრე) იუდეველები არიან. მისი ხალხის უმრავლესობა კერპთაყვანისმცემელია,

²⁰¹ მართალია წერია ابي فورما მაგრამ უნდა ვიგულისხმოთ „ითილი“.

²⁰² სპარსული ვერსიის ქართულ თარგმანშია: ხელმწიფეს ეძახიან მალიქს (მეფეს) და ბაღს. ისტახრი. ჰოდუდ ალ-ალემი. ჰამდალაჰ ყაზვინი, 1937, გვ. 7.

²⁰³ E ხელნაწერში ასევე დამატებულია მეჩეთები.

²⁰⁴ სპარსული ვერსიის ქართულ თარგმანში არის შემდეგი: ამ მხარეში ცხოვრობს დაახლოებით ათ ათასი კაცი, რომელთაც სამი საკრებულო მიზგითი აქვთ. ისტახრი. ჰოდუდ ალ-ალემი. ჰამდალაჰ ყაზვინი, 1937, გვ.7. ამ კონკრეტულ მონაკვეთთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, რომ ეს ვერსია უფრო სწორი უნდა იყოს და 10 000 მუსლიმის არსებობა ითილში ან გაზვიადებულია ან გადამწერთა შეცდომაა, ისევე როგორც 30 მეჩეთის არსებობა.

ისინი თაყვანს სცემენ ერთმანეთს. ის რითაც ისინი სხვა ხალხებისგან განსხვავდებიან არის ძველი რიტუალები, რომლებიც წინააღმდეგობაშია მუსლიმების, ქრისტიანების და იუდეველების რელიგიებთან. ხოლო მეფეს

გვ.221

ჰყავს ჯარი 12000 კაცისაგან და თუ ვინმე იმათთაგან მოკვდება, მის ადგილს დაიკავეს სხვა.²⁰⁵ მათ არ აქვთ მუდმივი და სტაბილური გასამრჯელო და მხოლოდ ძალიან მცირე ნაწილი თუ შეხვდებათ დიდი ხნის განმავლობაში, როდესაც მათ აქვთ ომი ან რაიმე საქმე ყველანი იკრიბებიან. მეფის შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ვაჭრებისთვის დაწესებული საბაჟო გადასახადი, რომელიც არის ყველგან გზაზე, ზღვასა და მდინარეზე. ყველა საჭირო აუცილებლობით, საჭმლითა და სასმლით, მათ ამარაგებს ადგილობრივი ხალხი, ახლოს მყოფი ნაპიებიდან. მეფეს ჰყავს 7 მსაჯული: იუდეველთაგან, ქრისტიანთაგან, მუსლიმთაგან და წარმართთაგან. თუ კი მოხდა რაიმე ამ ხალხ შორის, გადაწყვეტილებას იღებენ ეს მოსამართლეები და ამისათვის (ამ საქმეში) ხალხი მიმართავს არა მეფეს, არამედ ამ მსაჯულებს. სასამართლოს დღეს მეფესა და ამ მსაჯულებს შორის არის შუამავალი და ამგვარად ისინი გადასცემენ მათ გადაწყვეტილებას, ხოლო ის (მეფე) გადასცემს მის ბრძანებას და მათ მოჰყვით იგი სისრულეში. ამ ქალაქს არ გააჩნია სოფლები, ხოლო მათი ნათესები ვრცელია, გამოდიან ზაფხულში და ამუშავენ დაახლოებით 20 ფარსახს, შემდეგ იწევენ მოსავალს, აგროვებენ ზოგს მდინარით, ზოგს სტეპით და გადააქვთ ღალა ზოგი ურმებით და ზოგიც მდინარით. იკვებებიან ისინი ბრინჯითა და თევზით. და რაცაა მათთან თაფლი და ცვილი მოაქვთ არ-რუსების და ბულღარების ნაპიებიდან, ისევე როგორც კვერნის ტყავი, რომელიც გააქვთ შორს (ქვეყნებში) და რომელიც არის მხოლოდ იმ მდინარეებიდან რომლებიცაა არ-რუსების, ბულღარების, ქუაბას²⁰⁶ ნაპიებიდან, და არ გვხვდება სხვა იკლიმებში რამდენადაც ჩემთვის ცნობილია. აღ-ხაზარის აღმოსავლეთ ნაწილში

გვ. 222

²⁰⁵ 1927 წლის რედაქციაში არის اننا عشر الف თუმცა, რუსულ თარგმანშიც და სპარსული ვერსიის თარგმანშიც არის 12 000, ხოლო მოცემული არაბული დაწერილობა იძლევა შესაძლებლობას اننا წაკითხულ იქნეს როგორც اثنا .

²⁰⁶ უნდა იგულისხმებოდეს კიევი, როგორც დე გუე მიუთითებდა. რუსულ თარგმანში კი პირდაპირაა მითითებული კიევი.

უმრავლესობა არიან ვაჭრები და მუსლიმები და არის სავაჭრო საქონელი; დასავლეთ ნაწილი არის სრულად ალ-ხაზართა მეფის და მისი ჯარის²⁰⁷ და ალ-ხაზართა ალ-ხულლას.²⁰⁸ ალ-ხაზართა ენა არ ჰგავს არც თურქების და არც სპარსელების ენას, არც სხვა ხალხებისას. რაც შეეხება მდინარე ისილს, ის გამოდის ხარხაზების მხრიდან, გაედინება ალ-ქამაქიასა და ალ-ლუზას შორის და ისაა საზღვარია ალ-ქამაქიასა და ალ-ლუზას შორის, შემდეგ მიდის დასავლეთით ბულღართა მიწაზე და შემდეგ ბრუნდება აღმოსავლეთით, გაივლის არ-რუსს და ჩაუვლის ბულღარს, შემდეგ კი ბურტასს ვიდრე არ ჩავა ალ-ხაზართა ზღვაში. ამბობენ, რომ ამ მდინარიდან განიტოტება 70 მდინარე და ასევე, რჩება მთავარი მდინარეც, რომელიც გაივლის ალ-ხაზარს და ჩაედინება ზღვაში. ამბობენ, რომ თუ ამ მდინარის წყლები ერთად შეიკრიბება, ის უფრო დიდი იქნება ვიდრე ჯაფჰუნი, წყლის სიუხვიდან გამომდინარე. როდესაც ზღვაში ჩადის განაგრძობს დინებას ზღვის შიგნითაც ორი დღის სავალ მანძილზე და შეერევა ზღვის წყალს, ზამთარში ის იყინება მისი სიმსუბუქისა და სიტკბოების გამო. განსხვავდება მისი წყალის ფერი ზღვის წყლის ფერისაგან. ალ-ხაზარში არის ქალაქი სახელად სამანდარი. მასსა და ბაბ ალ-აბვაზს შორის სულ ბალები და ბოსტნებია და ამბობენ, რომ იქ არის 4000 ბაღი ვიდრე ალ-სარნის საზღვრამდე და ნაყოფის უმრავლესობა არის ყურძენი. იქ ბევრი მუსლიმია და მათ აქვთ მეჩეთი და მისი შენობები ხისაა, ნაქსოვია და ზედაპირები გამობურცული. მათ მეფე

გვ. 223

იუდეველია და ალ-ხაზართა მეფის ახლობელი (ნათესავი). მათსა და ას-სარნის შორის ორი ფარსახია, მათსა და ას-სარნის საჰიბს შორის ზავია.

ას-სარნის (ხალხი) ქრისტიანები არიან. ამბობენ, რომ ეს ოქროს ას-სარნის (აქ ტახტი) იყო ერთ-ერთი სპარსეთის მეფის. როდესაც მათი მეფობა შეწყდა, ტახტი წამოიღეს ას-სარნში, როგორც მე მიაჩნება ეს მეფე იყო შვილი ბაჰრამ ჯუბნისა და ძალაუფლება დღემდე იქ მათ ხელშია. ამბობენ, რომ ეს ტახტი (ას-სარნის) გააკეთა

²⁰⁷ ამ შემთხვევაში აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებში იგულისხმება არა უშუალოდ ხაზართა ტერიტორია, არამედ ქ. ითილი, ხოლო სპარსული ვერსიის ქართულ თარგმანში სწორედ ქ. ითილზეა საუბარი. ისტახრი. ჰოდუდ ალ-ალემი. ჰამდალაჰ ყაზვინი, 1937, გვ. 8.

²⁰⁸ ვლ. ფუთურიძე ამ სიტყვას შემდეგნაირად განმარტავს: სამეფო სახლის ან სახელმწიფოს უშუალო გამგებლობის ქვეშ მყოფი მამულები. ისტახრი. ჰოდუდ ალ-ალემი. ჰამდალაჰ ყაზვინი, 1937, გვ. 40.

ერთმა ალ-აქსრათაგანმა²⁰⁹ და ქმნიდა მრავალი წელი. ას-სარḥრსა და მუსლიმებს შორის არის ზავი (მშვიდობა). სამანდარის გარდა ალ-ხაზართა მიწაზე სხვა მჭიდროდ დასახლებული ადგილი ჩემთვის ცნობილი არ არის. ბურტასი არის ხალხი, რომელიც ალ-ხაზართა მეზობლადაა, მათსა და ალ-ხაზარს შორის სხვა არავინაა და ეს ხალხი ცხოვრობს მდინარე იხილის ხეობაში. ბურტასი არის ნაჰიას სახელი ასევე არ-რḥსი, ალ-ხაზარი, ას-სარḥრი სახელია სამეფოების და არა ქალაქების და არც ხალხის.

ალ-ხაზარები არ ჰგვანან თურქებს, ისინი არიან შავგრემანები (შავ თმიანები) და მათი ორი ჯგუფია ერთს ჰქვია კარḥხაზარი,²¹⁰ ისინი მუქი ფერის არიან თითქმის შავები, ისეთივე როგორც ალ-ჰინდები (ინდოელები). (მეორეა) თეთრი ჯგუფი კარგი შესახედაობის და ლამაზი გარეგნობის. რაც ხვდება ალ-ხაზართაგან მონები სწორედ ამ მეორე ჯგუფიდანაა, რომლებშიც ნება დართულია შვილების გაყიდვა და ერთმანეთის დამონება. ხოლო იუდეველებსა და ქრისტიანებში ერთმანეთის დამონება აკრძალულია, რელიგიიდან გამომდინარე მსგავსად მუსლიმებისა.²¹¹ ალ-ხაზართა ქვეყნიდან არ გადის არაფერი სხვა ქვეყნებში, გარდა წებოსი. რაც შეეხება ვერცხლისწყალს,²¹² თავლს,

გვ. 224

ცვილს, აბრეშუმსა და ბამბას ყველაფერი არის შემოტანილი. ალ-ხაზართა და ვინც მათ გარშემოა, სამოსი არის კურტაკი და კაფტანი, თავად ისინი არ ქმნიან სამოსს არამედ შემოაქვთ ის ჯურჯანის, ტაბარისტანის, 'არმḥნიḥის, 'აზარბაჯანის და არ-რḥმის ნაჰიებიდან. რაც შეეხება მმართველობას (პოლიტიკას) მათ აქვთ სამეფო, მათ მმართველს ჰქვია ხაზართა ხაკანი და ისაა უფრო მაღლა მდგომი, ვიდრე ალ-ხაზართა მეფე. თუმცა მას ნიშნავს ალ-ხაზართა მეფე. როცა ისინი მოისურვებენ ვინმე დანიშნონ ხაკანად, მოჰყავთ იგი და იწყებენ მის მოშობას აბრეშუმის თოკით, ვიდრე არ დაიწყებს ხრჩობას, ამ მდგომარეობაში მას ჰკითხავენ თუ რამდენი ხნით სურს მეფობა და ის იტყვის ამდენი და ამდენი წელი, თუ ის მოკვდა იქამდე (ხომ

²⁰⁹ اكاسرة არის მრავლობით ფორმა كسرى ე.ი. ხოსროსი. შესაბამისად იგულისხმება ხოსროიანი ანუ ერთ-ერთი სასანიანთაგანი.

²¹⁰ „შავი ხაზარი“.

²¹¹ სპარსული ვერსიის ქართულ თარგმანშია: ხაზართა ხალხი ჰგავს თურქებს მაგრამ თურქები არ არიან. ისინი ორი ჯგუფია: შავკანიანი და შავთმიანი, გეგონებათ ინდოელთა მოდგმის არიანო, და თეთრ სახიანი. ესენი თავიანთ ბავშვებს ჰყიდიან. ისტახრი. ჰოდუდ ალ-ალემი. ჰამდალაჰ ყაზვინი, 1937, გვ. 8.

²¹² زبيق შესაძლოა იყოს زبيق (მონა) ფორმაც როგორც ეს სპარსულ ვერსიაშია.

კარგი) თუ არა და იმ წელს მას მოკლავენ. ხაკანობა შეუძლია მხოლოდ ცნობილი გვარის წარმომადგენლებს. მას არ აქვს რაიმე ძალაუფლება, გარდა იმისა, რომ განადიდებენ და თაყვანს სცემენ მას, როდესაც მასთან წარდგებიან. მასთან შესვლა შეუძლია მხოლოდ მეფეს ან ვინც მისი მსგავსი რანგისაა. მეფე შედის მასთან მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ასეთ დროს მეფე ეხვევა მტვერში და თაყვანს სცემს მას, შემდეგ დგება მოშორებით, ვიდრე ხაკანი არ დართავს მიახლოების ნებას. როდესაც მათ რაიმე დიდი საფრთხე ემუქრებათ მათ გამოჰყავთ ხაკანი, როდესაც დაინახავს მას ვინმე თურქთაგანი ან ვინც ახლოსაა მათთან ურწმუნოთაგანნი გარბიან და თავს ანებებენ ბრძოლას. თუ მოკვდა, ვინც მის საფლავთან გაივლის, ცხენიდან ჩამოქვეითდება და თაყვანს სცემს მას და არ ამხედრდება იქამდე, სანამ ჩანს საფლავი. ისინი იმდენად არიან მეფის მორჩილები, რომ თუ რომელიმეს მოკვლავს საჭირო და ის არის რომელიმე დიდებულთაგან და მისი დასჯა მეფეს არ სურს საჯაროდ, ის უბრძანებს მას მოიკლას თავი, ისიც მიდის სახლში განმარტოებით და იკლავს თავს. ხაკანობა გადადის ცნობილ გვარებს შორის თუნდაც არ ჰქონდეთ რაიმე სამფლობელო ან ქონება. მიუხედავად ამისა, როდესაც რომელიმე მათგანი გახდება მეთაური, იღებენ მას და არ უყურებენ თუ რა გააჩნია. მიაბზო მე ერთმა სანდო პირმა, რომ ნახა ბაზარში ერთ ჭაბუკი, რომელიც ყიდდა პურს. ისინი (ხაზარები) ამბობდნენ, რომ თუ მათი ხაკანი მოკვდება, არავინ იქნება უფრო ახლოს (შესაფერისი) ხაკანობისთვის ვიდრე ის, თუმცა ის იყო მუსლიმი და ხაკანობა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც იუდაიზმის მიმდევარია. ოქროს ტახტი და კარავი (ჩარდახი, გუმბათიანი კარავი), რომელიც მათ აქვთ

გვ.225

არის მხოლოდ ხაკანისთვის. კარვის გასაშლელი ადგილი მეფის ადგილზე მაღლაა, ქალაქში არსებული მისი საცხოვრებელიც მეფის საცხოვრებელზე მაღალია.²¹³

გვ. 226

მანძილები ალ-ხაზართა ზღვის ქალაქებსა და ნაპიებს შორის. აბასქუნიდან ალ-ხაზართა ქვეყნამდე მარჯვენა ნაპირისკენ (ზღვის) 300 ფარსახია; აბასქუნიდან მარცხნივ ალ-ხაზარამდე 300 ფარსახია; აბასქუნიდან დაჰისტანამდე 6 მარჰალაა და

²¹³ ამ თავის შემდგომ ორ აბზაცში საუბარია რუსებზე, ბულგარებსა და ბურტასებზე, რომელიც არ ეხება არც ხაზარებს და არც კავკასიის რეგიონს, ამდენად ეს ნაწილი გამოვტოვეთ, აღნიშნულ ნაწილზე საუბარი არის სპარსული ვერსიის ქართულ თარგმანში, რომლითაც სრულდება ტექსტი. შესაბამისად, ის ნაწილი, რომელშიც მოცემულია მანძილების შესახებ, სპარსულ ვერსიაში, როგორც ჩანს, არ არის.

კვეთენ ამ ზღვას თუ არის საჭირო ქარი; ტაბარისთანთან ბაბ ალ-’აბვაზამდე ერთი კვირის (სავალია); აბასქუნთან ალ-ხაზართა ქვეყნამდე ზღვით უფრო შორია, რადგან ის კუთხეში მდებარეობს; ისლილიდან სამანდარამდე 8 დღის სავალია; სამანდარიდან ბაბ ალ-’აბვაზამდე 4 დღე; ას-სარირის სამეფოსა და ბაბ ალ-’აბვაზს შორის 3 დღე...

§ 3. იბნ ჰაუკალი

მუჰამმად აბუ-ლ-კასიმ იბნ ჰაუკალ ან-ნისიბი მეათე საუკუნის არაბი გეოგრაფი და მოგზაური იყო, რომელიც დაახლოებით 25 წლის განმავლობაში მოგზაურობდა. სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი კომპონენტი მისი თხზულებისა, რადგან ბევრი ადგილი ავტორს თავად აქვს ნანახი. მათ შორის, მისივე თხზულებაში მოთხრობილი თბილისის შესახებ, სადაც ის მიიწვიეს ქალაქის ყადთან და ამირასთან.²¹⁴ ასევე იმყოფებოდა სიცილიაზე, პალერმოში, სადაც იბნ ჰაუკალი ბევრად უფრო უცხოდ გრძნობს თავს,²¹⁵ ვიდრე თუნდაც თბილისში. თუმცა, მისი ვიზიტისას ორივე ტერიტორია *დარ-ალ-ისლამად* ითვლებოდა.²¹⁶ 977 წელს დაასრულა თავისი გეოგრაფიული ნაშრომი *სურათ ალ-არდ* (დედამიწის სურათი). დე გუეს მიერ გამოცემულ რედაქციაში (1870) შეცდომითაა დასახელებული სათაური *ქითაბ ალ-მასალიქ ვა ალ-მამალიქ* („წიგნი გზებისა და სამეფოთა შესახებ“), რომელიც უკვე მეორე გამოცემაში, ჯ. კრამერის რედაქციით, გასწორებულ იქნა. ნაშრომი დაყოფილია თავებად, საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ძირითადი ინფორმაცია, მოცემულია თავში *’არმინიჯია, არ-რანი, ’აზარბაჯანი*.

როგორც ზემოთ ვახსენეთ, პირველი კრიტიკული ტექსტი გამოიცა დე გუეს რედაქტორობით ლაიდენში 1870 წელს. აღსანიშნავია, რომ მას საკმაოდ მძიმე სამუშაოს გაწევა მოუწია, რადგანაც არ არსებობდა ჩვენამდე მოღწეული სრულყოფილი ხელნაწერი. ამასთან, კატალოგებში ხშირად შეცდომა იყო დაშვებული (ასევე, არაა გამორიცხული ეს დღემდე ასე იყოს) და ამა თუ იმ ხელნაწერს სრულიად სხვა ავტორს მიაკუთვნებდნენ (მაგალითად ყოფილა შემთხვევა, რომ იბნ ჰაუკალისა

²¹⁴ 1992, كتاب صورة الارض, لابن حوقل, دار مكتبة الحياة, بيروت, გვ. 292-293.

²¹⁵ Ibn Hawqal In Sicily, William Granara, Journal of Comparative Poetics, Spring, 1983, No. 3, Department of English and Comparative Literature, American University in Cairo and American University in Cairo Press, (94-99).

²¹⁶ დარ ალ-ისლამი, იგივე ისლამის მიწა, ისლამის ტერიტორია. შუა საუკუნეების ისლამური სამართლის მიხედვით, მსოფლიო იყოფოდა სამ ძირითად ნაწილად: ისლამის ტერიტორია (დარ ალ-ისლამ), ომის ტერიტორია (დარ ალ-ჰარბ) და ზავის ტერიტორია (დარ ას-სულჰ).

და ალ-ისტახრის ხელნაწერები მიუკუთვნებიათ ალ-ბალხისთვის). შესაბამისად, დე გუეს ღვაწლი ფასდაუდებელია. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როდესაც გარკვეული ხელნაწერი უკვე გამოცემული რედაქციის შემდეგ აღმოუჩენიათ, რაც მოხდა იბნ ჰაუკალის შემთხვევაში, როდესაც აღმოჩნდა ახალი ხელნაწერი. ამის საფუძველზე, ასევე ზოგიერთი სხვა ფრაგმენტის გადამუშავებით, ხელმეორედ იბნ ჰაუკალის ახალი კრიტიკული ტექსტი 1938 წელს გამოსცა ჯ.ჰ. კრამერსმა,²¹⁷ რომელიც ითვალისწინებს ყველა ცნობილ რედაქციასა და ტექსტს.²¹⁸ ე. სიხარულიძემ სწორედ ამ რედაქციის მიხედვით 1976 წელს თარგმნა ცნობები თბილისის შესახებ. თუმცა, აღნიშნული ცნობები არ არის იბნ ჰაუკალის თანადროული. ჯ. კრამერსის რედაქციის მიხედვით 1992 წელს ასევე ალექსანდრიაში გამოიცა იბნ ჰაუკალის წიგნი „დარ ალ-ქუთუბ“-ის მიერ, რომლითაც ჩვენ ვიხელმძღვანელებთ. აღნიშნული გამოცემა საინტერესოა, რადგანაც მასში მოცემულია შავ-თეთრი რეგიონალური რუკები. რაც შეეხება ცნობებს კავკასიის შესახებ, 1908 წელს იყო თარგმნილი რუსულად ნ. ა. კარაულოვის მიერ СМОНПК-ს ოცდამეთვრამეტე გამოცემაში (გვ.82-92), დე გუეს რედაქციის მიხედვით და შესაბამისად, მასში არ შესულა ე.წ. „პარიზის ხელნაწერში“ არსებული ინფორმაცია.

თავად იბნ ჰაუკალი აღნიშნავს, რომ მის წიგნს ორი რედაქცია უნდა შეექმნა,²¹⁹ თუმცა ჯ. კრამერსი შესაძლო რედაქციების სამ სხვადასხვა ვერსიაზეც მიუთითებდა.²²⁰

თარგმანებს შორის ასევე აღსანიშნავია უილიამ ოსლეის ინგლისურენოვანი თარგმანი, რომელიც 1800 წელს გამოიცა. თუმცა, ეს თარგმანი არ ეფუძნებოდა დე გუეს მიერ გამოცემულ რედაქციას. როგორც თავად ოსლეი აღნიშნავს შესავალში, მას უსარგებლია სხვადასხვა არაბული და სპარსული ხელნაწერებით.²²¹ მიუხედავად ამისა, თარგმნილ ტექსტში არის არაერთი უზუსტობა, მაგ. ტოპონიმებთან მიმართებაში. ამასთან, ზოგიერთ შემთხვევაში გამოყენებულია ადგილთა არაბული

²¹⁷ ჯ. კრამერსის რედაქტორობით გამოცემული წიგნი კიდევ 2-ჯერ დაიბეჭდა. მეორე გამოცემა იყო 1939 წელს ხოლო მესამე გამოცემა 1967 წელს. ყველა მათგანი გამოცემულია ლაიდენში (ბრილის გამომცემლობა).

²¹⁸ სიხარულიძე ე. იბნ ჰაუკალი თბილისის შესახებ, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი I. თბილისი, „მეცნიერება“, 1976. გვ. 33.

²¹⁹ Knight Judson, Ibn Hawkal, <https://www.encyclopedia.com/science/encyclopedias-almanacs-transcripts-and-maps/ibn-hawkal> (ბოლო ნახვა: 30/02/2022)

²²⁰ Крачковский, И.Ю., 1957 გვ. 199.

²²¹ Ouseley W., Ebn Haukal an Arabian traveller of the tenth century, Oriental Press, London, 1800, გვ. I-IV.

სახელები, ზოგიერთ შემთხვევაში კი სახელთა სპარსული ვარიანტები. ასევე, არაა გამოყოფილი თუ რომელი ნაწილი რომელი ვარიანტიდანაა და არის გვიანდელი ჩანართებიც. მაგ. თავში – *'არმინიჯია, 'აზარბაჯანი, არ-რანი*, გვხვდება ყივჩაღები, რომელი სახელიც მითითებულია სპარსული შრიფტითაც და რაც არ გვხვდება არც დე გუეს და არც ჯ. კრამერსის რედაქციებში. იმავე თავის შესახებ, დამატებით ასევე შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ გვაქვს რაიმე განსხვავებული ცნობა რეგიონის შესახებ და ამასთან, მასში მოცემული ცნობები ბევრად მოკლე და მწირია, ვიდრე ხსენებულ არაბულ რედაქციებში.

იბნ ჰაუკალის შესახებ ბიოგრაფიული ცნობები, სხვა მისი ეპოქის ავტორების მსგავსად არ არის ვრცელი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მისი თხზულების შექმნაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია იბნ ჰაუკალის მოგზაურობებს მისი ეპოქის მუსლიმურ სამყაროში, რომელიც მან ფაქტობრივად სრულად მოიცვა.²²² მისივე თხზულებიდან ჩანს, რომ გარდა მოგზაურობისა, მის ინტერესში ასევე ვაჭრობაც შედიოდა. თბილისის შესახებ ცნობიდან აშკარაა, რომ იბნ ჰაუკალი ქალაქში გარკვეული სავაჭრო მიზნითაც ჩამოვიდა. ის წერდა: *ამ ხნის განმავლობაში ჩემი საქონელი გაეყიდათ და ყურადღება მიექციათ იმისთვის, რაც მომიტანდა მოგებას, თანაც ჩემი საქიროებები დაკმაყოფილდა.*²²³ ასევე, მსგავსად სხვა ვაჭარ-მოგზაური ავტორებისა, ისიც არაერთგან აღნიშნავს ფასების სიიაფეზე, ბაზრებისა და სასტუმროების სიმრავლეზე და სხვა. იბნ ჰაუკალი წარმოშობით ნისიბინიდან (რომელზეც მისივე ნისბა მიუთითებს) უნდა ყოფილიყო და დაიბადა მეათე საუკუნის პირველ მესამედში. მისი მოგზაურობის დასაწყისის შესახებ თავად იბნ ჰაუკალი აღნიშნავს: *დაიწყო ჩემი მოგზაურობა მშვიდობის ქალაქიდან (ბაღდადიდან) 331 წლის რამადანის თვის²²⁴ ხუთშაბათ დღეს.*²²⁵ ი. კრაჩკოვსკი თვლიდა, რომ იბნ ჰაუკალს შესაძლოა ჰქონოდა გარკვეული პოლიტიკური დავალება, აგენტის როლი და ამ მოსაზრების გასამყარებლად გამოდგება ის ცნობა, რომლის მიხედვითაც იბნ ჰაუკალი სხვა სახელით მოგზაურობდა როგორც ვაჭარი.²²⁶

²²² Ducène, Jean-Charles, Ibn Hawqal, 2017, https://referenceworks.brillonline.com/entries/encyclopaedia-of-islam-3/ibn-hawqal-COM_30810 (ბოლო ნახვა: 30/01/2022).

²²³ Abu'l-Kasim Ibn Haukal, 1873, გვ. 293.

²²⁴ 943 წლის მაისი.

²²⁵ Abu'l-Kasim Ibn Haukal, 1873, გვ. 5.

²²⁶ Крачковский, И.Ю., 1957 გვ. 198.

ბერნარდ ლუისი კი მას პირდაპირ უწოდებდა აბასიანების ან ფატიმიანების ჯაშუს.²²⁷

რაც შეეხება იბნ ჰაუკალის თხზულებას, როგორც უკვე ვახსენეთ, ის ორი სახელითაა ცნობილი და მისი ორი რედაქცია თავად ავტორმა შექმნა. თხზულება იწყება შესავლით, რომელშიც ნახსენებია ზოგიერთი, იბნ ჰაუკალის წინამორბედი არაბი-მუსლიმი მოგზაური და გეოგრაფი. მოკლედია აღწერილი თხზულების შინაარსი და რეგიონთა დანაწილების პრინციპი, ასევე ის თუ რა ტერიტორიებზეა საუბარი წიგნში. წიგნი ორ ძირითადად ნაწილად იყოფა, რომელიც შეიძლება გავყოთ როგორც დასავლეთის და აღმოსავლეთის პროვინციები. პირველ ნაწილში (დასავლეთის პროვინციები) საუბარი იწყება არაბთა მიწით (არაბეთის ნ/კ), შემდეგ საუბარია სპარსეთის ზღვაზე (ყურეზე), შემდეგ არის მალრიბი, ანდალუსია, სიცილია, ეგვიპტე, სირია, ხმელთაშუა ზღვა, ზემო მესოპოტამია (ალ-ჯაზირა) და ერაყი. მეორე ნაწილი (აღმოსავლეთის პროვინციები) იწყება ხუზისტანით, რომელსაც მოყვება, ფარსი (ან სპარსეთი), ქირმანი, სინდი. ერთ პროვინციადია არმენია, აზერბაიჯანი, არ-რანი, შემდეგ ალ-ჯაბალი, ასევე ერთადაა ალ-დაილამი და ტაბარისტანი, ხაზართა ზღვა, უდაბნო ხორასანსა და ფარსს შორის, საჯისტანი, ხორასანი და მავერანნაჰრი.

ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ცხადია, მოცემულია თავში, რომელიც ეხება არმენიას, აზერბაიჯანს და არ-რანს. პროვინციის აღწერა იწყება მისი საზღვრების დასახელებით. აქ საინტერესოა ის, რომ არა მხოლოდ ტექსტში, არამედ რუკაზეც პროვინციას დასავლეთიდან და ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრება ალ-ლანი. ალ-ლანში თავისთავად ალანები იგულისხმებიან. თუმცა, შესაძლოა, აღნიშნავდეს ასევე ჩრდილოეთ, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში მოსახლე ტომების ზოგად სახელს. ამასთან, გაუგებარია თუ სად შეიძლება მოსახლეობდნენ ალანები რეგიონის დასავლეთით (რადგან ჩრდილოეთი საზღვარზე მათი არსებობა გასაგებია). ამ შემთხვევაში აშკარაა, რომ რეგიონის დასავლეთით, არ-რუმის (ბიზანტიის) გარდა დასავლეთ საქართველო უნდა იგულისხმებოდეს. ეს ასევე მიუთითებს იმაზე, რომ იბნ ჰაუკალს, სხვა ბევრი ავტორის მსგავსად, არ აქვს ცნობები დასავლეთ საქართველოს შესახებ.²²⁸ იბნ ჰაუკალის ცნობები გამოირჩევა იმითაც, რომ

²²⁷ Lewis Bernard, *The origins of Ismailism*, Cambridge, W. Haffur and Sons, 1940, გვ. 99.

²²⁸ არა თუ მეცხრე-მეათე საუკუნეებში, არამედ მეთერთმეტე საუკუნეშიც კი ისეთი ავტორი როგორცაა მაგ. ალ-იდრისი, არ იცნობს დას. საქართველოს და რუკაზეც არ ასახავს მას. იხ. ეჯიბია ო.,

მის ცნობებში, სხვა ავტორებთან შედარებით, ბევრი ადგილობრივი ისტორიული პირის სახელია მოცემული, მათ შორის 'იბნ აბუ ალ-საჯი. სომხეთის მეფეაა მოხსენიებული სანბატ ბ. 'აშუტი. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა სანაჰარბის (სენეკერიმის) და 'იმჯანის (იშხანიკი) ხსენება ტექსტის ბოლოს. ჯ. კრამერსისა და დარ ალ-ქუთუბის გამოცემებში, დე გუეს რედაქტორობით გამოცემული წიგნისაგან განსხვავებით, შესულია ისეთი ცნობები, რომლებიც ამ უკანასკნელში არ გვხვდება. აღნიშნული ცნობები ეხება გვიან პერიოდს და აღწევს XI საუკუნემდე. ეს დამატებები შესულია ე.წ. პარიზული ხელნაწერიდან, რომლის ქრონოლოგიურ ჩარჩოდ ი. კრაჩკოვსკი განსაზღვრავდა 534/1139 წლიდან 580/1184 წლამდე პერიოდს.²²⁹ თუმცა, თბილისის შესახებ ცნობიდან აშკარაა, რომ ისინი არა ჰიჯრის 534 წლიდან, არამედ უფრო ადრინდელი პერიოდიდანაა მიღებული. *თბილისი: ახლა ის ალ-ქურჯების ხელშია, დაიპყრეს ის 500 წლის პირველი ათეულის ბოლოს ალ-ქურჯების მეფე ურწმუნოა რომელიც ზრუნავს მის ხალხზე და იცავს ყოველგვარი ვნებისგან.* მოცემულ თარიღთან დაკავშირებით, ე. სიხარულიძე მიუთითებდა ჰიჯრის 516 წელს,²³⁰ რადგანაც ცნობილია, რომ თბილისი დავით აღმაშენებელმა 1122 წლის თებერვლის შუა რიცხვებში აიღო. 516 წლის ზუ-ლ-ჰიჯას თვე იწყება 6 თებერვალს და მთავრდება 7 მარტს. შესაბამისად, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ დამატებითი ცნობების ქრონოლოგიური ჩარჩო, რომლებიც ჩართულია გვიანდელი გადამწერის მიერ, იბნ ჰაუკალის თხზულების ე.წ. პარიზულ ხელნაწერში, ჰიჯრის 516 წლიდან იწყება.

საზღვრების აღწერის შემდგომ არის რეგიონალური რუკის აღწერა-დახასიათება, რომელიც გვიანდელი ჩანართია და არ არის იბნ ჰაუკალის თანადროული. შემდეგ კი იწყება აზერბაიჯანის აღწერა, მსგავსად სხვა არაბ-მუსლიმი გეოგრაფებისა, რომელიც რეგიონის შესახებ საუბარს იწყებენ სწორედ აზერბაიჯანით და არდებილით, რომელიც, როგორც ავტორი ამბობდა, დიდებული ქალაქი იყო. არდებილის შემდეგ საუბარია მარაღაზე, რომელსაც მოსდევს გვიანდელი ჩანართი თავრიზის შესახებ. ამ ჩანართის მიხედვით, უკვე არა არდებილი, არამედ თავრიზია აზერბაიჯანის უდიდესი ქალაქი. ასევე საინტერესოა სალამასის ხსენება თავრიზთან და რეისთან

ალ-იდრისის ცნობები საქართველოს შესახებ, აღმოსავლეთმცოდნეობა #8, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2019, გვ. 131-145.

²²⁹ Крачковский, И.Ю., 1957 გვ. 204.

²³⁰ სიხარულიძე ე., იბნ ჰაუკალი თბილისის შესახებ, 1976. გვ. 38.

ერთად, რადგანაც, როგორც წესი, სალამასი არმენიის ნაწილია და არა აზერბაიჯანის. შემდგომ გვიანდელ ჩანართში საუბარია ქალაქ დვინზე,²³¹ რომელსაც, როგორც ცნობილია, არაბულად დაბილი ეწოდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს არის პირველი შემთხვევა ამ ფორმით დვინის დასახელებისა არაბულ წყაროებში, ხოლო იაკუთი ასახელებს ორივე სახელს დაბილსაც და დვინსაც, რათა მათი სხვადასხვა ქალაქად აღქმა არ მომხდარიყო.²³² ამ ჩანართში საუბარია ალ-ქურჯებზე ე.ი. ქართველებზე, რომლებსაც დაუპყრიათ დვინი და ისინი თავს ესხმიან ქალაქს, როდესაც კი მოესურვებათ. ვფიქრობთ, ეს ცნობა გიორგი მესამეს პერიოდს უნდა ეხებოდეს. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, იბნ ჰაუკალის თხზულებაში არსებული გვიანდელი ჩანართების ქრონოლოგიური ჩარჩო არ სცდება XI საუკუნეს და მოდის 1184 წლამდე. შესაბამისად დვინზე ქართველთა ლაშქრობის ეს ეპიზოდი უნდა ემთხვეოდეს გიორგი მესამეს ლაშქრობას. გიორგი მესამემ დვინი 1161/1162 წელს აიღო და 1173 წელს ანისთან ერთად შეუერთა სამეფოს. თუმცა, ბრძოლები შემდეგაც გრძელდებოდა. სწორედ, ბრძოლების ასეთი ინტენსივობა შეგვიძლია მივიჩნიოთ მთავარ არგუმენტად გიორგი მესამის სასარგებლოდ. ამ წყაროს მიხედვითაც ჩანს, რომ ქურჯებს არაერთხელ უნდა დაელაშქრათ ქალაქი. თუმცა, დვინისთვის ბრძოლა თამარის ეპოქაშიც გრძელდებოდა.²³³ დვინის გარდა, ასევე ბარდავის დაკნინებასაც ქართველების გამეზობლებას აბრალებს ავტორი. მართალია, ტექსტში ეს ნაწილი არაა ცალკე ჩანართად გამოყოფილი, თუმცა ცხადია ის გვიანდელია და არ არის იბნ ჰაუკალის თანადროული. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს ჩანართები ავსებენ მეთერთმეტე საუკუნის საქართველოს ისტორიის გარკვეულ დეტალებს. ამავდროულად, ამ ცნობებში ჩანს ის აქტიური საგარეო, სამხედრო-პოლიტიკური აქტივობა, რომელსაც ქართული სამეფო ეწეოდა მეთერთმეტე საუკუნეში. იქნება ეს მუდმივი შესაძლებლობა დვინზე ლაშქრობისა თუ პოლიტიკური გავლენა ბარდავზე. ასევე ზედაპირულად, მაგრამ მაინც მოცემულია მუსლიმი ავტორის დამოკიდებულება და მისი შეფასებები ქართველთა პოლიტიკური სიძლიერის მიმართ.

²³¹ სომხ. Դուին (დუინ), ბერძ. Δουίνος (დუბიოს).

²³² Kettenhofen Erich, Dvin, 2011, <https://www.iranicaonline.org/articles/dvin> (ბოლო ნახვა: 30/01/2022).

²³³ Ejibia O. Inscriptions on the map of Ibn Hawqal (Manuscript Arabe 2214), Journal Pro Georgia #31, Duo Studio, Warsaw, 2021, გვ. 152-153.

დარუბანდის აღწერისას საინტერესოა პარალელების გავლება დარუბანდის პორტსა და კონსტანტინოპოლს შორის. სახელდობრ, ჩამკეტი ჯაჭვის გამოყენებაზე, რომელიც, როგორც ცნობილია, კონსტანტინოპოლში ოქროს რქის ყურეს კეტავდა. ჩანს, მსგავსი რამ უნდა ყოფილიყო დარუბანდშიც და ტვიროსშიც. ვერ ვიტყვით, რომ ეს ცნობა პირველადია და ეკუთვნის იბნ ჰაუკალს, რადგანაც მსგავს ცნობებს სხვა არაბ-მუსლიმი გეოგრაფები, ისტორიკოსები თუ მოგზაურებიც გვაწვდიან.

რაც შეეხება თბილისის შესახებ ცნობებს, ის შეგვიძლია პირობითად დავყოთ ორ ნაწილად: ერთი ნაწილი, რომელიც უშუალოდ იბნ ჰაუკალის დაწერილია და მეორე ნაწილი, რომელიც გვიანდელი გადამწერის მიერაა ჩართული. იბნ ჰაუკალის ცნობიდან რამდენიმე საინტერესო დეტალი ხდება ცნობილი. პირველ რიგში ის, რომ იბნ ჰაუკალი თავად ეწვია თბილისს და ასახელებს ორ არაბულ-მუსლიმურ ინსტიტუტს – ყადის და ამირას.²³⁴ არ-რანში იბნ ჰაუკალი, ისევე როგორც, სხვა ავტორები სამ მთავარ ქალაქს ასახელებენ: ბარდავს, დარუბანდს და თბილისს. ამათგან, მხოლოდ ბარდავში და თბილისში არიან ამირები. ყადი კი მხოლოდ თბილისთან დაკავშირებითაა ნახსენები. ასევე საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თბილისში იბნ ჰაუკალს ფაქტობრივად უმასპინძლა ყადიმ და არა ამირამ, რომელიც უმაღლესი ხელისუფალი უნდა ყოფილიყო ქალაქში. იბნ ჰაუკალის დაბინავებისა და მასპინძლობის შესახებაც ყადი იღებს გადაწყვეტილებას. დე გუეს რედაქციაში ნახსენებ ამირაზე კი მხოლოდ ის ვიცით, რომ იბნ ჰაუკალს ერთი ღამე გაუთევია ამირას სახლში და მეორე – ყადისთან. სამწუხაროდ, იბნ ჰაუკალის ცნობები თბილისის შესახებ საკმაოდ მწირია და, ფაქტობრივად, არაა იმაზე მეტი, ვიდრე ამას ალ-ისტახრი ან ალ-მუკადდასი ალ-ბაშარი გვაწვდიან.

რაც შეეხება ჩანართის სახით მოცემულ გვიანდელ ცნობას, საინტერესოა თუ რომელ პერიოდს ეხება ეს ცნობები. პირველი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც ცნობის დათარიღებისთვის გამოგვადგება, არის ტექსტში მოცემული ქართველების მიერ თბილისის აღების თარიღი: ჰიჯრის 500 წლის მეორე ათწლეული. აღნიშნულთან დაკავშირებით მართებულია ე. სიხარულიძის მოსაზრება, რომელიც 500 წლის მეორე ათწლეულის თარიღს, 516 წელს ანუ 1122 წელს გვაძლევს. შემდეგ წყაროში დასახელებულია ქურჯთა მეფე, რომელიც მიუხედავად მისი

²³⁴ ამირა ნახსენებია დე გუეს რედაქციაში.

ურწმუნოებისა (არა მუსლიმობისა) იცავს და მწყემსავს მოსახლეობას. ხსენებულ მეფეში კი ე. სიხარულიძე დემეტრე პირველს მოიაზრებდა.²³⁵ თუმცა, ამ შემთხვევაში უნდა გავიხსენოთ სხვა ფრაგმენტიც, რომელიც ქართველთა დვინზე ლაშქრობას ეხება და რომელი შემთხვევაც ჩვენ გიორგი მესამეს დაუკავშირეთ. ამასთან, ვთვლით, რომ დიდი ალბათობით, ხსენებულ მეფედ დემეტრე პირველი, ალ-ფარიკის ცნობიდან გამომდინარე იქნა გაზიარებული, რადგანაც ალ-ფარიკის ცნობის მიხედვით, დემეტრე ესწრებოდა პარასკევის ლოცვას მეჩეთში და გასცემდა მოწყალებას 'ალიმებისთვის (სწავლულები) თუ საკუთრივ მეჩეთისთვის'.²³⁶

პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით, ასევე საინტერესოა ას-სანარიას მეფის სანაჰარიბის ხსენება. ას-სანარიაში ექვგარეშეა წანარები იგულისხმებიან, ხოლო სანაჰარიბი ძალიან ჰგავს ჰერეთის მმართველთა სახელს სენექერიმს. წანარები კახეთის სამეფო-სამთავროსთან არიან ასოცირებულები, მაგრამ იბნ ჰაუკალის ცნობაში სანაჰარიბი (ე.ი. სენექერიმი) წანარების მეფეა. ცხადია, ამ შემთხვევაში წანარებში ჰერეთი უნდა ვიგულისხმოთ. ამავედროულად, სანაჰარიბი ხაჯინის მმართველია, ხოლო ხაჯინში სავარაუდოდ ვეჯინი უნდა იგულისხმებოდეს. მეტად სარწმუნოა, რომ სანაჰარიბში იოანე სენექერიმი, ჰერეთის მეფე მოიაზრება, რომელმაც კახეთის სამეფოს ზოგიერთი ტერიტორია დაიპყრო და ამის შემდგომ წანართა მეფის ტიტულიც მიიღო. ამდენად, იბნ ჰაუკალის ამ ცნობაშიც სწორედ ეს ფაქტი უნდა იყოს ასახული. ცნობებში აგრეთვე ნახსენებია იშჯანიკი, იგივე იშხანიკი, რომელიც შაქის მფლობელია. ჰერეთის სამეფოს ისტორიიდან ცნობილია მეფეები იშხანიკი და მისი ძე იოანე სენექერიმი. ცნობილია ისიც, რომ შაქი იყო ჰერეთის სამეფოს ცენტრი. იშჯანიკ-იშხანიკის იგივეობა ეჭვს არ იწვევს, რომელიც ჰერეთის მეფე იყო მეათე საუკუნის 40-იან 50-იან წლებში. რაც შეეხება დე გუეს რედაქციაში მოცემულ ასჰასს (ასხას) ფორმას, თ. პაპუაშვილი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავს: „*აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იბნ-ხაუკალის თხზულების ტექსტში შექის ამ მეფის სახელი გადმოცემულია „ასხას“-ის ფორმით, რაც ეჭვს არ იწვევს „იშხან“-ად უნდა გავიგოთ.*²³⁷ რაც შეეხება ვეჯინს, ქართლის ცხოვრების მიხედვით, სწორედ

²³⁵ სიხარულიძე ე., იბნ ჰაუკალი თბილისის შესახებ, 1976. გვ. 35.

²³⁶ სიხარულიძე ე., ალ-ფარიკი საქართველოში, სემიტოლოგიური ძიებანი, II, თბილისი, 1985, გვ. 83-90.

²³⁷ პაპუაშვილი თ., ჰერეთის ისტორიის საკითხები, „მეცნიერება“, თბილისი, 1970, გვ. 201.

მეათე საუკუნეში ხდება ამ პუნქტის დაწინაურება და მეთერთმეტე საუკუნეში იძენს პოლიტიკური ცენტრის ფუნქციასაც.²³⁸

არის ერთი საინტერესო დეტალი, არ-რანსა და არმინიაში ენობრივ საკითხთან დაკავშირებით. შუა საუკუნეების სხვა ბევრი ავტორის მსგავსად, იბნ ჰაუკალიც აღნიშნავდა, რომ ამ რეგიონში მრავალი ენაა, თუმცა აზერბაიჯანში გამოყოფდა არაბულს და სპარსულს. ცხადია, სპარსული ენის არსებობა ისტორიულ აზერბაიჯანში არაა გასაკვირი. რაც შეეხება არაბულს, ეს განპირობებული იყო სხვადასხვა არაბული ტომის მიგრაციით სახალიფოს ახალ-ახალ ტერიტორიებზე და იქ მათი განსახლებით. ამავდროულად, არაბული ენის გავრცელებას ხელს უწყობდა საერთაშორისო ვაჭრობა და ამ ვაჭრობაში არაბული ქალაქების ჩართულობა. არმენიის შემთხვევაში დასახლებულია დაბილი და ნაშავა, რომლებშიც მოსახლეობა არმინიულზე ანუ სომხურ ენაზე საუბრობდა. კიდევ ერთ საინტერესო დეტალი ეხება ბარდავს, რომელზეც იბნ ჰაუკალი წერდა, რომ ბარდავში ლაპარაკობენ არ-რანის ენაზე. ვფიქრობთ, რომ ამ შემთხვევაში ალბანური ენა ან მისი რომელიმე დიალექტი უნდა ვიგულისხმოთ და ამ ფორმით აღნიშვნა არის ერთ-ერთ გამონაკლისი, როდესაც ნახსენებია არ-რანის ენა.

იბნ ჰაუკალის ცნობები მთავრდება გადასახადების შესახებ საუბრით. ამ ცნობების მიხედვით იშხანიკი და სენექერიმი ვასალურ დამოკიდებულებაში არიან აზერბაიჯანის მმართველებთან და მათ უწევთ გადასახადების გადახდასთან ერთად საჩუქრების გაგზავნაც. საკმაოდ დიდია იმ თანხის რაოდენობაც, რომელსაც მთელ რეგიონში კრეფენ გადასახადების სახით და აღწევს 10 მილიონ დირჰამს, რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს რეგიონის ეკონომიკურ დაწინაურებაზე და შესაძლებლობაზე.

§ 4. დედამიწის სურათი

'არმინია, 'აზარბაიჯანი, არ-რანი

ახლა დავუბრუნდეთ არ-რუმის საზღვარს დასავლეთით, რომლის ნახევარი აღმოსავლეთი რეგიონებისა ბოლო საზღვარია ისლამის. ის რითაც ვიწყებთ მას არის

²³⁸ ქართლის ცხოვრების ტიპოარქეოლოგიური ლექსიკონი, რედ. გ. გამყრელიძე, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2013, გვ. 219.

'არმნიფია, არ-რანი, 'აზარბაჯანი და გავაერთიანეთ ისინი ერთ რეგიონში, რადგანაც იქ არ არიან მეფეები თუ არ ერთისა, რაც მე სიცოცხლეში ვნახე და ვინც იყო ჩემამდეც. ასეთ იყო 'იზნ აბუ ას-საჯი და წარმატებული ღულამი მისი დისამ იზნ საჰლუფია და ალ-მარზბან იზნ მუჰამმად ცნობილი, როგორც ას-სალარ, მეტად და მეტად, მსგავსად ალ-ფადლ იზნ აჰმადი და 'აბდ ალლაჰ იზნ მალიქ ალ-ხუზა'ნი და სხვა მათი მსგავსი.

და რაც ესაზღვრება მას არის შემდეგი: აღმოსავლეთიდან ალ-ჯაბალი, ად-დაღლამი და დასავლეთი ნაწილი ალ-ხაზართა ზღვისა. ხოლო რაც მას დასავლეთიდან ესაზღვრება არის ალ-'არმინ²³⁹ და ალ-ლანის საზღვრები და ნაწილი ალ-ჯაზირასი. რაც მას ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება არის ალ-ლანი და ალ-კაბკას მთები. და რაც მას ესაზღვრება სამხრეთიდან არის საზღვარი ალ-'ირაკისა და ნაწილი ალ-ჯაზირასი.

და ესაა 'არმნიფიის, არ-რანის, 'აზარბაჯანის სახე²⁴⁰

დამატებით რაც მდებარეობს 'არმნიფიაში 'აზარბაჯანში და არ-რანში სახელთაგან და ტექსტთაგან: ზემოთ უკვე დაიწერა აღწერაში 'არმნიფიის 'აზარბაჯანის და არ-რანის და რაც ესაზღვრება მას ჩრდილოეთიდან.

აღიწერა ყველაზე ზემო მარჯვენა ნაწილში [არის] ზღვა და მის სანაპიროზეა ალ-ბაზი შემდეგ აშ-შაბურანი, იწყება ამ ალ-ბაზიდან მთების ჯაჭვი წამსვლელად მარცხნივ და იქაა ნაპიები ალ-ლანი, ალ-კაბკის მთა, ას-სარირი და რაცაა მათ მეზობლად იქაურ ხალხთაგან. რაც უკავშირდება მას [მთებს] უკიდურეს სამხრეთიდან არის ქალაქები: ალ-ლაჰჯანი, კაბისი, შაქქი, კაბალა. მისი უკიდურესი [საზღვარია] მდინარე ალ-ქურრი რომელიც ჩადის ზღვაში და ამ მთებთან დაკავშირებულ მდინარეზეა ქალაქი თიფლისი შემდეგ ბარდაჯი. გამოდის გზა აშ-შაბურანიდან ქალაქ შარვანში და აშ-შამახიაში ბარდაჯამდე შემდეგ ბარჯა'ა.

გვ.

287

ხოლო ბარჯა'ადან გზა თიფლისამდე გადის ჯანზაზე, შამქურზე, ხუნანზე, ალ-კალ'აზე და დაწერილია რომ ესა არ-რანი.

ქვემო საზღვარი არ-რანის ნაპიასი არის მდინარე არ-რასი, რომელზეც არის ქალაქი ვარსანი. მდინარესთან ახლოს, ვარსანიდან მარჯვნივ არის ბარჯანდი. გზა,

²³⁹ უნდა იგულისხმებოდეს მცირე არმენია.

²⁴⁰ შემდგომი იტალიკით მოცემული მინაწერი/ტექსტი ფაქტობრივად არის რუკის აღწერა.

რომელიც მიდის ბარჯა'დან ბარჯანდამდე შემდეგ ჩაუვლის 'არდაბნოს, ალ-მაჰანიჯს, ალ-ხუნაჯს ვიდრე ზანჯანამდე. დაიწერა, სივრცე მდინარე არ-რასისი ქვემოთ 'აზარბაჯანია, მიწის ნაწილი ზღვაში სადაც მთავრდება ეს ნაწერი არის მუკანი. ამის ქვემოთ კი დაწერილია, შვეული მიმართულებით ტერიტორიაზე ზღვასა და მთას (ალ-ჯაბალ) შორის ალ-ჯაბალი და მის ქვემოთ ად-დაჰლამი. დაკავშირებულია ალ-ჯაბალთან, მის ქვემოთ ქალაქი ად-დაჰური. 'არდაბნოს, მარცხნივ მდებარეობს მთა რომელ მთასაც აწერია საბალანი. გამოდის გზა 'არდაბნლიდან მარცხნივ მაჰმაჯისკენ, 'აჰრისკენ, ვარზაკანისკენ ვიდრე დაბნლამდე. უკავშირდება დაბნოს მთები, ორი მთა რომლებსაც აწერია ალ-ჰირისი და ალ-ჰუჯარისი და უკავშირდება ამ მთებს მარჯვენა მხრიდან ქალაქი ნაშავა. წაწერილია მთის მარჯვენა მხარეს ტერიტორიაზე 'არმინიია.

გამოდის გზა 'არდაბნლიდან ქალაქ ბადლოსამდე, რომელიცაა დაკავშირებული მთათა უკანასკნელ ნაწილებს და ამ გზაზე ქალაქთაგან მდებარეობს: სარათი, ალ-მარალა, დახრაკანი, თაბრნი, სალამსი, ხუვაჰ, ბარქარი 'არჯიში, ხილასტი. ალ-მარალასა და ვარზაკანს შორის არის ქალაქი მარანდი. ალ-მარალასთან არის მიწერილი გადამწერის მიერ არათანაბარი წარწერა, რომელშიც ნათქვამია 657 წელი.²⁴¹ უკიდურეს ქვედა მხარეს არსებული ნახატი არის ტბა ქაბუჯანი და მის გვერდით არის ქალაქი ურმიია, შემდეგ მის ქვემოთ უშნუ, ხოლო მისგან მარცხნივ ქალაქის ფორმაა სახელის გარეშე.²⁴² ტბისგან მარჯვნივ, მასსა და ალ-მაჰანიჯს შორის არის ქალაქი ჯაბარვანი. ალ-ხუნაჯისგან ქვემოთ არის ქალაქი თაბრნი. ნახატი ბადლოსიდან მარჯვნივ, მასსა და მთებს ჯაჰვს შორის, არის ხილასტის ტბა. მის ქვევით კი არის წაწერილი ნაჰია ვასტანი. ამათგან მარცხნივ არის მთაში ქალაქი 'არჯანი, ხოლო მისგან მარცხნივ, მთის გარეთ მაჰფარკინი, მის ქვევით წაწერილია დასავლეთს მხარე. კვეთს მთას, სურათის ქვემოთ, ორი მდინარე დიდი და მცირე აზ-ზაბი. მდინარე მცირე აზ-ზაბიდან მარჯვნივ ორი ქალაქია საჰრურადი და შაჰრაზური. მარჯვენა კუთხეში არის მინაწერი „სამხრეთი“.

საუკეთესო რეგიონია 'აზარბაჯანში და უდიდესი ქალაქი მასში არის 'არდაბნლი. ასეა ჩვენს დროში და მასში დგას გარნიზონი და არის ამირას სასახლე და მისი

²⁴¹ გრიგორიანული კალენდრით ემთხვევა 1259 წელს.

²⁴² იგულისხმება ის, რომ რუკაზე ქალაქები აღნიშნულია ოთხკუთხედებით.

დივნები. ესაა ქალაქი, რომლის ფართობიც 30 კვადრატული ფარსახია.²⁴³ შენობების უმეტესობა კი ტინის (თიხის) და აგურისაა. ჰქონდა მას გასაოცარი გალავანი, რომელიც დაანგრია ალ-მარზბან იბნ მუჰამმად იბნ მუსაფირ ას-სალარმა, როდესაც შური იძია მის [ქალაქის] ხალხზე 331 წელს,²⁴⁴ დისამ იბნ შაჰლუვიფას მიღებისთვის, და მან ეს აღასრულა მათზე მათივე შეთანხმების თანახმად, რომელიც მას უფლებას აძლევდა დაენგრია ის [კედელი]. დაანგრია მან ის ვაჭართა და მის მმართველთა ხელით. და იყო კაცი ღირსეული და ამასთან მაღალი სტატუსისა თუ ქონების მქონე, მის შემთხვევაში ის მოვიდა ტანსაცმლით, რომელსაც ატარებენ ტაძრებში, აბრეშუმისა და სურნელოვანი. აილო ლომი (წერაქვი) და დაანგრია [კედელი], მისმა მსგავსებმა ვაჭართაგან აიღეს დანგრეულთაგან მტვერი თუ ქვა თავიანთი ტაილასანითა თუ იზარით²⁴⁵ მათ უნდა ეტარებინათ და წაეღოთ ის [ქვა და მტვერი]

გვ. 288

მხოლოდ თავიანთი უძვირფასესი სამოსით, დამზადებული ალ-მარვასა და ალ-მანიჰარისაგან²⁴⁶ ვიდრე არ გასუფთავდა და მოსწორდა კვალი მისი. შემდეგ კი აქცია ისინი მათხოვრებად, წაიღო მათი ფული და ქონება, გადაახდევინა მათ და გაფანტა ისინი სხვადასხვა მხარეში. ხოლო ამის მიზეზები ერთგვარი იყო, გზა აჯანყების და ეშმაკობისა და არად ჩაგდება მმართველობისა, მხარს უჭერდნენ ეშმაკისა, სრულად მიენდვნენ უბედურებასა და დაუმორჩილებლობას. მოგზაურთა ქონება მათგან გაიძარცვა, ხოლო მათი სისხლი არ იქნა აღებული [არ ყოფილა შურისძიება].

მსმენია მე არა ერთხელ, რომ უთხოვიათ ყასაბისთვის მიეცა მისთვის არჩეული ცხვრის ხორცი, ხოლო ის მოაწყვეტდა მყიდველის ხალათს ნაკუწს და დაადებდა ხორცს, ხოლო სხვა ნაკუწს მკლავიდან [ტანსაცმლის] და სხვას მისი თავსაბურავიდან თვითნებობითა და ძალადობით, სითამამითა და დაუმორჩილებლობით.

²⁴³ ამ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ არა მხოლოდ ქალაქის ფართობი, არამედ ქალაქი მის გარშემო მდებარე სოფლებითა თუ რაზადებით.

²⁴⁴ ჰიჯრის კალენდრით 331 წელი არის პერიოდი 942 წლის სექტემბრიდან 943 წლის სექტემბრის ჩათვლით, გრიგორიანული კალენდრით.

²⁴⁵ طيلسان სპარსული ხალათი, მწვანე მანტია; ازار ერთგვარი სამოსი, საცვალის მსგავსი.

²⁴⁶ სავარაუდოდ, აბრეშუმის ქსოვილების სახეობები. ნ. კარაულოვი თარგმნის როგორც: *მერვისა და ტენაირის ქსოვილისგან*. მერვში ამ შემთხვევაში ქალაქს გულისხმობს, მანიირს კი ტენაირად კითხულობს. შენიშვნაში ვკითხულობთ: ტენაირი მძიმე აბრეშუმის ტილოს სახეობაა, ძალიან ძვირადღირებული („ტერმალამა“) Караулова Н.А., Сведения арабских географов IX и X веков по Р.Хр. о Кавказе, Армении и Азербейджан, 1908.გვ. 82 შენიშვნა 10).

მისცა ღმერთმა გამარჯვება მათზე, მას შემდეგ რაც მოითმინა მათგან და რბილად მოექცა მათ. და ის თითქოს გაუდაბურებულია ჩვენს დროში და იმასთან შედარებით რაც იყო შენობების, მოქარავნების და ვაჭრების სიმრავლიდან, რითაც ის გამოირჩეოდა ადრე. ისაა ქალაქი ნაყოფიერი და ფასები იქ დაბალია. იქაა რუსთაკები და მხარეა დიდი. მასთან არის მთა ასვლა და ჩამოსვლა (ორი გზა) დაახლოებით სამი ფარსახისაა. უწოდებენ საბალანსს. მაღალია, აზიდული, დიდი, თვალში საცემი. მის დასავლეთ მხარეზე მუდამ თოვლია ზაფხულ და ზამთარ. და ისაა კარგი ქალაქი, მიედინება მდინარეები და არის კარგი ჭები. უმეტესად პური მისი ორმოცდაათი თავი (ან კვერი) ერთი დირჰამი. ხორცი ერთ-ნახევარი მანი ერთი დირჰამი; თაფლი, რძე, მანი, ნიგოზი თუ ჩამიჩი და რიგი საკვებისა მოედინება, როგორც უფასო. ქვეყნების უმრავლესობაში მის გარშემო, ფასების სიიაფით მასზე ნაკლებია (ანუ აქ უფრო იაფია), ყველაფერი ახალია და რასაც ისურვებ.

არდაბილს სიდიდით მოსდევს ალ-მარაღა, და ძველ დღეებში (ადრე) აქ იყო ყაზარმები, ამირას სასახლე, ხაზინა და დივანები ამ ნაჰიისა. გადაიტანა ეს ყველაფერი არდაბილში, აბუ ალ-კასიმ აჟსუფ იბნ დავუდაჰ იბნ ად-დავუდაშთმა. ალ-მარაღა ძალიან მხიარული ადგილია, სიმრავლეა ბაღებისა, მდინარეების, წყლების, ხილის, ხეირისა და მოსავლის. სხვა მხრივ ბევრია რუსთაკები, ნათესები და სავსეა ყველა (მდიდრულადაა დაჯილდოვებული) იმ სიტკბოებით, რაც კი ვახსენეთ. მის ერთ-ერთ სოფელში იზრდება საზამთრო. იზრდება გრძელი (ოვალური), გარედან მწვანეა და შიგნიდან წითელი,

გვ.289

უფრო ტკბილია ვიდრე თაფლი და მისი გული ისეთივეა, როგორც ხურასანის საზამთროსი.

ალ-მარაღას ჰქონდა გალავანი, რომელიც დაანგრია აჟსუფ იბნ აბუ ას-საჯიმ, თითქმის იმავე დროს, რა დროსაც ას-სალარიმ დაანგრია არდაბილის კედელი.²⁴⁷

თაბრზი არის კარგი ქალაქი დასახლებული უსიამო ხალხით, არის ბევრი სიკეთე მასში და ბევრი ბაზარი, ყიდვა და გაყიდვა. დღეს აზარბაჯანის კასაბაში ყველაზე დასახლებული ქალაქი. ხუვაჲ საშუალო ქალაქია, მიუხედავად ამისა კარგად

²⁴⁷ აქ შეცდომა უნდა იყოს დაშვებული, რადგან საქმე გვაქვს ანაქრონიზმთან გამომდინარე იქიდან, რომ საჯიანთა დინასტია დაეცა 929 წელს, ხოლო მარზუბან იბნ მუჰამად ას-სალარიმ არდაბილის კედელი 942 ან 943 წელს დაანგრია.

დასახლებული. ბევრია სიკეთე ხილი და ბოსტნები, მას აქვს აგურის გალავანი. მისი ხალხი არის უფრო თავაზიანი ბუნების ვიდრე თაბრიზის ხალხი. სალამსიც ასევე საშუალო სიდიდის ქალაქია კარგად დასახლებული, ბევრია მოსახლეობა და ხილი. მას აქვს ქვის გალავანი.

ალ-მარავლას²⁴⁸ შემდგომ სიდიდით არის 'ურმიჲა და ეს ქალაქიც არის საამო, სიკეთით სავსე, წყლები გაედინება ქალაქში, არის სოფლები და რუსთაკები. საკმაოდ წარმატებულია [ქალაქი] შემოსავლებითა და ვაჭრობით, ხოლო მასსა და ალ-მარავლას შორის არის ტბა ქაბუხანი. ალ-მარაღა კი ტბისგან აღმოსავლეთითაა, 'ურმიჲა კი დასავლეთით და მასთანაა ვრცელი რუსთაკები და ნაყოფიერი ნავაჰი. 'ურმიჲას ესაზღვრება ქალაქი უშნუ და ამ ქალაქშიც სიმრავლეა ხეებისა და ბალახის, ხეირისა და ხილის, ნაყოფისა და ყურძნის. 'ურმიჲასა და ალ-მარაღაში სიმდიდრეა მრავალ მიზეზთა გამო, ისინი და მათი უდაბნო ალ-ჰანზიანისაა²⁴⁹ და იქ ატარებენ ზაფხულს და მიისწრაფვიან იქითკენ. იქ ყიდიან და ყიდულობენ, იქაა ბაზრები ცოცხალი და მომგებიანი. გაყავთ აქედან წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი [ფარები და ნახირები], გააქვთ თაფლი, ნუში, კაკალი, ცვილი და რაც მსგავსია ამისა, ალ-მაგსილის და ალ-ჯაზირას ნავაჰში, ალ-ჰადისიდან და სხვებიდან.

რაც შეეხებათ ალ-მაჰანიჯს, ალ-ხუნაჯს, დანხარაკანს, ხუვას, სალამსს, მარანდს, თაბრიზს, ბარზანდს, ვარსანს, მუკანს, ალ-ბაღლაკანსა და ალ-ჯაზარვანს, ისინი პატარა ქალაქებია მსგავსი ზომისა (სიდიდისაა) და სილამაზის. ასეთივეა ნაჰიები 'აბუ ალ-ჰაჯჯა' იბნ არ-რავვადის 'აჰრი და ვარზაფანი²⁵⁰ და ყველანი დაფარულია ხეებით, სავსეა ხეირითა და ნაყოფით,²⁵¹ არცერთი ადგილი არაა სხვაზე ნაკლები მდინარეებითა თუ ბაღებით, ტინის შენობებით, არამედ ყოველივე სავსეა ხეირითა და ბარაქით, მათი ხილი არის წარმოუდგენელი, ხოლო საჭმელი (სანოვარგე) თითქმის უფასო.

დანხარაკანი და თაბრიზი იყო მეზობლად 'უშნუ ალ-'აზრიასი, ხოლო რაც გარს ერტყა მას იყო ბანი არ-რუდაანის საზღვარი მათი ძველი სამფლობელოსი და არ შეუწყვეტია განსაზღვრული ძალაუფლება, ვიდრე არ დაილუპა მმართველი და აირია

²⁴⁸ ცხადია, იგულისხმება მარაღა. თუმცა, ტექსტში ეს ადგილი არის ალ-მარავლა ფორმით.

²⁴⁹ დე გუესთან არის: ალ-ჰადნანისა ქურთები.

²⁵⁰ ვარზაკანი.

²⁵¹ დე გუეს რედაქციაში არის ფინიკი. ამ შემთხვევაში გვაქვს მსგავსება ორი არაბული სიტყვისა ნაყოფი, ხილი _ ثمرة და ფინიკი _ تمر .

დრო და მეზობლებმა არ დააზარალებს და ტირანიამ არ დაიპყრო და მან არ გაიმარჯვა.

გვ. 290

ხოლო არ-რუდაჰნის ტომი იყო არაბული. ეწია მათ ბედისწერა და გავიდა მათი დრო, მოსწორდა მათი კვალი და შეწყდა მათზე ცნობები.

რაც შეეხება ქალაქ დჰნს, ის დიდი ქალაქია მრავალი ბოსტნებითა და ბაღებით, ხილითა და ნათესებით. მას აქვს ტინის (თიხის) კედელი და წყლები მიედინება იქ. ნათესების უმეტესობა იქ არის ბამბა და ბრინჯი. და მის ხალხს უკვე დაემართა საშინელება (?) ჩვენს დროში, მათ მეზობლად არიან ალ-ქურჯები (რომლებიც) შეიჭრნენ²⁵² ქალაქში და გადაწვეს ის და ყოველ ჯერზე, როგორც კი მიეცემათ შესაძლებლობა ესხმიან თავს მათ დასარბევად. ახლა, უკვე აშენდა ქალაქის ცენტრში საკრებულო მეჩეთი, (რომელსაც) შემოავლეს აგურის კედელი, მის გარშემო კი არის თხრილი (ხანდაკი) და მასში არის წყაროები მეჩეთის შუაში, რომელშიც თავს აფარებენ როდესაც მოულოდნელად გამოჩნდება²⁵³ ალ-ქურჯის ჯარი. ხოლო მასსა (ქალაქსა) და ალ-რასს შორის დაახლოებით ორი ფარსახია.²⁵⁴

რაც შეეხება ქალაქ ბარჯა'ას, ისაა არ-რანის დედა და თვალი იმ ქვეყნისა. ძალიან დიდი ქალაქი დაახლოებით ერთი ფარსახია სიგრძეში და ამაზე ოდნავ პატარა სიგანეში. ისაა საამო და ნაყოფიერი, მრავლადაა ნათესები და ნაყოფი, ხეები და მდინარეები, მდგომარეობა სუნიტურია და ეს არის ცნობილი. ხოლო 'ისბაჰანისა და რაჰს შემდეგ, ალ-'ირაკსა და ტაბარისტანს შორის არ არის უფრო დიდი, უფრო კარგი ნაყოფიერი ქალაქი შემოსავლებით, ბაზრებით, სასტუმროებით, ხანათებით, აბანოებით, ფულითა და სავაჭრო ადგილებით. შეიცვალა მათი მდგომარეობა მათთან ალ-ქურჯების გამეზობლების შემდეგ. და გადაწყდა მასზე ის რაც მოხდა, სულტნების სურვილითა და მეამბოხეთა წერილების შუამავლობით, აკრძალულის დაკანონებითა და მისივე ხალხის ფულით.²⁵⁵ განიზრახა მისმა მთავრებმა კონფისკაცია და მოთხოვნა მტრებისგან გასაოცრად. მიამბეს მე, რომ ჩვენს დროში ცუდი ვითარებაა სხვადასხვა მიზეზთა გამო, იმდენად, რომ ჯამში პურის მცხობელთა ოდენობა არის მხოლოდ

²⁵² نقب?

²⁵³ حين يفجأهم عسكر الكرح.

²⁵⁴ ფრაგმენტის ინგლისურენოვანი თარგმანი იხილეთ: Ejibia O. Inscriptions on the map of Ibn Hawqal (Manuscript Arabe 2214), 2021, გვ. 143-154.

²⁵⁵ ეს წინადადება ერთგვარად ამოვარდნილია კონტექსტიდან.

ხუთი, მაშინ როცა ადრე იყო 1200-ზე მეტი. მისგან ფარსახის სიშორეზე ადგილია ალ-ანდრუბი, ქაზნაჰსა²⁵⁶ და თაჰსუბს²⁵⁷ შორის, საუკეთესო ადგილია რაც მინახავს ეს მიდამო ერთი დღის სავალია სიგრძეშიც და სიგანეშიც, დაფარულია ბოსტნეობით, კარგი შენობებით, პარკებით და ეზოებით. იქაა ბევრი ხილი, მნიშვნელოვანი მოსავალი, დიდი მალაზიები, დიდია გამორჩენა, ახლო მიწნები, ერთნაირად ახლო.²⁵⁸ და რაც ვნახე იყო [ადრე ეს ადგილი უფრო საამო და უკეთესი იყო ვიდრე ახლა], აქაა თხილი, წაბლი და ბევრი უცხო ხილი სხვადასხვა უცხო გემოსი.²⁵⁹ საუკეთესო ხილთაგან იზრდება არ-რუკალის [აზ-ზუკალი] სახეობა, მსგავსი ცირცელისა (ჭნავისა). მას ააქვს კურკა, ტკბილია გემოთი თუ დამწიფდა და მწარეა ვიდრე დამწიფდება. ბარჯა'აში არის ლეღვი, რომელიც შემოაქვთ თაჰსუბიდან და ითვლება საუკეთესოდ თავის სახეობაში. გააქვთ მისგან [ბარჯა'ადან] მრავალი რამ აბრეშუმის ნაწარმისგან.

გვ. 291

ამასთან, თუთის ხეები მათთან არის საჯარო და არ ფლობს მას ვინმე, არც ყიდიან და არც ყიდულობენ. გააქვთ [აბრეშუმი] სპარსეთსა და ხუზისტანში დიდი ოდენობით. ბარჯა'ადან დაახლოებით სამ ფარსახზეა მდინარე ალ-ქურრი, ალ-ქურრში არის თევზი ცნობილი როგორც ას-სურმაჰი, მდინარე არ-რასშიც არის ის ვარჯანთან და სხვაგანაც. გააქვთ 'არდაბნელში, ალ-ირაკსა და რაჰში მისი სიკარგისა და გემოს გამო. ალ-ქურრსა და არ-რასში არის თევზი ად-დურაკინ და ალ-კაშუბა, ხოლო ბარჯა'ას კართაგან ერთ-ერთი ცნობილია, როგორც ქურთათა კარი. მასთან არის ბაზარი, რომელსაც ეძახიან ალ-ქურქიას, ზომით ერთი ფარსახი. ყოველ კვირა დღეს ხალხი იკრიბება იქ ყველა მხრიდან ასევე სოფლებიდან. თითქმის მსგავსია და კონკურენტია ქურსარას ბაზრის. მიიღო ეს სახელი ბაზარმა დღის სახელისგან, როდესაც მუშაობს და მასზე ამბობენ ალ-ქურქიას დღე, ისე რომ თუ კი ჩამოთვლიან კვირის დღეებს იტყვის შაბათი და ალ-ქურქია, მერე ორშაბათი. ჩანს ალ-ქურქია არის კვირა.²⁶⁰ იქ [ქალაქში] არის კარგი საკრებულო მეჩეთი და ბანუ 'უმაას დროს იქ

²⁵⁶ ქარნა(თ).

²⁵⁷ ლასუბ.

²⁵⁸ სავაჭრო მიწნები, მიმართულებები.

²⁵⁹ დე გუეს ვერსიაში გრძელდება ასე: *უფრო მაღალი ვიდრე ალ-შამში და უფრო დიდი, უკეთესი და დახუნძლული.*

²⁶⁰ სახელი სავარაუდოდ მოდის ბერძნული კვირიაკედან.

იყო ხაზინა, ისევე როგორც იყო ეგვიპტეში ან სხვაგან. ბარჯა'ას ბაზრები არის ქალაქის რაბადში, ასევე სასტუმროები, ხანათები,²⁶¹ აბანოები იქამდე ვიდრე შევიდოდნენ იქ არ-რუსიფას [ხალხი],²⁶² ვიდრე დასრულდებოდა წესრიგი.²⁶³ *ხოლო შეიცვალა ვითარება ქალაქის ალ-ქურჯების გამეზობლებით. რაც შეეხება ჯანზას ისაა კარგი ქალაქი, ბევრი ხეირით, უსახური მენობებით, მისი მოსახლეობა არის კეთილშობილი და კარგი ბუნების, დამაკმაყოფილებელი, მომგებიანი და უცხოთა მოყვარული და მეცნიერების ხალხი.*

რაც შეეხება ბაბ ალ-'აბჯაბს, ისაა ქალაქი ალ-ხაზართა ზღვის პირას. მის შუაში კი არის ნავმისადგომი გემებისთვის. ამ ნავმისადგომთან ზღვის მხრიდან არის ნაგებობა, რომელიც აშენდა ზღვისგან გასამიჯნად, როგორც ორი დამბა (ზღუდე) ორი მხრიდან, მათ შორის გავლა შესაძლებელია წყლის შესასვლელით, რომლიდანაც შედიან გემები და რომელიც არის დაკლაკნილი (მიხვეულ-მოხვეული), მის ბოლოს კი არის კარი. ამ კარის პირას გაჭიმულია ჯაჭვი, მსგავსად ზურისა²⁶⁴ და ბეირუთისა აშ-შამში და ალ-კუნსტანტინიფას ყურეში. მასზე [ჯაჭვზე] არის საკეტი, იმისთვის ვინც აკვირდება ზღვას, და არც ერთი გემი არც შედის და არც გამოდის ბრძანების (ნებართვის) გარეშე. ის ორი დამბა კი არის ქვისგან და ტყვიისგან. ალ-ხაზართა ზღვა კი იგივე ტაბარისტანის ზღვაა.

გვ. 292

ქალაქ ალ-ბაბში კი არის უფრო მეტი ნათესები და უფრო მცირე ხილი ვიდრე 'არდაბნში, გარდა იმისა (ხოლისა) რაც შემოაქვთ სხვა რეგიონებიდან. ქალაქს აქვს მყარი კედელი ქვისგან, აგურისგან და თიხისგან (ტინისგან). ისაა პორტი ალ-ხაზართა ზღვის და ას-სარირის, ალ-ლანის, და სხვა შორეული ქვეყნების ტაბარისტანის, ჯურჯანის,²⁶⁵ ურწმუნოთა ქვეყნების და ად-დაჰლამის. გააქვთ აქედან სელის ტანსაცმელი, როგორც ზედატანი და არსად არ-რანში, 'არმინიფასა და

²⁶¹ სასტუმროები, გასაჩერებელი ადგილები.

²⁶² რუსთა დღეებში სავარაუდოდ იგულისხმება 943 წელს ქალაქის აღება რუსთა მიერ, რომლებიც იქ რამდენიმე თვე დარჩნენ და მხოლოდ დიზენტერიის ეპიდემიის გამო დატოვეს ქალაქი (რაც იმავე 913(4) წელსაც მოხდა და 6 თვის განმავლობაში ბარდა მათ ხელში იყო).

²⁶³ დე გუეს რედაქციაში გვაქვს ასე: *სანამ გამოუსწორებელი უბედურება არ მოხდა, ნაბიჯ-ნაბიჯ რუსთა დღეებიდან ვიდრე დღემდე უსამართლო მმართველებისგან და შემლილთა ქმედებებისგან.*

²⁶⁴ იგივე ქალაქი ტვიროსი.

²⁶⁵ აქ გორგანი.

'აზარბაჯანში არ არის სელის ტანსაცმელი, თუ არა აქ. არის ბევრი ზაფრანა და გვხვდება იქ ბევრი მონა მეზობელი ურწმუნოთა ქვეყნებიდან.

თიფლისი ბაზ ალ-'აბჯაზზე ზომით უფრო პატარაა. მას აქვს ორი კედელი თიხის (ტინის) და სამი კარი, ისაა ნაყოფიერი, გამაგრებული, სავსე ხეირით, ფასები დაბალია, მისი კეთილდღეობის ზრდა აჭარბებს სხვა ქვეყნებისა და მიწების კეთილდღეობას. ერთხელ თაფლის მყიდველმა მითხრა, რომ ერთ დღეს იყიდა თაფლი ოც რატლზე მეტი, ერთ დირჰემად. ისაა ცნობილი სასაზღვრო მხრე, ბევრი ჰყავს მტერი ყოველი მხრიდან და იქაა აბანოები მსგავსი ტაბარიჯის აბანოებისა, მისი წყალი ცხელია ცეცხლის გარეშე და ისაა [ქალაქი] მდინარე ალ-ქურრის პირას. იქაა წისქვილები, მარცვალი და ხორბალი იფქვება ისევე როგორც მოსულსა და რაქქაში, ისეთსავე წისქვილებში, როგორებიცაა ტიგროსსა და ევფრატზე.

ახლა ის ალ-ქურჯების ხელშია, დაიპყრეს ის 500 წლის პირველი ათეულის ბოლოს ალ-ქურჯების მეფე ურწმუნოა, რომელიც ზრუნავს მის ხალხზე და იცავს ყოველგვარი ვნებისგან. ისლამის წესები იქ ისევე [სრულდება], როგორც ადრე იყო. საკრებულო მეჩეთი დაცულია ყველანაირი უწმინდურებისგან, მეფე მასში ანთებს სანთელსა და კანდელს და გასცემს რაც საჭიროა. ხოლო აზანი მის [ქალაქის] ყველა მეჩეთში. წარმოთქმის. არასოდეს წარმოაჩენენ მათ ცუდად და უკვე არეული იქ ერთმანეთში მუსლიმი და ალ-ქურჯი.

მის ხალხს აქვს უსაფრთხოება და არიან უცხოთა მიმღები, ვინც შემთხვევით მივა მათთან. ეპყრობიან მეგობრულად ვისაც აქვს მცირედი ცოდნა მაინც ადაბისა. ისინი არიან სუნას მიმდევრები თანახმად ძველი მაზჰაბებისა. ადიდებენ ჰადისების მეცნიერებას და პატივს სცემენ მის ხალხს. ამასთან ერთად შევხვდი ხალხს, რომელთაც არ ჰქონიათ ავტორიტეტი, ვინც იქ გაიარა, დარჩენილა აქ ერთი წლით ან უფრო მეტ ხანს. ყველანი თანხმდებიან იმაზე, რომ არ გაუთევიათ ერთი ღამეც თავიანთ სახლში მარტოს და რომ ეს იყო შეუძლებელი. ჩემთვის გახდა ნათელი მათი მისწრაფება და სურვილი, როდესაც შევედი იქ [ქალაქში]. დავიფიცე იქ არავისთან მეჭამა საჭმელი. ვამჯობინე რა ვყოფილიყავი ჩემი თავის პატრონი და გამეკეთებინა ის რაც იყო ჩემთვის ყველაზე საჭირო.

მოეწყო ჩემთვის მაჯლისი განსახილველად ფიცისა, მათი ამირას სახლში, რომელსაც დაესწრო ყადი, დავიწყეთ მათი თანხმობით და თქვა [ყადიმ]: ღმერთი

შეგეწევა შენ! საჭმელი ჩვენს ქალაქში იმდენად იაფია არ ღირს შენთვის დაძალევა მიიღო უფულოდ,

გვ.293

ამით შენ გასცემ უმნიშვნელოს შენი ფულისგან, რაც იქნება სასურველი ყოვლისშემძლე ღმერთისთვის მისი სიყვარულია, ჩვენ მოველით ჯილდოს მისგან შენი სამსახურისთვის. შენ არ უნდა დაარღვიო ჩვენი ცხოვრების წესი და არ უნდა შეცვალო ჩვენი ჩვეულება. გვსმენია ჩვენი შეიხებისგან, მათი მოლაპარაკებებისა თუ შეთანხმებებისგან, რომ არ შეიძლება ჩვენს ქალაქში უცხომ ღამე გაათიოს თავის სახლში, როდესაც მას არ ჰყავს მსახურები და არის მარტო. გარდა იმ შემთხვევისა თუ კი ისინი ბევრნი არიან და შეუძლიათ გაუწიონ კომპანიონობა ერთმანეთს, მაგრამ ასეც იშვითად ხდება.

შენ უნდა იყო იმათგანი, ვინც ისარგებლებს ცოდნისგან, როცა ის მას ხედავს მის მფლობელთან, რომლისგანაც შეიძლება სარგებლობის მიღება და ვინც მიისწრაფვის მისკენ და სურს ის რაც მასშია. ან იმათგანი ვინც არ ამჟღავნებს მის [ცოდნის] სურვილს, როცა პოულობს მას მცოდნე ხალხთან და არ აქვს მას ისეთი რამ რისკენაც ისწრაფვის. და თუ შენ ხარ რომელიმე ამ ორი მოცემულობიდან ჯობს გაემგზავრო ჩვენგან და მოშორდე ჩვენს მზერას, რადგან იქნებოდი მძიმე ჩვენი გულებისთვის. მუსლიმთა ფიცი მაიძულებს მე გაპატიო შენი ფიცი, რათა დღესვე გამოისყიდო.

შვილო ჩემო მიდი მის კართან და აჭედე ამირას ბრძანებით, ხის ნაჭრითა და საბუთით და დაასვი მასზე ჩემი ბეჭედი და დაავალე მეზობლებს მასზე თვალყურის დევნება, რათა არ მისცენ მას შესვლის საშუალება ჩვენი ნებართვის გარეშე და მშვიდობა!

მომაშორეს ჩემს ბარგს რაც კი მქონდა. და გავატარე მასთან ორი კარგი ღამე.²⁶⁶ ამ ხნის განმავლობაში ჩემი საქონელი გაეყიდათ და ყურადღება მიექციათ იმისთვის, რაც მომიტანდა მოგებას, თანაც ჩემი საჭიროებები დაკმაყოფილდა. 'აბუ ბაქრ ალ-კანანადიმ შეიტყო ამ ყველაფერზე და მკითხა ერთ დღეს: გინდა დაბრუნდე ჯურჯანში?²⁶⁷ და ვუპასუხე: თუ კი მექნებოდა ამის შესაძლებლობა და ხერხი. და

²⁶⁶ დე გუემ მის რედაქციაში ჩანს უპირატესობა მიანიჭა სხვა ვერსიას: ვიყავი ერთ ღამეს მასთან [ყადისთან] და ერთ ღამეს მათ ამირასთან.

²⁶⁷ ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდეს არა გორგანი, როგორც ამას ეთერ სიხარულიძე მიუთითებს (სიხარულიძე ე., იბნ ჰაუკალი თბილისის შესახებ, 1976, გვ. 39. კომენტარი 19), არამედ აღმოსავლეთი საქართველო, ყოველ შემთხვევაში ის ნაწილი, რომელსაც ჰაუკალი ეწვია.

თქვა: რა გიშლის ხელს? და მომაწოდა ინფორმაცია და დავრჩი გაცემული. და მკითხა: მე გხედავ მაგრამ შენ თითქოს ვერ მხედავ? ვუთხარი: ო, შენ! ეს ჰგავს ამბავს 'ისჰაკ იბნ 'იბრაჰიმ ალ-მავსილის და აჰმად იბნ ხალიდის, რომელზეც მეამბნა. და თქვა: მოწმეა ღმერთი მე შემპარვია ეჭვი ამ ამბავში, მაგრამ მე ვიხილე ამ ხალხის საქმენი და ის რაც მათ შეეძლოთ გაეკეთებინათ და რომ ეს ამბავი შეულახავი სიმართლეა და არ შერევა მას სიცრუე.

გვ. 294

რადგანაც ისინი ასე არ მოქცეულან, თუმცა შეეძლოთ ეს გაეკეთებინათ და არ იყო ეს ძნელი მათთვის, ისევე როგორც არ იყო ეს სიძნელე ბარმაქელებისთვის²⁶⁸ მათი გავლენისა, ბრძანებებისა თუ მაღალი სტატუსის გამო.

და არ არის არ-რანში უფრო დიდი ქალაქები ვიდრე ბარხა'ა, ალ-ბაბი და თაფლბისი. ხოლო რაც შეეხება ალ-ბაჰლაკანს, ვარხანს, ბარდნჯს, აშ-შამახიას, შარვანს, ალ-ლანჯანს, მუშაბარანს,²⁶⁹ კაბალას, შაქის, ჯანზას, შამქურს, ხუნანს, ესენი არიან პატარა ქალაქები, კარგი და მიახლოებული დიდი ქალაქების ნაყოფიერებას და ვრცელი მარფიკებით.²⁷⁰

რაც შეეხება დაბილს და ნაშავას, დაბილი უფრო დიდი ქალაქია ვიდრე 'არდაბილი. ისაა საუკეთესო მხარე და მთავარი ქალაქი 'არმნიდია ად-დახილასი. ისაა 'არმნიდის ცენტრი და იქაა ამირას სასახლე ისევე, როგორც არის ამირას სასახლე არ-რანში ბარხა'აში და 'ახარბაჯანში 'არდაბილში. მას აქვს გალავანი და არიან იქ ქრისტიანები მრავლად. ხოლო საკრებულო მეჩეთი არის ეკლესიის გვერდით, როგორც ჰიმსის მეჩეთი, მოზიარე ეკლესიასთან, მის მომიჯნავედ.

გააქვთ იქიდან ტანსაცმელი ქაშმირისა (ანგორა), მატყლის ხალიჩები, ბალიშები და დასაჯდომები (აქ: სკამის საგებელი) და მაქმანი. ამას გარდა, შეღებილი ყირმიზი, რომელი საღებავიც წითელია და მისით ღებავენ ქაშმირსა და მატყლს. ხოლო ის გამოდის იმ ჭიისგან რომელიც ქსოვს თავისით, მსგავსად აბრემუმის ჭიისა, რომელიც

პირველ ყოვლისა, შეკითხვა: „გინდა დაბრუნდე ჯურჯანში?“ უშუალოდ მოსდევს თბილისზე საუბარს და ლოგიკურია აქ სწორედ აღმოსავლეთი საქართველოს ზოგადი სახელი ვიგულისხმობთ. ამასთან, თუ დავუშვებთ, რომ საუბარია გორგანზე, გამოდის, რომ წინადადება სრულადაა ამოვარდნილი კონტექსტიდან.

²⁶⁸ ბარმაქელთა ცნობილი საგვარეულო, იგივე ბარმაქიანები შუა აზიელი ბუდისტი ქურუმების შთამომავლები იყვნენ, რომლის წარმომადგენლებსაც ეკავათ ვეზირის თანამდებობები აბასიანთა სახალიფოში. წარმოშობით ბაქტრიიდან.

²⁶⁹ შაბრანი.

²⁷⁰ მეურნეობა, წარმოება.

ქსოვს აბრეშუმს თავისით. ბევრი აბრეშუმი გააქვთ აქედან მგავსი არ-რუმის ქვეყნის აბრეშუმისა, რომლიდანაც ასევე გააქვთ ის. ხოლო ის რაც ცნობილია ალ-'არმანიულ ნაწარმად ესენია ალ-ბუთუთი,²⁷¹ დასაჯდომები, ბალიშები, სეთური, გრძელი ხალიჩები, ტყავის მუთაქები, მისნადები,²⁷² და არა ჰყავს მათ თანაზიარი დედამიწის ზურგზე არცერთ მხარეში.

უძველეს დროს იყო სანბატ იბნ 'ამუტი მეფე ალ-'არმანთა და მისი წინაპრებისა, ის [ქალაქი] ჯერ კიდევ იყო უხუცესთა ხელში, და ჩამოაშორა იგი აბუ ალ-კასიმ აქსუფ იბნ აბნ ას-საჯმა და წარტაცა ის მათი ხელებიდან. მათ ჰქონდათ შეთანხმება ადრე მიღებული²⁷³ მათი მდგომარეობის შესახებ, და აიღო მათგან ჯიზია რაც ეკუთვნოდათ მათ პროვინციას. ომაიანთა და აბასიანთაგან უკვე იყო დამტკიცებული მისი მოსახლეობისთვის და უხდიდნენ ისინი მათ გადასახადებს მათი მოსაკრებლებიდან და თანდათან შემცირდა, ხოლო ისინი აღარ ყოფილან წარმატებულები და არ აღუმართავთ დროშა დღემდე.

უმრავლესობა 'არმანიშიაში ქრისტიანები არიან და ისინი უხდიან უმაღლეს ხელისუფალს ხარაჯას მსგავსს²⁷⁴ ყოველ წელს, რამდენადაც დღეს ისინი არიან იმ შეთანხმებით და იმის მიხედვით რაც არაა რეალური, მეზობლად მყოფ სხვა ხელისუფალნი ესხმიან თავს.

გვ. 295

შეურაცხყოფენ და ვნებენ მათ, თუმცა ისინი არიან ზიმმას²⁷⁵ ქვეშ მყოფნი და მათი მონები არ იყიდებოდნენ ბაღდადში 325 წლამდე,²⁷⁶ რადგანაც ეს ჩემთვის ცნობილია. და არავისგან ყოფილა ეს ნებადართული [აქაური მონების გაყიდვა], რადგანაც ზოგიერთი ზიმმა ცნობილი იყო და არ არსებულა შეთანხმება. არსებობს ორი 'არმანიია ერთ-ერთი ცნობილია, როგორც ალ-დახილა (შიდა), ხოლო მეორე ალ-ხარიჯა (გარე) და ალ-ხარიჯასაგან ზოგიერთი ქალაქი მუსლიმთა ხელშია და ზოგიერთი მათგანი იმ დროს ალ-'არმინს ჩამოკვეთეს და ისლამის მფლობელობაშია.

²⁷¹ ერთგვარი თავსაბურავი, რომელიც მხრებზეა ჩამოშვებული.

²⁷² ერთგვარი ბალიში ხელის ჩამოსადებად და დასაყრდნობად, მოსასვენებელად.

²⁷³ შესაძლოა საუბარი იყოს დაცვის სიგელზე.

²⁷⁴ მიწაზე დაწესებული გადასახადი. ასევე იგი აღნიშნავდა ზოგადად გადასახადს, რომელიც დაწესებული იყო არამუსლიმებისთვის (ანუ ხარიჯა და ჯიზია ერთად).

²⁷⁵ მუსლიმთა მფარველობაში მყოფი ხალხი.

²⁷⁶ გრიგორიანული კალენდრით 936 წლის ნოემბრიდან 937 ოქტომბრამდე პერიოდი.

ასეთებია: 'არჯემი, მანაზჯირდი, ხილატი.²⁷⁷ მისი საზღვრებია: აღმოსავლეთით მისი საზღვარია ბარჯა'ამდე; დასავლეთით ალ-ჯაზირამდე; სამხრეთით 'აჯარბაჯანამდე; ჩრდილოეთით არ-რუმის ნაჭებამდე, კალეკალას მხრიდან. ხოლო კალეკალა იყო არ-რუმის ცენტრში ცნობილი მონაპირე მხარე 'აჯარბაჯანის, ალ-ჯიბალის, არ-რაჰს ხალხისთვის, და ის არის ად-დახილას ქალაქი. უკვე ითქვა, რომ არის ორი 'არმნიჰია. შიდაში არის: დაბილი, ნაშავა, კალეკალა და რაცაა ჩრდილოეთიდან. გარეშია: ბარქარი, ხილატი, 'არჯემი, ვასტანი, ალ-ზავზანი და მათ შორის არის ციხეები, ნაპიები და მიწები. მათგანაა გასასვლელი არ-რუმის ქალაქისკენ, რომელიც ცნობილია როგორც 'ატარაზუნდა. ისაა ქალაქი რომელშიც იკრიბებიან ვაჭრები ისლამის ქალაქებიდან და მიემართებიან იქიდან არ-რუმისკენ სავაჭროდ. გადის მისგან ყურე ალ-კუნსტანტინიასკენ ზღვა მუჰიტიზე,²⁷⁸ არ-რუმის მეფე და ბატონია 'ატარაზუნდის მოსახლეობის . ახლა აქ ბევრია სიმდიდრე, თავდაპირველად ამდენი არ ყოფილა და ამის შესახებ უკვე ნათქვამია ორმაგად, ხსენება არ-რუმის ქვეყნისა.²⁷⁹ უმეტესობა იმისა რაც შემოდის ისლამის ტერიტორიაზე არის ფარჯა, ბამბის ქსოვილი, არ-რუმის ბამბის ტანსაცმელი, შალის ტანსაცმელი, კაბები არ-რუმისა, ყველაფერი 'ატარაზუნდანაა. ნაშავა, ბარქარი, ხილატი, მანაზჯირდი, ბადლასი, კალეკალა, 'არზანი, მაჰფარიკანი, სირუჯი ამ ქალაქებს შორის დიდი განსხვავება არ არის, რადგანაც მსგავსნი არიან ზომით (გარდა ხილატისა, რომლის გარეთაც ორმაგად აშენდა და გაიზარდა, მის ხალხს აქვს ბევრი ფული და მოგება. დღეს იქ არის სავაჭრო ადგილები, ბაზრები, ფართო ქუჩები, ვაჭრების ადგილია. მისი ხალხის უმეტესობა ბუნებით სასტიკია და უცნაურად საძულველი). ხოლო დაბილის ზომასა და დიდებულებას ვერც შეედრებიან. ხოლო საერთოდ ისინი მდიდარია ხილით და სავსეა ხეირით. ახლანდელ დროში მასაც [რეგიონს] ეწვია ის რაც სხვა ქვეყნებს, მმართველობის მოშლისა და დროის ცვლილების გამო. უმრავლესობა მეცნიერთა, სასაზღვრო რეგიონებთან დაკავშირებით მიიჩნევს, რომ მაჰფარიკანი 'არმნიჰის საზღვრებშია, ხალხთაგან ზოგიერთი მას თვლის ალ-ჯაზირას ნაწილად და ისაა ტიგროსის აღმოსავლეთით ორ მარჯალაზე, ამიტომაც ითვლება 'არმნიჰიად.

გვ. 296

²⁷⁷ დე გუესთან დამატებულია კალიკალაც.

²⁷⁸ მუჰიტი - ოკეანა და შესაძლოა ხმელთაშუა ზღვა იგულისხმებოდეს, ხოლო „ყურეში“ - შავი ზღვა.

²⁷⁹ იგულისხმება ერთ-ერთ თავი თხზულებიდან.

ამ ქალაქებსა და მათ შორისაც არის სავაჭროები ნებისმიერი სახის საჯდომი ცხოველი, ცხვარი, ტანსაცმელი შემოტანილი რეგიონებიდან და ქვეყნებიდან. მათგან ცნობილი და სახელგანთქმულია 'არმინიის მაქმანები, რომელიც მზადდება სალამსში. ერთი მაქმანის ფასია ერთიდან ათ დინარამდე და არ ჰყავს მას თანაზიარი სხვა მხარეებში. ალ-'არმინიელები ნახსენებ ქსოვილებს აწარმოებენ დაბნლში.²⁸⁰ აწარმოებენ ალ-'არმინიულ სავარძლებს და ნოხებს, ალ-მახფურს²⁸¹ მარანდსა და თაბრზში და ნოხებს, რომელთა ტოლი ცოტაა სხვა იმ რეგიონებში, რომლებიც მსგავსს პროდუქტს ქმნიან. ასეთივეა ას-საბანიჰ, საწოლის გადასაფარებლები, მანდილები, დამზადებული მაჰფურიკნში და 'არმინიის სხვადასხვა ადგილებში.

რაც შეეხება ამ ქვეყნის მდინარეებს, რომლებშიც ნავები მოძრაობენ, ასეთია მდინარე ალ-ქურრი და ისა დიდი მდინარე ისეთივეა, როგორც მცირე აზ-ზაბნ გამავალი ტიგროსის მხარეში, და ისეთივე როგორც ჯაფჯანი²⁸² და ალ-ბარადა სასაზღვრო მიწებზე.²⁸³ ასევე მდინარე არ-რასი, ის და ალ-ქურრი მსგავსნი არიან წყალუხვობით. მდინარე საბნურნი,²⁸⁴ რომელიც არის 'არდაბნლსა და ზანჯანს შორის, მდინარე პატარა იმისთვის, რომ ნავებმა იმოძრაონ. მდინარე ალ-ქურრში წყალი დასაღვად ვარგისია, ჯანსალია და მსუბუქი, გამოდის მთების მხრიდან ვიდრე ჯანზასა და შამქურის საზღვრებამდე, თიფლნის სიახლოვეს ვიდრე ჩაუვლის მას, ჩაუვლის სიმაგრეებს ურწმუნოთა ქვეყნებში, ალ-ხაზართა ტბის მიმართულებით ბარჯა'ას მიდამოებისკენ. მდინარე არ-რასსიც ასევე კარგი, საამო და მსუბუქია გამოედინება შიდა 'არმინიის ნაპიებიდან ვიდრე ვარსანის კარიბჭემდე. შემდეგ მიედინება და უერთდება ალ-ქურრს შემდეგ კი ჩადის ტაბარისთანისა ტბაში. ეს ის არ-რასსია და ხალხი მისი, რომელიც ალლაჰმა მოიხსენია და რაც დამართა მათ და თუ ვინმე ამაზე დაფიქრდება მტკიცედ, გაუყვება მის ნაპირს ქალაქ ვარსანიდან ზემოთ და ქვემოთ ნახავს იქ ქალაქთა ნაშთებს დაცემულსა და ჩამონგრეულს, შემდეგ მოვბრუნდი მის ზემოთ და მის ქვემოთ დამამტკიცებლად ალლაჰის სიტყვებისა: და

²⁸⁰ ამ საკითხზე იხილეთ: Ejibia O., Products exported from Armenian cities in the 10th century according to three contemporary Arab geographers, Collection of Scientific Articles of YSU SSS 1.3 (26), YSU Press, Yerevan, 2018.

²⁸¹ ერთგვარი ხალიჩა, რომელსაც ნაქსოვი ორი დონე აქვს, სადაც ერთი თითქოს ამოკვეთილი იყოს.

²⁸² უნდა იყოს ჯაიჰანი.

²⁸³ ارض الثغر შეგვიძლია ვთარგმნოთ როგორც სასაზღვრო მიწები. ასევე ამ სახელში მოიაზრება პროვინცია რომელიც თანამედროვე სირიისა და თურქეთის სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილს მოიცავს და წარმოადგენდა მოსაზღვრე რეგიონს ბიზანტიასთან.

²⁸⁴ საბიზრუზი, იგივე მდ. სეფიდრუდი.

ტომნი 'ადისა და სამუდისა, არ-რასის მცხოვრებნი და თაობანი ამათ შორის მრავალნი. ყოველ მათგანს მოვუტანეთ იგავები და ყველანი მოვწყვიტეთ მოწყვეტით.²⁸⁵

ტბა რომელიც 'აზარბაჯანშია, ალ-მარადასა და 'ურმიდას შორის, ცნობილია როგორც ქაბუზანი, წყალი მლაშეა და არაა მასში თევზი და არც ცხოველი. იქ ბევრი ნავია, მოძრაობენ [ქალაქ] იმ ორ ქალაქს შორის, თაბრზის და დახარაკანს შორის და ბევრი სხვა მიმართულებით მათ შორის, გარშემო სოფლებისა და რუსთაკების. ამ ტბასა და ალ-მარადას შორის აღმოსავლეთით, არის ხუთი ფარსახი, ხოლო მასსა და 'ურმიდას შორის დასავლეთით არის ორი ფარსახი, ხოლო დახარაკანს და ამ ტბას შორის ოთხი ფარსახია.

გვ. 297

ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან ტბის სიგრძე ოთხი მარჰალაა საჯდომი ცხოველით, ალ-მარადა 'ურმიდამდე სიგანეში დაახლოებით ოცი ფარსახია. ზამთარში ტბაზე დიდი ტალღებია და დიდი უბედურება. ტბის შუაში არის დასახლებული მთა,²⁸⁶ მისი ხალხის დახმარებით მოძრაობენ წყალზე, ცოტაა კმაყოფილება და იქ ცხოვრება არაა ლამაზი და სასურველი.

ბარქარის, ხილატის და 'არჯუნის სამხრეთით არის ტბა,²⁸⁷ გაშლილი აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ დაახლოებით ათი ფარსახი [სიგრძეში]. იქ არის თევზი ერთი შიბრის სიგრძის ცნობილი, სახელით ატ-ტარნხ, ამარილებენ და მიაქვთ ალ-მაფსილში, ალ-ჯაზირას ნაჰიებში, ალ-'ირაკში და აშ-შამის ტერიტორიებზე.²⁸⁸ იმავე ტბაში არის ციხე ცნობილი როგორც 'ახთამარი.²⁸⁹ იმავე მხარეში არის ბორაკი, რომელიც გააქვთ ალ-'ირაკში და სხვაგანაც²⁹⁰ ხაბაზებს. იქვე ახლოს არის დარიშხანის კარიერი. გააქვთ სხვადასხვა მხარეში არის წითელი და ყვითელი. ასევე ქაბუზანიდან გააქვთ ჟანგმიწა ოქროს და ვერცხლის მჭედლებს.²⁹¹ ამიტომაც, მის ზოგიერთ

²⁸⁵ ყურანი, სურა 25, აიები 40(38)-41(39); 2006, გვ. 253.

²⁸⁶ შესაძლოა დღევანდელი მთა „ისლამის კუნძული“ ირანში. ურმიის ტბის აღმოსავლეთ ნაპირზე.

²⁸⁷ დღევანდელი ვანის ტბა.

²⁸⁸ დე გუესთან ჩამოთვლილია ქალაქები რაქა, ჰომსი და ჰარანი.

²⁸⁹ ვანის ტბაში არის კუნძული ახთამარი რომელზეც განთავსებულია სხვადასხვა ისტორიული შენობები, მათ შორის სომხური წმინდა ჯვრის ეკლესია. ახთამარს უკავშირდება სომხური ლეგენდა, რომლიდანაც უნდა იყო თავფარავნელი (მთაფარავნელი) ჭაბუკის ამბის სიუჟეტი (მელიქსეთ- ბეგი ლ., მეგალითური კულტურა საქართველოში, თბილისი, 1938, გვ. 60-61).

²⁹⁰ დე გუესთან არის: ერაცსა და ალ-ჯაზირაში.

²⁹¹ დე გუესთან არის: ერაცში, აშ-შამში და მისრში, რასაც დიდი მოგება მოაქვს.

წყლებში, რაცაა მასში გაქვავებული არის ეს ბორაკი, მოიპოვებენ მას ყველგან მიწაზე, მის სიღრმეში, ველზე თუ მთაში, ვაჭრები კი ამით ნახულობენ დიდ მოგებას.

აზ-ზავაზანიდან, 'არმინიისა და არ-რანის რეგიონებიდან გაყავთ კარგი სახედრები, კარგი აღნაგობისა, ჯანსაღი, ძლიერი და ამტანი, ალ-'ირაკში, ამ-შამში ხურასანში, და სხვაგანაც, რომელთა ხსენებაც არაა საჭირო მათი ცნობადობის გამო.

აზ-ზავაზანი რეგიონია, მასში არის ციხეები და ბევრი სოფლები, იქ არის მთები და აგრეთვე ცნობილი სახელდებული ცხენები, რომლებიც მსგავსია ტოხარისტანის ცხენებისა²⁹² შესაძლოა მათზე უკეთესიც და უკეთესი ვიდრე ალ-ჯავზაჯანის.²⁹³ მისი მთები უკავშირდება ალ-ჰარისს და ალ-ჰუვარისს, 'აჰრის და ვარზაკანის მთებს, შემდეგ მიდის ჩრდილოეთით თიფლსამდე და იქ, მისგან ჩრდილოეთით, უკავშირდება მთა ალ-კაბკას, თავის მხრივ ალ-კაბკას მთები უკავშირდებიან სიფს ქუფის მთებს, და ის დიდი მთაა. ამბობენ, რომ იქ სამასზე მეტი სხვადასხვა ენაა რასაც არ ვაღიარებდი, ვიდრე არ ვიხილავდი საბალანს 'არდაბლთან დაუსახლებელს, იქ ყველა სოფელს თავისი ენა აქვს, რომელიც განსხვავდება სპარსულისა და ალ-'აზარისგან.²⁹⁴ ალ-კაბკის მთა უკავშირდება სიფს ქუფის მთებს, რომელიც ალ-ხაზართა ქვეყნის უკანაა, ალ-ღუზიას ქვეყანაში, აღმოსავლეთის მიმართულებით

გვ. 298

ხვარაზმის ტბის უკან, ვიდრე ხვარაზმის და ფარღანას მთებამდე. ამდენად, მთები რომლებიც ვახსენე და სხვებიც ერთმანეთთანაა დაკავშირებული, ჩინეთიდან წამოსული სწორ ხაზად ოკეანემდე,²⁹⁵ სუდანიდან და მალრიბამდე.²⁹⁶

ვარსანიდან, ბარჯა'ადან, ბაზ ალ-'აბვაზის იმ ორი კუნძულიდან, რომელიც ალ-ხაზართა ტბაშია, გაქვთ ენდრო, ალხაზართა ტბით ჯურჯანში²⁹⁷ იქიდან კი ალ-ჰინდში ხმელეთით. ეს ენდრო არის მთელს არ-რანში ვიდრე ბაზ ალ-'აბვაზის საზღვრებამდე, თიფლსამდე და ახლოს მდინარე არ-რასამდე და ხაზარანის

²⁹² ტოხარისტანი არის რეგიონი ისტორიულ ბაქტრიაში, რომელიც დღეს მოიცავს ავღანეთისა და შუა აზიის ნაწილს. დე გუეს ვერსიაში ტოხარისტანის ნაცვლად არის ხორასანი.

²⁹³ ჯუზჯანი (ჯავზაჯანი) შუა საუკუნეებში იყო სამეფო-სამთავროს ტიპის პოლიტიკური ერთეული, დღეს არის ავღანეთის ერთ-ერთი პროვინციის სახელი.

²⁹⁴ დე გუესთან არის აზერბაიჯანული და სპარსული ენები.

²⁹⁵ თუ დე გუეს ვერსიას შევადარებთ და ასევე ალ-ბაჰრ მუჰიტის ტრადიციულ გაგებას გავიხსენებთ, ატლანტის ოკეანე უნდა ვიგულისხმოთ.

²⁹⁶ დე გუესთან არის: *ჩინეთის მთებიდან წამოსული ვიდრე სუდანამდე, მალრიბამდე და ოკეანემდე.*

²⁹⁷ აქ: გორგანში.

ნაჰიებამდე,²⁹⁸ რომელიც არის სამეფო 'აზარბაჯანის მფლობელის (საჰიბის) ხელქვეშ, რომელიც არის მთაში და უკავშირდება [მთა] ატ-ტარმას მთებს დაკავშირებულს ალ-ხაზართა ტბის დასავლეთით არ-რაჰს მთებს, ტაბარისტანამდე, ჯურჯანამდე ვიდრე ნისაბურამდე.

ამ მთებში არიან მეფეები და მისი ხალხი მდიდარია პირუტყვით (მსხვილფეხა საქონელი), სოფლებითა და ციხეებით, ძვირფასეულობით, ცხენებით და მცველებით ქალაქებში. ასევე დამატებით ნაჰიები, რუსთაკები და რეგიონები არის მათ მფლობელობაში. ამ ნაჰიებში, მთებში, ქალაქებსა და მიწებზე, რომლებიც ვახსენე, ფასთა სიიაფა, ნაყოფიერია, ფარები და ნახირებია, ხეირი და ბარაქაა, ბევრია ხე და მდინარე, ხილი გადახლართული, მიწები და ხე (როგორც მასალა), ვენახი და ნიგოზი, ისე რომ, რომც ახსენო, ვისაც არ უნახავს არ დაიჯერებს მის სიმრავლეს (სიდიადეს).

იქ არიან მეფეები, მათ სამეფოებში, დიდებულნი და შემძლენი, ტკბებიან მათი მიწებით, საქონლით, კეთილსურნელებით, სამოსითა და ლამაზი მსახურებით, ძვირფასი ცხენებით, რჩეული სახედრებით და ყველა სახის პროდუქციით. ჰყავთ მომღერალი მონა ქალები, მზარეული კაცები და ქალები, აქვთ შემოსავალი სოფლებიდან, იყენებენ ოქროსა და ვერცხლს ჭურჭლისთვის, მათ შორის სინებისთვის, თეფშებისთვის, თასებისთვის, დოქებისთვის, სათლებისთვის, [დამზადებული] კირქვისა და ძვირფასი ლითონებისგან, რაც მსგავსია მაღალი ხარისხის მოჩუქურთმებული შუშის, ძვირადღირებული ბროლის, და ძვირფასეულობა იაგუნდისა. ყველა ამ მეფეებს ჰქონდათ დაწესებული გადასახადი და ვალდებულება ყოველწლიური აზარბაჯანის მეფეებისადმი, რომელიც არ შემწყდარა.²⁹⁹

²⁹⁸ ხაზარან ფორმა არის ორობით რიცხვში. ვფიქრობთ, აქ შესაძლოა ვიგულისხმოთ აღმოსავლეთი საქართველო, ან რომელიმე აღმოსავლეთ ქართული სამეფო (კახეთი? ჰერეთი?). კერძოდ, დე გუეს მიერ გამოცემულ რედაქციაში არის არა *الى نواحي خزران* ფორმა, არამედ *الى نواحي خزران* (ჯურჯან). ჩვენი აზრით „ჯურჯან“ ფორმა უფრო სწორი უნდა იყოს, თუნდაც იმიტომ, რომ *خزران* ფორმა, ამ ადგილას, გრამატიკულად გაუმართავი ჩანს და ესეც რომ არა, რა უნდა იგულისხმებოდეს „ორ ხაზარში“ გაურკვეველია (თუ არ ჩავთვლით ქალაქ ითილს, ხაზართა პოლიტიკურ ცენტრს შუა საუკუნეებში, რომელიც ორ ნაწილად იყოფოდა მდინარის სანაპიროების მიხედვით. თუმცა, ამ შემთხვევაში ითილი გეოგრაფიულად ძალიანაა დაშორებული რეგიონს).

²⁹⁹ დე გუესთან ტექსტის ეს მონაკვეთი მთავრდება ასე: *ამ რეგიონის მმართველები, რომელიც არიან მეფეები ემორჩილებიან აზარბაჯანის, არმინის და ორივე არ-რანის მეფეს*, ხოლო რაც შეიძლება ორ არ-რანში (*الرائين*) ვივარაუდოთ არ-რანი მდ. არაქსიდან მდ. სამურამდე და მდინარე სამურიდან დარუბანდის ჩათვლით(?).

'იბნ ას-საჯი მცირედით იყო კმაყოფილი მათით და აიღო მათგან ის რაც აიღო, როგორც საჩუქარი; მაგრამ როცა ის [ქვეყანა] გახდა ალ-მარზუბან იბნ მუჰამმად იბნ მუსაფირისა, ცნობილის სახელით ას-სალლარ, მან შეუქმნა მათ დივანები და დაუდგინა კანონები, დაავალდებულა აღეწერათ მისი მარფაკები.

გვ. 299

ხოლო ჩვენს დროში მის უდიდეს მეფეთაგანი არის შრვან შაჰი მუჰამმად იბნ 'აჰმად ალ-'აზადი და შემდგომ ალ-ლამაჯანის მეფე, რომლის სამეფო დაკავშირებულია ალ-კაბკის მთებთან და მის რეგიონებთან, ის ცნობილია ალ-ლამაჯანშაჰის სახელით.³⁰⁰ მასთან არს ალ-სანარეი,³⁰¹ ცნობილი როგორც სანაჰარეი და ის ქრისტიანია რელიგიით, როგორც 'იბნ ად-დინანი აზ-ზავზანის, ვანის, ვასტანის და ს'უბნის მეფე.³⁰² და ყველას მათ ვინც ვახსენე მეფეთაგან აქვთ ვალდებულება გადაიხადონ გადასახადი, გასცენ საჩუქრები იმათგან, რაც არის მათ ნაჰიებში.³⁰³

რაც შეეხება 'აზარბაჯანის ხალხს და 'არმინიის მოსახლეობის უმეტესობას, აერთიანებთ მათ სპარსული, ისინი ასევე იყენებენ არაბულს. იშვიათად იყოს ისეთი ვინმე, ვინც ლაპარაკობს სპარსულად და არ იცოდეს არაბული. მასზე [არაბულზე] თავისუფლად ლაპარაკობენ ვაჭრები, დასახლებათა ადგილობრივი მმართველები. ხოლო 'არმინიაში მრავალი ჯგუფისთვის არის სხვა ენა, რომელზეც საუბრობენ, მსგავსად ალ-'არმინიისა [რომელზეც ლაპარაკობენ] დაბილის და ნაშავას მოსახლეობა და მათ ნავაჰებში. ბარჯა'ას მოსახლეობა საუბრობს არ-რანის ენაზე, იქ არის ცნობილი მთა, რომელსაც ჰქვია ალ-კაბკა და ის სავსეა ურწმუნოთა განსხვავებული ენებით, რომელიც უკვე ვახსენე და ერთიანდება ბევრი მათგანი ერთ ენაში.

ფული 'აზარბაჯანში, 'არმინიაში და არ-რანში არის ოქროსი და ვერცხლის, მისი მოსახლეობის უმრავლესობა კი ჯანმრთელი და მშვიდობიანია, მისწრაფვიან ცხოვრებისა და დაცულობისკენ, მას შემდეგ რაც დატრიალდა უბედურება და ბედის უკუღმართობა და ჩვენს დროში.

³⁰⁰ დე გუეს რედაქციაში არის ალ-აბხაზი/ალ-აბხაზშაჰი (ალ-აბხან/ალ-აბხანშაჰ).

³⁰¹ წანარები.

³⁰² საბიანი.

³⁰³ იგივე მონაკვეთ დე გუეს რედაქციაში სრულდება ასე: *აღწერ ყველა ამ სამეფოთა გადასახადების შესახებ, რომლებიც ვახსენებ, როცა დავასრულებ აზარბაჯანის, არმინიის და ორივე ალ-რანის მანძილებსა და მდგომარეობას.*

იქ ბევრია მცოდნე ჰადისის მაზჰაბისა და მჭევრმეტყველი და ბევრია მიმდევარი ალ-ბატანიას სექტის. მთელს 'აჯარბაჯანში, 'არმნიფიაში და ორივე არ-რანში არ არის არცერთი ღვთისმეტყველი და არც ფანატიკოსი მცნებისა (ქალამისა) და განმარტებისა (ნაზარისა). ჰყავთ კარგი და გამოცდილი ექიმები გამოცდილი საექიმო საქმეში. ისინი ფიქრობენ, რომ ლოგიკა უმეცრებაა, ხოლო დიალექტიკა არის გადამწყვეტი ვალდებულებებისა,³⁰⁴ უარყოფა უმეტესი საბაბისა არის პოლიტიკა.

ამ ნაჰიების გზებსა და მანძილების ხსენება.

გზა ბარჯა'ადან 'არდებლამდე.

ბარჯა'ადან მუვანამდე,³⁰⁵ რომელიც სოფელია, შვიდი ფარსახია, ხოლო მუვანიდან ქალაქ ალ-ბაჰლაკანამდეც შვიდი ფარსახია, ალ-ბაჰლაკანიდან, რომელიც კარგი ქალაქია წყლით, ხეებით, ბაღებით, ხილით, და მის მდინარეზე არის წისქვილები ვარსანამდე, რომელიც ალ-ბაჰლაკანზე უფრო დიდი და ფართოა, უფრო მეტი მოსახლეობითა და ბაზრებით, სავაჭრო ადგილებით, მასში ყველაფერია რაც დიდ ქალაქს უნდა ჰქონდეს. აქვს გალავანი და გარეუბანი (რაბადი), რომელშიც არის ბაზრები – შვიდი ფარსახია; ვარსანიდან ბალხაბამდე შვიდი ფარსახია, და ისაა სოფელი, გასაჩერებელი პუნქტი და არიან ადგილობრივები, იქაა რაბატები და სასტუმროები გზისთვის (მოგზაურთათვის) და ჩერდებიან აქ ქარავნები;

გვ. 300

ხოლო ბალხაბადან ბარჯანდამდე, რომელიც ჰგავს ალ-ბაჰლაკანს, შვიდი ფარსახია; ბარჯანდიდან 'არდაბლამდე თხუთმეტი ფარსახია, სოფელსა და სადგურებს შორის გზის მარჯვნივ და მარცხნივ, რომელიც არ მთავრდება და არ სრულდება მნახველისთვის.

გზა ბარჯა'ადან ბაბ ალ-'აბვაბამდე.

ბარჯა'ადან ბარდნჯამდე,³⁰⁶ რომელიც ცნობილი ქალაქია სავაჭროებითა და პროდუქტით მდინარე ალ-ქურრზე, 18 ფარსახია; ბარდნჯიდან ალ-ქურრზე გადასვლით აშ-შამაზხიამდე 14 ფარსახია; აშ-შამაზხიადან შარვანამდე 3 დღის სავალია; შარვანიდან ალ-ლანჯანამდე ორი დღის სავალია; ალ-ლანჯანიდან ჯასრ

³⁰⁴ უნდა იგულისხმებოდეს მუსლიმთა ვალდებულებები.

³⁰⁵ დე გუეს რედაქციაში არის იუნანი.

³⁰⁶ დე გუეს ვერსიაში არის ბარჯანჯი.

სამწერამდე 12 ფარსახია; ჯასრ სამწერიდან ალ-ბაზამდე 20 ფარსახია. ჯამში კი იქნება დაახლოებით 90 ფარსახი.

გზა ბარჯა'ადან თიფლისამდე.

ბარჯა'ადან ჯანზამდე, რომელიც კარგი ქალაქია, 9 ფარსახია; ხოლო ჯანზადან შამქურამდე 10 ფარსახია; შამქურიდან ქალაქ ხუნანამდე 21 ფარსახია; ხუნანიდან კალ'ა ბ. ქანდიმანამდე 10 ფარსახია; კალ'ადან თიფლისამდე 12 ფარსახია, ჯამში კი 62 ფარსახი.

გზა ბარჯა'ადან დაბილამდე.

ბარჯა'ადან კალკატუსამდე 9 ფარსახია; კალკატუსიდან მითონსამდე (მითრისამდე) 13 ფარსახია, ხოლო იქიდან დავმისამდე (დუმისამდე) 13 ფარსახია; დავმისიდან ქილქუენამდე (კოლაკვინი, ქაილაკვინი) 16 ფარსახია; ქილქუენიდან ას-საასაჯანამდე 16 ფარსახია და ისაა კარგი ეკონომიკის ქალაქი; ას-საასაჯანიდან დაბილამდე 16 ფარსახია.³⁰⁷

გზა ბარჯა'ადან დაბილამდე გადის ალ-'არმანზე და სოფლები და ქალაქები, რომლებიც მასშია (მის შემადგენლობაშია) სამეფოა სანბატ იბნ აშუტ ალ-'არმანის, რომელიც წაართვა აქსუფ იბნ 'აბი ას-საჯმა უსამართლოდ, ალლაჰისა და მისი მოციქულის (ალლაჰიმც დალოცავს მას და გაუმარჯვებს) ნების საწინააღმდეგოდ. როგორც მან თქვა: მე მაქვს მეტი უფლება მათზე, ვინც ასრულებს მის მოვალეობას არა იმამისთვის და არც იმათთვის, ვინც იმამს მიყვება. რომ მისცე ზიმმას უფლება დაუმორჩილებლობისა და შეურიგებლობის ყველაფერში, დაწყებული ზიმმას ხალხის ფასით, დამთავრებული განათლებითა და დისციპლინით. და თქვა [მოციქულმა] მშვიდობა მასზე: ერთ მუსლიმის სისხლი (სიცოცხლე) არის ექვივალენტური სხვა მუსლიმისა,³⁰⁸ ის ვრცელდება მათ შორის ყველაზე მდაბალზეც, ისინი არიან ომი მათი მტრებისა.³⁰⁹ თუ ადამიანი განადგურებულ მუსლიმთაგან მიღებულ იქნა მათ ჯგუფად, როდესაც ისინი იყვნენ უფსკრულში, მე ვუბრძანე მათ წასულიყვნენ მის წინააღმდეგ და გამოეცადათ იგი. აღმოვაჩინე, რომ ის იყო

³⁰⁷ დე გუეს ვერსიაში იქ სადაც გვაქვს 16 ფარსახი არის 12 ფარსახი.

³⁰⁸ აქ იგულისხმება როგორც კისასი – თვალი თვალის წილ, ასევე დია (დია), სისხლის ფასი, რომელიც ოჯახისთვის, პიროვნებისთვის ზარალის მატერიალურ ანაზღაურებას გულისხმობს.

³⁰⁹ ეს ფრაგმენტები არის ერთგვარი ინტერპრეტაცია ჰადისებისა. ზოგიერთ შემთხვევაში გამეორებული, ზოგან კი სახეცვლილი. მაგ. ამ მონაკვეთში, ჰადისების კრებულ ბულულ ალ-მარამის მეცხრე წიგნის 1175 ჰადისში სიტყვა „ომის“ ნაცვლად გვაქვს „ხელი“. ეს ჰადისი ასევე მოცემულია აბუ დავუდის კრებულშიც - ჰადისი: 4530.

სამართლიანი სწავლული, და მან განსაჯა ის მსჯელობის და მათი ინტერესების გათვალისწინების გზით. იმ მუსლიმთაგან, ვინც მათ უკან იყო პირობისამებრ, ნახა იქ ვინც იყო მის მეზობელთაგან ომის წრეში. ვერავინ შეძლო მისი გატეხვა მოხერხებულობით, ქედმაღლობით თუ ოქროთი,

გვ.301

აღტაცებაში იმისა, რაც ვერცერთმა ადამიანმა ვერ გააკეთა. რაც შეეხება ძველ საწყისს და კეთილშობილ იმამს, მშვიდობა მასზე, მან უკვე დადო კონტრაქტი და ნახა ჩვენება³¹⁰ ნახა მასში მუსლიმთა კეთილდღეობა და ღირსება განკითხვის დღემდე. ალბა ჯიზიისა დიდებული მეფის და მის გამოსაყენებლად მისი კაცების სარგებლობისთვის, მაშინ როცა მუსლიმები შესძულდებათ და თავს დაესხმიან მათ. ესაა მისი სურათი და მსგავსი მისი. ხოლო აჯანყებულები, რომლებიც მას ხედავდნენ ამორალურ ადამიანად, რომლებიც მას უყურებენ მთვრალი, უმეცარი თვალებით და იმედოვნებენ მის განადგურებას. მან იცოდა, რომ სწორედ დაჟინებულმა წინააღმდეგობამ აქცია მუსლიმები ისეთად, როგორებიც ისინი არიან, ამასთან ისინი უნდა დარჩენილიყვნენ იმად, რაც არიან ზედმეტი დამატებების გარეშე.³¹¹

გზა 'არდაბლიდან ზინჯანამდე.

'არდაბლიდან კანტარა საბნურუხამდე ერთი მარჰალაა; საბნურუხიდან სარჰჰ(თ)ამდე ერთი დღის სავალია; სარჰჰიდან თუვიმდე (ნუვი) ერთი დღის სავალია, თუვიდან ზინჯანამდე ორი მარჰალაა.

გზა 'არდაბლიდან ალ-მარჰამდე.

გზად 'არდაბლიდან ქურსარამდე, რომელიც არის სასახლე დიდ ციხეში, რომელსაც აქვს კარგი, მნიშვნელოვანი მხარე და რუსთაკი. იქ არის ბაზრობა ყოველ თვეს ყოველი ნახევარმთვარეობის [ახალმთვარეობის] დასაწყისის მიხედვით. ადრე ვყოფილვარ იქ, როცა ახალგაზრდა ვიყავი. იქ არიან სხვადასხვა ხალხები, თან აქვთ ტვირთი და პროდუქტი ისეთი როგორიცაა ბამბის ტილო, საკატი,³¹² ბარბაჰარი,³¹³

³¹⁰ აქ იგულისხმება ღვთაებრივი ჩვენება, გამოცხადება ან აპოკალიფსის წინასწარმეტყველება.

³¹¹ კვადრატულ ფრჩხილებში მოცემული ნაწილი არ არის დე გუეს რედაქციაში.

³¹² აბრეშუმის ქსოვილის სახეობა.

³¹³ მეათე საუკუნის თეოლოგის აბუ მუჰამმად ალ-ჰასან იბნ ალი იბნ ხალიფ ალ-ბარბაჰარი (ნისბაა) ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ „ბარბაჰარი“ არის წამლის შემადგენელი, ან თავად წამალი რომელიც შემოაქვთ ინდოეთიდან الجزء الأول. دار: ادواء السلف (1983) (მუჰამად დი'ი) გვ. 323. კარულოვი კი აღნიშნავს რომ ისაა ძვირფასი ინდური ტილოს

საუკეთესო საწოლები და მეუნაგირეები მათი გასაოცარი ნაწარმით. უნაგირები, ხმლები, უნაგირის ქსოვილები, ქამრები ასევე საბრძოლო იარაღები. უცხო ბრინჯაოს სამუშაო იარაღები ალ-‘ირაკიდან, ოქრო და ვერცხლი ძვირფასი, ცხენები, სახედრები, ვირები, ძროხები და ფარები. და თუ ვინმე იტყოდა, რომ ეს მიწა და ნაჰია და რაც მასშია, და ჩათვლის რომ მისი დაბლობები, მაღლობები და მთები უფრო ფართოა ვიდრე ალ-მავეკიფის მიწა,³¹⁴ ეს ასეცაა. უფრო მეტია მასში იმ სახეობათაგან რაც მე ვახსენე და მე ამას არ ვეთანხმებოდი დამტკიცების გარეშე. ალ-მავეკიფის მიწა იყო დაახლოებით სამი ფარსახი ‘არაფათამდე მის მთებამდე. სადაც ჩერდება ხალხი ალ-ამანიდან, მაჰრიდან, ალ-‘ირაკიდან, ალ-მაღრიბიდან, ამ-შამიდან, ხურასანიდან იმათ ჩათვლით ვინც შეუერთდება მათ ადგილობრივი მიწებიდან.

და მსმენია რომ, ‘აბუ ‘აჰამად ‘აბდ არ-რაჰმან იბნ ამ-შაფიჰ ალ-მაღარიფს, ‘აზარბაჯანის ვაჭრებზე და მისი შორეული მხარეებიდან, უთქვამს მისთვის მის გადამწერს (ქათიბ) ‘აბუ ალ-ფათაკ იბნ მაჰდის: გაუყიდა ‘აბუ ‘ისჰაკ ალ-მაჯარდანელს მისი კაპიტალი, ხოლო არ მოუტანია ჩვენთვის ჩვენი კაპიტალი, რომელიც თან ჰქონდა. და ჰკითხა: რამდენი გაყიდა? უპასუხა: 200 000 თავი. მოვთხოვე ამის მტკიცებულება ‘აბუ ‘აჰამადს რამდენჯერმე.

გვ.: 302

მან თქვა: მიხვდი? მან ეს შეძლო ალლაჰის წყალობით, იმ ადგილას არაა ბაზარი ათასი ათასი [მილიონი]თავი ცხვარის გარეშე. და ვკითხე: 1000 000 ცხვარი? და მიპასუხა: დიახ, და შუ‘აბ იბნ მაჰრანსაც მის მსგავსად. ამის შემდეგ გავჩერდი და მოვისმინე მისგან ამბები ამ ბაზარზე და მდგომარეობა ფუსჴფ იბნ ‘აბუ ას-საჯის დღეებისა და ეს ამბები კი არ არის ამ წიგნისთვის. მე საკმარისად ვახსენე მტკიცებულებები ამ ბაზრის მდგომარეობის შესახებ და რაც მოდის იქ 12 ფარსახზე. ქურსარადან ალ-მარაღამდე 12 ფარსახია. ქალაქი სარათი ქურსარასა და ‘არდაბნლს შორისაა, ის კარგი ქალაქია სავსე ხეირით, ბოსტნეებით, წყლით, ხილით, ნათესებით, წისქვილებით. მასშია საუკეთესო ბაზრები და სუფთა სასტუმროები. იყო იქ

სახეობა Караулова Н.А., Сведения арабских географов IX и X веков по Р.Хр. о Кавказе, Армении и Азербейджан, 1908, გვ. 102, შენ. 76.

³¹⁴ უნდა ვივარაუდოთ, რომ ალ-მავეკიფში იგულისხმება ის ადგილი მექასთან, სადაც მუსლიმი მორწმუნეები, ჰაჯის დროს, 9 ზუ-ლ-ჰიჯას აღასრულებენ არაფათის მთასთან დგომის რიტუალს (ვუკუფ). აგრეთვე, შესაძლოა, საკუთრივ არაფათის დაბლობი ვიგულისხმოთ, რომელიც ჰაჯის რიტუალის დროს კარვებით იფარება.

ცნობილი ხალხი, მმართველი ხალხისგან, რომლებიც დაილუპნენ და გაქრნენ. ვიცნობდი მათ უხუცესებს. კეთილშობილება მათში გავრცელებულია და მდგომარეობა დალაგებული და შეგვიწოდებს ღმერთი ჩვენ და მათ.

'არდაბნლიდან ალ-მაჰნიჯამდე 20 ფარსახია. ისაა კეთილდღეობით სავსე და ცნობილი ქალაქი, მეგობრული მოსახლეობით, მასში ფასები დაბალია, სავსეა ხეირით და ბევრია საკვები პროდუქტი. ხოლო ალ-მაჰნიჯიდან ალ-ხუნჯამდე, რომელიც ასევე ქალაქია, იქ არის საბაჟო, რა გადის 'ახარბაჯანიდან არ-რაის ნაჰიებში მთელი ტვირთი, მონები, საპალნე ცხოველები და ყველაფერი რაც ვაჭრობისთვისაა, ძროხები და ფარები. ვიცოდი, რომ გადასახადი აღწევდა 100 000 დინარი და დამატებული 1 000 000 დირჰემამდე წელიწადში და არაა მისი მსგავსი სხვა მხარე. გზა 'არდაბნლიდან ამიდამდე და ას-სულჟრამდე³¹⁵ და ალ-ჯაზირამდე. 'არდაბნლიდან ალ-მარალამდე დაახლოებით 40 ფარსახია, ალ-მარალადან 'ურმიამდე, ზღვით, დაახლოებით 20 ფარსახია, ხოლო ხმელეთით 30 ფარსახი. 'ურმიადან სალამსამდე ორი მარჰალაა, სალამსიდან ხუვაამდე 9 ფარსახია, ხუვაადან ბარქარამდე 30 ფარსახია. ბარქარადან 'არჯიშამდე ორი დღის სავალი, 'არჯიშიდან ხილატამდე 3 დღის სავალია, ხილატადან ბადლესამდე 3 დღის სავალია, ბადლესიდან 'არზანამდე და მაჰფარიკინამდე 4 დღის სავალი. მაჰფარიკინიდან ამიდამდე ორი დღის სავალი, ამიდიდან ჰარანამდე ორი დღის სავალი. ჰარანიდან გზა რომელიც გამოდის რომლითაც ღაზიები და მუჯაჰიდები მიემართებიან მარალადან შამშატისა და სუმაჰატის გავლით მალატამდე, დაახლოებით 5 დღე.

გზა ალ-მარალადან დაბნლამდე, 'ურმიასა, სალამსის და ხუვაის გავლით, 53 ფარსახია.

გვ. 303

ხუვაიდან ნაშავამდე 5 დღეა. ნაშავადან დაბნლამდე 4 მარჰალაა. ალ-მარალადან ად-დაჰნურამდე 60 ფარსახია და იქ არაა მინზარი. აი ესაა ხსენება მანძილებისა და გზებისა.

რაც შეეხება მის ნამდვილ მდგომარეობას, რომელიც თავად ვიხილე და რაც იყო და რაც შეეხება მის გადასახადებსა და ბეგარას დაკისრებულს მისი მხარეების

³¹⁵ ას-სულჟური ალ-ჯაზირას მსგავსად აღნიშნავს გეოგრაფიულ რეგიონს, რომელიც იყო საზღვარი ბიზანტიასა და არაბთა სახალიფოს შორის ანატოლიის სამხრეთში. მასში შედიოდა ისეთი ქალაქები როგორებიცაა: თარსუსი (ტარსუსი), ადანა, მისისი, ქაჰრამანმარაში (მარაში - მარ'აში) და მალატია.

მეფეებზე, რაც ასახავს მის მდგომარეობას და მიუთითებს აღწერილის სიმართლეზე და იყო ზრდაც და შემცირებაც სხვადასხვა დროს. საშუალო გადასახადი, რომელიც აკრეფილა იყო 344 წელს.³¹⁶ მის შეთანხმებებს განაგებდა 'აბუ ალ-კასიმ 'ალი იბნ მუჰამმად ჯა'ფარი, მფლობელი მიწებისა 'აბუ ალ-კასიმ ბ. 'აბი ას-საჯი ალ-მარზუბან იბნ მუჰამმად, რომელიც მისი ზედამხედველია. დათანხმდა მუჰამმად იბნ 'აჰმად ალ-'აზადი შარვან შაჰის მფლობელი (საჰიბი) და მისი მეფე მილიონ დირჰამს და ამ შეთანხმებაში შევიდა 'იშჯანნიკი,³¹⁷ მფლობელი შაქისა ცნობილი როგორც 'აბუ 'აბდ ალ-მალიქი. და დათანხმდა სანაჰარბი, ცნობილი როგორც 'იბნ სავადა(თ)³¹⁸ მფლობელი არ-რბ',³¹⁹ 300 000 დირჰამს და ამასთან საჩუქრებს. მფლობელი ჯურზის ვაშკან იბნ მუსა³²⁰ 200 000 დირჰამი. დათანხმდა 'აბუ ალ-კასიმ ალ-ვაფურინ მფლობელი ვაფურისა 50 000 დინარს და საჩუქრები. 'აბუ ალ-ჰიჯა' იბნ რავვადი მისი ნაჰიებიდან 'აჰრიდან და ვარზაკანიდან 50 000 დინარი და საჩუქრები. აბუ ალ-კასიმ ალ-ჯაფანნი³²¹ მისი ნაჰიებიდან და დარჩენილი იყო მასზე 400 000 დირჰამი, მას სურდა შეემცირებინა [გადასახადი] და შეაწუხა (დატვირთა) თხოვნებით, და გაიზარდა მის შეთანხმებაზე, უკმაყოფილების გამო და მისი ქმედებების გამო 300 000 დირჰამი და ასი რომაული ფარჩის ტანსაცმელი. აიძულა ად-დინარის ტომი [გადაეხადათ გადასახადი] თანახმად მათი შეთანხმებისა ყოველწლიურად 100 000 დირჰამი, თუმცა აპატია მათ ოთხი წლის გადასახადი, რადგანაც გადასცეს მას დინამ იბნ შაჰლუვიდა,³²² რომელსაც თავშესაფარი ეთხოვა მათთვის. დაუმტკიცა სანბატის ტომს მათ ნაჰიებზე 'არმინიდა ად-დახილაში 2 000 000 დირჰამი და შეუმცირა

³¹⁶ 955 წლის აპრილიდან 956 წლის აპრილამდე პერიოდი გრიგორიანული კალენდრით.

³¹⁷ დე გუეს ვერსიაში არის *ასჰასი*.

³¹⁸ დე გუეს რედაქციაში არის იბნ სავარა.

³¹⁹ არ-რბ' (الرب) გვერდზე დე გუე ფრჩხილებში უთითებს კითხვის ნიშანს. Ibn Hawkal abu'l-Kasim, 1873, გვ. 252, სტრიქონი 14. ჩანს, ეს ადგილი ბოლომდე გარკვეული არ იყო და არც ამ ტერიტორიის/სამფლობელოს იდენტიფიცირება ხერხდება. (იგივე ფორმითაა მითითებული კრამერსთანაც). ამასთან, თუ წავიკითხავთ, როგორც არ-რუბ' მაშინ მას რამდენიმე მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს: მეოთხედი; ტერიტორია; საბაჟო სახლი. Minorsky V., *Caucasica IV*, 1953, გვ. 522.

³²⁰ დე გუეს რედაქციაში არის: მფლობელი ჯურზანისა ვსლაიან ბ. მუსა صاحب جورزان وسغیان بن موسى (Ibn Hawkal abu'l-Kasim, 1873, გვ. 252 სტრიქონი 15). კრამერსის რედაქციაში კი გვაქვს ასე: صاحب جزر وشقان بن موسى რომელსაც მინორსკი ასე კითხულობს: „მფლობელი ჯურზისა (ხაზარისა) ვაშკან ბინ მუსა“ (Minorsky V., *Caucasica IV*, 1953, გვ. 524). იგი ვარაუდობს, რომ ხაზარ ფორმა უფრო სწორია და ამ სახელში ქალაქ გაბალას (ქაბალა, კაბალა) მოიაზრებს, რადგანაც მარზუბანის დაპყობები არასოდეს შეხებია აღმოსავლეთ საქართველოს (იგულისხმება ქართლი და კახეთი (იქვე: Minorsky V., *Caucasica IV*, 1953).

³²¹ დე გუესთან არის ალ-ხაიზანი.

³²² სადლუვიდა.

(ჩამოაკლო) 200 000 დირჰემი. დაუმტკიცა სანაჭარბის ხაჯანის მფლობელს 100 000 დირჰემი და ცხენები და საჩუქრები 50 000 დირჰემის. აღწევდა გადასახადები, ნივთების, ვერცხლის ფულის, მსახური ქალების, საჩუქრების, სახედრებისა და საქონლის ჩათვლით 10 000 000 დირჰემს. ხოლო ხარაჯა 'აზარბაჯანის, 'არმინიას ორივე არ-რანის და მათ გარშემო ტერიტორიების იყო 500 000 დინარი.

§ 5. ალ-მუკადდასი ალ-ბაშარი

შამს ალ-დინ აბუ 'აზდ ალლაჰ მუჰამმად იბნ აჰმად იბნ აბი ბაქრ ალ-ბანნა' აშ-შამი ალ-ბაშარი უფრო მეტად ცნობილი, როგორც ალ-მუკადდასი ან ალ-მაკდისი. როგორც მისი ნისბიდან ჩანს, წარმოშობით იერუსალიმიდან უნდა ყოფილიყო.³²³ საინტერესოა, რომ ამ ნისბით ისტორიაში კიდევ რამდენიმე პიროვნებაა ცნობილი და მათ შორის სხვა გეოგრაფიული თუ ისტორიული ხასიათის თხზულებების სხვა ავტორი მუტაკარ იბნ ტაჰირ ალ-მუკადდასი,³²⁴ რომელიც ნაკლებად ცნობილი და პოპულარული ავტორი იყო, და უფრო მეტიც, დიდი ხნის განმავლობაში მისი თხზულება ქითაბ ალ-ბად' ვა ალ-თარახ, ალ-ბალხის მიეწერებოდა. ალ-მუკადდასის ნისბით ასევე ცნობილი იყო კიდევ რამდენიმე ავტორი მათ შორის მეთოთხმეტე საუკუნის კიდევ ერთი გეოგრაფი ჯამალ ალ-დინ აჰმად იბნ მუჰამმად ალ-მუკადდასი და აბუ ალ-მა'ალი ალ-მუშარაფ იბნ ალ-მურაჯა იბნ იბრაჰიმ ალ-მუკადდასი, რომელიც მეთერთმეტე საუკუნეში მოღვაწეობდა და ავტორია თხზულებისა იერუსალიმისა და აშ-შამის შესახებ.³²⁵ იმისათვის, რომ ერთმანეთისაგან განესხვავებინათ, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში ალ-მუკადდასს, ალ-ბაშარის სახელით ან აბუ 'აზდ ალლაჰ ალ-ბაშარის სახელით მოიხსენიებდნენ.³²⁶

საინტერესოა, რომ მუტაკარ ალ-მუკადდასიც მეათე საუკუნეში მოღვაწეობდა, თუმცა მთავარი განსხვავება მათ შრომებს შორის ისაა, რომ ალ-მუკადდასი ალ-ბაშარი არა მხოლოდ მის ხელთ არსებულ ლიტერატურულ ცნობებსა თუ გადმოცემებს ეყრდნობა, არამედ გადმოსცემს მისი მოგზაურობების დროს მიღებულ პირად შთაბეჭდილებებსა თუ გამოცდილებასაც.

³²³ al-Kuds არაბულად იერუსალიმს ნიშნავს.

³²⁴ მისი თხზულება ძირითადად ისტორიული ხასიათისაა, თუმცა არის გეოგრაფიული ცნობებიც.

³²⁵ Крачковский, И.Ю., 1957 გვ. 825, 834.

³²⁶ ასეა მაგალითად იაკუთის თხზულებაში.

ალ-მუკადდას ალ-ბაშარის ცხოვრებიდან ცნობილია, რომ მან ორჯერ შეასრულა ჰაჯი (967,978 წლებში). მისი თხზულების სახელია „აჰსან ათ-თაკასიმ ფი მა'რიფათ ალ-აკალიმი“ (საუკეთესო დაყოფა რეგიონთა ცოდნისა). საქართველოსა დაკავკასიის შესახებ ცნობები კი მოცემულია თავში „იკლიმ არ-რიჰაბ“ (არ-რიჰაბის რეგიონი). ისტორიოგრაფიაში მიღებული მოსაზრების მიხედვით, თხზულების ორი რედაქცია უნდა შეექმნა ავტორს. ერთი სამანიანთა დინასტიისთვის მეორე კი ეგვიპტის ფატიმიანებისთვის.³²⁷ თხზულების არაბული ტექსტი გამოსცა დე გუემ 1887 და 1907 წელს. თხზულების თარგმანებიდან აღსანიშნავია ინგლისურენოვანი თარგმანი, რომელიც შეასრულა ბ. კოლინსმა და გამოიცა 1994 წელს. გამორჩეულია იმით, რომ ამ თარგმანში შევიდა ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის შავ-თეთრი რუკები. მნიშვნელოვანი ცნობები კავკასიის შესახებ რუსულ ენაზე პირველად თარგმნა ნ. კარაულოვმა 1908 წელს, რომელიც გამოქვეყნდა СМОМПК-ს ოცდამეთვრამეტე ნომერში. ასევე 1994 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნდა ი. სერიკოვის კიდევ ერთი თარგმანი,³²⁸ რომელშიც შევიდა რეგიონები არ-რიჰაბი და ად-დაილამი (დეილამი).³²⁹

ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის ცხოვრების შესახებ ბიოგრაფიული ცნობები მწირია და ძირითად ინფორმაციას სწორედ მისი თხზულება იძლევა.³³⁰ მისი ცხოვრების ხასიათი გარკვეულწილად ჰგავს იბნ ჰაუკალის ცხოვრებას. ორივე მათგანი იყო მოგზაური, ვაჭარი და შექმნეს გეოგრაფიული ხასიათის თხზულებები, რომლებმაც მათი სახელი შემოუნახა ისტორიას. ორივე ავტორის შემთხვევაში იკვეთება პოლიტიკური მოტივები, იბნ ჰაუკალის შემთხვევაში უკვე ვახსენეთ მისი შესაძლო ჰაშუშობის შესახებ. რაც შეეხება ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის, როგორც ბ. კოლინსი აღნიშნავს, ჩრდილოეთ აფრიკაში მოგზაურობისას ის უნდა ყოფილიყო ფატიმიანთა და'ი ანუ მომწოდებელი რელიგიაში.³³¹ ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის თხზულებებიდან ასევე ვიგებთ, რომ მისი განზრახვა შექმნას ეს წიგნი არის სრულიად გააზრებული და ემსახურება პრაქტიკულ მიზანს, იყოს გამოყენებადი მოგზაურებისა და

³²⁷ Крачковский, И.Ю., 1957, გვ. 211.

³²⁸ Сериков И. И., Ал-Мукаддаси, Восточное историческое источниковедение и вспомогательные исторические дисциплины, Вып. 2. М. Наука. 1994.

³²⁹ ცხადია, სხვადასხვა დროს ხდებოდა სხვადასხვა ენაზე ზოგიერთი ფრაგმენტის თარგმანი, რომელიც იმ კონკრეტული მეცნიერისთვის იყო საინტერესო ან წარმოადგენდა ინტერესის ობიექტს. Al-Muqaddasi, The best divisions for the knowledge of the regions, translated by B.A. Collins, Garnet, Publishing Limited, 1994, გვ. XIV-XV.

³³⁰ Miquel A., *al-Muqaddasi*, The Encyclopaedia of Islam, Vol. VII, E.J. Brill, Leiden-New York, 1993, გვ. 492.

³³¹ Al-Muqaddasi, 1994, გვ. XI.

ვაჭრებისთვის.³³² ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის ბაბუა აბუ ბაქრი იყო მშენებელი, როგორც ჩანს ეს მისი სახელიდანაც (ალ-ბინა') და რომლის შესახებაც თავის წიგნშიც საუბრობს ავტორი.³³³ ასევე, ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის თხოვლებიდანვე ვიგებთ, რომ ის იცნობდა ზოგიერთი მისი წინამორბედი გეოგრაფისა თუ მოგზაურის თხოვლებებსა და ნაშრომებს. ასე მაგალითად, დასახელებულია იბნ ხორდადბეჰი და ალ-ბალხი.³³⁴

რაც შეეხება უშუალოდ თხოვლებას, დასაწყისში აქვს შესავალის მსგავსი, რომელიც ცხადია ღმერთის ხსენებით იწყება, კერძოდ კი ყურანის ოცდამეხუთე სურის მეორე აიათი და შემდეგ არის მოკლე დახასიათება წიგნში არსებული ინფორმაციის. თხოვლება შეგვიძლია ორ ძირითად ნაწილად დავყოთ: პირველი ნაწილი, რომელიც ეხება არაბულ პროვინციებს და მეორე ნაწილი, რომელიც ეხება არაარაბულ პროვინციებს. არაბულ პროვინციებში შედის: არაბეთის ნ/კ, ერაცი, აკური (მესოპოტამია), აშ-შამი (სირია), მისრი (ეგვიპტე) და მადრიბი. ასევე ცალკე ქვეთავი ეხება ბედუინთა უდაბნოს. არაარაბ ხალხებს ეხება შემდეგი ტერიტორიები: ალ-მაშრიკი (აღმოსავლეთი), მდ. ჯეიჰუნის სანაპირო (ძირითადად მარჯვენა), ხორასანი, დეილამი, არ-რიჰაბი (არმინია, არ-რანი, აზარბაიჯანი), ალ-ჯაბალი, ხუზისტანი, ფარსი, ქირმანი და ას-სინდი.

ალ-მუკადდასი ალ-ბაშარი მის მიერ დასახელებულ რეგიონებს ახასიათებს ცივ და თბილ რეგიონებად. ჩამოთვლის რეგიონში არსებულ ძირითად გეოგრაფიულ ობიექტებს (მდინარეები, მთები, ტბები, ზღვები) და იძლევა მათი საზღვრების აღწერილობას. ასევე საუბრობს იმ ძირითადი ბუნებრივი რესურსებისა თუ საექსპორტო საქონლის შესახებ, რომელიც ამა თუ იმ რეგიონიდან გააქვთ დაწყებული მინერალებით, გაგრძელებული სახედრებითა და მრავალფეროვანი ქსოვილებით, დამთავრებული მონებით და რე-ექსპორტირებული საქონლით.³³⁵

პირველი ცნობები კავკასიის შესახებ გვხვდება თავში *მდინარეებისა და ზღვების შესახებ*, რომელშიც ნახსენებია მდინარეები არაქსი, მტკვარი და რეგიონი არ-რიჰაბი.

³³² Miquel A., *al-Mukaddasi*, 1993, გვ. 493.

³³³ Al-Mokaddasi, 1877, გვ. 163, 188.

³³⁴ Al-Mokaddasi, 1877, გვ. 5.

³³⁵ ამ შემთხვევაში იგულისხმება საშუაშალო ვაჭრობის შედეგად რე-ექსპორტირებული პროდუქტები. მაგალითად როდესაც საუბარია ბიზანტიურ ქსოვილებზე, ალ-მუკადდასი ალ-ბაშარი წერს, რომ მისი ძირითადი ნაწილი ისლამის მიწაზე ხვდება არმენიის გავლით და მთავარი სავაჭრო პუნქტის, როგორც გამტარის ადგილი ამ შემთხვევაში ეჭირა ერზერუმს (კალიკალა, კარნუ ქალაქი).

დანარჩენი ცნობები მოცემული თავში – რეგიონი არ-რიჰაბი. ეს სახელი გვხვდება მხოლოდ ალ-მუკადდასი ალ-ბაშარისთან და თავადვე განმარტავს, რომ ამ სახელში მოიაზრება სამი პროვინცია არმენია, არ-რანი და აზერბაიჯანი. რაც შეეხება არ-რიჰაბის მნიშვნელობას, იგი განიმარტება როგორც ფართო, ვრცელი, ყოვლისმომცველი. იაკუთი განმარტავს ასე: „არ-რაჰაბი აზერბაიჯანისა და დარბანდის მხარე. დიდ ნაწილს მთელი არმინიისა მოიცავს ეს სახელი“.³³⁶ ფაქტობრივად იაკუთისა და ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის განმარტება იდენტურია. უფრო მეტიც, ალ-მუკადდასის შემთხვევაში, ის ბევრად უფრო ზუსტია, რადგან იაკუთის მიერ ხსენებულ არმინიაში შესაძლოა იგულისხმებოდეს როგორც მხოლოდ საკუთრივ სომხეთი, ასევე პროვინცია არმინია, რომელიც მოიცავდა სომხეთს, არ-რანს (ალბანეთს), ჯურზანს (აღმ. საქართველო) და ისტორიულ აზერბაიჯანს.

ალ-მუკადდასი ალ-ბაშარი არ-რიჰაბის დახასიათებას, შეიძლება ითქვას, პირდაპირ მისი რესურსების დახასიათებით იწყებს და ხაზს უსვამს ამ რეგიონის მნიშვნელობასა და სიკარგეს. ასევე, არის მოკლე პოლიტიკური ჩანართიც იმის შესახებ, რომ ეს რეგიონი არ-რუმისგან ე.ი. ბიზანტიისგან არის ალყაში. ცხადია, ეს მოცემულობა არც მთლად ზუსტი და მართებულია. თუმცა, შუა საუკუნეების არაბ ისტორიკოსებსა და გეოგრაფებში არსებობდა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორია ფაქტობრივად მიწერილია ან ბიზანტიას ან ალ-ლანებს, ისევე როგორც ჩრდილო-დასავლეთი კავკასია. იმ პროდუქციიდან, რაც თვალში საცემია ავტორისთვის და უპირველესად აღნიშნავს არის თაფლი, ცხვარი, მატყლი და მისი ნაწარმი, ასევე ხილი, რომელიც ავტორის თქმით იმ რაოდენობით იყო რეგიონში, რომ ფაქტობრივად უფასოდ გასცემდნენ. შემდგომში უკვე საუბარია რელიგიაზე, რომელზეც ალ-მუკადდასი სხვაგანაც საუბრობს. ალ-მუკადდასი, სხვა ავტორებისგან განსხვავებით, ასახელებს ძირითად არა მხოლოდ რელიგიურ მიმდინარეობებს, როგორებიცაა ისლამი, ქრისტიანობა და წარმართობას, არამედ ასახელებს და განასხვავებს სუნიტურ ისლამში არსებულ იურიდიულ სამართლებრივ სკოლებს ანუ მაზჰაბებს. კერძოდ, ნახსენებია ჰანაფიტური და ჰანბალიტური მაზჰაბები. ალ-მუკადდასის მითითება იმაზე, რომ მოსახლეობის უმეტესობა რეგიონში ქრისტიანია არც მთლად ზუსტი უნდა იყოს. მით უფრო თუ

³³⁶ იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 1964, გვ. 58.

გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ისტორიული აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ქრისტიანები ფაქტობრივად არ სახლობდნენ და ეს პროვინცია მთელი რეგიონის სულ მცირე მესამედს წარმოადგენდა. ამასთან, ისლამი გავრცელებული იყო უძველეს ქრისტიანულ მიწებზე, როგორებიცაა მაგ. სომხეთი და ქართლი. ამას მოწმობს თავად ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის ცნობა: დვინში არის მეჩეთი და არიან ჰანაფიტური მაზჰაბის მიმდევრები, ხოლო ბარდავში, შაქიში, გაბალაში თუ დარუბანდში საკრებულო მეჩეთები. საინტერესოა ასევე ერთი ფაქტორიც, მაგ. შაქისთან დაკავშირებით წერია, რომ *საკრებულო მეჩეთი მუსლიმთა ბაზარშია*. შესაბამისად, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ქალაქებში არსებობდა სხვადასხვა ტიპის ბაზრები, დაყოფილი რელიგიური ნიშნით.

შემდგომში ალ-მუკადდასი ალ-ბაშარი ჩამოთვლის ქალაქებს პროვინციების მიხედვით. იწყებს არ-რანიდან, შემდეგ არმინია და ბოლოს აზერბაიჯანი. აქ, არმინიასთან და აზერბაიჯანთან, ალ-მუკადდასი ასახელებს მათი საზღვრების შემქმნელებს, შეიძლება ითქვას ეთნარქებს: *რაც შეეხება 'არმინიას, ის მნიშვნელოვანი პროვინციაა, რომელიც დაადგინა 'არმინა ბ. ქანჯარ იბნ აფვის იბნ ნუჰმა*. ის ასე შეიძლება გადმოვიტანოთ: ჰაოს (ჰაიაკ) ძე თარგამოსისა ძე იაფეტისა ძისა ნოესი. არაბულ ტექსტში არის ასე: *ارمینی بن كطی بن يافت بن نوح*. სიტყვა *كطی* -ში გრაფიკული ცვლილება უნდა ვივარაუდოთ, სადაც „ლამ“ შეცვალა „ქაფ-მა“ (ანუ *كطی* = *كط*). ლაიტი კი (იგივე ლანტა ან ლანტი) თარგამოსია, გომერის იგივე ავმარის ვაჟი. რაც შეეხება ჰაიაკ-არმანის იგივეობას, ცნობილია, რომ სომხები საკუთარ თავს ჰაის ან ჰაიკს უწოდებენ სომეხთა ეთნარქის ჰაოსის სახელიდან გამომდინარე, ქართველები ემახიან სომხებს, ხოლო სხვა დანარჩენნი კი არმენებს უწოდებენ. ცხადია, იაფეტისა და ნოეს ეთნარქებად დასახელება ბიბლიური სიუჟეტებიდან იღებს სათავეს. შესაბამისად, ეს ინფორმაცია მუსლიმებისთვისაც არ ყოფილა უცხო. იაკუთ ალ-ჰამავი ზუსტად წერდა ამის შესახებ: *...მოგ ზაურები აღნიშნავენ, რომ არმინია ეწოდა [ამ ტერიტორიას] არმინა იბნ ლანტა იბნ ავმარ იბნ იაფეს იბნ ნუჰის, მშვიდობა მას, მიხედვით. იგი იყო პირველი, ვინც ჩამოვიდა და დასახლდა იქ*.³³⁷ ლანტასა და

³³⁷ იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 1964, გვ. 12.

თარგამოსის, ავმარისა და გომერის იგივეობის შესახებ მოსაზრება გამოთქვა ტერ-გევონდიანმა ჯერ კიდევ 1977 წელს.³³⁸

აზერბაიჯანის შემთხვევაშიც,³³⁹ მის ეთნარქად დასახელებულია სემი: 'აზარბაზ 'იზნ ბაჟურასიფ 'იზნ ალ-'ასვად 'იზნ სამ იზნ ნუჰჰ. თუმცა, სემისთვის მიკუთვნება აქ არასწორია, რამდენადაც ეს ტერიტორია იაფეტის შთამომავლებმა დაიკავეს. ასევე გაურკვეველია ბაჟურასიფისა და ალ-'ასვადის ვინაობაც. იგივე სახელი ნახსენებია იაკუთის მუ'ჯამ ალ-ბულდანში (ქვეყნების ლექსიკონი): *ამბობს იზნა ალ-მუკაჰტა: აზარბაიჯანი ეწოდა მას აზარბაზ იზნ ორან იზნ ასვად იზნ სამ იზნ ნუჰჰის – მშვიდობა მას – მიხედვით. ნათქვამია [აგრეთვე]: აზარბაზ იზნ ბეზარასჰის მიხედვით; ამბობენ აზარ ცეცხლის სახელია ფალაურად, ბაჟანი კი ნიშნავს დამცველს, შემნახველს და აღნიშნავს ცეცხლის სახლს ან ცეცხლის მცველს. ეს უფრო ჰგავს სიმართლეს და ყველაზე უფრო შეეფერება მას, რადგანაც ცეცხლის ტაძრები ამ მხარეში ძალიან ბევრი იყო.*³⁴⁰ იაკუთი, ცხადია, სიტყვა აზარის წარმომავლობას სწორად განმარტავს და მართებულად უკავშირებს ცეცხლის ტაძრებს რეგიონს, რომელიც ისლამამდე მაზდეანური იყო. თუმცა, ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის მსგავსად, ისიც არ გვაწვდის სხვა სახელების განმარტებას. ამასთან, შესაძლოა 'აზარ სიტყვასთან იბრაჰიმის მამის აზარის სახელთან გაიგივებაც.³⁴¹ აზარი, მართალია, გრაფიკულად სხვანაირად იწერება, თუმცა არაა გამორიცხული შუა საუკუნეების ავტორებს ერთმანეთთან გაეიგივებინათ აზარ და 'აზარ ფორმები.³⁴² ამდენად, იბრაჰიმის მამის სახელი, რომელიც თავის მხრივ ჰგავს ფალაურ სიტყვა „ცეცხლს“, გაერთიანდა და დაუკავშირდა მითიურ წინაპარს სემს.

ისლამმა მიიღო სამყაროს შექმნის ბიბლიური წარმოდგენები და აღიარებს ისეთ ბიბლიურ პერსონაჟებს როგორებიც არიან ადამი და ნოე. შესაბამისად, არაბ-მუსლიმ

³³⁸ Тер-Гводиян А.Н., Армения и Арабский Халифат, АН Армянской ССР, Ереван, 1977, გვ. 257-258.

³³⁹ ცხადია, ამ შემთხვევაში ისტორიულ აზერბაიჯანზეა საუბარი.

³⁴⁰ იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, 1964, გვ. გვ. 4.

³⁴¹ ამ ფორმით არის ნახსენები იბრაჰიმის მამა თერახი ყურანში მაგ. სურა 6 აია 74: *და აი უთხრა იბრაჰიმმა მამამისს 'აზარს: განა კერპებს იხდი ღვთაებებად? მე გხედავთ შენ და შენს ხალხს აშკარა გზააბნევაშიო.* ყურანი, 2006, გვ. 158.

³⁴² შდრ. ازا და ازا ფორმები.

ავტორთა შორის ხალხთა კლასიფიკაციისა და მათი წარმომავლობის განსაზღვრაზეც აისახა ბიბლიური სქემები,³⁴³ ზოგჯერ შევსებული ან ინტერპრეტირებული.

შემდგომში ალ-მუკადდასი ალ-ბაშარი უკვე ჩამოთვლის ქალაქებს, მაგრამ განსხვავებით მისი წინამორბედი გეოგრაფებისგან, ფაქტობრივად ყველა დასახელებულ ქალაქზე აკეთებს მინიმუმ ერთ წინადადებას კომენტარს. სხვა ქალაქებთან შედარებით, ვრცელია არდებილის, ბარდავის, დვინის, დარუბანდისა და თავრიზის აღწერა/დახასიათება. თბილისის შესახებ ვიგებთ, რომ მას ჰქონია ორმაგი ქვის კედელი, რაც სხვა მეათე საუკუნის ავტორებთან გვხვდება, როგორც ალიზის კედელი. დვინთან დაკავშირებით საინტერესოა, რომ მის ერთ-ერთ კარიბჭეს ჰქვია თბილისის კარი, რაც ხაზს უსვამს თბილისის, როგორც სავაჭრო-ეკონომიკური ქალაქის მნიშვნელობას და დანიშნულების ადგილს. არდებილზე საუბრისას ავტორი არ ერიდება არც დადებით და არც უარყოფითი კომენტარის გაკეთებას. უნდა ვივარაუდოთ, რომ არდებილს ალ-მუკადდასი ალ-ბაშარი თავად ეწვია და მისი პირადი შეხედულებები და ემოციებია გადმოცემული. ჩანს, ამ ქალაქის ქუჩები საკმაოდ მოუწესრიგებელი და უსუფთაო იყო, რამდენადაც ამან მიიქცია ავტორის ყურადღება და იგი არ მოერიდა ქალაქისთვის „დუნის საპირფარეშო“ ეწოდებინა. მართალია, ქალაქში იყო წყაროები და აბანოები, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ან საკმარისი არ იყო ქალაქისთვის ან კიდევ გამოწვეული იყო სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით. ამასთან, როგორც ალ-მუკადდასი ალ-ბაშარი მიუთითებს, არდებილის მოსახლეობა არ გამოირჩეოდა მართლმორწმუნეობით, რელიგიაში განსწავლულობით, შარიათისა თუ ფიკჰის ცოდნით. შესაძლოა, ავტორის ამგვარი დამოკიდებულება სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა, რამდენადაც რეგიონის სხვა ქალაქებთან დაკავშირებით ის მსგავსს არაფერს ამბობს. მათ შორის, არც იმ ქალაქებთან მიმართებაში, რომლებშიც მოსახლეობის უმეტესობა, მისივე ცნობით, ქრისტიანია ან არამუსლიმია.

შემდეგ უკვე ცალკე ქვეთავადაა გამოყოფილი რეგიონის დახასიათება. ის იწყება რეგიონის კლიმატის დახასიათებით, რომელიც ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის მიხედვით ცივი და წვიმიანია. ერთგან, ის ასევე აღნიშნავს ხარებით მიწის დამუშავების შესახებ, სადაც წყვილი ხარი ხნავს მიწას და, როგორც ალ-მუკადდასი

³⁴³ ჯაფარიძე გ., *შუა საუკუნეების არაბთა წარმოდგენები ქართველთა წარმომავლობის შესახებ*, ძიებანი ტ.1, მხედარი, თბილისი, 2012, გვ. 34-35.

აღნიშნავს, ამის მიზეზი გაყინული მიწა იყო. შემდგომში დასახელებულია რეგიონის ძირითადი ენები და იბნ ჰაუკალის მსგავსად აქაც გვხვდება არმენიული ანუ სომხური და არ-რანის ენა, რომელშიც როგორც უკვე ვახსენეთ, ალბანური უნდა ვივარაუდოთ. რაც შეეხება სპარსულ ენას, ალ-მუკადდასი ალ-ბაშარი პარალელს ავლებს ხორასნულ სპარსულთან. ამის მიზეზად შეიძლება დავასახელოთ ის ფაქტი, რომ ალ-მუკადდასის დედა წარმოშობით ხორასნიდან იყო და შესაბამისად, შესაძლოა ალ-მუკადდასი ალ-ბაშარიმ იცოდა ე.წ. ხორასნული სპარსული. ჩანს, ისლამურმა მისტიციზმა საკმაოდ ადრე მოიკიდა ფეხი რეგიონში, რამდენადაც მათე საუკუნეში ერთ-ერთ სუფიურ საძმოს უკვე საკუთარი „მონასტერი“ ჰქონდა დვინში. გარდა სუფიური მონასტრისა, დვინიდან 3 ფარსახზე ალ-მუკადდასი ალ-ბაშარი ასევე ასახელებს „თეთრ მონასტერს“. ნ. კარაულოვი განმარტების გარეშე მიუთითებს, რომ ეს უნდა იყოს ექმიაძინის ტაძარი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რადგანაც ექმიაძინი იყო/არის ყველაზე ცნობილი ტაძარი სომხებისთვის ამ ფაქტის გამო დაუკავშირა ნ. კარაულოვმაც. თუმცა, დვინიდან ექმიაძინამდე მანძილი დღეს 30 კილომეტრზე მეტია, რაც ნაკლებად ჯდება 3 ფარსახის ფარგლებში, მაგრამ საუკუნეების ავტორებისაგან ვერ მოვითხოვთ ასეთ სიზუსტეს მანძილების განსაზღვრისას. თუ კარაულოვის ლოგიკას გავყვებით, შეგვიძლია არა ექმიაძინი, არამედ ხორ ვირაპიც მოვიაზროთ, რომელიც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი ადგილია, როგორც სომხეთის ისტორიისათვის, ასევე სომხური სამოციქულო ეკლესიისთვის. ამ ადგილს უკავშირდება გრიგოლ განმანათლებლის პატიმრობა, სომხეთის გაქრისტიანება და ასევე არის მიწისქვეშა ეკლესია, რომელიც კლდეშია გამოკვეთილი. რაც შეეხება მარიამის გამოსახულების ხსენებას, ზოგადად ნებისმიერი სომხური ეკლესიისთვის დამახასიათებელია საკურთხეველში მარიამის გამოსახვა, უმეტესად ყრმა იესოთი და უმეტესად ეს არის ქვაში გამოკვეთილი. ამასთან, ხორ ვირაპი დვინიდან დაახლოებით 20 კილომეტრშია, რაც ჯდება 3 ფარსახის მოცემულობაში. თუ გავითვალისწინებთ ალ-მუკადდასის მიერ დასახელებული ეკლესიის აღწერას, ის საკმაოდ დიდი უნდა ყოფილიყო, რადგან რვა სვეტზე იდგა და უნდა ყოფილიყო ბაზილიკა, თეთრი ქვით მოპირკეთებული, რომელიც ჩრდილოეთ სომხეთში მოიპოვებოდა და საკმაოდ იყო დამორებული დვინსა და მის შემოგარენს. სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით თუ როგორ გამოიყურებოდა

ეჩმიაძინისა თუ ხორ ვირაპის მთავარი ტაძრები მეათე საუკუნეში და ამავდროულად, ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის ცნობებიც არასაკმარისია ადგილის იდენტიფიკაციისათვის.³⁴⁴

სამ მთავარ მდინარედ დასახელებულია მტკვარი, არაქსი და ალ-მალიქი. მდინარე ალ-მალიქს ალ-მუკადდასის გარდა არავინ ახსენებს და არც რუკაზეა დატანილი. ნ. კარაულოვი წერდა, რომ მდინარე ალ-მალიქში უნდა ვიგულისხმოთ ისევ და ისევ მტკვარი, კერძოდ კი ის ასე განმარტავდა: მუკადდასი ალ-მალიქს უწოდებს მტკვარს ვიდრე მას შეერთვის ალაზანი, ხოლო ალაზნისა და მტკვრის შესართავიდან ზღვამდე უწოდება ალ-ქურსს, რაც ნათელი ხდება ამ მდინარის შემდგომი აღწერილობით.³⁴⁵ ვფიქრობთ, რომ ნ. კარაულოვის მოსაზრება ტექსტის მიხედვით არ დასტურდება და პირიქით ჩიხში შედის. პირველ რიგში არსად ჩანს მტკვარისა და ალ-მალიქის კავშირი. ასევე საინტერესოა, რომ ალ-მალიქი არ-რანის საზღვრებს მიღმაა ან საზღვარზეა. აგრეთვე, ტექსტში აშკარადაა ნახსენები მტკვრის თბილისთან სიახლოვე და შესაბამისად, თუ ნ. კარაულოვის მოსაზრებას გავყვებით, აქ არა თუ მტკვარი არამედ ალ-მალიქი უნდა იყოს. ისევე, როგორც ალაზანთან შეერთვის შემდგომაც არის მტკვარი, რომელიც განძასა და შამქორს ჩაუვლის. ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ მდინარეთა და ზღვების შესახებ თავში მდ. ალ-მალიქიც და მტკვარიც ორივე არ-რუმის ქვეყნიდან გამოდის. ჩვენ ვფიქრობთ, რომ მდინარე ალ-მალიქში მდინარე სამური უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც ჩრდილოეთი კავკასიიდან გამოდის და აღმოსავლეთით მიედინება, შემდეგ კი ჩადის კასპიის ზღვაში. ამასთან, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მდ. სამური ფაქტობრივად არ-რანის საზღვარზეა, იგი კავშირში მოდის ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის ცნობასთან და გეოგრაფიული თვალსაზრისითაც თავსდება არ-რანის საზღვართან. რეალურად მდ. სამურის იქეთ რჩება მხოლოდ დარუბანდი, რომელიც ასევე საზღვარია არ-რანისათვის.

ალ-მუკადდასი ქალაქების ჩამოთვლისას ასახელებს ორ ჩვენთვის საინტერესო სახელს ქალაქი შირვანი და ქალაქი თილა (ან თიბლა). შირვანი იგივე შარვანი რეგიონის სახელწოდება იყო აღმოსავლეთ კავკასიაში, კასპიის ზღვის პირას. მისი საზღვრები ვრცელდებოდა ჩრდილოეთით დარუბანდის ჩათვლით, სამხრეთით

³⁴⁴ მით უფრო თუ გავითვალისწინებთ, იმას, რომ შესაძლოა ერთ ადგილას ყოფილიყო სატაძრო კომპლექსი, რომელიც რამდენიმე ეკლესიას გააერთიანებდა.

³⁴⁵ Караулова Н.А., Сведения арабских географов IX и X веков по Р.Хр. о Кавказе, Армении и Азербейджан, 1908, გვ. 19.

ბაქომდე დასავლეთით კი შაქიმდე (შაქი არ შედიოდა). გარდა ამისა, საფიქრებელია ის, რომ არსებობდა ქალაქი შირვანიც. მას ქალაქად მოიხსენიებს, ალ-მუკადდასი წერს, რომ: „*შირვანი დიდია. შენობები არის ქვის, მეჩეთი არის ბაზრებში და მდინარე გაედინება მასში*“.³⁴⁶ შარვანს ქალაქად იხსენიებს იბნ ჰაუკალი³⁴⁷ და ალ-ისტახრიც³⁴⁸. აქედან გამომდინარე, არსებობს ვარაუდი, რომ ქალაქი შარვანიც უნდა არსებულებოდა. ვ. ვ. ბარტოლდი და კ. ე. ბოსვორთი შარვანს შაბრანთან აიგივებდნენ³⁴⁹. თუმცა, დიდი ალბათობით, ეს სიმართლეს არ შეესაბამება, რამდენადაც ხშირ შემთხვევაში, ერთსა და იმავე ავტორთან მოხსენიებულია ორივე ქალაქი შარვანი და შაბრანი და ამასთან განსხვავებული აღწერილობით. ასევე, მარშრუტების დასახელებისას, ბარდავიდან დარუბანდისკენ მიმავალ გზაზე, შამახას შემდეგ ჯერ იხსენიება შარვანი და შემდეგ შაბრანი. იგივე გვხვდება რუკებზეც, სადაც შარვანი აღნიშნულია შაბრანსა და შემახას შორის. ამდენად, ქალაქ შირვანის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ადგილმდებარეობის განსაზღვრა ვთვლით, რომ შემდგომ კვლევებს საჭიროებს.

რაც შეეხება თილას (თიბლას) დე გუე სქოლიოშივე მიუთითებს, რომ ეს არ არის თელავი და იმოწმებს დორნის: *De urbe Thelawi non cogitari nequit, situs enim (inter Tiflis et Schaki) cum suit Thelawi non convenit et haec urbs, et aiunt, Mokaddasio, paullo recentior est.*³⁵⁰ მიუხედავად ამისა, ნ. კარაულოვმა გაიზიარა იდეა თილასა და თელავის იდენტობის შესახებ და მიუთითა კიდევ კომენტარში.³⁵¹ შემდგომში კი ნ. კარაულოვის მოსაზრება გაიზიარებულ იქნა ქართულ საისტორიო წრეებშიც. მაგ. საქართველოს ისტორიის ნარკვევების მეორე ტომშიც აღნიშნულია, რომ თელავს ქართული საისტორიო ტრადიცია X საუკუნეში წარმოქმნილ ქალაქად თვლის, შემდეგ კი თ. გამსახურდია იქვე ამატებს: *თელავის სახელწოდება არაბული ტრანსკრიფციით ყოფილა „თებლას“*.³⁵² მოგვიანებით კი იგივე მოსაზრება გაიზიარებულ იქნა ლ. ჭილაშვილის და ჯ. ხარიტონაშვილის მიერ.³⁵³ ერთადერთი

³⁴⁶ Al-Mokaddasi, Descriptio Imperii Moslemici, 1877, გვ. 276.

³⁴⁷ Abu'l-Kasim Ibn Haukal, 1873. გვ. 244, 251.

³⁴⁸ Abu Ishak al-Farisi al-Istakhri, Descriptio Ditionis Moslemicae, 1927. გვ. 187, 192. ალ-ისტახრისთან და იბნ ჰაუკალთან მხოლოდ ნახსენებია, ალ-მიკადდასი მცირე დახასიათებასაც გვაძლევს.

³⁴⁹ Barthold W., Bosworth C.E., *Shirwan*, The encyclopedia of Islam, vol. IX, Leiden, Brill, 1997, გვ. 487-488.

³⁵⁰ Al-Mokaddasi, Descriptio Imperii Moslemici, 1877, გვ. 374.

³⁵¹ Караулова Н.А., Сведения арабских географов IX и X веков по Р.Хр. о Кавказе, 1908, გვ. 9.

³⁵² საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.2, 1973, გვ. 349.

³⁵³ ჭილაშვილი ლ., ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, ტ.2, თბილისი, მეცნიერება, 1970, გვ. 77.

ხარიტონაშვილი ჯ., თელავი, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1990, გვ. 6.

მიზეზი რის გამოც თილასა და თელავის გაიგივება შეგვიძლია არის ის ფაქტი, რომ სხვა ვერსია-ვარიანტი ამ ეტაპზე არ არსებობს. საკითხს ართულებს ის ფაქტიც, რომ სხვაგან არსად გვხვდება ამ დასახელების ტოპონიმი და არც რუკებზე არ არის აღნიშნული. შესაბამისად, თელავის ვერსია ყველაზე მისაღები ჩანს, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ არის გარკვეული მსგავსება სახელებში. აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესოა ერთი დეტალიც, ალ-მუკადდასი ალ-ბაშარი თილაში მიუთითებს მუსლიმთა 500 ოჯახის არსებობის შესახებ, რაც არც თუ ცოტა რაოდენობაა და საშუალოდ 2000 ადამიანს უდრის. თუ იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ თილაში ქრისტიანები არიან უმრავლესობაში, მაშინ ქალაქის მოსახლეობა სულ მცირე 5-6 ათასი უნდა ყოფილიყო, რაც შუა საუკუნეების კავკასიის რეგიონისთვის არ არის ცოტა. ამავდროულად, არც ქართული არც სომხური წყაროებით არ დასტურდება მუსლიმური მოსახლეობის არსებობა მეათე საუკუნის თელავში.

ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის ცნობები სრულდება ადგილებს, ქალაქებს, პუნქტებს შორის მანძილების დასახელებით, მსგავსად ალ-ისტახრისა და იბნ ჰაუკალისა.

§ 6. საუკეთესო დაყოფა რეგიონების ცოდნისა

გვ. 23 (მდინარეებისა და ზღვების შესახებ)

...რაც შეეხება მდინარეებს არ-რასს, ალ-მალიქსა და ალ-ქურრს³⁵⁴ ისინი გამოდიან არ-რუმის ქვეყნიდან, გაივლიან არ-რიჰაბის რეგიონს და ჩაედინებიან ალ-ხაზართა ზღვაში.

...ალ-ბაჰრაში ერთ წიგნში ვიპოვე, რომ ოთხი მდინარე არის სამოთხიდან ჩვენს სამყაროში: ნილოსი, ჯაიჰუნი, ალ-ფურათი და არ-რასსი, ხოლო ოთხი მდინარე არის ჯოჯოხეთიდან: აზ-ზაბადანი, ალ-ქურრი, სანჯა და ას-სამი.

გვ. 46 (ხსენება ადგილებისა რომლებიც [რომლებზეც ცნობებიც] განსხვავებულია)

...ზოგიერთი ამბობს რომ მუსას კლდე არის შარვანში და რომ ზღვა არის ტაბარისტანის ტბა და სოფელი არის ბაჯარვანი, ხოლო ღულამი (ჭაბუკი) მოკლული იქნა სოფელ ხაზარანში.³⁵⁵

³⁵⁴ არ-რასსის და ალ-ქურრის ბოლო თანხმობებზე უწერიათ გემინაციის ნიშანი, თეშდიდი.

რეგიონი არ-რიჰაბ

უმეტესწილად ეს რეგიონი კარგია, იქ ბევრია ხილეული და ყურძენი. მისი ქალაქები უსუფთავესია ქვეყანაში, ისეთები როგორებიცა: მუჰკანი, ხილპტი, თაბრნოზი, რომლებიც ერაყის მსგავსია და ფასები მასში არის დაბალი. ხეები გადახლართულია და მიედინება მასში მდინარეები. გროვდება (მოიპოვება) მის მთებში თაფლი. მისი ველები მუშავდება.

მის ხეობებში კი არის ფარები. და არ აქვს მას სხვა საზოგადო სახელი, ერთიანდება ერთ რეგიონში, რომელსაც ვუწოდებთ არ-რიჰაბს. ესაა ისლამის რეგიონია და ჰყავთ იქ აქლემები და არ-რუმისგან მუსლიმები არიან ალყაში. აქედან გააქვთ დამუშავებული მატყლი და გასაოცარი მაქმანი ჭიაფერის,³⁵⁶ რომლის აღწერა მე არ ძალმიძს. ცხვრის ფასი არის ორი დირჰამი, პური ორი თავი დანიკად,³⁵⁷ ხილი კი დათვლისა და აწონვის გარეშე. ის არის დიდებული სასაზღვრო მხარე და ცნობილი რეგიონი.

არ-რასსის ხალხი იყო ალ-ჰუვაირისისა და ალ-ჰარისის ქვეშ, და ის ჰგავს ტაიფს,³⁵⁸ მსგავსია სამოთხისა, ისაა სიამაყე ისლამისა და სახლი ღაზიებისა.³⁵⁹ მასში არის სათანადო სავაჭრო ადგილები, ძველი რაიონები და წყალუხვი მდინარეები, მვირფასი სოფლები, გასაოცარი თავისებურებანი და გემრიელი ხეხილი. ხალხი მისი არის სანდო, კარგად მოუბარი და ღირსეული.

³⁵⁵ ეს არის ერთგვარი ალუზია ყურანის მეთვრამეტე სურიდან, რომელიც სხვადასხვა ავტორებთან გვხვდება. Караулова Н.А., Сведения арабских географов IX и X веков по Р.Хр. о Кавказе, Армении и Азербейджан, 1908., გვ. 20. Al-Muqaddasi, 1994, გვ. 49. მოსეს კლიდს შესახებ ასევე იხ. Vacca A.M., From K'usti Kapkoh to al-Ġarbī: Sasanian antecedents, the sectarian Milieu, and the creation of an Islamic frontier in Amīhiya, dissertation submitted in partial fulfilment of the requirements for the degree of Doctor of Philosophy (Near Eastern Studies) in The University of Michigan, 2013, გვ. 221-228.

³⁵⁶ არაბულ ტექსტში გვაქვს ასე: ديدانه قرمز ესაა მწერის სახელწოდება, რომელსაც ლათინურად ეწოდება Dactylopius coccus ინგ. Cochineal ანუ კოშენილი. ცნობილია, რომ მისგან ამზადებდნენ მუქ წითელ პიგმენტს (თვითონ სახელი Cochineal ნიშნავს „აღისფერს“), რომელიც გავრცელებული იყო ხმელთაშუა ზღვის აუზში და ახლო აღმოსავლეთში. ითვლება ერთ-ერთ უძველეს ორგანულ საღებავად.

³⁵⁷ დანიკი იყო ფართობის (დაახლ. 30 მ²) და წონის (2 კარატი) ერთეული ასევე ბარანოვის ლექსიკონში განმარტებულია როგორ მეექვსედი დირჰემი. ნ. კარაულოვი კომენტარში ასახელებს მეოთხედ დირჰემს. ნებისმიერ შემთხვევაში აქ იგულისხმება როგორც მცირე, წვრილი ფულის ერთეული. Караулова Н.А., Сведения арабских географов IX и X веков по Р.Хр. о Кавказе, Армении и Азербейджан, 1908, გვ. 24.

³⁵⁸ ადგილი ჰიჯაზში, ჰიჯაზის მთების უკიდურეს სამხრეთში, დღევანდელი ქალაქი ტაიფი. ისლამამდელ ხანაში იყო მნიშვნელოვანი საპილიგრიმო ქალაქი, რომელშიც მდებარეობდა ღვთაება ალ-ლათის, ალლაჰის სამ ქალიშვილთაგან ერთ-ერთის, კერპი.

³⁵⁹ მუსლიმი მეომრები.

აქვთ მანანა, ენდრო, ლილია (არაბული ჟასმინი), კასპუვია,³⁶⁰ ზღვა და ტბები, კარიბჭეები და რაბატები,³⁶¹

გვ. 374

რელიგია და სიკეთენი. თუმცა, ყველა თავისი მაზჰაბის ფანატოკოსია. ამასთან ერთად უსიამოვნოც. მათ საუბარში არის არა ბუნებრივობა და პატივმოყვარეობა. გზები მასში რთულია და იქ უმეტესობა ქრისტიანია. აი ესაა მისი სახე.³⁶²

აი ესაა მისი სახე და მისი ფორმა და დავყავით ეს რეგიონი სამ ნაწილად. მათგან პირველი არის არ-რანნი ახლოს ტბასთან,³⁶³ შემდგომია 'არმინიფია და შემდგომი არის 'აზარბაჯანი.

რაც შეეხება არ-რანს, ისაა დაახლოებით მესამედი რეგიონისა, მსგავსია კუნძულისა, მდებარეობს ტბას³⁶⁴ და მდინარე არ-რასს შორის, მდინარე ალ-მალაქი კი შუაზე ჰყოფს. მისი დედაქალაქია ბარხა'ა, ხოლო მის ქალაქთაგან არის: თაფლსი, ალ-კალ'ა, ხუნანი, შამქური, ჯანზა, ბარდნჯი, აშ-შამახია, შარვანი, ბაქჰუკ, აშ-შაბრანი, ბაბ ალ-'აბგაბი, ალ-'აბხაზი, კაბალა, შაქქი,³⁶⁵ მალაზხარდი, თიბლა (ან თილა).³⁶⁶

რაც შეეხება 'არმინიფიას, ის მნიშვნელოვანი პროვინციაა, რომელიც დაადგინა 'არმინა იბნ ქანჯარ იბნ აფილ იბნ ნუჰმა და აქედან გააქვთ სეთური ანუ გადასაფარებელი და მაღალი ხარისხის ხალიჩები³⁶⁷ და ბევრი სხვა რამეც. მისი დედაქალაქია დაბილი, ხოლო მის ქალაქთაგან არის: ბადლსი, ხილატი, 'არჯინი, ბარქარი, ხუვაფ, სალამსი, 'ურმიფა, დახარაკანი, მარადა,³⁶⁸ 'აპრუ, მარანდა, სანჯანი, კალიკალა, კანდარიფა, კალ'ათ ფუნის და ნავარინი (ნურინი).

გვ. 375

რაც შეეხება 'აზარბაჯანს, რომელიც ჩამოაყალიბა 'აზარბაზ იბნ ბაფურასიფ იბნ ალ-'ასვად იბნ სამ იბნ ნუჰ მშვიდობა მასზე. დედაქალაქი ამ პროვინციისა არის მისი

³⁶⁰ ბასბუსა.

³⁶¹ აქ: სახელდახლოდ გამაგრებული ადგილი, მცირე სასაზღვრო სიმაგრე.

³⁶² როგორც ბ. კოლინსი მიანიშნებს, ამ წინადადების შემდეგ უნდა ყოფილიყო მოცემულირუკა, რაც დე გუეს რედაქციაში არ გვაქვს. თუმცა, ეს წინადადება ასევე შესაძლოა აღნიშნავდეს ერთგვარ შეჯამებას, და არ იყო იმ სტრუქტურაზე აწყობილი როგორც ეს არის/იყო იბნ ჰაუკალის თხზულების შემთხვევაში.

³⁶³ კასპიის ზღვა.

³⁶⁴ კასპიის ზღვა.

³⁶⁵ ამ შემთხვევაშიც ქაჰ-ზე გემინაციის ნიშანი გვაქვს.

³⁶⁶ დე გუე თავად მიუთითებს, რომ აქ საუბარი არ უნდა იყოს ქალაქ თელავზე, რომელიც თბილისსა და შაქის შორისაა. Al-Mokaddasi, 1877, გვ. 374.

³⁶⁷ ამ შემთხვევაში იხსენიება შალის ხალიჩები, რომლებსაც არც ნახატები და არც ხაზები აქვთ.

³⁶⁸ არტიკლის გარეშეა. იგივე მერადა.

ცენტრი, 'არდაბელი. იქ არის მთა,³⁶⁹ რომლის ფართობია 140 ფარსახი. იქ არის სულ ნათესები და სოფლები. ამბობენ, რომ იქ სამოცდაათი ენაა. ხეირთა უმეტესობა 'არდაბელს აქვს მისგან (იგულისხმება ნათესები და სოფლები). სახლების უმეტესობა მიწისქვეშაა (მიწურია), ხოლო მისი ქალაქთაგანია: რუსბა, თაბრზი, ჯაბარვანი, ხუნაჯი, ალ-მაჰანიჯი, ას-სარათი, ბარვა, ვარსანი, მუკანი, მიჰამაჰი (მიმაზი, მაიმანდი, ბაიმანდი), ბარზანდი. თუ ვინმე დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ბიდლასი არის 'აკურის რეგიონიდან იმ არგუმენტით, რომ ის შედიოდა ბანნ ჰამადანის სამფლობელოში, ვუპასუხებ მას იმაზე, რომ ყველაფერი არის ისე, როგორც გამოაცხადა ორივე რეგიონის მცხოვრებლებმა, ჩვენ შევიტანეთ ის ამ რეგიონში, რადგანაც აღმოვაჩინეთ მიმოწერა სახელით და ისაა „თაფლასი“. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციულ კუთვნილებას მნიშვნელობა არ აქვს. განა საფუ ად-დავლას არ ჰქონდა კინასირანი და არ-რაკვა, მაგრამ არავის უთქვამს, რომ არ-რაკვა ეკუთვნის ამ-შამს.

ბარზა'ა დედაქალაქია (მთავარი ქალაქი), დიდი, ოთხკუთხა გეგმით, კარგად გამაგრებული. ბაზრები მისი გადახურულია, ბაზრის უკან საკრებულო მეჩეთია, ისაა ბაღდადი ამ რეგიონის. მათი სახლები [აშენებულია] აგურისგან და გიფსისგან (თაბაშირი) კარგი და მოხერხებულია. ბევრია ხილი. საკრებულო მეჩეთის ზოგიერთი კოლონა აგურის და გიფსისაა ზოგიერთი კი ხის. ქალაქში არის მდინარე,³⁷⁰ ხოლო მდინარე ალ-ქურრი აქედან ორ ფარსახზეა. მასში თავმოყრილი მდინარეები ძვირფასია, თუმცა მისი საზღვრები გაუკაცრიელებული და შემცირებულია მისი ხალხისგან, მისი ციხე კი დაშლილი.

თაფლასი: გამაგრებული, ახლოს მთებთან, მას კვეთს მდინარე ალ-ქურრი, სანაპიროები შეერთებულია ხიდით, მისი კედლები ქვისგან აიგო და ზემოდან გადებულია ხე.

გვ. 376

კალ'ა: ქალაქი გამაგრების გარეშე, ლაქზანის მთასთან³⁷¹ ახლოს.

³⁶⁹ არდებილთან ახლო მდებარე მწვერვალია საბალანის ვულკანური მწვერვალი, რომლის სიმაღლე დაახლოებით 4800 მეტრია, არდებილიდან ის დაახლოებით 60 კილომეტრშია.

³⁷⁰ მდინარე ტარტარი, მტკვრის მარცხენა შენაკადი.

³⁷¹ აქ, ცხადია, იგულისხმება კავკასიონის ქედის აღმოსავლეთი და ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, რომელ ტერიტორიაზეც, შუა საუკუნეების არაბული ისტორიული თუ გეოგრაფიული ხასიათის თხზულებების მიხედვით, ლაქზები ანუ ლეკები სახლობდნენ. შესაბამისად, ამ მთაშიც ის მთიანი ტერიტორია უნდა იგულისხმებოდეს, რომელიც ლეკებთან იყო დაკავშირებული.

აშ-შამსხიჲა მთის ძირასაა. მისი შენობები ქვის და გიფსისაა, მასში მოედინება წყლები, არის ბაღები და ბაღები.

შარვანი დიდა. მიწის დონეზე. შენობები არის ქვის, მეჩეთი არის ბაზრებში და მდინარე გაედინება მასში.

მულქანი: საზღვარზეა. იყო დასახლებული ადრე, თუმცა ახლა მისი მოსახლეობა შემცირებულია. ის არის გზაზე.³⁷²

ბაქუჰ: ტბის პირას,³⁷³ ისაა ერთ-ერთი პორტი რეგიონისა.

შაბარანი: გამაგრების გარეშე. უმრავლესობა იქ ქრისტიანია. საზღვარზეა.

კაბალა: გამაგრებულია, მდინარე ქალაქს გარეთ გაედინება. საკრებულო მეჩეთი მოშორებითაა ბორცვზე.

შაქქი მიწის დონეზე. მოსახლეობის უმეტესობა ქრისტიანია, საკრებულო მეჩეთი კი მუსლიმთა ბაზარშია.

ვარსანი მიწის დონეზე. განაშენიანებულია. მისი ბაზარი მდინარის გაღმაა, საკრებულო მეჩეთი კი მოშორებითაა.

ბაღლაკანი: პატარაა. მოსახლეობა მცირეა, თუმცა კეთილშობილი. აქ არის მაღალი ხარისხის ნატიფი.³⁷⁴

მალაზქირდი (მალაზკერტი): გამაგრებულია. მასში არის კათედრები (მინბარ).³⁷⁵ მალიან ბევრი ბაღებია და საკრებულო მეჩეთი ბაზრის პირასაა.

თაბლან (თაბლან): მუსლიმებისაა. აქ ხუთასი სახლია, თუმცა მოსახლეობის უმეტესობა ქრისტიანია. საამო ადგილია.

ალ-აბხანი: კარგი ადგილია და ამ რეგიონის ქალაქების მსგავსი.

კარიჲათ ფანის: ისაა ად-დირანის მასში არიან მუსლიმები.

ბაბ ალ-აბგანი: ალ-ხაზართა ზღვის პირას, გამაგრებულია კედლებით ალ-ხაზარებს შემხვედრ მხარეს. მას აქვს სამი კარი დიდი კარი, პატარა კარი და სხვა კარიც ზღვის მხრიდან, რომელიც დაკეტილია და არასდროს გაღებულა. ასევე რამდენიმე კარია ზღვის მხარეს და ასევე ისლამის მხარეს,³⁷⁶ კედლები გრძელდება

³⁷² აქ, ცხადია, იგულისხმება მუკანი იგივე მულანი, რაზეც დე გუეც მიუთითებს.

³⁷³ იგულისხმება კასპიის ზღვა.

³⁷⁴ تَابُت თეთრი ტკბილეულის სახეობა, მზადდება ნუმის, ნიგოზის და ფსტასგან. ასევე უწოდებენ ალ-კუბაიტს (القُبَيْط).

³⁷⁵ იგულისხმება მრავალი მეჩეთის არსებობა, რამდენადაც მინბარი არის მეჩეთების ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი.

³⁷⁶ იგულისხმება ისლამის ტერიტორია.

მთიდან ტბამდე და შედის ტბაში, მასზე არის კოშკები, მასში არის მეჩეთები და არიან მცველები (მეციხოვნე). საკრებულო მეჩეთი ბაზრების ცენტრშია, მასში წყაროა. მისი შენობები ქვისაა და სახლები კარგი. მათთან მიედინება წყლები.

გვ. 377

დაბნლი: მნიშვნელოვანი ქალაქია. აქვს სიმაგრე და მასში ბევრი ხეირია. დიდია სახელი მისი. მისი შალი მაღალი ხარისხისაა და ცნობილია. მისი მდინარე წყალუხვია. გარშემორტყმულია ბაღებით. აქვს ძველი გარეუბანი და ძლიერი ციხესიმაგრე. მისი ბაზრები ჯვარედინადაა. ხალხი გასაოცარი. საკრებულო მეჩეთი არის დიდ ბორცვზე, მის გვერდით არის ეკლესია. მას [ქალაქს] ფლობენ ქურთები.³⁷⁷ მასში არის ციხესიმაგრე. შენობები თიხის და ქვისაა. აქვს რამდენიმე კარი, მათ შორის ქნდარის კარი, თაფლმისის კარი, ანმის კარი. თუმცა, უმრავლესობა იქ მისი მფლობელი დიდებულების ჩათვლით ქრისტიანები არიან, მაგრამ ხალხმა დატოვა ის და ციხეც დანგრეულია.

ბადლმისი: ღრმა ხეობაში მიედინება ორი მდინარე, რომლებიც ქალაქში ერთდებიან. ის ორ ნაწილად იყოფა და არის მასში ციხე, აგებული ქვისგან, რომელიც მსგავსია წითელი ქვის.³⁷⁸

ახლანტი: ქალაქი ვაკეზე, მასში კარგი ბაღებია და აქვს სიმაგრე ალიზის, საკრებულო მეჩეთი ბაზარშია და არის მასში მდინარე.

სალმასი: არის კარგი, ციხე ალიზისა და ქვისგანაა და არის მასში წყალუხვი მდინარე, საკრებულო მეჩეთი ბაზრის განაპირასაა. ქურთებმა³⁷⁹ ააშენეს მის გარშემო კედელი.

ურმიდა: კარგია, არის ციხე-სიმაგრე, სახლები. საკრებულო მეჩეთი არის ბაზაზების³⁸⁰ ბაზარში. აქვს ციტადელი და არის მასში მდინარე.

³⁷⁷ საუბარი უნდა იყოს შადადიანებზე, რომლებმაც მათი მმართველობა სწორედ დვინიდან დაიწყეს, როდესაც 951 წელს მუჰამად ბ. შადადმა დაიკავა ქალაქი (954 წლამდე). შემდგომში, მათ ვერ შეძლეს წინააღმდეგობა გაეწიათ სალარიანებისთვის და მოგვიანებით არ-რანში განჯაზე, ბარდავსა და შამქორზე განაგრეს ძალაუფლება.

³⁷⁸ არაბულ ტექსტში გვაქვს ასე: جارة شبه ثور ن. კარულოვი პარალელს ავლებს ე.წ. „ხარის მთასთან“ (Jabal Thawr) მექიდან დაახლოებით 10 კილომეტრში. აღნიშნული მთა, ცნობილია იმით, რომ გადმოცემის თანახმად, მასში არსებულ ერთ-ერთ გამოქვაბულში შეაფარა თავი მოციქულმა მუჰამადმა აბუ ბაქრთან ერთად მედინაში ჰიჯრას დროს, როდესაც მას კურაიშელები დაემებდნენ და წარმოადგენს მოლოცვის ადგილს მუსლიმებისთვის.

³⁷⁹ საუბარი უნდა იყოს რავადიდთა ქურთულ დინასტიაზე.

³⁸⁰ ბამბის ქსოვილით, მოვაჭრენი.

მარაღა: დიდებულია. არის იქ ციტადელი და სიმაგრე. აქვს ასევე გარეუბანი. მისი სიმაგრეები თიხისაა.

მარანდი: გამაგრებულია. გარემოცულია ბაღებით, არის გარეუბანი, სახლები. საკრებულო მეჩეთი ბაზრებშია.

კანდარიღა:³⁸¹ ქალაქი ქურთების დაარსებული, მასში არის დახვეწილი საკრებულო მეჩეთი.

ნავარანი (ან ნურანი): გამაგრებულია, აქვს ციტადელი და საკრებულო მეჩეთის კართან წყაროა, მრავლადაა ბაღები.

კალ'ათ აჟნის: ისა ად-დარანისაა და მასში არიან მუსლიმები.

'არდაბლი: ისაა დედაქალაქი 'აზარბაჯანის და ცენტრი რეგიონის. აქვს ძლიერი სიმაგრე, და ის უფრო პატარაა ვიდრე დაბლი. ბაზრები ჯვარედინულია ოთხი მთავარი გზით. ამ გზაჯვარედინის შუაში არის საკრებულო მეჩეთი. სიმაგრესთან არის გარეუბანი და სახლები, შენობების უმეტესობა თიხისაა. ბევრია აივნები, ხილი და ჭუჭყი, მოედინება წყლები.

გვ. 378

არის დაქირავებული ჯარი და ბევრი ხეირია, კარგი აბანოებია. თუმცა, ისინი არიან მუნწები, ცოტაა მეცნიერი. ველური და მყრალი ქალაქია, ერთი საპირფარეშოა დუნისა. ხალხი ეშმაკი და დაუდევარია, არ ადარდებთ შედეგი (არ უყურებენ შედეგს). არიან მხოლოდ თავიანთი სწავლების (სექტის, მაზჰაბის) მიმდევარნი. არ ჰყავთ ფაკიჰი.³⁸² არ აქვთ ღირსება (პატივისცემა) მეთაურისადმი, სასამართლოს მოხელე არ არის სათანადოდ განათლებული, არ ჰყავთ არც დახელოვნებული ექიმი.

თაბრნი: და რა იცით თუ რაა თაბრნი, ის ოქროა იბრიზი,³⁸³ ის აუღებელი ქალაქია ძლიერი ალქიმიის. უკეთესი ვიდრე „მშვიდობის ქალაქი“.³⁸⁴ მუსლიმებისთვის ის სიამაყეა. მასში მიედინება მდინარეები და ირხევანი ხეები. და არც კი იკითხო ფასების სიაფესა თუ ნაყოფის სიმრავლეზე. საკრებულო მეჩეთი ქალაქის ცენტრშია. მის [ქალაქის] სიკარგეს კი არ აქვს საზღვარი.

³⁸¹ ამ სახელით არსებობს სოფელი ჩრდილოეთ სირიაში, თურქეთის საზღვართან ახლოს.

³⁸² მუსლიმი ღვთისმეტყველი, კანონმცოდნე, ფიკჰის განმმარტებელი.

³⁸³ სუფთა ოქრო, ბაჯადლო **إبريز**.

³⁸⁴ იგულისხმება ბაღდადი _ مدينة السلام.

მუღანნი:³⁸⁵ ქალაქი, რომელიც ორ მდინარეს შორისაა (შემოსაზღვრულია ორი მდინარით), მის გარშემო ძალიან ლამაზი ბაღებია, თითქოს მთელი სივრცე ბაღია, ის თაბრანთან ერთად ორი ბაღანია. არ-რიჰანისთვის და ისლამისთვის ეს ორივე საამაყოა. მდებარეობს 'არდაბილსა და ჯღლანს³⁸⁶ შორის. იქიდან ბარჯა'ამდე რვაა.³⁸⁷ კარგია, სასიამოვნო, მრავალფეროვანი, ორი მდინარით, რომელიც იქ გაედინება. მათი [ქალაქის მცხოვრებთა] სახეები მსგავსია მარგალიტისა და მარჯანის, ასევე გულუხვი და კეთილნი არიან.

ბარჯანდი: პატარა სავაჭრო ქალაქი ალ-'არმინის, პორტი ამ რეგიონის, კარგი და მოხერხებული.

მიჯანა: პატარა მიწის დონეზე და მასში ბევრი ხეირია.

ზინჯანი: საზღვარზეა, რომელიც უკვე მოშლილია, აქვთ მდინარე და გადის მთავარი გზა.

და ყველა ქალაქი ამ რეგიონში კარგია და სავსეა ხეირითა და სიკეთეებით, მინერალები იაფი, ნაყოფით და ხორციით სავსე, კეთილდღეობითა და სიკეთით.

ამ რეგიონის მდგომარეობის შესახებ

ეს ძალიან ცივი რეგიონია თოვლიანი და წვიმიანი. მასში ცოტაა მძიმე ავადმყოფობები, ხალხი მისი ცივი და მძიმეა. ასაკოვნებს წვერი აქვთ და მათი ენა არ არის კარგი (ლამაზი). 'არმინიში ლაპარაკობენ ალ-'არმინიდიულზე, არ-რანში არ-რანის ენაზე. მათი სპარსული გასაგებია და ჰგავს ალ-ხურასანიულს ბგერებით. მათი მაზკაბები კი მყარია.

გვ. 379

³⁸⁵ დე გუე სქოლიოში მიუთითებს موان (მუკან) ფორმას.

³⁸⁶ ვფიქრობთ, აქ აკლია სიტყვა „ტბა“, რამდენადაც მუკანი იყო კასპიის ზღვასთან ახლოს, ხოლო ამ ზღვას არც თუ იშვიათად გილანის ზღვასაც უწოდებდნენ. რაც შეეხება რეგიონ გილანს, ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია გეოგრაფიული ადგილმდებარეობა. ისტორიული მუკანი არდებილიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობდა, კასპიის ზღვის დას. სანაპიროსკენ, ხოლო გილანი არდებილიდან აღმოსავლეთითაა, კასპიის ზღვის სამხრეთით. შესაბამისად, მუკანი არ თავსდება პროვინცია გილანსა და არდებელს შორის.

³⁸⁷ აქ, ჩანს, ტექსტი არასრულია. საუბარი უნდა იყოს მანძილზე. ბ. კოლინსი თარგმანში უთითებს 8 ფარსახს (Al-Muqaddasi, 1994, გვ. 334). თუმცა, საეჭვოა მხოლოდ 8 ფარსახი ყოფილიყო. უფრო მართებული ჩანს 8 კარაულოვის ვერსია, რომელიც 8 დღეს უთითებს (Караулова Н.А., Сведения арабских географов IX и X веков по Р.Хр. о Кавказе, Армении и Азербейджан, 1908, გვ. 11). შესაძლოა ყოფილიყო 8 მარჰალა, რადგანაც 8 დღე საკმაოდ დიდი დროა მუკანიდან ბარდავამდე მანძილის დასაფარად.

მაგრამ თანამედროვე მოსახლეობა ჰანბალიტია,³⁸⁸ უმრავლესობა დაბნელებაში აბუ ჰანფას³⁸⁹ (ღვთის წყალობა მასზე) მაზჰაბის მიმდევარია. მსგავსად არიან კიდევ სხვა ქალაქებში, როგორც უმცირესობები.

ერთ დღეს ვიყავი აბუ 'ამრ ალ-ხუვაჟის მაჯლისზე, ისმენდა ამბებს. მან თქვა: დასვით შეკითხვები. ჩემთან იყო ერთი მეგობარი და ჩვენ დავუსვით შეკითხვა საზოგადო ქონებაზე (საერთო ძღვენზე). ვისაუბრეთ მასზე გულით და შემდგომ დავილაღეთ და საუბარი განაგრძო (სიტყვა აიღო) შუახნის კაცმა, შემდეგ ისაუბრა მჭევრმეტყველურად მასზე, და როგორც კი შეწყდა საუბარი, ვუთხარი: როგორ კარგად მსჯელობ, მაგრამ უკვე აზვიადებ! და მივუთითე იმაზე, რაშიც არ ვეთანხმებოდი. და თქვა: „არ ვარ თქვენი მეგობართაგანი“.³⁹⁰ ვუთხარი: „როგორ მოხდა, რომ შენმა ხალხმა არ მიაქცია მეტი ყურადღება იმას, რაზეც შენ განაცხადე, რადგანაც ეს შეკითხვა საკმაოდ რთული იყო ჩვენთვის?“ თქვა მან: „რაც ვთქვი და რაც მე ვახსენე ეს არის სიტყვათაგან მოსამართლე (ან გამგებელი) აბუ ნაჰრ იბნ საჰლი, რომელიცაა გამგებელი ხურასანისა, რომელთან ერთადაც ბევრჯერ მიმსჯელია ამის მსგავს შეკითხვებზე.“

რაც შეეხება ღვთისმეტყველებას, ისინი არ განმარტავენ მას და არავინ იჭერს ვინმეს მხარეს ამ საქმეში. და იყო დაბნელებაში (სუფიური) მონასტერი და მათ ჰქონდათ ცოდნა მისტიციზმისა (სუფიზმისა) და იყვნენ გაჭირვებაში. დავესწარი ერთ დღეს მაჯლისს აბისა,³⁹¹ 'არდაბნელებიდან, რომელსაც მუდმივად აწუხებდა ხალხი მდგომარე თუ მჯდომარე. უსვამდნენ მას კითხვებს საზოგადო ურთიერთობებზე. ვუთხარი: „რას იტყვი, წყალობა მოგცეს ღმერთმა, კაცზე, რომელსაც ჰქონდა სინდისი, რითიც ის ხელმძღვანელობდა და შემდგომ დაკარგა ის, სად უნდა ეძიოს მან ის, რათა დაიბრუნოს?“ მან თქვა: „ის უნდა დაუბრუნდეს იმ პირველ წყაროს, რომლიდანაც თავდაპირველად მიიღო ის“. ვუთხარი: „მაგრამ, ვითარება შეიცვალა მასსა და პირველ წყაროს შორის“. თქვა: „მაშინ ჰკითხოს პირველწყაროს (მფლობელი), რომ მიიღოს ის“. ვუთხარი: „მას არ აქვს არანაირი კავშირი პირველწყაროს მფლობელთან,

³⁸⁸ სუნიტური ისლამის ერთ-ერთი საღვთისმეტყველო-სამართლებრივი სკოლის – ჰანბალიტური მაზჰაბის მიმდევრები.

³⁸⁹ აბუ ჰანფას მიმდევრებში შესაბამისად ჰანაფიტური მაზჰაბის მიმდევრები იგულისხმებიან.

³⁹⁰ ტექსტში არის ასევე სიტყვა, რომელსაც ბ. კოლინსი თარგმნის როგორც „სკოლას“ და სავარაუდოდ გულისხმობს მაზჰაბს, თუმცა შესაძლოა იყოს ამ მაზჰაბის მიმდევარიც.

³⁹¹ აქ ტექსტი წყდება.

რათა სთხოვოს“. თქვა: „საჭიროა იქამდე აკაკუნოს კარზე, სანამ ის გაეღება მას და იყვიროს ღამის სიბნელეში იქამდე, ვიდრე შეიწყალებენ (შეისმენენ) მას“.

მდინარეები, რომლებიც ცნობილია, არის სამი: მდინარე არ-რასსი, მდინარე ალ-მალიქი და მდინარე ალ-ქურრი, რომელშიც არის ყველაზე მსუბუქი წყალი. გამოედინება მთების მხრიდან, შამქურისა და ჯანზას საზღვართან, ახლოს თაფლბთან, შემდეგ კი ურწმუნოთა ქვეყნებში. შემდეგია მდინარე არ-რასსი სუფთა და მსუბუქი, ის გაჭიმულია არ-რანის საზღვარზე, გამოდის 'არმინიადან ვიდრე ვარსნამდე, შემდეგ მთავრდება მუკანთან ახლოს და ჩაედინება ზღვაში. რაც შეეხება მდინარე ალ-მალიქს, ის გამოდის არ-რუმის ქვეყნიდან, არ-რანის უკანა მხრიდან ვიდრე არ ჩავა ზღვაში.

და ამ რეგიონს არ უკავშირდება სხვა ზღვა გარდა ალ-ხაზართა ზღვისა,

გვ. 380

და ამ რეგიონში არის ორი ტბა, ერთ-ერთია 'ურმიჟა, მისი სიგრძე დაახლოებით არის ოთხი დღის სავალი საჯდომი ცხოველით, ხოლო აფრებით ერთი დღე-ღამე. 'არმინიადში კიდევ არის ერთი ტბა 'არჯიჯი.³⁹²

აქ არის ვაჭრობა, ბარჯა'აში ბევრი აბრეშუმის, ბაბ ალ-'აბჯაბიდან სელის ტანსაცმელი გააქვთ, ასევე მონები, ზაფრანა, კარგი სახედრები. ხოლო დაბლიდან მატყლის ტანსაცმელი, ფარდაგები, ბალიშები, თარგი, მაქმანი მაღალი ხარისხის; ხოლო ბარჯა'ადან სეთური (ან ქამარი) და აქ იყიდება კარგი სახედრები. ყოველ კვირა დღეს ბარჯა'აში იმართება ბაზრობა, რომელსაც უწოდებენ ალ-ქურქიჟა და მთელი რეგიონის ხალხი იკრიბება იქ. ზოგიერთი ამბობს შაბათი დღე ალ-ქურქიჟას დღე და ორშაბათი დღე. ყიდიან იქ აბრეშუმსა და ტანსაცმელს. არ ჰყავს თანასწორი მათ მაქმანებს, მათ ღვედებს, დაგვირისტებულ საბნებს, ყირმიზს, მათ თარგებს, მათ საღებავებს, ხილს რომელსაც ჰქვია აზ-ზუკალ (შვინდი) და ბასბუსა, თევზი ატ-ტარბ, აქვთ ლეღვი და ცხვარი, მუხა კარგი ხარისხის.³⁹³

³⁹² იგივე ხლათის ტბა, იგივე ვანის ტბა. ტბის არაბული სახელი ܥܘܪܐ (არჯიჯი) უნდა მოდიოდეს ქალაქ არქეშიდან, რომელიც ამ ტბის პირას იყო გაშენებული. პარალელი შეგვიძლია გავავლოთ ხლათთან. როგორც ჩანს, ისტორიის მდინარებისას ამ ტბის სახელები იცვლებოდა მის პირას გაშენებული ქალაქების მიხედვით.

³⁹³ არაბულად არის სიტყვა - بلط . ის შეიძლება ითარგმნოს, როგორც მუხა, რომელიც ჩვენ ავარჩიეთ. ასევე როგორც რკო, რაც არის ინგლისურ თარგმანში, ან წაბლი რაც არის რუსულ თარგმანში. თუმცა, რუსულ თარგმანში ჩამონათვალში გამოტოვებულია „ცხვრები“.

რაც შეეხება ალ-ბაზის საოცრებებს და ის გამაგრებულია, როგორც ვახსენეთ გალავნით და დაკავშირებული ჯაჭვით, რომელიც აგებულია ქვისგან (კლდისგან) ტყვიის დულაბით. თაფლნში არის აბანოები მსგავსი ტაბარიჯისა, საწვავის გარეშე. მთა ალ-ჰარიტი აღმართულია ისლამის მიწაზე და არავის ძალუმს მასზე ასვლა. ამბობენ, რომ ის ალ-ჰუვაფრიტთან ერთად არის ატ-ტა'იფის მთათაგანი. და რომ მდინარე არ-რასსზე იყო ათასი ქალაქი, ისინი ახლა იმ ორის (მთის) ქვეშაა. 'არდაბნის საკრებულო მეჩეთთან დიდი ქვაა, ურო რომც დაარტყა არაფერი მოუვა. ჩამოვარდნილა ციდან, ქალაქიდან მოშორებით, შემდეგ მოუტანიათ საკრებულო მეჩეთში. მოვისმინე ზარაფისაგან, მსახურისგან, რომელიც ამბობდა: „მაშინ როცა ჩვენ მივუახლოვდით არდაბილს, რაღაც ვარდებოდა ციდან მსგავსად კუს დიდი ბაჯნისა (ან დიდი ფარისა), რომელიც დაეცა მიწაზე, და შემდეგ იქ აღმოჩნდა ქვა და მაშინ ეს ქვა უნდა იყოს იგი. ის თითქოს მღებავთა საპრიალებელი იარაღით დათხელებულია ორივე გვერდიდან.

ერთ მარჰალაზე მჰკანნიდან დიდებული ციხეა სახელად ალ-ჰასრა, მასში სახლები და სასახლეებია, ბევრია ოქრო,

გვ. 381

და გამოსახულებები ფრინველების და ველური მხეცების (ურჩხულების). მეფეთაგან მრავალი მიმართავდა ცბიერებას მის მიმართ, მაგრამ ვერავინ შეძლო მისი ფლობა, მისი სიმაღლის გამო.

დაბნიდან სამ ფარსაზე არის თეთრი მონასტერი, გამოთლილი ქვისგან მსგავსად კაპიუშონისა. მასში არის მარიამის ფრესკა. შიგნით არის რვა სვეტი, მათ შორის კი კარიბჭეები, რომელი კართაც არ უნდა შეხვიდე ნახავ მარიამის ფრესკას. მასთან ახლოს არის შავი კლდე (ქვა), რომელიც გამოყოფს ცხიმს და მისით მკურნალობენ. აქედან გააქვთ ყირმიზი, და ისაა ჭიისგან გამოსული, რომელიც მიწიდანაა და გამოდის მისგან. ქალები მოდიან და თხრიან მას სპილენძის ნაჭრებით, რომელიც თან დააქვთ, შემდეგ კი ღუმელში აცხობენ.

'არდაბნის რასათიკში მიწას ხნავს რვა ხარი და ოთხი გუთნისდედა. ყოველ ორ ხარზე ერთი გუთნისდედაა. ვკითხე მათ ეს მიწის სიმაგრის გამოა? მიპასუხეს არა, თუმცა, ეს თოვლის (ყინულის) გამოა“.

მანი 'არდაბნში არის 1200, რატლი ხუვაფის 300 და მათი მანი არის 600 და ასევეა 'ურმიფაში, ხოლო რატლი ყველგან არის ბაღდადის. მარაღას კაფიზი და მუდდი არის ათი მანი, კეილაჯი 1/6 კეფიზი.

თაბრნში არის წესი, ის ვინც ფლობს ძალაუფლებას ატაროს ოქროს ბეჭდები. 'ურმიფას ზღვასთან (ტბასთან) დასახლებული მთებია, ბიჭუნებს ფეხებზე აბამენ ჯაჭვებს (ძეწკვებს) და თოკებს, რათა ტბაში არ ჩაცვივდნენ (ჩაცურდნენ).

'ურმიფადან ალ-მავსილამდე გზა მთაგორიანია (მიხვეულ-მოხვეული აღმართი), ხალხი მასზე გადაადგილდება, სხედან ადამიანების კისრებზე, ისევე როგორც ატარებენ საჯდომ ცხოველებს.

რაც შეეხება მანძილებს (დაშორებებს), ბარჯა'ადან ფუნანამდე ან ბარჯანჯამდე ან ჯანზამდე ან კალკატუსამდე ერთი მარჰალაა.

ფუნანიდან ალ-ბაღლაკანამდე ერთი მარჰალაა. შემდეგ ვარსანამდე მარჰალა; შემდეგ ბალხანამდე ერთი მარჰალა; შემდეგ ბარჯანდამდე ერთი მარჰალა; შემდეგ 'არდაბნლამდე ორი მარჰალა.

ბარჯანჯიდან ალ-შამახიამდე ორი მარჰალა; შემდეგ შარვანამდე სამი მარჰალა; შემდეგ ალ-'აბხანამდე³⁹⁴ ორი მარჰალა; შემდეგ ჯისრ სამურამდე (ან სამურის ხიდამდე) ორი მარჰალა; შემდეგ ბაბ ალ-'აბგანამდე სამი მარჰალა.

გვ. 382

ჯანზადან შამქურამდე ერთი მარჰალა; შემდეგ ხუნანანამდე სამი მარჰალა; შემდეგ კალ'ა იზნ ქანდიმანამდე ერთი მარჰალა. შემდეგ თაფლნსამდე ორი მარჰალა.

კალკატუსიდან მითრნსამდე ორი მარჰალაა. შემდეგ დუმნსამდე³⁹⁵ ორი მარჰალა; შემდეგ ქნლუვამდე ორი მარჰალა; შემდეგ ხვდება ალ-'არმანში დუბნლამდე.³⁹⁶

დუბნლიდან ნაშავამდე ოთხი მარჰალაა; შემდეგ ხუვამდე სამი დღე; შემდეგ სალამსამდე ორი მარჰალა; შემდეგ 'ურმიფამდე ერთი მარჰალაა; შემდეგ ხარაკანამდე ორი მარჰალა; შემდეგ მარაღამდე იმდენივეა; შემდეგ 'არდაბნლამდე 40 ფარსახი.

³⁹⁴ დე გუე იქვე მიუთითებს ალ-ლაიჯან ფორმასაც (اللاجان).

³⁹⁵ ალ-ისტახრისთან არის დავმის ფორმა.

³⁹⁶ ეს იგივე დაბილი ანუ დვინია. თუმცა, აქ ტექსტი გახმოვანებულია დალი-ს შემდეგ წერია დამმა.

მარალადან კანდარიამდე ორი მარჰალაა. შემდეგ კარიამდე³⁹⁷ სამი მარჰალა; შემდეგ ალ-ჰასან იბნ 'ალის ციხემდე ერთი მარჰალა; შემდეგ შაჰრაზურამდე 30 ფარსახი.³⁹⁸

მარალადან ნურინამდე ერთი მარჰალა; შემდეგ მარანდამდე.....³⁹⁹

ხუვადან ალ-ფუნისის ციხემდე ექვსი მარჰალა; შემდეგ კარიამ ალ-'ასაბიჰით ერთი მარჰალა; შემდეგ⁴⁰⁰ შემდეგ თაფლსამდე ერთი მარჰალა; შემდეგ თიბლამდე, შემდეგ შაქქი შემდეგ ლაკაზანი ორი მარჰალა [ყველა მიმართულებით], შემდეგ ალ-ბაზამდე სამი მარჰალა.

მარალადან ალ-ხარაკანამდე ორი მარჰალა, შემდეგ თაბრანამდე ერთი მარჰალა; შემდეგ მარანდამდეც ერთი.

'არდაბლიდან ალ-ბრამდე ერთი მარჰალაა; შემდეგ სარათამდე (სარაბი) ერთი; ქურსარამდე ერთი მარჰალა; შემდეგ მარალამდე მის მსგავსად.

მარალადან ხურა რუზამდე ერთი მარჰალაა; შემდეგ მუსა 'აბაზამდე ერთი მარჰალა; შემდეგ ბარზამდე ორი ბარიდი; შემდეგ თაფლსამდე ერთი ბარიდი,

შემდეგ ჯაბრავანამდე ერთი მარჰალაა; შემდეგ ნარინამდე ორი ბარიდი, შემდეგ 'ურმიამდე ერთი მარჰალა.

მარანდადან ან-ნაშავამდე ორი მარჰალაა, რთულად [სავალი]; შემდეგ დაბლამდე მის მსგავსად.

მარალადან 'უმფუ ალ-ნასთამდე ერთი მარჰალაა; შემდეგ ბარზამდე ერთი მარჰალა; შემდეგ ალ-ბაჰილაკანამდე ერთი მარჰალა; შემდეგ სისარამდე ერთი მარჰალა; შემდეგ თილლ ვანამდე ერთი მარჰალა, შემდეგ ალ-ჯარიბამდე ერთი მარჰალა; შემდეგ ად-დაჰნავარი ერთი მარჰალა.

'არდაბლიდან ალ-მაჰანიჯამდე ორი მარჰალაა; შემდეგ კანტარ საბინურუჰი⁴⁰¹ და ალ-კანტარიდან ალ-სარათამდე ერთი მარჰალა; შემდეგ ნუვი ერთი მარჰალა; შემდეგ ზანჯანამდე ერთი მარჰალა.

³⁹⁷ სოფელი(?).

³⁹⁸ ბ. კოლინსი რატომღაც 3 ფარსახს უთითებს (Al-Muqaddasi, 1994, გვ. 337), სავარაუდოდ ტექნიკური ხარვეზია.

³⁹⁹ აქ ტექსტი წყდება.

⁴⁰⁰ აქ ტექსტი წყდება.

⁴⁰¹ საბიდრუდი/სეფედრუდი.

აღ-მაჰანჯიდან ხუნჯამდე ერთი მარჰალა; შემდეგ ქურსარამდე ერთი მარჰალა; შემდეგ მარალამდე ერთი მარჰალა; და მარალადან ხარაკანამდე თუ ურმიამდე ორი მარჰალაა. შემდეგ სალამსამდე მის მსგავსად; შემდეგ ხუვაიმდე ერთი მარჰალა; შემდეგ ბარქარამდე ხუთი მარჰალა; შემდეგ არჯინამდე ორი მარჰალა; შემდეგ ახლატამდე ან ბადლსამდე სამ-სამი მარჰალა; ბადლსიდან ამიდამდე ან მაჰინფარიკინამდე ოთხ-ოთხი მარჰალაა.

მარალადან ად-დაჰურამდე 60 ფარსახია. არდაბლიდან თაბრზამდე.....⁴⁰² შემდეგ ბარკუვი⁴⁰³ შემდეგ მალაზქირდამდე სამი დღე, შემდეგ არზანამდე 6, შემდეგ ამიდიმდე ოთხი.

თავი 3. რეგიონის რუკებისა და მარშრუტების შესახებ

§ 1. აღ-ისტახრის, იბნ ჰაუკალის და აღ-მუკადდასი აღ-ბაშარის რუკები

სახალიფოს ზრდამ მოითხოვა მოწესრიგებული საგადასახადო სისტემისა და გამართული გზების არსებობა. ადგილობრივ რაიონებში არსებობდა „გადასახადთა წიგნი“, რომელშიც ხდებოდა გადასახადების აღწერა ადგილისა და რეგიონის მიხედვით. შემდეგ კი იგზავნებოდა დედაქალაქში, ბაღდადში. ასევე, სახალიფოს სიდიდისა და დაპყრობითი ომების გამო აუცილებელი გახდა გზების მოწესრიგება და საფოსტო (ბარიდ) სისტემის შექმნა, რათა ბრძანება დროულად მისულიყო ადრესატამდე. ბერძნული ტრადიციების შესაბამისად კი არაბმა ავტორებმა დაიწყეს რუკების შექმნაც. ტრადიციულ მსოფლიო რუკას, რომელიც სახალიფოში გავრცელდა და განვითარდა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ საფუძვლად პტოლემეაიოსის რუკა დაედო.

რაც შეეხება მეათე საუკუნეს, ის ერთმნიშვნელოვნად არის არაბული გეოგრაფიული ლიტერატურისთვის შემდგომი საფეხური, როდესაც იქმნება არა

⁴⁰² აქ ტექსტი წყდება.

⁴⁰³ აქ ტექსტი წყდება.

მხოლოდ შინაარსობრივად, არამედ სტრუქტურულადაც განსხვავებული ნაწარმოებები. მეცხრე-მეათე საუკუნის ავტორების ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი მეათე საუკუნის ავტორებთან მიმართებაში, შეიძლება ითქვას, არის მარშრუტების მწყობრი, თანამიმდევრული და სისტემური მითითება. ასევე, მნიშვნელოვანია რუკების შექმნა. არის არა მხოლოდ მსოფლიოს რუკა, არამედ რუკები ცალ-ცალკე რეგიონების მიხედვით, ე.წ. ზონალური რუკები. ალ-ისტახრის, იბნ ჰაუკალს და ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის მიაკუთვნებენ კლასიკურ არაბულ გეოგრაფიულ სკოლას, რომლის ფუძემდებლადაც ალ-ბალხი ითვლება.⁴⁰⁴ ვ. მინორსკი მეცხრე-მეათე საუკუნეების მუსლიმი გეოგრაფების შესახებ წერდა, რომ ისინი არ არიან სათანადოდ ცნობილნი და დაფასებულნი, ორიენტალისტთა ვიწრო წრის გარეთ და მთავარ მიზეზად ევროპულ ენებზე ამ ნაშრომთა ხელმისაწვდომობა მიაჩნდა.⁴⁰⁵ დღესაც ამ ნაშრომების სრული თარგმანები მხოლოდ რამდენიმე ევროპულ ენაზე არსებობს და მხოლოდ ზოგიერთი მათგანის, ცხადია თუ არ ჩავთვლით სხვადასხვა ფრაგმენტულ თარგმანებს. ეს მეტ-ნაკლებად ხელმისაწვდომს ხდის მათ, მაგრამ სირთულე, ამ შემთხვევაში, მათი კომპლექსურობაა, რომელიც ამავდროულად, ნიშნავს შესაძლებლობას. რამდენადაც ამ ტიპის ნაშრომებში არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა შინაარსის ცნობებია. კლასიკური არაბული გეოგრაფიული სკოლის წარმომადგენლების თხზულებებისა და რუკების შედარების საფუძველზე დ. რ. ხაირუტდინოვმა დაასკვნა, რომ არაბული გეოგრაფიის მეცნიერების ტერმინოლოგიური აპარატი ფორმირებულ იქნა თავად არაბების მიერ, არაბული ენის საერთო ლექსიკაზე დაყრდნობით.⁴⁰⁶ შესაბამისად, ტერმინოლოგია, რომელსაც არაბი-მუსლიმი გეოგრაფები თავიანთ თხზულებებში იყენებენ, არის ორიგინალური და უფრო მეტიც, ამ ტერმინებიდან ბევრი მოგვიანებით ლათინიზებული ფორმით გავრცელდა ევროპაში.

⁴⁰⁴ ალ-მუკადდასისთან და ალ-ისტახრისთან ერთად. Крачковский, И.Ю., 1957.გვ. 194-197.

⁴⁰⁵ Minorsky V., A Persian Geographer of A. D. 982 on the Orography of Central Asia, The Geographical Journal, Vol. 90, No. 3 (Sep., 1937), Wiley on behalf of The Royal Geographical Society (with the Institute of British Geographers), pp. 259-264.

⁴⁰⁶ Хайрутдинов Д.Р., Арабская географическая терминология, Ученые записки Казанского государственного университета, Том 149, кн. 4, Гуманитарные науки, 2007, гв. 78 .

ზოგადად რუკებზე თუ ვისაუბრებთ, შუა საუკუნეებში არაბებს შორის ოთხი ტიპის რუკა იყო ცნობილი. ამათგან მეოთხე ტიპი მხოლოდ მეთერთმეტე საუკუნის შემდეგ ჩნდება ე.წ. ცელესტიალური სფეროს სახით, რომელიც წარმოადგენდა დედამიწისა და ვარსკვლავური ცის გამოსახულებას და პირველად ვხვდებით ალ-იდრისთან. დანარჩენი სამი სახეობა კი იყო: I. რუკები, რომლებიც ავტორების წარმოსახვის ნაყოფი იყო და წარმოადგენდა პირობით რუკას, მაგ. ჩიტის ფორმის, ან ყვავილედის ფორმის. II. ბერძნებისგან გადმოღებული ასტრონომიული რუკები. III. აღწერილობითი გეოგრაფიის რუკები, რომლებიც ასახავენ დედამიწის ზედაპირს.⁴⁰⁷ ფაქტობრივად, ფიზიკურ-გეოგრაფიული რუკების წინამორბედი, რომლებსაც განეკუთვნება ალ-ისტახრის, იბნ ჰაუკალისა და ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის რუკებიც.

რაც შეეხება რუკებს ალ-ისტახრიმდე, როგორც ნ. დანილენკო მიუთითებს: *ბევრი ისტორიული და გეოგრაფიული ტექსტი გვიყვება მსოფლიოს ან რეგიონალური რუკების შესახებ, რომლებიც მიმოქცევაში იყო ისლამიზებულ სამყაროში ალ-ისტახრიმდე: რუკები, რომლებიც აჩვენებენ საოცრებებს, სტრატეგიული რუკები თუ მაგიური. რუკებისთვის ტექნიკური ტერმინების გამოყენების გარეშე წყაროები ასახელებენ „სურათებს“ (سُورَة), ნახატებს (رسم), ილუსტრაციებს (نقش), გამოსახულებას (تأثيل).*⁴⁰⁸ ასეთი იყო მაგალითად მსოფლიოს რუკები, რომლებიც წარმოდგენილი იყო ფრინველის ფორმით, როგორც ეს აქვს აღწერილი იბნ ალ-ფაკიჰს: *‘აბდ ალლაჰ იბნ ‘ამრ იბნ ალ-‘აჰ იბნ ვა’ილ ას-საჰმნ თქვა: მსოფლიოს სურათი მოიცავს ხუთ ნაწილს, მსგავსად ფრინველისა თავისა, ორი ფრთისა, მკერდისა და კუდისა. მსოფლიოს თავი არის აჰ-ჰინი (ჩინეთი), მის მიღმა არის ხალხი, რომელსაც ეძახიან ვაკ ვაკს, ხოლო მის მიღმა მხოლოდ ღმერთმა უწყის. მარჯვენა ფრთა არის ალ-ჰინდი, რომლის მიღმაც არის ზღვა და არ არის იქ რაიმე ცოცხალი ქმნილება. მარცხენა ფრთა არის ალ-ხაზარი, რომლის მიღმაც ორი ხალხია მანშაჟი და მანშაჟი. მანშაჟისა და მანშაჟის მიღმა არის აჰ-ჯუჯი და მანჯუჯი [გოგი და მაგოგი], ხალხი რომელზეც არავინ არაფერი იცის გარდა ღმერთისა. მკერდი*

⁴⁰⁷ Хайрутдинов Д.Р., Обозначения на средние вековых Арабских географических картах и их перевод на Русский язык, Восток (ORIENS) № 5, Интеграция: образование и наука, Москва, 2010 გვ. 127.

⁴⁰⁸ Danilenko N., Picturing the Islamicate World, Brill, Laden, 2020, გვ. 38.

*ქვეყნიერებისა არის მაქქა, ალ-ჰიჯაზი, აშ-შამი, ალ-ირაკი და მისრი. ხოლო კუდი არის ალ-მადრიბი...*⁴⁰⁹

ცხადია არაბები ქმნიდნენ რუკებს და ისიც სხვადასხვა შინაარსის, თუმცა ალ-ბალხი და მისი სკოლის წარმომადგენლები პირველები უნდ ყოფილიყვნენ, ვინც რუკები ტექსტთან ერთად წარმოადგინა. განსაკუთრებით საინტერესოა ის ფაქტი, რომ ხელნაწერებში რეგიონალური/ზონალური რუკები თან ერთვის კონკრეტულად იმ თავს, რომელსაც რუკა ეხება. ძირითადად რუკა მოთავსებულია ტექსტის დასაწყისში, სათაურის შემდგომ. ასევე, შესაძლოა, რუკით იწყებოდეს კონკრეტული რეგიონის აღწერა-დახასიათება. აღსანიშნავია ისიც, რომ არაბული კლასიკური გეოგრაფიული სკოლის წარმომადგენლები იცნობდნენ და ეცნობოდნენ მათ ეპოქაში არსებულ რუკებსაც. მაგ. ალ-მუკადდასი ალ-ბაშარი ერთგან აღნიშნავს: *ვნახე მე ის (საუბარია ზღვაზე) გამოსახული ქალაქადზე, ხურასანის ამირას ბიბლიოთეკაში, ასევე ტილოზე 'აბუ ალ-კასიმ იბნ ალ-ანმტისთან ნისაბურში, ასევე 'აჟუდ ად-დავლას ბიბლიოთეკაში. ყველა მათგანი ერთმანეთისგან განსხვავდებოდა და ზოგს ჰქონდა ყურეები და განშტოებები, რომლებიც მე არ ვიცოდი.*⁴¹⁰ ამ ნაწყვეტიდან ჩანს, რომ ალ-მუკადდასი ერთი და იმავე ტერიტორიის, გეოგრაფიული ობიექტის გარშემო, გაეცნო სამ განსხვავებულ რუკას, რომლებიც ამ გეოგრაფიულ ობიექტს აღწერდა. ასევე, საინტერესო დეტალია აღნიშვნა იმ მასალის, რისგანაც რუკები იყო დამზადებული: ქალაქი და ტილო. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, პირველის მასალად გამოყენებას მისი სიახლე წარმოადგენდა. ხოლო ტილოს, რუკის მასალად გამოყენებას, ალბათ მისი პრაქტიკულობა (ქალაქისგან განსხვავებით შესაძლებელია მისი დაკეცვა) განაპირობებდა.

ალ-ისტახრის, იბნ ჰაუკალისა და ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის რუკები ფერადი სახით გამოაქვეყნა რ. გალიჩიანმა სხვადასხვა წიგნსა თუ სტატიაში. პირველი იყო 2007 წელს წიგნში: *Countries south of the Caucasus in medieval maps Armenia, Georgia and Azerbaijan*. წიგნში მოცემულია რუკები და აღწერილია მათი საზღვრები, ასევე დასახელებულია ძირითადი ქალაქები და, ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის რუკის შემთხვევაში, მოტანილია ზოგიერთი ციტატა ბ. კოლინსის თარგმანის მიხედვით. მეორედ რ. გალიჩიანმა რუკები გამოაქვეყნა სტატიაში სათაურით: *The Islamic Road*

⁴⁰⁹ Ibn al-Fakih al-Hamadani, Kitab al-Boldan, E.J. Brill, Laden, 1885, გვ.3-4.

⁴¹⁰ Al-Mokaddasi, 1877. გვ.10.

Maps, რომელიც დაიბეჭდა Echo of Islam, Tehran, No. 219, August 2009, გვ. 22-27. მესამედ გამოქვეყნდა წიგნში: Clash of Histories in the South Caucasus, Redrawing the map of Azerbaijan, Armenia, and Iran, 2012 წელს.

ალ-ისტახრის შემთხვევაში განვიხილავთ მის რუკებს ორი სხვადასხვა ხელნაწერის მიხედვით.⁴¹¹ პირველი მათგანია Orient. A. 1521, რომელიც თარიღდება 1172 წლით და ინახება გერმანიაში, ქ. გოთას კვლევით ბიბლიოთეკაში და იუნესკოს მიერ აღიარებულია მსოფლიო დოკუმენტურ მემკვიდრეობად.⁴¹² ტექსტის ენა არაბული. ტექსტი ნაკლულია, ხოლო თავფურცელი ოსმალთა პერიოდისაა. შეიცავს ოც რუკას და აკლია მხოლოდ არაბეთის ნ/კ-ის რუკა. ორმოცდამეათე გვერდზე მოცემულია რუკა სახელწოდებით: 'არმენია, 'არრანი,'აზარბაჯანი, რომელიც რუკის მარცხენა მხარეს შვეულადაა მიწერილი. რუკაზე აღმნიშვნელ ნიშნებად გამოყენებულია რამდენიმე ფერი: მთებისთვის – მთები შემოსაზღვრულია ერთგვარი ორნამენტით, ისრისებური დაბოლოებით და შეფერილია ან ორ ფერში მწვანედ და ყავისფრად (კავკასიის და დელამის მთების შემთხვევაში) ან უბრალოდ ყავისფრად (მცირე არარატი, საბალანი); კასპიის ზღვაც რუკის ზედა მარჯვენა ნაწილში და სავარაუდო ორი ტბაც რუკის ქვედა ნაწილშიც ასევე შეფერადებულია მწვანედ. მდინარეთა აღსანიშნავად გამოყენებული უნდა ყოფილიყო ლურჯი პიგმენტი, რომელიც, როგორც ჩანს, დროთა განმავლობაში დაზიანდა, რაც შესამჩნევია კიდევ, რადგანაც მდინარეების ადგილას საღებავი ზოგან შეჯგუფებულია, ზოგან კი ამძვრალი. გზები აღნიშნულია წვრილი წითელი, სწორი ხაზებით; ქალაქების აღსანიშნავად გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდი: 1. ორმაგი წითელი წრით აღნიშნულია მნიშვნელოვანი ქალაქები, სულ ოთხი: თბილისი, ბარდავი, არდებილი და დვინი, ქალაქების სახელები წრეებშივეა ჩაწერილი. 2. ერთმაგი წითელი წრეები, რომლებიც ორ ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ დიდი სიმეტრიული წრეები და პატარა ასიმეტრიული აღნიშვნები. სიმეტრიული წრეებით აღნიშნულია ოთხი ქალაქი: ერზერუმი, მერაღა, თავრიზი, ხოი და ხლათი. ასიმეტრიული, მცირე წრეებით კი აღნიშნულია ისეთი პუნქტები, როგორებიცაა მაგალითად გაბალა, ნაშავა (ნახჭევანი)

⁴¹¹ ალ-ისტახრის ხელნაწერები არც თუ ცოტაა. მათ შორის უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ზოგიერთი მათგან სპარსულ და ოსმალურ ენოვანია. ამავდროულად, ბევრი მათგანი შეიცავს რუკებს სხვადასხვა ოდენობით. იხ. Danilenko N., Picturing the Islamicate World, Brill, Laden, 2020, გვ. 214-252.

⁴¹² იხ. გოთას ბიბლიოთეკა: https://dnh.thulb.uni-jena.de/receive/ufb_cbu_00011296 (ბოლო ნახვა: 31/01/2022)

ან შაქი. ზოგიერთი მათგანი შეფერადებულია მუქი წითელი, მეწამული საღებავით 3. ხუთკუთხედები, რომელთაგან ზოგი შეფერადებულია ასევე წითელი საღებავით, ზოგიერთი კი ღია ყავისფერით. სახელები ჩაწერილია შავად. ასეთი მრავალფეროვნება და ასიმეტრიულობა შესაძლოა იმაზე მიანიშნებდეს, რომ ზოგიერთი პუნქტი გვიან დაემატა. ურმიის ტბის ადგილი ჩანს მეტად დაზიანებული იყო და მოგვიანებით, სხვა პირის მიერ უნდა იყოს შემოხაზული ტბის აღმნიშვნელი წრე, თუმცა რუკაზე განირჩევა ძველი აღნიშვნის კვალი, მის ქვემოთ კი წარწერა 'ურმიჲ, რომელიც სავარაუდოდ ტბას მიემართება. ქალაქი 'ურმიჲ კი არ არის მოცემული. მართალია, ვანის ტბის კონტურები შემონახულია, მაგრამ არ იკითხება სახელი, რომელიც სქელი წითელი პიგმენტით უნდა ყოფილიყო შესრულებული და, სავარაუდოდ, უნდა ყოფილიყო 'არჯში.⁴¹³ მდინარეებიდან აღნიშნულია მტკვარი, არაქსი და საბიზრუზი (სეფედრუდი). ამასთან, ბაილაკანისა და ბარდიჯის გასწვრივ მტკვარი და არაქსი ერთვიან ერთმანეთს და ზღვაში ჩადიან ერთ მდინარედ. ქალაქი შირვანი აღნიშნულია ლაიჯანის ქვემოთ, შაბრანიდან ჩრდილო-დასავლეთით, მაშინ როდესაც უმეტეს რუკებზე, შარვანი გვხვდება შაბრანსა და შემახას შორის. რუკის უკიდურეს მარცხენა მხარეს, ზემო ნახევარში, მდ. არაქსსა და მტკვრის საწყისებს შორის გარკვევით წერია არ-რანი, რაც ასევე რუკის შემდგენელის/გადამწერის ინტერპრეტაცია უნდა იყოს, რამდენადაც, როგორც წესია ამ ადგილას უნდა ეწეროს ალ-ლანი. მის ქვემოთ, მეორე ნახევარში არიას არ-რუმის ქვეყანა. რუკის უკიდურეს ქვედა ნაწილში, რუკის ჩარჩოს გარეთ აწერია ჯანშუბ (სამხრეთი). წარწერის მარჯვნივ წერია შაჰრაზურის მხარე, მარცხნივ კი ზემო მესოპოტამიის (ალ-ჯაზირა) საზღვარი. ქალაქი დვინი რუკაზე აღნიშნულია მდ. არაქსისგან მოშორებით, ქვემოთ, სამხრეთით, მაშინ როდესაც დვინი, წესით, არაქსიდან ჩრდილოეთით ან აღმოსავლეთით უნდა იყოს.⁴¹⁴ ასევე არასწორადაა განლაგებული დიდი და მცირე არარატის მთები, რომლებიც დვინიდან სამხრეთ აღმოსავლეთითაა, დასავლეთის ნაცვლად. დამატებით, ლაიჯანს, შემახასა და გაბალას შორის აღნიშნულია ისეთი ადგილები, რომლებიც სამხრეთ კავკასიაში საერთოდ არ უნდა ყოფილიყო. კერძოდ, შაბრანსა და ლაიჯანს შორის არის ტაბარსარანი, რომელიც ჩრდილო-აღმოსავლეთ

⁴¹³ ამის შესახებ შეგვიძლია ვიმსჯელოთ, სახელის ბოლოს სავარაუდოდ ასო სინი-ს დაბოლოების მსგავსი ნიშნის გამო.

⁴¹⁴ მდ. არაქსი ჯერ სამხრეთ აღმოსავლეთით შემდეგ კი აღმოსავლეთით მიედინება.

კავკასიაში, თანამედროვე დაღესტნის ტერიტორიაზე მდებარეობდა. იგივე შეიძლება ითქვას ფილანზე, რომელიც რუკაზე ორჯერაა აღნიშნული გაბალასგან მარჯვნივ. კასპის ზღვასა და კავკასიის მთების შეხვედრის ადგილას წერია ბაზ ალ-’აბვაბი, ხოლო მის ზემოთ, მთებში, მონიშნულია ალ-ლანის ქვეყანა. მის გასწვრივ, მარცხნივ, მთებს აწერია ალ-კაბკის მთები და ას-სარირი.

მეორე ხელნაწერია (MS.) OR. 3101 და იგი თარიღდება 1193 წლით (ჰიჯრის 589 წ.), რომელიც ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა 2014 წლიდან, ლაიდენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონული კოლექციის საშუალებით.⁴¹⁵ არსებითად, ხელნაწერ OR. 3101-ში მოცემული რუკა იმეორებს ხელნაწერ Orient. A. 1521-ის ფორმასა და შინაარსს. სხვაობა მხოლოდ გარეგნულ მხარეშია. კერძოდ, ქალაქების აღსანიშნად გამოყენებულია მწვანე წრეები და ნახევარწრეები, რომელთაც შემოვლებული აქვთ დაციცხვული ან ორმაგი წრე/რკალი. კავკასიის მთები არაა აღნიშნული, მაგრამ საბალანის, ორივე არარატისა და დეილამის მთები ბევრად უფრო პომპეზურადაა წარმოდგენილი მუქი იისფერი საღებავის გრადაციებით. ზღვებისთვის, მდინარეებისთვის და ტბებისთვის გამოყენებულია ერთი, ლურჯი საღებავი. ტბებიდან კი მხოლოდ ურმიის ტბაა აღნიშნული. ამასთან, ის რუკაზე აღნიშნულ ქ. ურმიადან ბევრად შორს, სამხრეთ-დასავლეთითაა, ხლათის, ბითლისისა და არჭემის მომიჯნავედ. შესაბამისად, შესაძლოა მისმა გადამწერმა/შემდგენელმა შეცდომა დაუშვა და მიაწერა ურმიის ტბა. რაც, შეეხება სახელის არმინიად წაკითხვას, ამ შემთხვევაში, ამის არანაირი ლოგიკური საფუძველი არ არსებობს, რადგან ამ სახელით არც ვანისა და არც ურმიის ტბები არცერთ ჩვენთვის ცნობილ ავტორთან არ გვხვდება. ამასთან ხელნაწერი Orient. A. 1521-ზე ბევრად უფრო მეტი ადგილია მონიშნული და დასახელებული. ერთ შესამჩნევი სხვაობაა ისიც, რომ ხელნაწერ Orient. A. 1521 მრავლადაა აღნიშნული ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიის მიმდებარე ადგილები, რაც OR. 3101-ის რუკაზე შედარებით მოკრძალებულია.

რაც შეეხება იბნ ჰაუკალის რუკას, რომელზეც გვსურს ვისაუბროთ არის ხელნაწერი Arabe 2214, რომელშიც წარმოდგენილი იბნ ჰაუკალის თხზულება

⁴¹⁵ იხ. ლაიდენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონული კოლექცია: <https://digitalcollections.universiteitleiden.nl/view/item/1577846#page/4/mode/1up> (ბოლო ნახვა: 31/01/2022).

ნაკლულია.⁴¹⁶ ამის მიუხედავად, მასში დარჩა ისეთ ინფორმაცია, რომელმაც მნიშვნელოვნად შეავსო ახალი გამოცემა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ ხელნაწერში დაცული რუკები, რომელიც ფასდაუდებელი წყაროა. მართალია, კრიტიკული ტექსტები ძვირფასი მასალაა აღმოსავლეთმცოდნეობისათვის და უპირობოდ უდიდესი შრომისა და ძალისხმევის შედეგია, მაგრამ უფრო უმჯობესი იქნებოდა ხელნაწერების ცალ-ცალკე გამოცემა და ამ ფორმით ყველა სახის ინფორმაცია იქნებოდა ხელმისაწვდომი დაინტერესებული პირებისთვის. ჩვენთვის საინტერესო ხელნაწერი ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდა 2010 წლიდან, Gallica-ს (გალიკას), საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკისა და მისი პარტნიორების, ციფრული ბიბლიოთეკის მეშვეობით,⁴¹⁷ ამავე ციფრულ ბიბლიოთეკაში მოცემულია ხელნაწერის მოკლე აღწერა.⁴¹⁸

ხელნაწერში Arabe 2214 თავი *არმინია, არ-რანი, აზერბაიჯანი* იწყება ოცდამეთორმეტე გვერდზე (მხოლოდ სათაურია წინა გვერდზე) რუკით და მთავრდება ოცდამეთოთხმეტე გვერდზე. რუკა, სამხრეთ-აღმოსავლეთი კავკასიის გარდა, მოიცავს ისტორიული აზერბაიჯანის ტერიტორიებს, ურმიის ტბის გარშემო და არდებილის ჩათვლით. რუკის ყველა კუთხეში მითითებულია მხარეები: ზედა მარცხენა კუთხეში – ჩრდილოეთი; ზედა მარჯვენა კუთხეში – აღმოსავლეთი; ქვედა მარცხენა კუთხეში – დასავლეთი; ქვედა მარჯვენა კუთხეში – აღმოსავლეთი. ღია ყავისფერითა და წვრილი, წითელი მონახაზებით აღნიშნულია მთები (ასეა მაგ. საბალანის შემთხვევაში). რუკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მთელი რეგიონი ყველა მხრიდან, გარდა აღმოსავლეთისა, შემოსაზღვრულია მთებით და ქმნის ერთგვარ არასრულ მართკუთხედს. ასევე მოცემულია დეილამის მთა, რომელიც რეგიონში სამხრეთიდან იჭრება. ცისფერი ფერის საღებავის ზოლებით მოცემულია ოთხი მდინარე: რუკის ცენტრალურ ნაწილში ზემოთ მოქცეულია მტკვარი, ქვემოთ კი არის _ არაქსი; რუკის ქვედა ნაწილში ასევე მოცემულია მდინარეები დიდი და მცირე ზაბი,

⁴¹⁶ შედარებისთვის, რომ ავიღოთ, მოცულობის თვალსაზრისითაც, იქნება ეს ჯ. კრამერსის თუ დე გუეს რედაქტორობით გამოსული, პროვინცია არმინია, არ-რანი, აზერბაიჯანი დაახლოებით ოც გვერდს მოიცავს, მაშინ როცა, ამ ხელნაწერში სამნახევარი გვერდია რუკის ჩათვლით.

⁴¹⁷ იხ. საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკისა და მისი პარტნიორების, ციფრული ბიბლიოთეკა: <https://gallica.bnf.fr> (ბოლო ნახვა: 31/01/2022).

⁴¹⁸ წყარო: <https://archivesetmanuscripts.bnf.fr> ხელნაწერთა დეპარტამენტი: Arabe 2214; ასევე იხილეთ: Ejibia O. Inscriptions on the map of Ibn Hawqal (Manuscript Arabe 2214), 2021, გვ. 146.

რომელთა შორისაც აღნიშნულია ერბილი. რუკის მარჯვენა მხარე ძირითადად უჭირავს ალ-ხაზართა ზღვას (კასპიის ზღვას), რომელიც ტექსტში ტაბარისტანის ზღვადაც იხსენიება. ტბებიდან წარწერით აღნიშნულია ხლათის (ე.ი. ვანის) და ქაბუზანის (ე.ი. ურმიის) ტბები. აქედან ხლათის ტბა წვრილი წითელი არაპროპორციული წრით არის მონიშნული. რაც შეეხება ურმიის ტბას, აქ ერთი საინტერესო დეტალია, თავრიზი და მარალა მისგან ჩრდილო-დასავლეთით არის აღნიშნული რუკაზე, ნაცვლად აღმოსავლეთისა. ასევე ქალაქი დვინი რუკაზე აღნიშნულია მდ. არაქსისგან მოშორებით, ქვემოთ, სამხრეთით, ისევე როგორც ალ-ისტახრის რუკაზე. ამასთან, წერია დვინი (دوين) და არა დაბილი (دبيل), როგორც მეათე საუკუნის არაბულ-ისლამურ ისტორიულ თუ გეოგრაფიულ ლიტერატურაში იყო აღნიშნული. ადგილთა დასახელებები თუ სახელწოდებები გამოყვანილია მსხვილი, შავი ხელწერით, ძირითადი დიაკრიტიკული ნიშნებით, მაგრამ გაუხმოვანებელი. რაც შეეხება რუკაზე არსებულ მინაწერებს, ისინი შედარებით გაკრული ხელით და წვრილადაა დაწერილი, განსხვავებულია ზომები, არ არის სისტემური, წარწერები გაკეთებულია როგორც ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად, ასევე დიაგონალურადაც. მოცულობის თვალსაზრისით ყველაზე ვრცელია რუკის ზედა ნაწილში არსებული მინაწერი, რომელიც ცხრა სტრიქონისგან შედგება და შესრულებულია თარაზულად. აღნიშნულთან მიმართებით, შეიძლება გამოვთქვათ მოსაზრება, რომ მინაწერები, რომლებიც რუკაზეა გაკეთებული, შესაძლოა არ იყოს ხელნაწერის თავდაპირველი გადამწერის თანადროული და მოგვიანებით იყოს მიწერილი. ამ შემთხვევაში საუბარი გვაქვს უშუალოდ მინაწერის გაკეთებაზე და არა მის შინაარსზე. ტექსტის მოცულობის თვალსაზრისით, რუკაზე დატანილია 10-მდე შედარებით დიდი ზომის ტექსტი, ასევე ათიოდე მცირე, რამდენიმე სიტყვიანი⁴¹⁹ მინაწერი. რუკაზე მინაწერები გაკრული ხელით არის შესრულებული, ზოგიერთი ადგილი კი დაზიანებული ან წაშლილია. ერთ-ერთი პირველი, ვინც ეს ფერადი რუკა⁴²⁰ გამოაქვეყნა, იყო რ. გალიჩიანი წიგნში *სომხეთის ისტორიული რუკები*, სადაც ავტორმა აღნიშნა, რომ ესაა ერთადერთი ჩრდილოეთისკენ ორიენტირებული რუკა⁴²¹ და მოცემული აქვს მცირე აღწერილობა.⁴²² ორიენტირის შესახებ შეფასება არც

⁴¹⁹ მაგ. არდებილთან გვაქვს ასეთი მინაწერი: أكبر مدينة اندريجان ანუ აზერბაიჯანის უდიდესი ქალაქი.

⁴²⁰ მაგ-თეთრი რუკა არის ალექსანდრიის გამოცემაშიც.

⁴²¹ როგორც წესი არაბ-მუსლიმ გეოგრაფებში გვაქვს სამხრეთისკენ ორიენტირებული რუკები.

მთლად ზუსტია, რადგანაც ხელნაწერში მომდევნო ალ-ჯაბალის რუკაც ჩრდილოეთისკენაა ორიენტირებული. რუკაზე აღნიშნული ერაყი და ხუზისტანი, ალ-ჯაბალის სამხრეთ-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთითაა, ასევე წარწერა *ალ-ჯანუბ* (სამხრეთი) რუკის მარჯვენა ქვედა კუთხეშია⁴²³ ისევე, როგორც ჩვენს მიერ განხილულ რუკაზე. ამავდროულად, შემდგომი რუკა, რომელიც ეხება ტაბარისტანს, სამხრეთისკენაა ორიენტირებული და მასზე კასპიის ზღვა რუკის ქვედა ნაწილშია.⁴²⁴

ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის და ალ-ისტახრის რუკებისაგან განსხვავებით, არ არის მოცემული ქალაქების, პუნქტების დამაკავშირებელი გზები, რომლებიც მაგ. ალ-მუკადდასისთან ხაზების სახითაა მოცემული.

უშუალოდ ქალაქებზე თუ ვისაუბრებთ, მაგალითად შამქორი ბარდავის და განძის სამხრეთითაა და არაა მოქცეული მათ შორის, როგორც ეს თხზულებაშია. არ-რანის სხვა ქალაქთაგან აღნიშნულია თბილისი, შაქი, აშ-შამახია, შარვანი, რომელსაც იქვე აქვს მიწერილი, რომ პატარა ქალაქია, აშ-შაბრანი, რომლის ზემოთაც წერია ალ-აბხარი ანუ იგივე ლაიჯანი, ხოლო ბოლო ქალაქი არის ალ-ბაბი.

მდინარეები არაქსი და მტკვარი შეერთებულები არიან ცისფერი ზოლით, რომელიც გავლებულია ვარსანსა და აშ-შამახიას შორის და მდინარეთა სავარაუდო შერთვის ადგილს უნდა გულისხმობდეს. თუმცა, პრობლემა ისაა, რომ ეს შეერთება უფრო არხს ჰგავს და არის რუკის ავტორის წარმოსახვის ნაწილი, რომელსაც დიდი ალბათობით არ ჰქონდა ნანახი თუ როგორ ერთდებიან მდინარეები. არაქსსა და მტკვარს შორის სივრცეზე წერია 'არან'. ად-დაილამის მთასა და მდ. არაქსს შორის არის წარწერა 'აზარბაჯანი. რუკაზე არაა ნახსენები პროვინცია 'არმინიია, თუ არ ჩავთვლით ქალაქ 'ურმიას 'არმინიიად წაკითხვის შესაძლო ინტერპრეტაციას, როგორც ეს რ. გალიჩიანმა შემოგვთავაზა. ამასთან, რ. გალიჩიანი რუკის მიხედვით ჩამოთვლილ სომხურ ქალაქებს შორის ასახელებს ერზერუმს,⁴²⁵ რომელიც რუკაზე არსად იძებნება.

შეიძლება დავასკვნათ, რომ იბნ ჰაუკალის რუკა საინტერესო წყაროა, მაგრამ მას ბევრი ნაკლოვანება და უზუსტობა აქვს. ამასთან, შესაძლოა, ეს რუკა სულაც არ იყოს ავთენტური ან განეცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები შემდგომ გადამწერთა ხელში.

⁴²² Galichian R., *Historic maps of Armenia*, Bennett & Bloom, London 2014, გვ.44.

⁴²³ Arabe 2214, Folio 34r (<https://gallica.bnf.fr>).

⁴²⁴ Arabe 2214, Folio 36r (<https://gallica.bnf.fr>).

⁴²⁵ Galichian R., *Historic maps of Armenia*, Bennett & Bloom, London 2014, გვ.44.

მიუხედავად ამისა, ის იძლევა საშუალებას, ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად რეგიონის, მისი საზღვრების, ძირითადი ქალაქებისა თუ სხვა გეოგრაფიული პუნქტების შესახებ.

ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის რუკა, რომელსაც ჩვენ მიმოვიხილავთ არის ხელნაწერი Ar. 6034, Berlin Staatsbibliothek, Germany. MS. OR. Sprenger 5, რომელიც მეთხუთმეტე საუკუნის ხელნაწერია და მოიცავს 20-მდე რუკას. მანუსკრიპტის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომი გახდა 2017 წლის იანვრიდან Berlin Staatsbibliothek-ის (სახელმწიფო ბიბლიოთეკა) ვებ-გვერდის მეშვეობით.⁴²⁶ ერთ-ერთი პირველი, ვინც ეს რუკები გამოაქვეყნა, იყო ბასილი ანტონი კოლინსი, რომელმაც დაურთო შავ-თეთრი რუკებიც ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის თხზულების 1994 წლის ინგლისურენოვან თარგმანს.

ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის რუკას აწერია *არმენიია, არ-რანი, აზარბაჯანი*, მიუხედავად იმისა, რომ ტექსტში რეგიონს ჰქვია არ-რიჰაბი. ამ წარწერის ქვეშ წერია არ-რანის მხარე, ალ-კაბკი და ას-სარირი. რუკა, ზემოთ ნახსენები რუკების მსგავსად, არის ჩრდილოეთზე ორიენტირებული და ჰპოვებს ბევრ მსგავსებას ალ-ისტახრის რუკასთან.⁴²⁷ რუკაზე დატანილია გეოგრაფიული ობიექტების ხუთიოდე ძირითადი აღმნიშვნელი ნიშანი: ოთხკუთხედებით აღნიშნულია ქალაქები და დასახლებები; არაზუსტი ოვალები მთებისთვის (აღნიშნულია დიდი და მცირე არარატის მთები); ერთ შემთხვევაში გამოყენებულია წრე – ტბის მოსანიშნად; სწორი ხაზებით გზებია მოცემული, ხოლო წყვილი პარალელური ხაზებით მდინარეები. ამ რუკაზე მხოლოდ ორი ფერის საღებავია გამოყენებული წითელი და შავი. წითელით აღნიშნულია გეოგრაფიული ობიექტები ხოლო, სახელები/სახელწოდებები ჩაწერილია შავი ფერით. მიუხედავად იმისა, რომ ალ-მუკადდასი ალ-ბაშარი სხვადასხვა ფერის საღებავს იყენებდა. კერძოდ, წითელს – გზებისთვის, ყვითელს – ქვიშისთვის, მწვანეს – ზღვებისთვის, ლურჯს – მდინარეებისთვის და ყავისფერს – მთებისთვის.⁴²⁸ წარწერებს ხშირ შემთხვევაში აქვთ დიაკრიტიკული ნიშნები, თუმცა არ არის გახმოვანებული. რუკაზე მითითებულია ჰორიზონტის მხარეები: ზედა მარჯვენა

⁴²⁶ იხ. ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკა: digital.staatsbibliothek-berlin.de (ბოლო ნახვა: 31/01/2022)

⁴²⁷ Galichian R., *Countries south of the Caucasus in medieval maps Armenia, Georgia and Azerbaijan*, Printinfo Art Books, Yerevan and Gomidas Institute, 2007, გვ. 105.

⁴²⁸ Karamustafa A.T., *Introduction to Islamic Maps, The History of Cartography*, Vol.2, book 1., Ed. J. B. Harley and David Woodward, Chicago University Press, Chikago 1992, გვ. 7.

კუთხეში აღნიშნულია აღმოსავლეთი; ქვედა მარჯვენა კუთხეში – სამხრეთი; ზედა მარცხენა კუთხეში – ჩრდილოეთი; ქვედა მარცხენა კუთხეში – დასავლეთი. მიუხედავად იმისა, რომ ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის ტექსტში საუბარია კასპიის ზღვასა და ვანის ტბაზე, რუკაზე მხოლოდ ურმის ტბაა მოცემული. რუკის უკიდურეს მარცხენა ნაწილი, შეიძლება ითქვას, ორადაა გაყოფილი მდინარე არაქსის მიერ. ზედა ნაწილს აწერია ალ-ლანი, ქვედას კი – ბილად არ-რუმ (ბიზანტია). იბნ ჰაუკალის რუკის მსგავსად, ქალაქი დვინი ალ-მუკადდასის რუკაზეც არასწორადაა მონიშნული და მდინარე არაქსის სამხრეთითაა მოცემული. თუმცა, იბნ ჰაუკალის რუკისგან განსხვავებით, მდინარეები მტკვარი და არაქსი რუკის მარჯვენა უკიდურეს ნაწილში ერთიანდებიან და შემდგომში ერთიან სავარაუდო კასპიის ზღვას. წარწერა არ-რანი მოცემულია მდ. არაქსა და ბარდავს შორის, მდ. არაქსის ჩრდილოეთით. ასევე დვინისგან აღმოსავლეთით შვეულად აწერია არმინია, რაც იბნ ჰაუკალის რუკაზე არაა აღნიშნული, თუმცა ამ შემთხვევაში არსად იძებნება აზერბაიჯანის სახელი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ალ-მუკადდასის რუკაზე მოცემულია გზებიც, რომლითაც დაკავშირებულია სხვადასხვა ქალაქები. ეს გზები წარმოადგენენ სწორ ხაზებს, რომელზეც ან რომლის გასწვრივაც ჩამოწერილია ქალაქები. ძირითადად მიჰყვება ტექსტში არსებულ მონაცემებს. ამ მოცემულობებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ალ-მუკადდასის ეს რუკა არის სქემატური რუკა, ღარიბი ფერებითა და აღმნიშვნელი პირობით ნიშნებით. ამასთან, გზების გასწვრივ ზოგიერთ ადგილას არის დასახლების, ქალაქის აღმნიშვნელი ოთხკუთხედი, მაგრამ არ აწერია სახელი. ასეთი სულ ოთხია. ერთი ესაა ბარდავსა და შემახას შორის. ეს ადგილი უნდა იყოს ქალაქი ბარზანჯი, რომელსაც აღნიშნავს ალ-ისტახრიც და იბნ ჰაუკალიც თავიანთ თხზულებებში ბარდავიდან დარუბანდისკენ მიმავალი გზის აღწერისას: *გზა ბარზანჯიდან ბაზ ალ-’აბვაბამდე. ბარზანჯიდან ბარზანჯამდე 18 ფარსახია, ბარზანჯიდან, ალ-ქურრზე გადასვლით, ამ-შამახიამდე 14 ფარსახია...*⁴²⁹ რაც შეეხება დვინსა და მარანდს შორის მდებარე უსახელო პუნქტს, შესაძლოა ეს იყოს ნაშავა, რომელსაც სამივე ავტორი აღნიშნავს მარაღადან დვინამდე მისასვლე გზაზე არსებულ პუნქტებს შორის. ამასთან, ალ-მუკადდასი ერთგან აღნიშნავს: *მარანდადან*

⁴²⁹ Al-Istakhri abu Ishak al-Farisi, 1927, გვ. 192; Ibn Hawkal abu'l-Kasim, 1873, გვ. 251.

ან-ნაშავამდე ორი მარჰალაა, რთულად [სავალი]; შემდეგ დაბნელამდე მის მსგავსად.⁴³⁰ შესაბამისად ჩვენთვის აშკარაა, რომ ამ უსახელო პუნქტის ადგილას ნაშავა უნდა ყოფილიყო.

კიდევ ერთი უსახელო პუნქტი, რომელიც ას-სარათს, მაიმანდს, ალ-მაიანიჯსა და ზანჯანს შორის უნდა ყოფილიყო, არის ნუვი. მართალია ალ-მუკადდასის თხზულებაში ამაზე არაა საუბარი, მაგრამ ალ-ისტახრისთან ვკითხულობთ: გზა 'არდაბნლიდან ზანჯანამდე. 'არდაბნლიდან კანტარა საბნურუხამდე ორი მარჰალაა, ალ-კანტარადან ას-სარათამდე ერთი დღის სავალი, ას-სარათადან ნუვიმდე ერთი დღის სავალი, ნუვიდან ზანჯანამდეც ერთი დღე.⁴³¹ ფაქტობრივად, მსგავსი ინფორმაციაა დადასტურებული იბნ ჰაუკალის ცნობებში: გზა 'არდაბნლიდან ზინჯანამდე: 'არდაბნლიდან კანტარა საბნურუხამდე ერთი მარჰალაა; საბნურუხიდან სარაჰ(თ)ამდე ერთი დღის სავალია; სარაჰიდან თუვიმდე (ნუვი) ერთი დღის სავალია, თუვიდან ზინჯანამდე ორი მარჰალაა.⁴³² ამ ორი ცნობიდან ცხადი ხდება, რომ ალ-მუკადდასის რუკაზე მოცემული ეს უსახელო პუნქტი ნუვი უნდა ყოფილიყო.

რაც შეეხება ბოლო უსახელო პუნქტს, რომელიც ალ-მაიანიჯსა და ხუნაჯს შორისაა მოცემული, მისი ზუსტი იდენტიფიცირება ვერ ხერხდება, რამდენადაც ყველა წყაროში, მაიანიჯის შემდეგ ხუნაჯია, შემდეგ ქულსარა და შემდეგ მარაღა. მაიანიჯსა და ხუნაჯს შორის კი არ არის დასახელებული რაიმე პუნქტი. ერთადერთი, რაც შეგვიძლია ვივარაუდოთ ისაა, რომ რუკის შემდგენელმა ქულსარას ადგილად მიაწერა ხუნაჯი და შესაბამისად კიდევ ერთი პუნქტი, რომლის ადგილასაც თავდაპირველად უნდა ყოფილიყო, ხუნაჯი – კი უსახელოდ დარჩა.

შეიძლება დავასკვნათ, რომ სამივე ავტორის რუკებზე გვხვდება მსგავსი საკითხები, როგორებიცაა რუკების ჩრდილოეთისაკენ ორიენტაცია, ქალაქებისა და მთების დასახელებები, ჰორიზონტის მხარეები და მოსაზღვრე რეგიონები თუ ქვეყნები. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში რუკებზე მოცემული ინფორმაცია, შეიძლება ითქვას, წინააღმდეგობაში მოდის ტექსტებში არსებულ ინფორმაციასთან. ასეა, მაგალითად, ალ-ისტახრის რუკის შემთხვევაში, რომელზეც ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული პუნქტები მოცემულია სამხრეთ კავკასიის გეოგრაფიულ პუნქტებთან

⁴³⁰ Al-Mokaddasi, 1877, გვ. 382.

⁴³¹ Al-Istakhri abu Ishak al-Farisi, 1927, გვ. 194.

⁴³² Ibn Hawkal abu'l-Kasim, 1873, გვ. 301.

ერთად, ერთ სივრცეში. ასევე, ზოგიერთ შემთხვევაში ქალაქები არასწორ გეოგრაფიულ არეალშია მითითებული და ასეთია, მაგალითად, ქ. დვინი, რომელიც სამივე ავტორის რუკებზე მდ. არაქსის სამხრეთითაა აღნიშნული, ისევე როგორც მცირე და დიდი არარატის მთები მოცემულია დვინისაგან აღმოსავლეთით. ამის მიუხედავად, ჩვენთვის საინტერესოა შუა საუკუნეების არაბი გეოგრაფების მიერ ამ დიდი რეგიონის საერთო კონტექსტში აღქმა და გააზრება. კერძოდ, რუკებიდან ჩანს, რომ რეგიონს, რომელიც სამ პროვინციას აერთიანებს, პოლიტიკურ-ეკონომიკური ერთობის გარდა, აქვს გეოგრაფიული ჩარჩოც, რომელიც შემოსაზღვრულია გეოგრაფიული ობიექტებითა თუ სხვა ქვეყნებთან საზღვრებით. თუ ამ კუთხით განვსაზღვრავთ, რუკების მიხედვით რეგიონის საზღვრები ასეთია: დასავლეთიდან ესაზღვრებოდა ბიზანტია; ჩრდილოეთიდან საზღვარი გადიოდა კავკასიონის ქედს გადაღმა; აღმოსავლეთიდან ძირითადი საზღვარი გადიოდა კასპიის ზღვასა და დეილამის მთებზე; სამხრეთ საზღვარი კი მთავრდებოდა შაჰრაზურისა და ზემო მესოპოტამიის მიდამოებთან. ცხადია, საზღვრების ეს დახასიათება სცდება თანამედროვე კავკასიის საზღვრებს და იჭრება ირანის, მესოპოტამიისა და ანატოლიის ტერიტორიაზე. ამავდროულად, ფაქტობრივად უგულებელყოფილი იყო დასავლეთ საქართველოს არსებობა. თუ არ ჩავთვლით იბნ რუსთასთან ნახსენებ ლაზიკას, სხვა არსებითი ცნობები დასავლეთ საქართველოზე, ჩვენს მიერ ნახსენებ ავტორებთან, არ გვხვდება. რუკების ანალიზი, გვამღევეს საფუძველს დავასკვნათ, რომ ხუთი ქალაქი – თბილისი, დარუბანდი, ბარდავი, დვინი და არდებილი წარმოადგენდნენ რეგიონის ცენტრებს და ამავდროულად, ბარდავი იყო ის ქალაქი, რომლისკენაც ფაქტობრივად მიდიოდა გზები ყველა ხსენებული ქალაქიდან.



ფიგურა 2 იბნ ჰაუკალის რუკა (MS) Arabe 2214

1. ბაბ ალ- 'აბეაბი (დარუბანდი)	13. ჯანზა (განძა)	25. სანჯანი	37. ალ- მანაჯი (ალ- მადანიჯი)
2. ალ- 'აბხანი	14. ბარზა'ა (ბარდავი)	26. კალბ კალბ (ერზერუმი)	38. ჯაბრავანი
3. შაქქი	15. ნაჰრ ალ- რასს (არაქსი)	27. ბადლბსი (ვითლისი)	39. თაბრბზი
4. ალ- შაბრანი	16. ვარსანი	28. ხილბტი	40. რუსბა
5. შარვანი	17. მჟკანი	29. არჯბშ (არჭემი)	41. ზანჯანი
6. შამახიდა	18. ბარვა	30. ბარქარი	42. ვაფაზური (ვაიადორი ?)
7. ბაქუ(3)	19. 'არდაბბლი	31. ხუვაფ	43. 'ურმიდა (ტბა)
8. ნაჰრ ალ- ქურრ (მტკვარი)	20. ალ- სარბთი (სარაბი)	32. სალამსი	44. ალ- ჰუვაფირისი
9. თიფლბსი	21. მაფმანდი	33. 'ურმიდა	45. ალ- ჰარისი
10. ალ-კალ'ა (გარდაბანი)	22. აჰრი	34. დახვანი (დახრაკანი)	46. ალ- დაფლამი
11. ხუნანი	23. მარანდი	35. ალ- მარბლა	
12. შამქური	24. დაბბლი (დვინი)	36. ხუნაჯი	

§ 2. მარშრუტების, ვაჭრობისა და ეკონომიკის შესახებ რეგიონში: 'არმინიჰია, არ-რანი, 'აზარბაჯანი

მეცხრე-მეათე საუკუნის არაბ გეოგრაფებს შორის ხშირად გვაქვს მოცემული მარშრუტები, რომლებიც დამოუკიდებელი ნაწილიც კი შეიძლება იყოს კონკრეტული თავის.⁴³³ როგორც წესი, ეს მარშრუტები მოცემულია კონკრეტული თავების ბოლოს. სახასიათო ნიშანია ის, რომ მარშრუტები ძირითადად ასახავენ რეგიონის ან/და პროვინციის უმნიშვნელოვანესი ქალაქებისკენ და ქალაქებს შორის მანძილებს. ამ განსაზღვრულ მარშრუტებს შორის კი დასახელებულია შედარებით მეორეხარისხოვანი გეოგრაფიული პუნქტები, რომლებზეც უნდა გაეგლო იმ პერიოდის მოგზაურს დანიშნულების ადგილამდე მისაღწევად.⁴³⁴ მაგალითად, თუ ავიღებთ ბარდავიდან თბილისამდე მარშრუტს, ყველა ავტორი ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს ისეთ პუნქტებს როგორებიცაა განძა, ხუნანი და გარდაბანი, ზოგჯერ დასახელებულია შამქორიც. იგივე ფორმით და თანმიმდევრობით არის ასახული ქალაქები მეათე საუკუნის არაბი გეოგრაფების რუკებზეც და ასეთ დროს, ხშირად ქალაქებსა და პუნქტებს ერთ ხაზზე გამოსახავენ, რომელიც ამავდროულად, გზის პირობითი აღმნიშვნელი ნიშანიცაა. მარშრუტების უმეტესობა, როგორც წესი, ლოკალური ხასიათისაა და კონკრეტული რეგიონის შიგნით არსებულ პუნქტებს შორის მანძილებით შემოიფარგლება. იშვიათ შემთხვევაში, გვაქვს რომელიმე მოსაზღვრე მომიჯნავე პროვინციის პუნქტიდან მიმავალი გზაც, თუმცა ასეთი შემთხვევები არც თუ ხშირია. მარშრუტების დასახელებისას, გვაქვს ერთი მნიშვნელოვანი საწყისი წერტილი და საბოლოო წერტილი ან დანიშნულების საბოლოო ადგილები. უმეტესად საწყისი წერტილი, რომელიმე მნიშვნელოვანი ქალაქი ან პროვინციის ცენტრია. არ-რანის შემთხვევაში მარშრუტების საწყის

⁴³³ მაგალითად ასეა იბნ ხორდადბეჰის შემთხვევაში, რომელიც ცალკე გამოყოფს გზებს, ვთქვათ გზა 'აზარბაჯანისა და 'არმინიჰისა. Ibn Khordadbeh Kitab al-masalik wa'-l- Mamalik, 1889., გვ. 119.

⁴³⁴ ამ თვალსაზრისით, ჩვენს მიერ მოყვანილი ხუთი ავტორიდან გამონაკლისს წარმოადგენს იბნ რუსთა, რომელთანაც ცალკე გამოყოფილი მარშრუტები არ გვხვდება. გვაქვს მხოლოდ ორ პუნქტს შორის მანძილი. მაგ. გზას ალ-ხაზარიდან იქამდე [სარირამდე] სჭირდება 12 დღე სტეპში, შემდეგ გზა მიიწევს მაღლა, მაღალ მთებში და ხეობებში სამი დღის სავალზე ვიდრე არ მიაღწევს მეფის ციხეს. იქვეა შემდეგიც: ციხიდან მარჯვნივ გზა რომელიც მისგან გამოდის მიდის მაღალ მთებსა და ტყეს შორის, ეს გზა მიდის 12 გაჩერება (მანზილ), რომელიც მიდის ქალაქამდე, რომელსაც ჰქვია ჰაჰან. Ibn Rosteh, Kitab al-Alak an-Nafisa, 1892, გვ. 147.

წერტილს წარმოადგენდა ბარდავი, რომლიდანაც მიემართება გზები დარუბანდის, თბილისის, დვინისა თუ არდებილისკენ. ბარდავის შემთხვევაში, მის საწყის წერტილად აღებას განაპირობებდა არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ ის არ-რანის უმნიშვნელოვანესი ქალაქია, არამედ ის ფაქტიც, რომ ბარდავი მდებარეობდა გზების გადაკვეთის ადგილას დვინიდან დარუბანდამდე და თბილისიდან არდებილამდე. იბნ ხორდადბეჰთან თავში გზა 'არმენიისა გვაქვს შემდეგი მოცემულობა: ხოლო ბარზა'ადან თაფლოსამდე 10 სიქსა, ბარზა'ადან ალ-ბაზ ალ-'აბვაზამდე 15 სიქსა, ბარზა'ადან დუბილამდე 7 სიქსა.⁴³⁵

მეათე საუკუნის არაბ გეოგრაფებში აშკარად შეინიშნება სისტემურობის ტენდენცია, რომელიც გულისხმობს მარშრუტების დასახელებას რეგიონების აღწერის შემდგომ, თავების ბოლოს. ალ-ისტახრის, იბნ ჰაუკალისა და ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის მიერ დასახელებულ მარშრუტებს კავკასიაში სტატია მიუძღვნა ე. სიხარულიძემ *ამიერკავკასიის სამარშრუტო გზები IX-X ს.ს. არაბული წყაროების მიხედვით*, რომელიც გამოქვეყნდა 1963 წელს კრებულში: მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები (გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, გვ. 175-189). ამ სტატიაში მიმოხილული იყო ხსენებულ ავტორებთან მოცემული მარშრუტები და ასევე მათი აღწერილობა.

აღსანიშნავია, რომ მარშრუტის დახასიათებამდე, მეათე საუკუნის ავტორებთან, ცალკეა გამოყოფილი თუ რომელ ორ პუნქტს შორის მარშრუტზეა საუბარი. ეს სისტემა მცირედით დარღვეულია იბნ ჰაუკალის თხზულების შემთხვევაში, თუმცა ძირითადი არსი მაინც იგივეა. თუ კი არ-რანის ცენტრს წარმოადგენდა ბარდავი, აზერბაიჯანის შემთხვევაში იმავე ფუნქციის მატარებელია არდებილი და შემდგომ უკვე მარაღა.⁴³⁶ ამასთან, საინტერესოა ის ფაქტი, რომ თუ კი ავტორს უკვე აღწერილი აქვს მარშრუტი, რომელიც შემდგომ სხვა მიმართულების მონაკვეთში შედის, ამ შემთხვევაში იგივე მარშრუტის აღწერა არ ხდება და უბრალოდ აღნიშნულია მანძილი. მაგალითად, ალ-ისტახრისთან ჯერ აღწერილია გზა არდებილიდან მარაღამდე: გზა 'არდაბილიდან ალ-მარაღამდე. 'არდაბილიდან ალ-მაჰანიჯამდე 20 ფარსახია, ალ-მაჰანიჯიდან ქალაქ ხუნაჯამდე 7 ფარსახია, ხუნაჯიდან ქულსარამდე, რომელიც რუსთაკია და დიდი ბაზარია მასში და არაა იქ მინზარი, 3 ფარსახია,

⁴³⁵ Ibn Khordadhbeh Kitab al-masalik wa'-l- Mamalik, 1889, გვ. 122.

⁴³⁶ Al-Istakhri abu Ishak al-Farisi, 1927. გვ. 194. Al-Mokaddasi, 1877, გვ. 382.

ქელსარადან ალ-მარლამდე 10 ფარსახია.⁴³⁷ ხოლო შემდგომ როდესაც საუბარია მანძილზე არდებილიდან ამიდამდე, და ამ მანძილის გავლის შემთხვევაში, მოგზაურს უნდა გაევილო ჯერ მარალაზე, ალ-ისტახრი მარშრუტის აღწერილობას იწყებს მოკლე აღნიშვნით, რომ: *გზა 'არდაბილიდან ამიდამდე. 'არდაბილიდან ალ-მარლამდე 40 ფარსახია, მარლადან დახარაკანამდე, მინბარით, ორი მარჰალაა...*⁴³⁸ შემდეგ კი ჩვეულებრივ გრძელდება ახალი პუნქტების დასახელება ვიდრე ამიდამდე. საინტერესოა არმინის შემთხვევაც. მიუხედავად იმისა, რომ პროვინციის ცენტრი იყო დვინი, მანძილები დვინიდან სხვადასხვა მიმართულებებით ფაქტობრივად არ გვაქვს. მართალია, მოცემულია მანძილები ბარდავიდან დვინამდე ან არდებილიდან დვინამდე ან მარალადან დვინამდე, მაგრამ არ გვაქვს მანძილები მოცემული საკუთრივ დვინიდან პროვინცია არმინის სხვა პუნქტებისკენ, როგორც ეს ბარდავისა და არდებილის შემთხვევაშია. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, იყო დვინის სტატუსის დაქვეითება და ბარდავის დაწინაურება მეცხრე-მეათე საუკუნეებში. ასევე, საკუთრივ ავტორების დამოკიდებულება, მათ მიერვე განვლილი მარშრუტები და მათ ხელთ არსებული ცნობები, რადგანაც ამ კუთხით ცნობები დვინისა თუ სხვა ისტორიული სომხური ქალაქების მიმართ არც თუ ხშირი და მრავალფეროვანია.

რაც შეეხება რეგიონის ეკონომიკასა და ვაჭრობას, რეგიონში განვითარებულია სოფლის მეურნეობა, იქნება ეს მეზოსტნეობა-მეზახჩეობა თუ ხორბლის თესვა და ამაზე არაერთი ცნობა მიუთითებს. ერთ შემთხვევაში კი დვინთან დაკავშირებით ნახსენებია ბრინჯის მოყვანაც. ალ-მუკადდასი ალ-ბაშარი წერდა: *არდაბლის რასათიკში მიწას ხნავს რვა ხარი და ოთხი გუთნისდედა. ყოველ ორ ხარზე ერთი გუთნისდედაა.*⁴³⁹ აღნიშნული ცნობა საერთო რეგიონული მოვლენა უნდა ყოფილიყო, რამდენადაც სამხრეთ კავკასიაშიც, ფაქტობრივად ყველგან წყვილი ხარით იხვნებოდა მიწის ნაკვეთები. ალ-ისტახრისთანაც არაერთგან გვხვდება მსგავსი ცნობა მაგ. ბარდავზე: *რაც შეეხება ბარჯა'ას ის ძალიან დიდი ქალაქია, უფრო მეტი ვიდრე ერთი კვადრატული ფარსახი. ისაა საამო ადგილი, ბევრია ნათესები და ნაყოფი.*⁴⁴⁰ იქვე გვაქვს ცნობა თბილისზეც: *თაფლობსი არის ბაშ ალ-'აბვაშზე პატარა სიდიდის ქალაქი და მას აქვს ორი კედელი თიხის და სამი კარიბჭე. ისაა ძალიან*

⁴³⁷ იქვე.

⁴³⁸ იქვე.

⁴³⁹ Al-Mokaddasi, 1877, გვ. 381.

⁴⁴⁰ Al-Istakhri abu Ishak al-Farisi, 1927, გვ. 182.

ნაყოფიერი ხილითა და ნათესებით. იბნ ჰაუკალის ცნობაში, ასევე დამატებით საუბარია, რომ თბილისში არის წისქვილები, რომელშიც ხორბალს ფქვავენ ისევე როგორც მოსულსა და რაქაში.⁴⁴¹ აღსანიშნავია, რომ თბილისში წისქვილების არსებობა, არაბული წყაროების მიხედვით, ცნობილი იყო ჯერ კიდევ ჯარაჰის დაცვის სიგელიდან, რომელშიც ნახსენებია, რომ თბილისელებს გადასახადი ეკისრებათ მათ ვენახებსა და წისქვილებზე.⁴⁴² ნათესების სიმრავლეზე საუბარია ასევე დარუბანდის შემთხვევაშიც.⁴⁴³ ბოსტნები და ბაღჩები ნახსენებია თითქმის ყველა დიდი ქალაქის შემთხვევაში, თუმცა კონკრეტულ ბოსტნეულზე არსადაა საუბარი. ხილის შემთხვევაში კი გვხვდება ლეღვი, თუთა, ქნავი (ცირცელი), შინდი, საზამთრო, ყურძენი, ასევე თხილეულიდან დასახელებულია კაკალი, თხილი და ნუში, აგრეთვე წაბლი. რეგიონიდან გაჰყავდათ ჩლიქოსნებიც, მათ შორის ცხვარი და სახედრები. აგრარული პროდუქციიდან, რომელიც რეგიონიდან გადიოდა ექსპორტზე და რომელსაც მეათე საუკუნის ავტორები ასახელებენ არის ენდრო, ზაფრანა და სელის სამოსი. როგორც ჩანს, ისინი ძირითადად არ-რანის პროვინციაში მოჰყავდათ. ზაფრანისა და სელის სამოსის შემთხვევაში მხოლოდ დარუბანდის მიდამოებზეა საუბარი.⁴⁴⁴ იბნ ჰაუკალი საზღვრავს ენდროს გავრცელების არეალს: *ვარსანიდან, ბარჯა'ადან, ბაბ ალ-'აბგაბის იმ ორი კუნძულიდან, რომელიც ალ-ხაზართა ტბაშია, გააქვთ ენდრო, ალ-ხაზართა ტბით ჯურჯანში იქიდან კი ალ-ჰინდში ხმელეთით. ეს ენდრო არის მთელს არ-რანში ვიდრე ბაბ ალ-'აბგაბის საზღვრებამდე, თიფლმამდე და ახლოს მდინარე არ-რასამდე და ხაზარანის ნაპირებამდე.*⁴⁴⁵ ჩანს, რომ ენდრო მოჰყავდათ აღმოსავლეთ საქართველოში და ისტორიული ალბანეთის ტერიტორიაზე, დარუბანდის მიდამოებში და შემდგომ ზღვით გაჰქონდათ გორგანში, იქედან კი სახმელეთო გზით ინდოეთამდე. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეს გზა იყო ერთგვარი საერთაშორისო მარშრუტი, რომელიც აკავშირებდა ინდოეთს კავკასიის რეგიონთან.

⁴⁴¹ 1992, *كتاب صورة الارض, لابن حوقل, دار مكتبة الحياة, بيروت*, გვ. 292.

⁴⁴² Al-Baladhuri, *Kitab Futuh al-Buldan*, 1916, გვ. 317.

⁴⁴³ Ibn Hawkal abu'l-Kasim, 1873, გვ. 185-186. დარუბანდის შემთხვევაში, იბნ ჰაუკალი აღნიშნავს, რომ იქ ხილი ცოტაა და მხოლოდ ის მოიპოვება, რაც სხვა რეგიონებიდან შემოაქვთ. *كتاب صورة الارض, لابن حوقل, دار* 1992, *مكتبة الحياة, بيروت* (იბნ ჰაუკალი), გვ. 292.

⁴⁴⁴ Al-Mokaddasi, 1877, გვ. 380. Al-Istakhri abu Ishak al-Farisi, 1927, გვ. 184.

⁴⁴⁵ 1992, *كتاب صورة الارض, لابن حوقل, دار مكتبة الحياة, بيروت* (იბნ ჰაუკალი), გვ. 298.

წარმოებული პროდუქციიდან, რომელიც გადიოდა მთელი რეგიონიდან სხვადასხვა მიმართულებით, ძირითადად გვაქვს ქსოვილები, მატყლი, ბამბა, აბრეშუმი და მათგან წარმოებული ნივთები. ალ-ისტახრი წერდა: *ხოლო ბარჯა'ადან გააქვთ ბევრი ნაწარმი აბრეშუმის, გაზრდილი თუთის ხეებზე, რომელსაც არ ჰყავს მფლობელი, და გააქვთ ის ფარსსა და ხუზისთანში.*⁴⁴⁶ ამ ცნობიდან ვიგებთ, რომ აბრეშუმი გადიოდა ბარდავიდან ფარსსა და ხუზისთანში, ეს აბრეშუმი ადგილზე იყო წარმოებული და ჭიების გამოსაზრდელად იყენებდნენ თუთის ფოთლებს. ალ-მუკადდასი ამატებს, რომ ბარდავში არსებულ ალ-ქურქიას ბაზარში იყიდებოდა კიდევ აბრეშუმის ტანსაცმელი.⁴⁴⁷ მატყლისა და ბამბის ნაწარმით გამოირჩეოდა სომხური ქალაქები, მათ შორის დვინიც. იმავე ალ-მუკადდასის ცნობით: *ხოლო დაბილიდან [გააქვთ] მატყლის ტანსაცმელი, ფარდაგები, ბალიშები, თარგი, მაქმანი მაღალი ხარისხის.*⁴⁴⁸ მატყლის ნაწარმის ექსპორტზე საუბარია ასევე ალ-ისტახრისთანაც: *რაც შეეხება დაბილს, ის უფრო დიდი ქალაქია ვიდრე 'არდაბილი და ისაა დედაქალაქი (მთავარი ქალაქი) 'არმინიიასი... გააქვთ აქედან შალის სამოსი, ფარდაგები, ბალიშები, სავარძლები, მაქმანები, ამას გარდა სხვა სახეობები ალ-'არმინიის.*⁴⁴⁹ იმავე საკითხებთან დაკავშირებით, საკმაოდ ვრცელი და მრავალფეროვანია იბნ ჰაუკალის ცნობა: *მათგან ცნობილი და სახელგანთქმულია 'არმინიიის მაქმანები, რომელიც მზადდება სალამსში. ერთი მაქმანის ფასია ერთიდან ათ დინარამდე და არ ჰყავს მას თანაზიარი სხვა მხარეებში. ალ-'არმინიელები ნახსენებ ქსოვილებს აწარმოებენ დაბილში. აწარმოებენ ალ-'არმინიულ სავარძლებს და ნოხებს, ალ-მახფურს მარანდსა და თაბრნში და ნოხებს, რომელთა ტოლი ცოტაა სხვა იმ რეგიონებში, რომლებიც მსგავსს პროდუქტს ქმნიან. ასეთივეა ას-საბანიჰა, საწოლის გადასაფარებლები, მანდილები, დამზადებული მაჰაფარიკონში და 'არმინიის სხვადასხვა ადგილებში. საერთო ჯამში შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთელი რეგიონიდან ძირითად საექსპორტო საქონელს წარმოადგენდა ქსოვილები და მათი მრავალფეროვანი ნაწარმი დაწყებული აბრეშუმის სამოსიდან თუ ბამბის თეთრეულიდან, დამთავრებული შალის ხალიჩებით. ხოლო ეს ნაწარმი გადიოდა ერაყსა და ირანში. 3. მანანდიანი აღნიშნავდა, რომ სომხეთში და სამხრეთ კავკასიის*

⁴⁴⁶ Al-Istakhri abu Ishak al-Farisi, 1927, გვ. 183.

⁴⁴⁷ Al-Mokaddasi, 1877, გვ. 380.

⁴⁴⁸ იქვე.

⁴⁴⁹ Al-Istakhri abu Ishak al-Farisi, 1927, გვ. 188.

რეგიონში ვაჭრობა შეაფერხა არაბთა დაპყრობებმა, რადგანაც შეწყდა ვაჭრობა ბიზანტიასთან, არაბულ-ბიზანტიური ომების გამო.⁴⁵⁰ იგივე აზრს იზიარებს ა.კ. შაგინიანი, რომლის თანახმად ომებმა შეუძლებელი გახადა საეთაშორისო ვაჭრობა. ის წერს: *შემთხვევითი არაა, რომ X საუკუნის გეოგრაფები და მოგზაურები ალ-ისტახრი და იბნ ჰაუკალი სომხურ კალიკალაზე (თეოდოსიპოლი) მიუთითებენ, როგორც ყველაზე გამაგრებულ სასაზღვრო პუნქტზე არ-რუმის საზღვართან.*⁴⁵¹ ამის მიუხედავად უნდა ითქვას, რომ რეალურად, ცნობების თანახმად, ერზერუმი იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შეკრების წერტილი მუსლიმი მეომრებისთვის (ლაზიებისთვის), მაგრამ ამავდროულად, ის უნდა ყოფილიყო სავაჭრო-სატრანზიტო ქალაქიც, რომელიც აკავშირებდა სახალიფოს ბიზანტიასთან. *მემართებიან მისკენ ლაზიები 'ხარბაჯანიდან, ალ-ჯაბალიდან, არ-რაჰდან და მახლობელი ადგილებიდან. ხოლო ის [ადგილი], საიდანაც ისინი ხედებიან არ-რუმში არის ტარაბაზუნდა. იკრიბებიან იქ ვაჭრები და იქიდან მიდიან არ-რუმის ქვეყანაში სავაჭროდ. ხოლო, ფარჩისგან, აბრეშუმისგან და ტანსაცმელისგან რაც არ-რუმიდან შემოდის ამ ნაპიებში [ყველა] არის ტარაბაზუნდადან.*⁴⁵² ამავე ცნობას ეყრდნობა ა. კ. შაგინიანიც. თუმცა, იმავე ცნობის მეორე ნახევარში აშკარაა, რომ ტრაპიზონიდან შემოდის ბიზანტიური სავაჭრო საქონელი პროვინცია არმინიაში. იბნ ჰაუკალი კი ფაქტობრივად პირდაპირ ამბობს იმის შესახებ, რომ ტრაპიზონსა და რეგიონს შორის არის სავაჭრო ურთიერთობები: *უკვე ითქვა, რომ არის ორი 'არმინია. შიდაში არის: დაბლი, ნაშვა, კალკალა და რაცაა ჩრდილოეთიდან. გარეშია: ბარქარი, ხილატი, 'არჯიში, ვასტანი, აზ-ზავზანი და მათ შორის არის ციხეები, ნაპიები და მიწები. მათგანაა გასასვლელი არ-რუმის ქალაქისკენ, რომელიც ცნობილია როგორც 'ატარაბაზუნდა. ისაა ქალაქი რომელშიც იკრიბებიან ვაჭრები ისლამის ქალაქებიდან და მემართებიან იქიდან არ-რუმისკენ სავაჭროდ. ამ ცნობაში პირდაპირაა საუბარი იმ ვაჭრებზე, რომლებიც ისლამის ქალაქებიდან იკრიბებიან და მიემგზავრებიან ტრაპიზონის გავლით ბიზანტიის სხვადასხვა ქალაქებისკენ. აქედან გამომდინარე, ერზერუმს არ ჰქონია მხოლოდ სამხედრო პლაცდარმის ფუნქცია, არამედ ის იყო*

⁴⁵⁰ Манандян Я., О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, Гос. изд-во, Эривань, 1930, გვ. 133-140.

⁴⁵¹ Шагинян А.К., Города, хозяйство и торговля раннесредневековой Армении, Албании и Картли, Часть 2, Вестник СПбГУ. Сер. 2, вып. 2, Санкт-Петербург, 2010, გვ. 73.

⁴⁵² Al-Istakhri abu Ishak al-Farisi, 1927, გვ. 188.

სავაჭრო გამტარი, რომლიდანაც სახალიფოდან წამოსული ვაჭრები მიდიოდნენ ჯერ ტრაპიზონში და შემდეგ ბიზანტიის სხვადასხვა მიმართულებით. ამავდროულად, ტრაპიზონი იყო ის ქალაქი, რომლიდანაც შემოდიოდა ბიზანტიური საქონელი პროვინცია არმინიაში, შესაბამისად პირველ რიგში, საზღვარზე მყოფ სომხურ ქალაქებში და შემდგომ მთელი სახალიფოს მასშტაბით. ასევე არაა გამორიცხული ერზერუმთან სავაჭრო კავშირი ჰქონოდა თბილისსაც, რადგანაც ისტორიულ ალბანეთში და პირიქით საქონლის გადატანა მოსახერხებელი უნდა ყოფილიყო თბილისის გავლით. აქ შეგვიძლია ორი მიმართულება განვიხილოთ. ერთი ერზერუმიდან ჩრდილოეთის მიმართულებით, ისტორიული ტაოსა და სამცხის გავლით, მანგლისის გზით თბილისისკენ და მეორე – ამიდისა და დვინის გავლით თბილისისკენ. თბილისის სავაჭრო-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ მნიშვნელობას ხაზს ისიც უსვამს, რომ დვინის ერთ-ერთ კარიბჭეს სწორედ თბილისის კარი ერქვა. ერთი შეხედვით, თბილისი არ უნდა ყოფილიყო სავაჭრო ცენტრის ფუნქციის ქალაქი, რადგანაც როგორც თავად არაერთი არაბი-მუსლიმი ავტორი აღნიშნავს, ის სასაზღვრო ქალაქია ანუ ქალაქი, რომლის იქეთაც ისლამის ტერიტორია აღარაა და შესაბამისად, წარმოადგენს დაპირისპირების ადგილსაც. ამ კუთხით თუ შევხედავთ, თბილისი, თავისი ფუნქციით, ახლოს მოდის ერზერუმთან, რომელიც ასევე სასაზღვრო ქალაქია. მასში იკრიბებიან მეომრები და ამავდროულად ის არის ქალაქი, რომელიც აკავშირებს ორი იმპერიის ვაჭრებს. ასევე შეგვიძლია ვივარაუდოთ თბილისის შემთხვევაშიც, რომელიც აკავშირებდა ქართულ-სამეფო სამთავროებს დანარჩენ სახალიფოსთან და არაა გამორიცხული ჰქონოდა საერთაშორისო სავაჭრო-სატრანზიტო ქალაქის ფუნქციაც. მნიშვნელოვან სასაზღვრო ქალაქებში ასევე უნდა შევიყვანოთ დარუბანდიც, რომლის ეკონომიკურ დაწინაურებას, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელს უწყობდა მისი, როგორც საპორტო ქალაქის ფუნქცია. ალ-ისტახრის სპარსულენოვან ვერსიაში დარუბანდის შესახებ გვაქვს შემდეგი ცნობა: *ეს ქალაქი ნავსადგურია ხაზართა და სერირისთვის, გურგანის, ტაბარისტანის, ქართველებისა და ყაითაყისათვის.*⁴⁵³ ფაქტობრივად ჩანს, რომ დარუბანდი მთელი აღმოსავლეთ კავკასიის რეგიონის პორტია, რომლითაც რეგიონი უკავშირდება კასპიის ზღვის აღმოსავლეთით და სამხრეთით მდებარე რეგიონებს. ამავდროულად, დარუბანდი

⁴⁵³ ისტახრი. ჰოდუდ ალ-ალემი. ჰამდალაჰ ყაზვინი, 1937, გვ. 5.

იყო ის ქალაქი, რომლის გავლითაც მოგზაურები და ვაჭრები კავკასიის სამხრეთიდან, ერაყიდან, სირიიდან, თუ ფარსიდან ხვდებოდნენ ხაზართა ქვეყანაში.

დასასრულს აღვნიშნავთ, რომ მეათე საუკუნის არაბი გეოგრაფების მიერ ნახსენები მარშრუტები, პირველ რიგში, მიუთითებს ამ გზების შესახებ ცოდნის არსებობასა და მათ საჭიროებაზე, რაც ხაზს უსვამს მათ მნიშვნელობასაც. მარშრუტების აღწერილობა ასევე საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების შესახებ რეგიონში არსებულ ქალაქებს შორის და მათ შესაძლო ჩართულობაზე საერთაშორისო ვაჭრობაშიც. ადგილობრივი სოფლის მეურნეობის თუ წარმოებული პროდუქციის დასახელება, ფასების სიაფისა თუ ხილის სიმრავლის აღნიშვნა, საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ და შეგვექმნას წარმოდგენა რეგიონში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ, ზოგადი სურათის თვალსაზრისით თუ კონკრეტულ ქალაქებთან მიმართებაში. თავად ქალაქების და სავაჭრო ადგილების სიმრავლე რეგიონში ხაზს უსვამს სახალიფოს ამ პროვინციაში გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობების არსებობას. ამ თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია, სამი სასაზღვრო ქალაქის ერზერუმის, დარუბანდისა და თბილისის როლი როგორც ისლამის სასაზღვრო ქალაქებისა, რომლებიც აკავშირებდნენ სახალიფოს, ისლამის ტერიტორიას, სხვა სახელმწიფოებთან, იქნებოდა ეს ბიზანტიის იმპერია, ხაზართა სახელმწიფო, თუ ქართული სამეფო-სამთავროები. შესაბამისად, ამ ტიპის ქალაქების როლი შეგვიძლია განვსაზღვროთ არა მხოლოდ როგორც სამხედრო პლაცდარმად თუ პირველად თავდაცვის ზღუდედ, არამედ როგორც დამაკავშირებელ რგოლად, სავაჭრო-სატრანზიტო ფუნქციის მქონე ქალაქებად არაბულ-მუსლიმურ სახალიფოსა და მის მოსაზღვრე სახელმწიფოებს შორის ბიზანტიასა და ხაზარებთან.

დასკვნა

ჩვენი კვლევისათვის საყურადღებოა ის ფაქტი, რომ „ალ-მასალიქ ვა-ლ-მამალიქ“-ის ტიპის შუა საუკუნეების არაბულ გეოგრაფიულ თხზულებებში, რომლებშიც ძირითადად აღწერილია მუსლიმური ოლქები და იმ ტერიტორიები, რომელთაც განსაკუთრებული გეოპოლიტიკური მნიშვნელობა და დატვირთვა ჰქონდათ, შესულია კავკასიის რეგიონი და მათ შორის.

წარმოდგენილ სადისერტაციო ნაშრომში პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში თარგმნილი, სისტემატიზირებული და გაანალიზებულია IX-X საუკუნეების ხუთი არაბულენოვანი გეოგრაფისა და მოგზაურის: (იბნ ხორდადბეჰის, იბნ რუსთას, ალ-ისტახრის, იბნ ჰაუკალისა და ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. დადგენილია მსგავსებები და განსხვავებები ზემოხსენებულ წყაროთა მონაცემებს შორის და მათი სანდოობის დასადგენად შეჯერებულია შუა საუკუნეების სხვა ავტორთა ცნობებთან. ასევე მოცემულია ცალკეული ცნობების ახლებური ინტერპრეტაცია და განსაზღვრულია ამ ცნობების მნიშვნელობა საქართველოსა თუ კავკასიის პოლიტიკური, სოციალ-ეკონომიკური, ეთნოლოგიური და კულტურული ისტორიისათვის. ნაშრომში სპეციალური განხილვის საგანია არაბი გეოგრაფების რუკები, მოცემულია მათ მიერ აღწერილი რეგიონის კარტოგრაფიული დახასიათება, აღწერილია ხუთი ავტორის მიერ განხილული რეგიონის საზღვრები და გამოტანილია შესაბამისი დასკვნები. ამ კვლევის საფუძველზე ცნობილი გახდა, რომ შუა საუკუნეების რეგიონი 'არმინია, არ-რანი, 'აზარბაჯანი (ან უბრალოდ არმინია) მოიცავდა ბევრად უფრო ვრცელ სივრცეს, ვიდრე თანამედროვე კავკასიაა. ამავდროულად, მასში არ შედიოდა დასავლეთ საქართველო და ჩრდილო-დასავლეთ კავკასია (მაგრამ შედიოდა ჩრდილო-დასავლეთ ირანი, ზემო მესოპოტამია და აღმოსავლეთ ანატოლიის ნაწილი). ამის ერთ-ერთ მიზეზი კი იყო არასაკმარისი ცოდნა, რომელიც არაბ მოგზაურებსა და გეოგრაფებს ან არ გააჩნდათ ან არასაკმარისად ჰქონდათ. შესაძლოა, მათთვის უფრო მარტივი იყო აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ბიზანტიისთვის მიკუთვნება, რამდენადაც ეს რეგიონი დიდი ხნის განმავლობაში სწორედ ბიზანტიელთა მმართველობის ქვეშ იყო.

წინამდებარე ნაშრომში განსაზღვრულია აგრეთვე რეგიონის სამხედრო-სტრატეგიული ადგილი და როლი კავკასიაში მოქმედ სამ ძალასთან მიმართებაში:

არაბულ-ისლამურ სახალიფოს, ბიზანტიასა და ხაზარებს შორის. ცალკე გამოვყავით რეგიონის ეკონომიკური-სატრანზიტო მნიშვნელობა და მისი, როგორც შუამავალი რგოლის ფუნქცია იმპერიათა შორის საერთაშორისო ვაჭრობაში. ამ საკითხის შესწავლამ, რომელიც აქამდე არ ყოფილა სპეციალური განხილვის საგანი, საშუალება მოგვცა გამოგვეტანა დასკვნა, რომ X საუკუნეში კავკასიას ჰქონდა მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფუნქცია და სავაჭრო კონტაქტები. მათ შორის აღსანიშნავია ინდოეთთან ვაჭრობა, ბიზანტიასა და არაბულ-მუსლიმურ სახალიფოს შორის იმპორტ-ექსპორტის საკითხი და ხაზართა სამფლობელოსთან . არა მხოლოდ სავაჭრო, არამედ გარკვეული კულტურულ-რელიგიურ-საგანმანათლებლო თანამშრომლობაც. X საუკუნის ავტორებთან დასახელებულია გადასახადების ოდენობა თუ რომელი მმართველი რამდენ ათას დინარსა თუ დირჰემს იხდიდა. შემდეგ კი როგორც წესი, გვაქვს საერთო მონაცემი თუ რა რაოდენობის გადასახადი აიღებოდა პროვინცი(ებ)იდან ('არმნიჰია, არ-რანი, 'აზარბაჯანი). ამის ფორნზე შეგვიძლია საშუალოდ გამოვთვალოთ თუ რა მატერიალურ-ფისკალური შესაძლებლობა გააჩნდა რეგიონს. იბნ ჰაუკალის მიხედვით გადასახადები საჩუქრების ჩათვლით აღწევდა 10 მილიონ დირჰემს, ხოლო ხარაჯას, მიწაზე დადებულ გადასახადს იგი ცალკე გამოყოფს და 'არმნიჰია, არ-რანი, 'აზარბაჯანისთვის ის ნახევარ მილიონ დირჰემს წარმოადგენდა. იბნ ჰაუკალი ორ ნაწილად ყოფს გადასახადებს და შესაბამისად, უნდა ვივარაუდოთ, რომ პირველ ნაწილში ჯიზია – სულადობრივი გადასახადიც შედიოდა. თუ გამოვრიცხავთ საჩუქრებს, რომლებსაც ადგილობრივი მმართველები უგზავნიდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას,⁴⁵⁴ შეგვიძლია გამოვთვალოთ საშუალოდ რამდენი სრულწლოვანი, შეძლებული არამუსლიმი ცხოვრობდა რეგიონში. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ პროვინცია 'აზარბაჯანი ჯიზიის გადამხდელთა შორის ნაკლებად სავარაუდოა, რადგანაც ის ყველაზე ადრე დაიპყრეს არაბებმა. არაბულ ტომთაგან ბევრი ჩამოსახლდა და მჭიდრო კავშირში იყო ისტორიული სასანიანთა სახელმწიფოს ტერიტორიებსა და ხალხებთან. ამდენად, მეათე საუკუნისთვის იქ რელიგიური ასიმილაცია, ისლამისადმი მიკუთვნებულობა უკვე მომხდარი უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, ძირითადად ჯიზიის გადამხდელები 'არმნიჰიას და არ-რანის

⁴⁵⁴ მონები, მხეველები, ცხენები, სახედრები, ძვირფასი ქსოვილები და ძვირფასი ლითონის ნივთები.

პროვინციებში ცხოვრობდნენ და მათი სავარაუდო რაოდენობა 7-8 მილიონი უნდა ყოფილიყო.

იბნ ხორდადბეჰის ცნობების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ახალი დასკვნების გამოტანა თბილისის ამირა ისჰაკ იბნ ისმაილის სტატუსთან დაკავშირებით. ასევე წარმოჩინდა მისი, როგორც რეგიონალური ლიდერის გავლენა სხვა ადგილობრივ მმართველებზე და ამის დე-ფაქტო აღიარება ცენტრალური ხელისუფლების ანუ აბასიანთა სახალიფოს მიერ დროის გარკვეულ მონაკვეთში. სხვა არაბულ და არაარაბულ წყაროებთან შეჯერების საფუძველზე სავარაუდოდ განვსაზღვრეთ დროის ის მონაკვეთი, როდესაც ისჰაკ იბნ ისმაილმა მიაღწია დე-ფაქტო დამოუკიდებლობას. ცხადია, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა და ბულა თურქის ლაშქრობა სწორედ ამირა ისჰაკის სეპარატისტული მისწრაფებებით იყო გამოწვეული.

იბნ რუსთას მიერ მოცემული ერთ-ერთი ცნობის მიხედვით გამოვთქვით ვარაუდი ჰერეთის სამეფო-სამთავროს ისტორიაში პირველი მეფის სტატუსთან დაკავშირებით, რომელსაც აქამდე გრიგოლ ჰამამი ფლობდა და, შესაძლოა, ეს სტატუსი უფრო ადრე მიეღო საჰაკ იბნ სუმბატის ძეს ადარნასეს, რამდენადაც ხსენებულ არაბულ წყაროში ადარნასე მეფეაა მოხსენიებული. აღნიშნული ცნობა ასევე წარმოაჩენს იმ რელიგიურ პოლიტიკას, რომელსაც ადარნასე ატარებდა და რომლის მიხედვითაც ტოლერანტული დამოკიდებულება არსებობდა მის სამფლობელოში ქრისტიანების, მუსლიმებისა და იუდეველების მიმართ. მსგავსი ტოლერანტული დამოკიდებულება რეგიონში ჩანს სახასიათო იყო, რადგანაც ნაშრომში განხილული რელიგიურ პოლიტიკასთან და ვითარებასთან დაკავშირებული ცნობებით ირკვევა, რომ რეგიონში რელიგიური კონფლიქტები ფაქტობრივად არ გვაქვს. ამას ადასტურებს სხვა ცნობებიც, რომელთა მიხედვითაც მუსლიმური და არამუსლიმური სამლოცველოები რეგიონის ქალაქებში ხშირად ერთმანეთის გვერდიგვერდაა და არ იღვენიან სხვადასხვა სექტების თუ მაჰჰაბების წარმომადგენლები. იბნ ჰაუკალის ცნობის გვიანდელ ჩანართიც, რომლის მიხედვითაც თბილისში ერთმანეთშია არეული მუსლიმი და ქურჯი, ასევე ადასტურებს შემწყნარებლური პოლიტიკის გაგრძელებას შემდგომ საუკუნეებშიც, რამდენადაც ქურჯი, მართალია, ქართველის აღმნიშვნელი სიტყვაა, ამ შემთხვევაში

უცილობლად ქრისტიანს უნდა აღნიშნავდეს. აგრეთვე, ჩრდილოეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიაში მდებარე სახელმწიფოებრივი ერთეულების შესახებ რელიგიური ცნობებიდან ვიგებთ, რომ მეათე საუკუნეში ქრისტიანობა ამ სუბ-რეგიონში დომინანტი რელიგია იყო. თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში მხოლოდ მაღალ სოციალურ ფენებში, როგორც ეს იყო ალანების შემთხვევაში. ას-სარირთან დაკავშირებით კი ვვარაუდობთ, რომ ისეთივე პროცესები უნდა წარმართულიყო, როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში. ვგულისხმობთ იმას, რომ უნდა მომხდარიყო გარკვეული წარმართული ტრადიციების, კულტის, წეს-ჩვეულებების შერწყმა ქრისტიანობასთან. ამ ფაქტზე მიგვანიშნებს ას-სარირში არსებული წესი მიცვალებულის დაკრძალვასთან დაკავშირებით. თუმცა, ეს საკითხი საჭიროებს დამატებით ეთნოლოგიურ კვლევას.

ალ-ისტახრის, იბნ ჰაუკალისა და ალ-მუკადდასი ალ-ბაშარის ცნობებმა მოგვცა ფართო წარმოდგენა რეგიონის სხვადასხვა სფეროს შესახებ. პირველ რიგში აქაც უნდა აღვნიშნოთ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა: გადასახადების ოდენობა, ძირითადი პროდუქტები და ადგილობრივი ნაწარმი, ბიომრავალფეროვნება და არსებითი ბუნებრივი რესურსები. ხსენებული სამი ავტორის მიერ მოცემული რეგიონის მარშრუტების დასახელება ასევე გვაძლევს პროვინცია არმინიის, ძირითადი სავაჭრო მიმართულებების და საკვანძო-სატრანზიტო პუნქტების იდენტიფიცირების შესაძლებლობას X საუკუნეში. ეს საკითხი მნიშვნელოვანია წყაროთა სანდოობის თვალსაზრისითაც, რამდენადაც ის ავტორები, რომლებიც ამ მონაცემებს გვაწვდიან, ხშირად იყვნენ თვითმხილველები მომხდარი ამბისა ან თავად უმოგზაურიათ იმ გზებზე, რომლებსაც ასახელებენ. ამდენად, მარშრუტების დასახელებისას გვაქვს პირველადი მონაცემები იმ ეპოქის უმთავრესი პოლიტიკურ-ეკონომიკური პუნქტების შესახებ რეგიონში. ალ-ისტახრისა და ალ-მუკადდასის რუკებზე ასევე აღნიშნულია ეს მარშრუტები გეოგრაფიულ პუნქტებს შორის გავლებული ხაზების სახით, რაც გვაძლევს ვიზუალურ შესაძლებლობას დავინახოთ რეგიონი იმ ფორმით, როგორადაც ამას თვითონ ავტორები აღიქვამდნენ. ამავე დროს დავადგინეთ, რომ რუკებზე ზოგიერთი ობიექტი არ იყო სწორად მითითებული, ან სხვა ადგილას იყო დასახელებული, ზოგიერთ ობიექტისთვის კი ადგილი იყო

დატოვებული, მაგრამ არ იყო აღნიშვნა გაკეთებული. ნაშრომში განხილულია ეს შეცდომები, მათი გამომწვევი მიზეზები და გამოტანილია დასკვნები.

ნაშრომში შესწავლილია არაბული გეოგრაფიული ტერმინოლოგია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია არაბულ გეოგრაფიის მთელი რიგი თავისებურებების (მაგ., გეოგრაფიული ტერმინების უმეტესწილად არაბული წარმოშობა, რადგანაც ნასესხები ტერმინების რაოდენობა საკმაოდ მცირეა) გასაანალიზებლად. არაბული ტექსტების სხვადასხვა გამოცემების გათვალისწინებით დადგენილია ტექსტის ზოგი გაურკვეველი ადგილი და ტოპონიმთა ქართული შესატყვისები. ზოგიერთ შემთხვევაში გვქონდა შესაძლებლობა გავცნობოდით უშუალოდ ხელნაწერებს და გვევარაუდა სად იყო კონკრეტული რედაქტორის ინტერპრეტაცია ან რომელი რედაქციის გამოყენება სჯობს (მაგ. იბნ ჰაუკალის ან ალ-ისტახრის შემთხვევაში).

მიგვაჩნია, რომ წარმოდგენილი ნაშრომი ხელს შეუწყობს საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის გაფართოვებას და საფუძველს დაუდებს ახალ კვლევებს სხვადასხვა მიმართლებით საქართველოსა და კავკასიის რეგიონის გარშემო.

კომენტარები:

'აბუ ალ-კასიმ აუსუფ 'იბნ დავუდაზ 'იბნ ალ-დავუდაში – ქართულ ისტორიოგრაფიაში ცნობილია როგორც აბუ-ლ-კასიმი, რომელიც იყო აზერბაიჯანის ამირა და 908-914 წლებში ილაშქრა აღმოსავლეთ საქართველოსა და სომხეთში.

'აბუ ალ-კასიმ 'ალი 'იბნ მუჰამმად ჯა'ფარი – დისამ იბნ იბრაჰიმ ალ-ქურდის ვეზირი, რომელსაც უღალატა და მარზუბან იბნ მუჰამადის მხარი დაიჭირა.

'აბუ ნასრ 'იბნ საჰლი – საუბარი უნდა იყოს აბუ ნასრ აჰმად ბინ ისმაილ ას-სამანიზე, სამანიანთა დინასტიის ამირა 907-914 წლებში. მისი გარდაცვალების შემდეგ მისი ადგილი დაიკავა აბუ ნასრის ძემ, ნასრ მეორემ (914-943), რომელიც ხორასნისა და მავერანაჰრის მმართველი გახდა.

ად-დაანავარი – მერვე მეთერთმეტე საუკუნეებში მნიშვნელოვანი ქალაქი ირანში, დღევანდელ ქირმანშაჰთან ახლოს. საბოლოოდ განადგურდა თემურ ლენგის დაპყრობების შემდეგ.

'აზარბაზ 'იბნ ბაჰრასიფ 'იბნ ალ-ასვად 'იბნ სამ 'იბნ ნუჰ – საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისით, რომელიც ყურანს ეფუძნება, აზარ [آزر] ბიბლიური აბრაამის მამაა⁴⁵⁵ (იგივე თერრა/თარრა ან თერრახი). ამასთან, *პურ აზარ* [آزر] („ცეცხლის ვაჟი“) გავრცელებული იყო სპარსულ მწერლობაში, როგორც აბრაამის სახელი.⁴⁵⁶ ამდენად, აზარბაზი შეიძლება გავაიგივოთ ან აბრაამთან ან მის მამასთან. ბაიურასიფის (بایوراسب.) ვინაობის დადგენა ამ ეტაპზე სამწუხაროდ შეუძლებელი ჩანს, ისევე როგორც ალ-ასვადის (არაბ. الاسود), თუმცა, მასში შესაძლოა ვიგულისხმოთ სემის პირველი ვაჟი არქვაქშადი/არფაქსადი (არაბ. أرخشاد/آرکشاد).

'აზარბაჯანი – შუა საუკუნეებში ეს სახელი ეწოდებოდა ტერიტორიას, რომლის საზღვრები იყო ჩრდილოეთიდან მდინარე არაქსი, სამხრეთით ერაყისა და მესოპოტამიის საზღვრები, დასავლეთით არმინია, აღმოსავლეთით კი ესაზღვრებოდა კასპიის ზღვა, დეილამი და ჯაბალი.

⁴⁵⁵ Jeffery A., *Azar*, The Encyclopedia of Islam, Vol.I, Leiden, Brill, 1986, გვ. 810.

⁴⁵⁶ The Foreign Vocabulary of The Qur'an, A. Jeffery, Baroda, Oriental Institute, 1938, გვ. 55.

აზ-ზაზი _ ამ სახელით არის ორი მდინარე (დიდი და მცირე ზაზი) ერავში, ტიგროსის მარჯვენა შენაკადები.

ალ-ანდარაზი _ არის ამ სახელწოდების სოფელი არდებილიდან 15 კილომეტრში.

ალ-ბატანია _ ბატინია, ისმაილიტთა შიიტური სექტის შერქმეული სახელი შუა საუკუნეებში. იგი გულისხმობდა წმინდა ტექსტების (ყურანი და სუნა) ინტერპრეტაციას, მხოლოდ ალეგორიული, ფარული და შინაგანი მნიშვნელობით (*ბატინ*) და არა პირდაპირი მნიშვნელობით (*ზაჰირ*). ამ ტიპის ინტერპრეტაცია უკვე მერვე საუკუნეში არსებობდა ეზოთერიკულ შიიტურ სექტებში, განსაკუთრებით კი ისმაილიტებში.⁴⁵⁷

ალ-ბირი _ იგივე ალ-ნირი ან ნირი (ب/ن) ქალაქი ირანში, არდებილსა და სარაბს შორის. არდებილიდან 40 კილომეტრით დასავლეთით.

ალ-კაბკ კავკასიონი, კავკასიის მთები.

ალ-მარადა(თ) _ იგივე მერადა, მარადა. იბნ ჰაუკალთან და ალ-მუკადდასთან არის არტიკლის გარეშე.

ალ-მარზბან 'იბნ მუჰამმად ას-სალარ _ სალარიანთა დინასტიის წარმომადგენელი, მუჰამმად იბნ მუსაფირის ძე და აზერბაიჯანის მმართველი 941-957 წლებში.

ალ-ქურ _ მდ. მტკვარი ხშირად იწერება როგორც ალ-ქურ

ალ-ლუზიას ქვეყანა _ ოლუზთა ქვეყანა 750-1055 წლებში თურქულ ტომთა სახელმწიფო, რომელიც მდებარეობდა კასპიის ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ნაპირებიდან ყარახანიანთა სახელმწიფომდე.

ალ-ჯაზირა _ ჩრდილოეთ მესოპოტამია.

ალ-ჰაზბანიას ქურთები _ დიდი ქურთული ტომი შუა საუკუნეებში, რომელთა განსახლების ძირითად არეალს მეათე საუკუნეში ურმიასა და უშნუს (ოშნავეჰი) შემოგარენი წარმოადგენდა. ცნობილი ისტორიული პირი სალაჰ ად-დინი (სალადინი), წარმოშობით, ამ ტომის ერთ-ერთი განშტოებიდან იყო.

⁴⁵⁷ Hodgson M.G.S., *al-Batina*, The Encyclopedia of Islam, Vol.I, Leiden, Brill, 1986. გვ. 1098-1100.

ალ-ჰარისი – დიდი არარატის მთა. ეს არაბული სახელწოდება მოდის ჰარის იბნ ამრის სახელიდან, რომელიც ჰუვაირის იბნ უკბასთან ერთად იყო სალმან იბნ რაბი'ა ლაშქრობის მონაწილე და მისი ჯარის ნაწილის მეთაური. მათი სახელი უკავშირდება ამ მთებს, რადგანაც ითვლებოდა, რომ მათ პირველებმა მიაღწიეს ამ მთებს.⁴⁵⁸

ალ-ჰუვაირისი – მცირე არარატის მთა. მართალია, ეს სახელი დაკავშირებულია ისტორიულ პერსონაჟთან, ასევე საინტერესოა თვითონ სახელის ფორმაც. რამდენადაც არაბულ ენაში კნინობითი ფორმა იწარმოება ფუ'აილ (فيل) ყალიბით. ჩვენს შემთხვევაში კი ალ-ჰარისის შემთხვევაში გვაქვს ჰა'ილ (حالف) ფორმა, რომლის კნინობითი იქნება – ჰუვაა'ლ (فويل) ფორმა ანუ ალ-ჰუვაირისი. შესაბამისად გვაქვს, დიდი და მცირე არარატის მთები.

'არდაბილი – ქალაქი არდებილი.

'არმინა 'იბნ ქანჰარ 'იბნ აფის 'იბნ ნუჰ – ჰაოს (ჰაიაკ) ძე თარგამოსისა ძე იაფეტისა ძისა ნოესი. არაბულ ტექსტში არის ასე: ارميني بن كطي بن يافت بن نوح. სიტყვა كطي – ში გრაფიკული ცვლილება უნდა ვივარაუდოთ, სადაც, „ლამ“ შეცვალა „ქამ_მა“ (ანუ كطي = كطي). ლაიტი კი (იგივე ლანტა ან ლანტი) თარგამოსია, გომერის იგივე ავმარის ვაჟი.

არ-რანი – ტრადიციულად ეწოდებოდა ისტორიულ ალბანეთს. თუმცა, ამ შემთხვევაში არ-რანი მოიცავს ტერიტორიას დარუბანდიდან ვიდრე მდინარე არაქსამდე და თბილისიდან კასპიის ზღვის დასავლეთ ნაპირებამდე.

არ-რაი – ქალაქი რეი.

არ-რასს – მდ. არაქსი.

არ-რიჰაბი – ალ-მუკადდასი ალ-ბაშარი ამ სახელს ზოგადს უწოდებს და პროვინცია არმინიასთან აიგივებს, რომელიც თავის მხრივ სამ რეგიონს აერთიანებდა.

არ-რუდაანის ტომი – ერთ-ერთი არაბული ტომი.

არ-რუმი – იგივე რომი. ძირითადად კი მიემართება აღმოსავლეთი რომს ანუ ბიზანტიას.

⁴⁵⁸ Тер-Гводиян А.Н., Армения и Арабский Халифат, АН Армянской ССР, Ереван, 1977, გვ. 261.

’არჯიში – ისტორიული ქალაქი არქეში ვანის ტბის პირას (თურქ. Erciş). მეცხრამეტე საუკუნის შუა ხანებისთვის ძველი ქალაქის დიდი ნაწილი წყალმა დაფარა და ახალი ქალაქი, მისგან ჩრდილოეთით გაშენდა.

’არჯიჯი [ტბა] – დღევანდელი ვანის ტბა. როგორც ჩანს, ამ ტბას სახელი ეწოდებოდა მის პირას გაშენებული რომელიმე ქალაქის მიხედვით. სხვა შემთხვევაში გვაქვს ხლათის (ხლატის) ტბა ქალაქ ხლათიდან გამომდინარე და თუნდაც დღევანდელი სახელი „ვანის ტბა“ ქალაქ ვანის გავლენითაა.

ატ-ტარმას მთები – მთები ირანში, დღევანდელი მაზანდარანის პროვინციის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

აშ-შაბრანი – ქალაქის სახელი შაბრანი შაპურ პირველის სახელს უკავშირდება და თავიდან ციხესიმაგრე იყო, რომელიც შირვან შაჰების ხანაში მნიშვნელოვან ქალაქად იქცა. მდებარეობს ბაქოდან ჩრდილოეთით დაახლოებით 130 კილომეტრში.

აშ-შამახია – შირვან შაჰების სატახტო ქალაქი დღევანდელი შემახა.

აშ-შამი – დიდი სირია, რომელიც აერთიანებდა თანამედროვე სირიის, ლიბანისა და პალესტინის ტერიტორიებს.

ალ-ხაზართა ზღვა – იგივე კასპიის ზღვა. მას ასევე მოიხსენიებენ, როგორც ტაბარისტანის ზღვა ან გურგანის ზღვა, იმ პროვინციათა თუ ხალხთა სახელების მიხედვით, რომლებიც მის ნაპირებზე იყო. ხშირად იხსენიება როგორც ტბა და არა ზღვა.

’ახლᄁტი – იხ. ხილატი.

’აჰრუ – ქალაქი აჰარი, ერთ-ერთი ქალაქი დღევანდელ ირანში. ისლამამდელ ეპოქაში ერქვა „მაიმანდი“. მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეში წარმოადგენდა ბეშქენიანების კუთვნილებას. ქალაქი მნიშვნელოვნად დაზარალდა რუსეთ-ირანის ომების დროს (1804-1810; 1826-1828 წლებში).

ბაზ ალ-’აბვაზი (ალ-ბაზი ან ბაზი) – კართა კარი ანუ დარუბანდი. უმნიშვნელოვანესი საპორტო ქალაქი კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე. ასევე წარმოადგენდა უმნიშვნელოვანეს გადასასვლელს (გამომდინარე იქიდან, რომ არ იყო სეზონური), რომელიც აკავშირებდა ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიას.

ბაღლაკანი – შუა საუკუნეების ქალაქი დღევანდელ ბეილაგანთან ახლოს. სახელი უნდა მოდიოდეს მიდიური პაიტაკარანიდან (პაიტაკარის მიწა), რომელიც ქრისტეს შობამდე მეორე საუკუნეში სომხეთის პროვინციის სახელი იყო.

ბანი ჰამადანი – ჰამდანიანთა დინასტია ჩრდილოეთ ერაყსა და სირიაში 890-1004 წლებში. დინასტიის დამაარსებელია ჰამდან იბნ ჰამდუნი, რომელიც 890 წელს დაინიშნა ქალაქ მარდინის გამგებლად. დინასტიამ ძლიერებას მიაღწია, მისი ყველაზე ცნობილი წარმომადგენლის საიფ ად-დავლას მოღვაწეობის დროს, რომელიც წარმატებით ებრძოდა ბიზანტიას. საბოლოოდ, ბოლო ფატიმიანებმა მოუღეს.

ბარდიჯი – ბარდიჯი/ბერდიჯი ქალაქი ბარდავის მახლობლად მტკვრის მარჯვენა ნაპირზე.

ბარზანდი – ბარზანდი ქალაქი არდებილსა და ვართანს შორის.

ბარზა'ა – ისტორიული ქალაქი ბარდავი, ბარდა, თანამედროვე აზერბაიჯანში.

დაბილი – ქალაქი დვინი. გვხვდება ასევე დუბილ ფორმაც. ერთი პერიოდი პროვინცია არმინიის (აერთიანებდა სომხეთს, ალბანეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს) დედაქალაქი.

დახარაკანი – იგივე დახრაკანი ან დიხრადანი, დღევანდელი აზარშაჰრი. ქალაქი ირანში, თავრიზიდან სამხრეთ დასავლეთით დაახლოებით 65 კილომეტრში. საჰანდის მთის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე.

დისამ 'იბნ სანლუვია – საუბარი უნდა იყოს დაისამ იბნ იბრაჰიმ ალ-ქურდიზე, რომელიც იყო აზარბაიჯანის მმართველი (941-924/951-953) და რომელსაც დაუპირისპირდა მარზუბან იბნ მუჰამადი.

ვააზური – სავარაუდოდ ვაიოცძორი (Vayots Dzor) ისტორიული პროვინცია სომხეთში.

ვარზაკანი – ვარზექანი ან ვარზაგანი ქალაქია თანამედროვე ირანში, პროვინცია აღმოსავლეთ აზერბაიჯანში.

ვარსანი – იგივე ქ. ვართანი.

ზანჯანი – ისტორიული ქალაქი ირანში, ამავე დასახელების პროვინციის ცენტრი, თეირანიდან ჩრდილო-დასავლეთით დაახლოებით 300 კილომეტრში. ითვლება, რომ დაარსდა სასანიანთა ეპოქაში.

თაბრიზი – იგივე ქალაქი თავრიზი.

აჰმა ბ. ხალიდი – (738-806) ცნობილი ისტორიული პირი ბარმაქელთა საგვარეულოდან ხალიფა ჰარუნ არ-რაშიდის აღმზრდელი და მისი ვეზირი. ხალიფა ალ-მანსურის დროს იყო პროვინცია არმინიის მმართველი.

'იზნ 'აბუ ას-საჯი – იუსუფ იზნ აბუ ას-საჯი ხალიფა ალ-მუკთადირის სარდალი და აზარბაიჯანის მმართველი.

'ისჰაკ 'იზნ 'იბრაჰიმ ალ-მავსილი – 767-849 ცნობილი არაბი მუსიკოსი, მომღერალი და პოეტი.

კაბალა – იგივე გაბალა (ქაბალა ან ხაბალა) ქალაქი თანამედროვე აზერბაიჯანში. ისტორიული ალბანეთის სატახტო ქალაქი.

კალიკალა – კარნუ ქალაქი, იგივე ერზერუმი.

კალ'ა 'იზნ ქანდიმანი – დღევანდელი გარდაბანი.

კანტარ საბიზურუზი – საბიზურუზის ხიდი, გადასასვლელი მდინარე სეფედ რუდზე არდებილიდან ზანჯანისკენ მიმავალ გზაზე.

კასაბა – როგორც საზომი ერთეული 1) 3,55 მეტრი 2) კვადრატული კასაბა უდრის 0,003 ფედანს ან 12,6025 კვადრატულ მეტრს 3) კუბური კასაბა უდრის 44,7388 მეტრ კუბს.

კაფიზი – ქართულ წყაროებში გვხვდება კაბიწის ფორმითაც. უდრიდა დაახლოებით 10 კილოგრამს.⁴⁵⁹

ლაქაზანის მთა – კავკასიონის ქედის, მისი აღმოსავლეთ ნაწილის ან რომელიღაც მთათა ჯგუფის პირობითი სახელი.

ლაქაზანი – ლაქაზ/ლაკაზ, ტრადიციულად ლეკთა არაბული სახელწოდებაა.

⁴⁵⁹ ჯაფარიძე გ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან (IX-XIX სს.), მეცნიერება, თბილისი, 1973, გვ. 92-93.

მანაზილი – ქართული მანძილი. უდრიდა დაახლოებით 15 კილომეტრს.

მანი – მანი აღმოსავლეთის სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა ოდენობას უდრიდა.⁴⁶⁰ თუმცა, არსებობდა საერთო ე.წ. კანონიკური მანიც, რომელიც ორ ბალდადურ რატლს იწონიდა და დაახლოებით 812,5 გრამს უდრიდა.⁴⁶¹

მარჰალა – ჰანაფიტებისა და მალაქიტებისთვის უდრიდა 44,5 კილომეტრს; შაფიიტებისა და ჰანბალიტებისთვის – 89 კილომეტრს.

მუდდი – მოდი ძველი ებრაული საწყაო, გავრცელებული იყო ირანშიც და X საუკუნეში 8,3 კილოგრამს უდრიდა.⁴⁶² გ. ჯაფარიძე მსგავსი სიდიდის მოდის დამკვიდრებას ვარაუდობს საქართველოში. რამდენადაც, სულხან საბას განმარტების მიერ მოდის ქართული შესატყვისია ჩანახი, რომელიც ქართლში, ზოგ ადგილებში 8 კილოგრამს უდრიდა.⁴⁶³

მაჰინფარიკინი – დღევანდელი ქალაქი სილვანი თურქეთში, დიარბაქირის პროვინციაში.

მალატია – მელითენე, უძველესი ქალაქი დღევანდელ თურქეთში, თანამედროვე მალატიასთან ახლოს. არაბებმა დაიპყრეს მართლმორწმუნე ხალიფების პერიოდში და ჩანს წარმოადგენდა *ას-სულურის* ნაწილს. ქალაქი განადგურდა მეთვრამეტე საუკუნეში აჯანყებების გამო. ხოლო ახალი ქალაქი უკვე მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიანი წლებიდან გაშენდა.

ალ-მალიქი მდ. – არსებობს ორი მოსაზრება მდინარე მალიქის იდენტობის შესახებ. ერთ-ერთის მიხედვით მდინარე მალიქი არის იგივე მდინარე სამური და ამაზე თავად დე გუე მიუთითებს სქოლიოში, ერთ-ერთ თავში „*მდინარეთა და ზღვების შესახებ*“. მეორე ვერსიის თანახმად კი მდინარე მალიქი არის იგივე მდინარე მტკვარი ვიდრე მას შეერთვის ალაზანი. ხოლო იქიდან, საიდანაც ალაზანი ერთვის, იწოდება როგორც *ალ-ქურრ*.

⁴⁶⁰ ჯაფარიძე გ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973, გვ. 52.

⁴⁶¹ Хинц В., Равидович Е.А., Мусульманские меры и веса с переводом в метрическую систему. Материалы по метрологии средневековой Средней Азии. Наука. -М., 1970, გვ. 52.

⁴⁶² Хинц В., Мусульманские меры и веса с переводом в метрическую систему, 1970, გვ. 58.

⁴⁶³ ჯაფარიძე გ., ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან, 1973, გვ. 107.

მანაზქირდ – (მანაზქირდ_ალ-ისტ.; მანაზჯირდიზნ ჰაუკ.) იგივე ისტორიული მანაზქერტი (*Manazkert*) უძველესი ქალაქი დღევანდელ თურქეთში (თურქ. *Malazgirt*). 1071 წელს ქალაქთან გაიმართა ცნობილი მანაზქერტის ბრძოლა ბიზანტიის იმპერიასა და სელჩუკებს შორის, სადაც ბიზანტია სასტიკად დამარცხდა (ამ ბრძოლის შემდეგ სელჩუკებს გზა გაეხსნათ ანატოლიისკენ).

მარანდი – იგივე მერანდა თავრიზიდან 60 კილომეტრით ჩრდილოეთით.

მიანა – მიანე ქალაქი ირანში, თავრიზიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 190 კილომეტრში. არაბთა დაპყრობების შემდეგ ემახდნენ მაიანიჯს.

მუკან (მულანი/მულქანი) – პროვინციის სახელწოდება კასპიის ზღვის დასავლეთ ნაპირზე. მტკვარ-არაქსის დაბლობის ნაწილია ველი, რომელიც ცნობილია როგორც მულანის ველი. თუმცა, როგორც ჩანს ამ დასახელების ქალაქიც უნდა არსებულიყო შუა საუკუნეებში, რომელსაც ბაჯრავანსაც უწოდებდნენ და ამ ქალაქთა იგივეობას არც ლე სტრეინჯი გამორიცხავს.⁴⁶⁴

ნაშავა – ნახქევანი, ნახჯევანი.

ნაჰია – ისლამის ენციკლოპედიაში მოცემული განმარტების მიხედვით ნაჰია (მრ. ნავაჰი) ნიშნავს ოლქს, რაიონს. თუმცა, ეს განმარტება მოცემულია მხოლოდ ოსმალეთს იმპერიის ადმინისტრაციულ დაყოფასთან დაკავშირებით.⁴⁶⁵ მიუხედავად ამისა, აშკარაა ნაჰია იყო ადმინისტრაციული ერთეული, რომელიც აერთიანებდა სოფლებს და შესაძლოა მცირე ქალაქებსაც.

რუსთაკი – არაბიზებული ფორმა სპარსული რასთაკისა. ნიშნავდა სასოფლო რაიონს. ერთგვარი კანტონი, ერთი ცენტრალური ქალაქით. ტერმინი ძირითადად ასოცირდება სოფელთან ან სოფლების ერთობლიობასთან. შუა საუკუნეებში რუსთაკი ითვლიდა მაქსიმუმ 12 სოფელს.⁴⁶⁶

რატლი – წარმოშობით რომაულ-ბიზანტიური წონის ერთეულია (ლიტრა/ლიბრა), რომელსაც ფართოდ იყენებდნენ ახლო აღმოსავლეთში. ცალკე გამოყოფდნენ

⁴⁶⁴ Le Strange G., *The Land of The Eastern Caliphate*, Cambridge University Press, Cambridge, 1905, გვ. 175.

⁴⁶⁵ Babinger F., *Nahiye*, *The Encyclopaedia of Islam*, Vol. VII, Brill, Leiden-New York, 1993, გვ. 906.

⁴⁶⁶ Bosworth C.E., *Rustak*, *The Encyclopaedia of Islam*, Vol. VIII, Brill, Leiden-New York, 1995, გვ. 636.

ბაღდადურ რატლს, რომელიც 406,25 გრამს უდრიდა.⁴⁶⁷ ეგვიპტური რატლი უდრიდა დაახლოებით 444 გრამს. ცალკე არსებობდა სამედიცინო რატლი, რომელიც 397 გრამს უდრიდა.⁴⁶⁸

საბალანის მთა – არდებილთან ახლო მდებარე მწვერვალია საბალანის ვულკანური მწვერვალი, რომლის სიმაღლე დაახლოებით 4800 მეტრია, არდებილიდან ის დაახლოებით 60 კილომეტრშია.

საბიზურუზი მდ. – მდინარე სეფიდ რუდი (სპარს. سیفی رود), სიგრძით მეორე მდინარე ირანში (დაახლოებით 670 კილომეტრი). სათავეს იღებს ელბრუსის მთიანეთში და მიემართება ჩრდილოეთით, ჩაედინება კასპიის ზღვაში.

საფუ ად-დავლა – ალი იბნ აბუ-ლ-ჰაიჯა აბდალლაჰ იბნ ჰამდან იბნ ალ-ჰარის ალ-თალიბი (916-967), ცნობილი ლაკაბით საიფ ად-დავლა ალეპოს საამიროს დამაარსებელი და ჩრდილოეთ სირიისა და ჩრდილოეთ მესოპოტამიის ნაწილის მმართველი 954-967 წლებში.

სანბატ იბნ აშუტი – სუმბატ პირველი (850-914), სომხეთის მეფე 890-914 წლებში ბაგრატუნთა დინასტიიდან. აბუ ალ-კასიმთან მარცხის შემდეგ იგი აწამეს და სიკვდილით დასაჯეს.

სარათი – სავარაუდოდ იგივე სარაბი (ب/ت) ქალაქი ირანში, თავრიზიდან 130 კილომეტრით ჩრდილოეთით. ალ-მუკადდასისთან არის არტიკლით.

სიაჰ ქუვის მთები – სავარაუდოდ კარაკატაუს მთები მანგიშლაკის ნ/კ-ზე ყაზახეთში.

სისაჯანი – როგორც კრამერსი აღნიშნავს სისაჯანი უნდა იყოს იგივე სიუნიქის (Syunik) პროვინცია.⁴⁶⁹

სიქქა – დაახლოებით 2,5 ფარსახია, რაც 15 კილომეტრია.

⁴⁶⁷ Хинц В., Мусульманские меры и веса с переводом в метрическую систему, 1970, გვ. 50-51.

⁴⁶⁸ Ez-Zahrāwy V., Arab Metrology, The Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland, New Series, Vol. 16, No. 4, (1884), Cambridge University Press, გვ. 510.

⁴⁶⁹ Minorsky V., Studies in Caucasian History, I. New Light on the Shaddadids of Ganja; II. The Shaddadids of Ani; III. Prehistory of Saladin; Cambridge, 1953, გვ. 69.

სუმაფისატი – იგივე სამსატი, ისტორიული ქალაქი დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, რომელიც ოსმალთა პერიოდში რეგიონული ცენტრი იყო. 1989 წელს ათათურქის დამბის დასრულების შემდეგ ძველი ქალაქი ხელოვნური ტბის ქვეშ მოექცა.

ტაბარია – იგივე ტიბერია (ტივერიადა), ქალაქი ისრაელში, პალესტინაში, გალილეთის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე.

ტაბარისტანის ზღვა – იგივე კასპიის ზღვა.

უმნუ – დღევანდელი ქალაქი ომნავეკი. ირანის პროვინცია „დასავლეთ აზერბაიჯანში“. ქ. ურმიადან სამხრეთით, დაახლოებით 75 კილომეტრში.

უჯჯანი – უჯანი ქალაქია სომხეთში, არგაწოტნის პროვინციაში, ერევნიდან დასავლეთით დაახლოებით 45 კილომეტრში.

ფარსახი – სპარსული ფარსანგიდან. უდრის დაახლოებით 6 კილომეტრს.

ფარღანიას მთები – ფერღანის ქედი, რომელიც მდებარეობს თანამედროვე ყირგიზეთში, წარმოადგენს ტიან-შანის მთათა სისტემის ნაწილს. გამოყოფს ფერღანას ველს (სადაც მდებარეობს ქალაქი ფერღანა) ტიან-შანის ძირითადი (შიდა) მთათა სისტემისგან.

ქაბუზანის ტბა – იგივე ურმიის ტბაა. სახელი ქაბუზანი მომდინარეობს სპარსული ან სომხური *kapuyt*-დან, რაც ცისფერს, ლაჟვარდისფერს ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ კუნძულს (სულ 102 კუნძულია ტბაში) დღემდე ჰქვია სახელი „ქობუდანი“.

ქაღლაჯი – უდრიდა დაახლოებით 590-650 გრამს.⁴⁷⁰

შარვან შაჰი – შირვანის მმართველთა ტიტული (მიახლოებით 799-1607 წლებში), რომელიც ლოკალიზებული იყო დაახლოებით თანამედროვე აზერბაიჯანის საზღვრებში. მოგვიანებით მათ ტიტულატურას დაემატა ლაიჯან შაჰის (მუჰამმად მეორის დროიდან) ტიტულიც.

შაქქი – ისტორიული ქალაქი შაქი ან შექი თანამედროვე აზერბაიჯანში. ამავე სახელწოდებით არსებობდა სხვა გეოგრაფიული პუნქტიც, ციხესიმაგრე მდ. არაქსის

⁴⁷⁰ Ez-Zahráwy V., Arab Metrology, გვ. 520.

აუზში, რომელსაც სპეციალურ ლიტერატურაში სამხრეთის შაქსაც უწოდებენ.⁴⁷¹ ამის მიუხედავად, ვთვლით, რომ არაბი გეოგრაფების ცნობებში, ყველგან სადაც დასახელებულია შაქქი, უნდა ვიგულისხმოთ ქალაქი შაქი და არა ციხესიმაგრე (სამხრეთის) შაქი.

შაჰრაზური – 1. შარიზორი, ველია დღევანდელ სულეიმანიასა და დარბანდიხანს შორის ერაცში. სახელი მომდინარეობს სპარსული შაჰ (მეფე) რაზურ (ტყე)–დან. არაბმა დამპყრობლებმა მასზე კონტროლო 643 წელს დაამყარეს. 2. სოფელი შარაზული ირანში, მარაღადან სამხრეთით დაახლოებით 45 კილომეტრში.

შიბრი – ჰანაფიტებისთვის არის 11.5 სანტიმეტრი; მალიქიტებისთვის – 8,8 სანტიმეტრი; შაფიიტებისა და ჰანბალიტებისთვის – 15,4 სანტიმეტრი.

ხარრაკანი – იხ. დახარრაკანი.

ხვარაზმის ტბა – არალის ზღვა.

ხილატი – ისტორიული ქალაქი ახლატი/ხლათი ვანის ტბის პირას, დღევანდელ თურქეთში.

ხუვაი(უ) – ქალაქი ხოი.

ჯაბრაგანი – ქალაქი, ურმიიდან დაახლოებით 20 კილომეტრით სამხრეთ აღმოსავლეთით.

ჯანზა – ქალაქი განჯა.

ჯასრ სამური – ანუ „სამურის ხიდი“, ადგილი სადაც იყო გადასასვლელი მდინარე სამურზე და სადაც გადადიოდა მთავარი გზა დარუბანდის მიმართულებით.

ჰარრანი – უძველესი ქალაქი, რომელიც ჩვ.წ. აღრიცხვამდე მესამე ათასწლეულში უკვე არსებობდა. მდებარეობს თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე. არაბთა დაპყრობების შემდეგ ითვლებოდა ალ-ჯაზირას ნაწილად და მერვე-მეცხრე საუკუნეებში წარმოადგენდა მთარგმნელობით ცენტრს ბერძნულ-სირიული ენებიდან არაბულ ენაზე.

⁴⁷¹ Мухелишвили Д. Л., Из исторической географии восточной Грузии (Шаки и Гогарена), Мецниереба, Тбилиси, 1982, გვ. 80.

ჰულვანი – ქალაქი ზაგროსის მთიანეთში, რომელიც სასანიანთა დროს დაარსდა, თუმცა არსებობს მოსაზრება, რომ დასახლებული პუნქტი იქ ჯერ კიდევ მიდიის სამეფოს დროს არსებობდა. 1046 წელს თურქ-სელჩუკებმა ქალაქი გადაწვეს, ხოლო 1049 წლის მიწისძვრამ საბოლოოდ გაანადგურა. დღეს ჰულვანი ლოკალიზდება სოფელ სარპოლ-ე-ზაჰაბის ადგილას (*Sarpol-e Zahab*).

ბიბლიოგრაფია:

წყაროები:

1. იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ნაკვ.1., არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე. სიხარულიძემ, თბილისი, „მეცნიერება“, 1964.
2. ისტახრი. ჰოდუდ ალ-ალემი. ჰამდალაკ ყაზვინი; თარგმანი, შენიშვნებითა და კომენტარები ვ. ფუთურიძისა, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1937.
3. ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, განათლება, თბილისი, 1955.
4. تاريخ احمد بن ابي يعقوب بن جعفر بن وهب ابن واضح الكاتب العباسي, ليدن, بريل, 1883 (ია'კუბი, თარიხ).
5. فتوح البلدان, أبو الحسن أحمد بن يحيى بن جابر البلاذري, مؤسسة المعالف, بيروت, ١٩٨٧ (ბალაზური, ფუთუჰ).
6. 1992, كتاب صورة الارض, لابن حوقل, دار مكتبة الحياة, بيروت, (იბნ ჰაუკალი).
7. Al-Istakhri abu Ishak al-Farisi, Descriptio ditionis Moslemicae, BGA, 2nd ed., E.J. Brill, Lugdunum Batavorum, 1927.
8. Al-Mokaddasi, Descriptio Imperii Moslmici, BGA, E.J. Brill, Lugdunum Batavorum, 1877.
9. Ibn al-Fakih al-Hamadani, Kitab al-Boldan, E.J. Brill, Lugdunum Batavorum, 1885.
10. Ibn Hawkal abu'l-Kasim, Descriptio ditionis Moslemicae, BGA, E.J. Brill, Lugdunum Batavorum, 1873.
11. Ibn Khordadhbeh Kitab al-masalik wa'-l- Mamalik,; Kitab Al-Kharadj, Kodama Ibn Dja'far, Edit. M.J. DE Goeje, E.J.Brill, Lugduni-Batavorum, 1889.
12. Ibn Rosteh, Kitab al-Alak an-Nafisa, Al-Jakubi, Kitab al-Boldan, E.J. Brill, Lugdunum Batavorum, 1892.
13. Jacut's Geographisches Wörterbuch, F.A. Brockhaus, Leipzig, 1866.
14. Kitab Al-Fihrist, Von Gustav Flügel, Verlag Von F.W. Vogel, Lepzig, 1872.
15. Macoudi, Les Prairies D'or, T. 1, Imprimerie Imperiale, Paris, 1861.

16. Macoudi, Les Prairies D'or, T. 2, Imprimerie Imperiale, Paris, 1862.
17. Al-Muqaddasi, The best divisions for the knowledge of the regions, translated by B.A. Collins, Garnet, Publishing Limited, 1994.
18. Hewsen R., The geography of Ananias of Sirak, DR. Ludwig Reichert Verlag, Wiesbaden, 1992.
19. Kawthar Hamid Jad Qandil, A critical edition of Kitab al-Aqalim by al-Istakhri, the University of Exeter, Exeter, 1986.
20. Ибн Хордадбех, Книга путей и Стран, Перевод с Арабского, комментаии, исследовании, указатели и краты Наил Велихановой, Академия Наук Азербайджанской ССР, Баку „Элм“, 1986.
21. Известия о Хозарах, Бургасах, Болгарах, Мадьярах, Славянах и Руссах Абу-Али Ахмеда Бен Омар Ибн-Даста, неизвестного доселе арабского писателя начала X века, по рукописи Британского музея, Императорской Академии Наук, СПб, 1869.
22. Караулов Н. А., *Сведения арабских писателей о Кавказе, Армении и Азербайджане*, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, Выпуск 32, Тифлис, 1903. С. II.
23. Караулова Н.А., *Сведения арабских географов IX и X веков по Р.Хр. о Кавказе, Армении и Азербейджан*, Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, вып. 38, Тифлис, 1908.

გამოყენებული ლიტერატურა:

24. ალასანია გ., *ვინ არაინ წანარები?* აღმოსავლეთმცოდნეობა #1, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2008, გვ.161-175.
25. ალასანია გ., *დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი ტოპონიმის განმარტება თურქულ წერილობით ძეგლებში*, ქართული წყარომცოდნეობა, VIII, 1993, გვ.178-183.

26. გელოვანი ნ., სანიკიძე გ., ისლამი (რელიგია, ისტორია, ცივილიზაცია), თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2009.
27. ეჯიბია ო., *ალ-იდრისის ცნობები საქართველოს შესახებ*, აღმოსავლეთმცოდნეობა #8, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2019, გვ.131-145
28. ეჯიბია ო., *ტოპონიმი ჰაჯან/ხაჯანი და მასთან დაკავშირებული იბნ რუსთას ერთი ცნობა ჰერეთის ისტორიისთვის*, სპეკალი, 2021.
<http://www.spekali.tsu.ge/index.php/ge/article/viewArticle/15/268>
29. ვახტანგიშვილი თ., *გვიანფეოდალური ხანის თელავის საქალაქო მმართველობის ისტორიიდან*, სამეცნიერო შრომების კრებული N 1 (29), იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2016, გვ. 77-80.
30. ლორთქიფანიძე მ., *ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების ისტორიიდან*, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისი, 1954.
31. მელიქსეთ- ბეგი ლ., *მეგალითური კულტურა საქართველოში*, თბილისი, 1938.
32. მერკვილაძე დ., *თბილისის ამირა საჰაკისა და მუჰამედ იბნ ხალიდის ბრძოლის ადგილის ლოკალიზაციისათვის*, ჟურნალი: ამირანი, #VII, 2002, მონრეალი-თბილისი, გვ. 128-138.
33. მულიანი საიდ, *აფხაზეთი და აფხაზები არაბ და სპარს მწერალთა ნაშრომებში*, შრომათა კრებული #15 (2018), გორის სასწავლო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი; ისტორიისა და არქეოლოგიის ცენტრი. გორი, გვ. 623-625.
34. პაპუაშვილი თ., *რანთა და კახთა სამეფო (VIII-XI სს)*, მეცნიერება, თბილისი, 1982.
35. პაპუაშვილი თ., *ჰერეთის ისტორიის საკითხები*, მეცნიერება, თბილისი, 1970.
36. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ.2, ტომის რედ. შოთა მესხია, საბჭოთა საქართველო, თბილისი, 1973.

37. სიხარულიძე ე., *ალ-ფარიკი საქართველოში*, სემიტოლოგიური ძიებანი, II, თბილისი, 1985, გვ. 83-90.
38. სიხარულიძე ე., *ამიერკავკასიის სამარშრუტო გზები IX-X ს.ს. არაბული წყაროების მიხედვით*, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, მეცნიერება, თბილისი, 1963, გვ. 175-189.
39. სიხარულიძე ე., *იბნ ჰალკალი თბილისის შესახებ*, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი I. თბილისი, „მეცნიერება“, 1976.
40. სიხარულიძე ე., *საქართველოში არაბთა პირველ ლაშქრობათა ზოგიერთი საკითხისათვის*, მოამბე, თბილისი, 1961.
41. ტიკაძე მ., *არაბთა ისტორია (V-XV საუკუნეები)*, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2008.
42. ქართლის ცხოვრების ტიპოარქეოლოგიური ლექსიკონი, რედ. გ. გამყრელიძე, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2013.
43. ყურანი. *არაბულიდან თარგმნა, შესავალი წერილი და განმარტებანი დაურთო გიორგი ლობჯანიძემ, კავკასიური სახლი*, თბილისი, 2006.
44. შამილაძე ვ., *ქართველ და უცხოელ მოგზაურ-მკვლევართა ეთნოლოგიური ცნობები კავკასიის ხალხების შესახებ: უძველესი დროიდან XIX ს. დასასრულამდე*, თბილისი, 2001.
45. ჭილაშვილი ლ., *ქალაქები ფეოდალურ საქართველოში*, ტ.2, თბილისი, მეცნიერება, 1970.
46. ხარიტონაშვილი ჯ., *თელავი, საბჭოთა საქართველო*, თბილისი, 1990.
47. ჯაფარიძე გ., *X ს. ამიერკავკასიის არაბული რუკა*, - ჟურნ. მეცნიერება და ტექნიკა, 5, თბილისი, 1976, გვ.47-49.
48. ჯაფარიძე, გ. *თბილისის ამირა ისჰაკ იბნ იმა'ილ ალ-უმავი ათ-თიფლისი შუა საუკუნეების აღმოსავლურ წერილობით წყაროებსა და ისლამურ მხატვრობაში*, საისტორიო კრებული: წელიწდეული #4, თბილისი, მხედარი, 2014, 9-24.
49. ჯაფარიძე გ., *ნარკვევი ქართული მეტროლოგიის ისტორიიდან IX-XIX სს.*, მეცნიერება, თბილისი, 1973.

50. محمد ضياء الرحمان الاعظمي. المدخل إلى السنن الكبرى للبيهقي، الجزء الاول. دار: ادواء السلف. ١٤٠٤ (1983), (მუჰამად დიას'ი)
51. Alasania G., *Tbilisi according to the foreign sources*, Caucasus Journal of Social Science, Vol. I, The University of Georgia, Tbilisi, გვ. 200-244.
52. Babinger F., *Nahiye*, The Encyclopaedia of Islam, Vol. VII, Brill, Leiden-New York, 1993, გვ. 906.
53. Barthold W., Bosworth C.E., *Shirwan*, The encyclopedia of Islam, vol. IX, Leiden, Brill, 1997, გვ. 487-488.
54. Bosworth C.E., *Rustak*, The Encyclopaedia of Islam, Vol. VIII, Brill, Leiden-New York, 1995, გვ. 636.
55. Cahen C., Canard M., Arminiya, The Encyclopaedia of Islam, New edition, Vol. I, Brill, Leiden, 1986, გვ. 634-650.
56. Danilenko N., *Picturing the Islamicate World, The Story of al-Iṣṭakhrī's Book of Routes and Realms*, Brill, Laden/Boston, 2021.
57. Ejibia O., *Inscriptions on the map of Ibn Hawqal (Manuscript Arabe 2214)*, Journal Pro Georgia #31, Duo Studio, Warsaw, 2021.
58. Ez-Zahrawy V., Arab Metrology, The Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland, New Series, Vol. 16, No. 4, (1884), Cambridge University Press, pp. 495-524.
59. Gadjev M., *Construction Activities of Kavād I in Caucasian Albania*, Iran and the Caucasus, #21 (2017), Brill, Leiden.
60. Galichian R., *Historic maps of Armenia*, Bennett & Bloom, London, 2014.
61. Galichian R., *Countries south of the Caucasus in medieval maps Armenia, Georgia and Azerbaijan*, Printinfo Art Books, Yerevan and Gomidas Institute, 2007.
62. Gog and Magog in early Syriac and Islamic sources, ed. Donzel E., Schmidt A., Brill, Leiden-Boston, 2009.
63. Granara W., *Ibn Hawqal In Sicily*, Journal of Comparative Poetics, Spring, No. 3, (1983), Department of English and Comparative Literature, American University in Cairo and American University in Cairo Press, გვ. 94-99.

64. Hasan Z. M., *The Muslim travelers in the middle ages*, Dar al-red al-Arabi, Beirut, 1981.
65. *History of Medieval Armenia, course companion*, Quantum College, Yerevan, 2016.
66. Hodgson M.G.S., *al-Batina*, *The Encyclopedia of Islam*, Vol. I, Leiden, Brill, 1986, 33. 1098-1100.
67. Jeffery A., *Azar*, *The Encyclopedia of Islam*, Vol. I, Leiden, Brill, 1986, 33. 810.
68. Jeffery A., *The Foreign Vocabulary of The Qur'an*, Oriental Institute, Baroda, 1938.
69. Karamustafa A.T., *Introduction to Islamic Maps*, *The History of Cartography*, Vol. II, book 1., Ed. J. B. Harley and David Woodward, Chicago University Press, Chikago 1992.
70. Lane, E.W. *An Arabic-English Lexicon Part 4*, Librairie Du Liban, Beirut, 1968.
71. Lewis Bernard, *The origins of Ismailism*, W. Hoffur and Sons, Cambridge, 1940.
72. Le Strange G., *The Land of The Eastern Caliphate*, Cambridge University Press, Cambridge, 1905.
73. Minorsky V., *A History of Sharvan and Darband in the 10th-11th centuries*, W. Heffer & Sons LTD, Cambridge, 1958.
74. Minorsky V., *A Persian Geographer of A. D. 982 on the Orography of Central Asia*, *The Geographical Journal*, Vol. 90, No. 3 (Sep., 1937), Wiley on behalf of The Royal Geographical Society (with the Institute of British Geographers), pp. 259-264.
75. Minorsky V., *Caucasica IV*, *Bulletin of the School of Oriental and African Studies*, Vol. 15, #3, London, 1953.
76. Minorsky V., *New Light on the Shaddadids of Ganja; II. The Shaddadids of Ani; III. Prehistory of Saladin*, *Studies in Caucasian History I*, Cambridge, 1953.
77. Miquel A., *al-Istakhri*, *The Encyclopaedia of Islam*, vol. IV, E.J.Brill, Laden, 1997, 33. 222.

78. Miquel A., *al-Mukaddasi*, The Encyclopaedia of Islam, Vol. VII, E.J. Brill, Leiden-New York, 1993.
79. Miquel, A. *Geography*, Encyclopedia of the History of Arabic Science vol. III, Routledge, New York, 1996.
80. Miquel A., *Iklim*, The Encyclopaedia of Islam, Vol. III, E.J.Brill, Laden, 1986, 83. 1076.
81. Ouseley W., *Ebn Haukal an Arabian traveller of the tenth century*, Oriental Press, London, 1800.
82. Pulleyblank E., *A Sogdian Colony in Inner Mongolia*, T'oung Pao Second Series, Vol. 41, Livr. 4/5, Laden, 1952.
83. Shahinyan, A. K. The Administrative Policy of the Islamic (Arab) Caliphate in the Christian Lands of Greater-Armenia, Caucasian Albania, and Iberia. *Revue des Etudes Armeniennes*, 40, 2021, 83. 33-64.
84. Silverstein, A., *Ibn Khurradadbih*, Medieval Islamic Civilization an Encyclopedia vol. I, Routledge Taylor & Francis Group, New York, 2006.
85. Ter-Ghewondyan, A. The Arab Emirates in Bagratid Armenia, Transl. Nina G. Garsoïan, Livraria Bertrand, Lisbon, 1976.
86. Vacca A.M., From K'usti Kapkoh to al-Ġarbī: Sasanian antecedents, the sectarian Milieu, and the creation of an Islamic frontier in Amīhiya, dissertation submitted in partial fulfilment of the requirements for the degree of Doctor of Philosophy (Near Eastern Studies) in The University of Michigan, 2013.
87. Yasir Maslah Azizi, Abd Allah Zidan Wahabi, *Historical Geography for caucasian countries and its impact on Islamic conquerers*, The journal of the faculty of General Education, The University of Mosul, Mosul, 2019, (არაბულაა).
88. Zettersteen K.V., *al-Wathik Bi 'Llah*, The Encyclopaedia of Islam, vol. XI, Brill, Leiden, 2002.
89. Булгаков П.Г., сведения арабских географов в IX- начале X в. о маршрутах Средней Азии, Ленинград, 1954.
90. Бунятов З., Азербайджан в VII-IX вв., Баку, 1965.

91. Гизбулаев М.А., *Сведения арабских авторов Мискавейха и ал-Мукаддаси по истории Дагестана VIII–X вв*, Исламоведение, Т. 9, № 4, 2018, № 77-85.
92. Гизбулаев М. А., *Сведения о Дагестане в арабском географическом сочинении Китаб ал-а'лак ан-нафиса ибн Руста*, Вестник Санкт-Петербург, Востоковедение и африканистика, 2021, Т. 13, Вып. 2, № 187-196.
93. Гизбулаев М.А., *Китаб ал-Масалик ва-л-Мамалик ибн Хордадбеха и Китаб ал-Булдан ал-Йа'куби: Арабские географические источники о средневековой истории Дагестана*, Проблемы Востоковедения 4(78), 2017, № 63-69.
94. Крачковский, И.Ю. Избранные Сочинения Том IV, издательство академии наук СССР, Москва-Ленинград, 1957.
95. Манандян Я., О торговле и городах Армении в связи с мировой торговлей древних времен, Гос. изд-во, Эривань, 1930.
96. Мусхелишвили Д. Л., Из исторической географии восточной Грузии (Шаки и Гогарена), Мецниереба, Тбилиси, 1982.
97. Сериков И. И., Ал-Мукаддаси, Восточное историческое источниковедение и вспомогательные исторические дисциплины, Вып. 2. М. Наука. 1994.
98. Тер-Гводиян А.Н., Армения и Арабский Халифат, АН Армянской ССР, Ереван, 1977.
99. Хайрутдинов Д.Р., *Арабская географическая терминология*, Ученые записки Казанского государственного университета, Том 149, кн. 4, Гуманитарные науки, 2007, № 76-82.
100. Хайрутдинов Д.Р., *Обозначения на средневековых Арабских географических картах и их перевод на Русский язык*, Восток (ORIENT) № 5, Интеграция: образование и наука, Москва, 2010, № 126-130.
101. Хинц В., Равидович Е.А. Мусульманские меры и веса с переводом в метрическую систему. Материалы по метрологии средневековой Средней Азии. Наука. -М., 1970.
102. Шагинян А.К., Армения и страны Южного Кавказа в условиях византийско-иранской и арабской власти, Санкт-Петербург, Алетейя, 2011.

103. Шагинян А.К., *Города, хозяйство и торговля раннесредневековой Армении, Албании и Картли, Часть 2*, Вестник СПбГУ. Сер. 2, вып. 2, Санкт-Петербург, 2010, გვ. 73-83.

104. Шагинян, А. К. *Раннесредневековая география Армении и стран Южного Кавказа*, Издательство "Дмитрий Буланин", 2014.

105. Шагинян А.К., Система административного деления и управления Арабского Халифата в Армении и Арминии, Вестник Московского университета. Серия №13, Востоковедение, 2008, გვ. 68-85.

106. Ducène, Jean-Charles, *Ibn Hawqal*, 2017, https://referenceworks.brillonline.com/entries/encyclopaedia-of-islam-3/ibn-hawqal-COM_30810

107. Kettenhofen Erich, *Dvin*, 2011, <https://www.iranicaonline.org/articles/dvin>.

108. Knight Judson, *Ibn Hawkal*, <https://www.encyclopedia.com/science/encyclopedias-almanacs-transcripts-and-maps/ibn-hawkal>

109. ბერლინის სახელმწიფო ბიბლიოთეკა (ალ-მუკადდასი): https://digital.staatsbibliothek-berlin.de/werkansicht?PPN=PPN746345291&PHYSID=PHYS_0005

110. გოთას კვლევით ბიბლიოთეკა (ალ-ისტახრი, Ms. orient. A 1521): https://dnh.thulb.uni-jena.de/receive/ufb_cbu_00011296

111. ლადენის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ელექტრონული კოლექცია (ალ-ისტახრი, Or.3101): <https://digitalcollections.universiteitleiden.nl/view/item/1577846#page/4/mode/1up>

112. საფრანგეთის ეროვნული ბიბლიოთეკისა და მისი პარტნიორების, ციფრული ბიბლიოთეკა (იბნ ჰაუკალი, Ms. 2214): <https://gallica.bnf.fr>